# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 20 ივნისი 2008 №13(65)

1516
2008



ხუმრობებზე... სრულიად სერიოზულად

სუინბერნი და ფოლკნერის სატრფოები

ვინ შთააგონა ბარათაშვილს „მერანი“

ღვთისა და საკუთარი თავის ძიება

რა ელის პოსტმოდერნიზმს?

ოსკარ უაილდის ესეი



21 ივნისი

აკაკი წერეთლის დღე

# „სიესტა“ გთავაზობთ














მისამართი: თაბუკაშვილის 27 ტელეფონი: (+995 32) 92 31 49

ელ.ფოსტა: books@siestagroup.ge www.siestagroup.ge

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ფიქრი და განსჯა | 2 | ლალი ავალიანი **პოსტმოდერნიზმი – ჩიხი თუ მომავლის ხელოვნება?** |
| ელვარე და ლომფერი | 6 | ვახტანგ ამაღლობელი **სუინბერნი და ფოლკნერის სატრფოები** |
| პროზა | 8 | ზაურ წაქაძე **ჟამი ტყემლის ყვავილობისაი** (ყელქცეულის ეტიუდებიდან) |
| პოეზია | 11 | დავით-დეფი გოგიბედაშვილი **მარადის ალი ვარძიის ქარში** |
| | 14 | უჩა ზაქაშვილი **ბილიკი შენთვის** |
| პირველი შთაბეჭდილება | 16 | მალხაზ ივანიძე **ფრაგმენტის ოსტატი** |
| ესეისტიკა | 17 | ოსკარ უაილდი **ინდივიდუალიზმის აღორძინება ცხოვრებაში** |
| როგორ ვკითხულობთ კლასიკას | 28 | იოსებ ჭუმბურიძე **ვინ (რამ) შთააგონა ბარათაშვილს „მერანი“?** |
| | 29 | ქეთევან ჯერვალიძე **აკაკი წერეთელი ხატის წინ** |
| კრიტიკა | 33 | მაია ჯალიაშვილი **ღვთისა და საკუთარი თავის ძიება** (ზურაბ ლავრელაშვილის რომანი „მღვიძარება“) |
| რეპორტაჟი | 39 | ეკა ბუჯიაშვილი **კიდევ ერთი ზეცა** (გალაკტიონის დღე ლიტერატურის ინსტიტუტში) |
| | 41 | რიტა ბაინდურაშვილი **ხუმრობებზე... სრულიად სერიოზულად** (შეხვედრა ლევან ბრეგაძესთან „არტ-კაფეში“) |
| ბედი კაცისა | 43 | როსტომ ჩხეიძე **თვითმკვლელობა – გარდუვალი მოვალეობა** |
| ახალი წიგნები | 54 | კოტე არჩვაძე, ვასილ გურგენიძე **ღვაწლი მეცნიერისა** (სერგი ავალიანი) |
| დაუვიწყარი სახელები | 56 | ია საკანდელიძე **მარადისობაში გადასული მშვენიერება** (მედეა ბიბილეიშვილის გახსენება) |
| დეტექტივი | 59 | თომას ბერშაიდი **წართმეული სიყმაწვილე** |
| მოზაიკა | 63 | **ლენდ-ლიზი** |



დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 98-80-34
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – გელა გარდაფხაძე

გარეკანზე: იორკმისტერის ციხე-სიმაგრე, ინგლისი
მედეა ბიბილეიშვილი

დაიბეჭდა სტამბაში "ომეგა ტეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 ივლისს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლალი ავალიანი

# პოსტმოდერნიზმი – ჩიხი თუ მომავლის ხელოვნება?



მსოფლიო ლიტერატურაში დღემდე არსებული უამრავი მიმდინარეობის, სკოლის, ჯგუფის და ა.შ. გამონვლილვითი კვლევა წარმოგვიჩენს მარტივ ჭეშმარიტებას: შემოქმედი ქმნის „იზმს“ და არა პირუკუ; მწერალი თავის უფალია და ამა თუ იმ „იზმის“ პროკრუსტეს სარეცელში მუდამ კი არ იგვემს თავს! ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნებისმიერი მიმართულების ზუსტი განსაზღვრა უწინაც რთული ამოცანა იყო, ხოლო ნოვაციებით დაყურსულ XX საუკუნეშიც და XXI საუკუნის დამდეგს მისი დეფინიცია-სისტემატიზაცია კიდევ უფრო გაძნელდა. უკვდავი მაქსიმის – „ასე წერა აღარ შეიძლება“ – გაფეტიშება, ჩვენი დროებისათვის ეგზომ დამახასიათებელი ნოვატორული სიშმაგე, ფასეულობათა უცერემონიო ჩანაცვლება – ფასეულობათა ღრმად გააზრებული გადაფასების გარეშე – ზოგჯერ მძაფრი კრიზისით მთავრდება.

თამაზ ბუაჩიძემ, ფილოსოფოსმა, ინტელექტუალმა, პოეტმა, ნიცშეს ჩინებულმა მცოდნემ, მის საწინააღმდეგოდ განაცხადა: მარადიული ღირებულებები იმიტომაც არის მარადიული, რომ მათი გადაფასება შეუძლებელიაო.

დღევანდელობა, ისევე როგორც ყოველი „გარდამავალი“ და ფასეულობათა არნახული (ზოგჯერ სამართლიანი, ზოგჯერ უსამართლო) გადაფასების ჟამი, უკიდურესობათა არეალია: პოლიტიკაშიც, კულტურაშიც, მწერლობაშიც.

დღეს ორი ანტითეზა შეინიშნება: უგულებელყოფილია ავტორი და გაფეტიშებულია ტექსტი; ანდა პირიქით: მწერლის ცხოვრების ყოველ (განსაკუთრებით სკანდალურ) წვრილმანში იჩხრიკებიან, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას კი მრუდე სარკეში წარმოგვიჩენენ.

თვითმიზნურ, პრეტენზიულ ნოვაციასაც მოჰყვება ხოლმე მყისიერი გამოხმაურება; მასობრივი მკითხველის მისაზიდად, „კარგად დავიწყებული ძველის“ ახალ ქერქში წარმოდგენა ზოგჯერ დიდ განაფულობასაც არ მოითხოვს.

იქნებ პოსტმოდერნიზმი ოდენ ჩიხიდან გამოსვლის მცდელობაა; მისი მთავარი მახასიათებლები ფასეულობათა გადაფასება და კლასიკისა თუ თანამედროვე თხზულებების ხელახალი წაკითხვა, გადაწერა და „გადამღერებაა“. გააჩნია, ვის როგორ „ემღერება“ (აქაც: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“ არის განმსაზღვრელი).

„ტექსტი თავისთავად“ – ეს საზრისიც არახალია, ძველია. პოსტმოდერნიზმის მიერ სხვისი ტექსტის „გათავისებამ“ (ჩავუკვირდეთ ამ სიტყვის ორაზროვნებას), მისადმი უცერემონიო, ფამილარულმა თუ აგრესიულმა დამოკიდებულებამ, თითქოს შელახა მწერლის საავტორო უფლება. სხვათა ტექსტის მითვისება (ალუზიის, რემინისცენციის, პერიფრაზის, კოლაჟის თუ პაროდია-მისტიფიკაციისაგან განსხვავებით), რაც პლაგიატად ითვლებოდა, ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

მწერლობისათვის დამახასიათებელი გაორება, – ელიტარულ-პოპულარული, – პოსტმოდერნიზმშიც მჟღავნდება. მართალია, ელიტარული პოსტმოდერნისტული თხზულებაც „მეორადი ხედვაა“, მაგრამ „გადამწყვეტი სიტყვა ინდივიდს, ავტორს, შემოქმედს ეკუთვნის. როგორი გულგრილობითაც არ უნდა ეკიდებოდეს პოსტმოდერნი ავტორობის რეპუტაციას, სულერთია – ავტორი ავტორად რჩება. პოსტმოდერნისტული კულტურის ავტორიტეტს ყველაზე მეტად სწორედ ორიგინალური და თვითმყოფი მწერლები (ბორხესი, ან იგივე ნაბოკოვი) ინარჩუნებენ“ (ანდრო ბუაჩიძე).

პოსტმოდერნიზმი ფართო გაგებით მოდერნიზმის ჩამნაცვლებელი ფილოსოფიურ-ესთეტიკური სისტემაა. მის დეფინიციასა თუ დროითი საზღვრების შემოფარგვლაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა: მისი ხნოვანება, ძირითადად, რამდენიმე ათეული წლით განისაზღვრება. ზოგი მკვლევარი მას წმინდა ამერიკულ მოვლენად მიიჩნევს და მისი აღზევების დროდ 1960-90-იან წლებს ასახელებს. უფრო გავრცელებული თვალსაზრისით კი, პოსტმოდერნიზმი XX საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენებული გლობალური ფენომენია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოსტმოდერნიზმის ღერძი და უპირველესი მამოძრავებელია ე.წ. ინტერტექსტუალიზაცია, ტერმინი, რომელიც ფრანგმა მეცნიერმა კრისტევამ 1967 წელს დაამკვიდრა.

ძველი, კლასიკური ტექსტი სრულიად „უმწეოა“ პოსტავანგარდისტი ავტორის წინაშე: „კლასიკური ხელოვნების შედევრები პოსტმოდერნისტულ კონტექსტში კარგავენ ნორმისა და იდეალის ავტორიტეტს და, ფაქტობრივად, განიხილებიან როგორც მასობრივი ხელოვნების ნიმუშები. ... წარსულის შედევრი შეიძლება მოწოდებული იქნას ირონიზირებული ფორმით, როგორც ბანალური, ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები ესთეტიკური ფასეულობა“ (ბელა წიფურია).

მიუხედავად იმისა, ვიზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას, ცხადია, რომ პოსტმოდერნიზმის ერთი ფრთა ერთმნიშვნელოვნად ებრძვის „ავტორიტეტებს“ მწერლობაში, ამსხვრევს „კერპებს“ და ზოგჯერ ხელჰყოფს მარადიულ ფასეულობებს. გავიხსენოთ კონსტანტინე ბალმონტის ორაზროვანი ტაეპი: „Тише, тише совлекайте с древних идолов одежды!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასაც ფიქრობ, რომ ჩვენში, პოსტმოდერნიზმის „ერთგულებით" ზოგჯერ მხოლოდ საკუთარ უნიათობას ნილბავენ.

თავის მხრით, ინტერტექსტუალიზმის ფენომენი შეიქმნა ის დაბრკოლების ლოდი, რამაც კიდევ უფრო გაართულა პოსტმოდერნიზმის ქრონოლოგიური საზღვრებისა და მისი არსის დადგენა.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, „იზმთა" შორის უმრწემესმა პოსტმოდერნიზმმა უკვე მოჭამა თავისი დრო და ჩიხში მომწყვდევაც მოასწრო; მავანნი თვლიან, რომ პოსტმოდერნიზმის საზღვრების გაფართოება უსასრულოდ შეიძლება (ეს საზრისი გვახსენებს ფრანგი მწერლის როჟე გაროდის ერთ დროს მოდურ წიგნს „რეალიზმი საზღვრების გარეშე", 1963 წ. მასში მიმოხილული იყო პაბლო პიკასოს, სენ-ჟონ პერსის და ფრანც კაფკას შემოქმედება); სხვათა აზრით, პოსტმოდერნიზმი თანამედროვე კულტურისათვის ეგზომ ნიშანდობლივი პლურალიზმის, ინტეგრაციისა თუ გლობალიზაციის კანონზომიერი შედეგია და დიდხანს არ დათმობს სარბიელს.

უმბერტო ეკომ, პოსტმოდერნიზმის იტალიელმა მაესტრომ, შეშფოთება გამოთქვა პოსტმოდერნიზმის ცნების უსაშველო გაფართოების გამო: ასე თუ გაგრძელდა, პოსტმოდერნისტულ კატეგორიებს ჰომეროსთანაც კი აღმოვაჩენთო. ფილოსოფოს ჟან-ფრანსუა ლიოტარის მახვილგონივრული თქმით, პოსტმოდერნიზმი არისტოტელესთანაც კი გვხვდება და ამას ალარაფერი ეშველება! „საეჭვოა, სიტყვა „პოსტმოდერნის" წარმოთქმისას ვინმეს წარმოდგენილი ჰქონდეს, არსობრივად რაზეა საუბარიო" – ეს ვოლფგანგ ველშის სიტყვებია.

იური მამლეევმა, რომელიც თავის შემოქმედებას „მისტიკურ რეალიზმს" უწოდებს, განაცხადა: პოსტმოდერნიზმი უძალო, განწირული მიმართულებაა, შინაგანად, – საკუთარი თავის მოწყვლადი – მისი ყოვლისმომცველი, სამყაროული ირონიის გამო.

ასეთია პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოს და პრაქტიკოს „ნათლიმამათა" იჭვნეული გამონათქვამები. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ვუსურვოთ ზოგ თანამედროვე ქართველ ავტორს, წინაპართა ტექსტების ბეჯითად „გადამწერთ", – რომის პაპზე უფრო მეტ კათოლიკობას ნუ დაიჟინებენ...

მართალი გითხრათ, ლიტერატურათმცოდნეთა (უფრო დაზუსტებით, – თეორეტიკოსთა) „გადაბარგება" პოსტმოდერნისტულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში („წმინდა მთაგონების" ჩანაცვლება დისკურსით), – მაინცდამაინც დიდ სიქველედ არ მიმაჩნია. ასეთი მაგალითი ბევრია, ზოგი ფრიად წარმატებულიც: უმბერტო ეკო „ვარდის სახელში" (1980 წ.) ოსტატურად უხამებს ძველ ეპოქას თანამედროვეობას, მისტიკურ ექსტაზს – ანალიტიკურობას; ორმაგი კოდირების გზით ათანხმებს გასართობსა და ინტელექტუალურს, პოლიციური დეტექტივისა თუ ისტორიული რომანის მდიდარ კულტურულ არეალს ორგანულ მთლიანობად წარმოგვიდგენს. ავტორი, კომბინაციათა რთული სისტემებისა და სიმბოლოების გამოყენებით, გვთავაზობს დოკუმენტურობისა და მხატვრული გამონაგონის მომხიბლავ ნაერთს (ვოლფგანგ ველში, რენცო ოლივა). ესაა წარსულის თუნდაც „მეორადი", მაგრამ ერთობ მიმზიდველი ახლებური ხედვა.

მაგრამ არსებობს პოსტმოდერნისტული „კიჩიც" („კიტჩი"), ან კომერციულ მიზნებზე გათვლილი, ან კიდევ უარესი: მისი რადიკალური „პროტესტანტული" ფრთა; არცთუ იშვიათად – ცინიკური, მკრეხელური, სკაბრეზული (ისევ და ისევ: თუკი ღმერთი მოკვდა, ყველაფერი ნებადართულია!).

რადგან სიტყვამ მოიტანა, შეუძლებელია ორიოდე სიტყვა არ მოგახსენოთ „კიჩის" ჩემთვის სრულიად მოულოდნელ და მიუღებელ დეფინიციაზე, ახლახან სატელევიზიო „წითელი ზონიდან" რომ გაისმა: გოგი გვახარიამ „კიჩად" (რომელიც აღიარებული და მართებული თვალსაზრისით, სიმდარესა და უგემოვნობასთან არის გაიგივებული) მიიჩნია ავქსენტი ცაგარელის კომედიის რობერტ სტურუასეული უბრწყინვალესი ინსცენირება – სპექტაკლი „ხანუმა" (1968 წ.); თანაც, დიდი მაესტროს ავტორიტეტიც მოიშველია: ბატონი რობიკო ამბობს, როგორც დედა მახინჯ შვილს სხვებს ამჯობინებს, მეც ყველაზე უფრო „ხანუმა" მიყვარსო... (არადა, გოგი გვახარია იუმორთან თითქოს მწყრალად არ უნდა იყოს!).

ბატონ რობიკოს დადგმის აღქმა მხოლოდ სატელევიზიო ვერსიით ალბათ გაჭირდება; ისიც, რომ ვერც გოგი გვახარია და, მეტადრე, ვერც მისი სტუმარი ლაშა ბულაძე „ცოცხლად" ვერ ნახავდნენ სპექტაკლს, – ფაქტია; მაგრამ ჩვენ, ვინც რამდენჯერმე მაინც დავესწარით „ხანუმას" – ქართული რეჟისურის ზეიმსა და მსახიობთა „თავაწყვეტილი" იმპროვიზაციის კასკადს (ვარსკვლავთა „ცვენას"), – რა ვქნათ? ჩვენც „კიჩად" (სხვაგვარად – „სიყალბედ", როგორც მოგვიანებით „მოგვითარგმნა" ეს ტერმინი გოგი გვახარიამ) მივიჩნიოთ ეს ზღაპრული სპექტაკლი?

რაღა დაგიმალოთ და, ლაშა ბულაძე, ცოტა არ იყოს, დააბნია „კიჩის" გვახარიასეულმა განსაზღვრებამ: მგონი, მილორად პავიჩის ფრაზაც მოიშველია – „კიჩი გაპრიალებული განავალიაო".

გოგი გვახარიას, ჭკვიანსა და განათლებულს, ინტელიგენტურად მოსაუბრეს, რომც არ ვეთანხმებოდე, მაინც ყურადღებით ვუსმენ ხოლმე. სულ ახლახან უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ნინო კირთაძის

სამშაბათს, 24 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
წარდგინება
**ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილის**
კრიტიკული წერილების კრებულისა
**„დაფანტული ფურცლები"**
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დურაკოვოსადმი" მიძღვნილი გადაცემა. მაგრამ ამჯერად აღშფოთება ვერ დავმალე და ლამის ყურებს არ დავუჯერე, როცა „კიჩად" სამების ტაძარიც მოიხსენია. ლაშა ბულაძემაც შეაწია სიტყვა წამყვანს და რატომღაც მოსკოვის ცენტრში ერთ დროს ვანდალურად მიწის პირისაგან აღგვილი მაცხოვრის ტაძრის (Храм Христа Спасителя) პირვანდელი სახით აღდგენის ფაქტიც (ისეთივე სასიქადულო მოვლენა რუსეთისათვის, როგორიც წმინდა სამების ტაძრის მშენებლობა – საქართველოსათვის) „კიჩად" მიიჩნია. კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია.

ზემოთქმული, სხვათა შორის, იმის დასტურიც არის, რომ ჩვენში, დღესდღეობით, ახალ ტერმინთა და ცნებათა საოცარი აღრევის მოწმე ვართ.

ვრცელი წიაღსვლისათვის მკითხველს ბოდიშს ვუხდი და თემას ვუბრუნდები.

მთლად „თავისუფალ" ავტორებს უპრიანია შევახსენოთ ლიოტარის კონცეფცია – „პოსტმოდერნი, რომელიც პატივისცემას იმსახურებს". იგი მიიჩნევს, რომ სიმარტივე და უპრინციპობა, გაუაზრებელი ენობრივი თამაშები, აუფერულებს და აუსახურებს ისედაც უსიცოცხლო ტექსტს – „ასლს".

აშკარაა ზოგიერთ (ძირითადად ამერიკელ) მკვლევართა პრაგმატული დამოკიდებულება პოსტმოდერნიზმისადმი: ის თითქოსდა ავსებს უფსკრულს პროფესიონალებსა და დილეტანტებს შორის, კრიტიკოსსა და მკითხველს შორის. ამით ის პოპკულტურას უახლოვდება: მასობრივ მკითხველს ხომ დაშტამპული, ნიველირებული ხატები იზიდავს. ამ დროს ავტორს თითქმის მთლიანად გამოდევნის ტექსტი; შემოქმედის ინდივიდუალური ხელწერა არ არის კარგად „გაყიდვადი" (ასეთ ქართულს ხომ ხშირად ვისმენთ ტელეეკრანიდან). „Телевидение пало ниже, чем вся нация" – ვერ ვძლიე ცდუნებას, რომ ერთი პეტერბურგელი აკადემიკოსის მშვენიერი „აფორიზმი" არ გამემეორებინა. ამისათვის კი კვლავ ბოდიშის მოხდა მიწევს მკითხველის წინაშე.

ამერიკული ტრადიცია ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პოსტმოდერნისტული თხზულების მასკულტურასთან დაახლოებას სრულიადაც არ მიიჩნევს საჩოთიროდ.

ამ მხრივ ევროპელი ავტორების პოზიცია განსხვავებულია. უმბერტო ეკო ელიტარული პოსტმოდერნისტული ტექსტის წვდომისათვის მკითხველის საგანგებო მზაობას მოითხოვს. თუმცა ეკოს მიერ დეკლარირებული – გონებაში „ინტერტექსტუალური ენციკლოპედიის" დამაუნჯებელი მკითხველი – დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, უტოპიური ცნება მგონია.

ინტერტექსტუალიზაცია ორბუნებოვანია: ერთი მხრით, ესაა ინტელექტუალი ავტორის რთული ასოციაციებით დაყურსული, მინიშნებებითა და ღრმა ქვეტექსტებით აღსავსე, კოდირებული და დაშიფრული ტექსტი; მეორე მხრით – ხავსი –წყალწყალა, ცხოვრების მასალაშემოლეულ თუ ზარმაც, წყალწაღებულ კალმოსანთათვის. უტრირებული თვალთახედვაა, მაგრამ არა უსაფუძვლო.

რასაკვირველია, პოსტმოდერნიზმი პანაცეა არ არის, მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს მის არსენალს – თავისი ნიჭის, განათლების თუ მიზანდასახულობის კვალობაზე.

ბევრი კურიოზიც გვხვდება: 2001 წელს მოსკოვის სოლიდურმა გამომცემლობამ დასტამბა ფიოდორ მიხაილოვის „იდიოტი". ესაა დოსტოევსკის რომანის სწორხაზოვანი დეკონსტრუქცია; ანონიმ „ავტორს" (კიდევ კარგი, საკუთარი სახელის გამხელისა თუ შერცხვა!) აბზაც-აბზაც გადაუწერია დედანი, თუმც პერსონაჟებისათვის პოსტსაბჭოთა სინამდვილის შესაბამისად უცვლია სახე: მიშკინი – ამერიკიდან დაბრუნებული საშა გაგარინია, ნასტასია ფილიპოვნა – მოდელი ნადია ბარაშკოვა, როგოჟინი – ბანდიტი ბარიგინი და ა.შ. „კიჩი" თუ გინდათ, ეს არის თუ არის! თურმე ნუ იტყვით და, პლაგიატორობასაც კი ვერ დასწამებთ „ფიოდორ მიხაილოვს" (ვითომცდა პოსტმოდერნისტული პლაგიატი, ეპატაჟი და მკრეხელობა არ არის „დასჯადი" ქმედებანი).

სამწუხაროდ, არც ქართველი პოსტავანგარდისტები აღმოჩნდნენ „ჯაბანნი": ოდიოზური „ტრფობა ნამებულთა", არც მეტი და არც ნაკლები, ბიბლიური ფრაგმენტებისა და „შუშანიკის წამების" სკაბრეზული და უხამსი „გადაწერაა". „ენაგარყვნილებანი" (საბა), რომელნიც დიდი ლექსიკოგრაფის ნაშრომში სავსებით მართებულად არიან წარმოდგენილნი მათი განსაზღვრების მიზნით, დავით ბარბაქაძის ზემოხსენებულ ტექსტში თავზარდამცემ ეფექტს ქმნიან. ასევე, ეპატაჟსა და შოკზეა გათვლილი ლაშა ბულაძის „საუკუნის მკვლელობა" და „პირველი რუსი". ჩემთვის გაუგებარია, რაში დასჭირდა ნიჭიერ და ენამწარე სატირიკოსს (რაც დიდი იშვიათობაა დღეს), „ბოლო ზარისა" და „ოქროს ხანის" ავტორს, – მაინცდამაინც ტრაგიკულ და მტკივნეულ თემათა უცერემონიო და „სკანდალური" ექსპლუატაცია? დავით ბარბაქაძეც და ლაშა ბულაძეც ცნობილი და წარმატებული ავტორები არიან. მაშ რაღა მოვთხოვოთ სხვას, რომელმაც, არც აცია, არც აცხელა და, „ვეფხისტყაოსანი" გადაწერა „ეროტიკულად"! დიდი რეკლამა ხომ გაინაღდა ამ ეპატაჟური გამოხდომით და, მგონი, რუსთაველსაც „წაეხმარა": – „ვეფხისტყაოსანს" ახლა ხომ აღარავინ კითხულობსო... კითხულობენ კიდეც და პოემის ფრაგმენტებს ლამის IV კლასიდან ასწავლიან ჩვენს უნიჭიერეს და ჰიპერცნობისმოყვარე ბავშვებს თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე ქართულის მასწავლებლები.

თეორიული პლანის გარდა, კრიტიკოსთა საგანგებო ყუ-

სამშაბათს, 24 ივნისს
საქართველოს კომპოზიტორთა
კავშირის სარკეებიან დარბაზში
გაიმართება წარდგინება
**ლიუ-ყანდარელი კუანგ-ვენის**
პროექტით შექმნილი წიგნისა

**„ჩინეთი ჟამთა სიავეში"**

დასაწყისი 16 საათზე
აღმაშენებლის 123

რადლება პოსტმოდერნიზმის ქართულმა ნიმუშებმა მიიპყრეს. მძაფრი ინტერესი გაამჟღავნეს მათი ინტერტექსტუალიზაციის მიმართაც (იხ. ანდრო ბუაჩიძის, ლევან ბრეგაძის, ქეთევან თავდიშვილის, თინანო თევზაძის, ლანა კალანდიას, მანანა კვაჭანტირაძის, ნოდარ ლადარიას, ნუგზარ მუზაშვილის, ზურაბ ქარუმიძის, ზაზა შათირიშვილის, ბელა წიფურიას მაია ჯალიაშვილის და სხვ. ნაშრომები).

პოსტმოდერნიზმი, თუ მას გლობალურ და დესტრუქციულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ სისტემად გავიაზრებთ, ჩვენნებრ მცირე ერს კარგს არაფერს უქადის; რაც შეეხება ინტერტექსტუალიზაციას, ის ქართველ ავტორებს, ძირითადად, ძალზე მოხდენილად და შემოქმედებითად აქვთ გამოყენებული.

ლევან ბრეგაძემ გამოავლინა პოსტმოდერნისტული პლასტები ე.წ. 60-იანელთა შემოქმედებაში (მუხრან მაჭავარიანი, რეზო ინანიშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ დოჩანაშვილი), რამაც საშუალება მისცა, დაესკვნა: „პოსტმოდერნი თითქმის იმავდროულად იკიდებს ფეხს ქართულ მწერლობაში, რა დროიდანაც დასავლურ (ევროპულ და ამერიკულ) ლიტერატურებშიო".

პოსტმოდერნიზმის ქართული ფესვების ძიება მართლაც საინტერესოა; მაგრამ მე მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენდი: პოსტმოდერნის ფილოსოფიური სულისკვეთების გამოვლენა 60-70-იანი წლების ავტორებთან სათუოა. თუმცა აშკარაა ნაირგვარი ინტერტექსტის („ნაყალბევი" არქაული პასაჟები, სტილიზაცია, მისტიფიკაცია, ენობრივი თამაშები, ორმაგი კოდირება, სათქმელის „გასხვისება" და ა.შ.) არსებობა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასა" (1973-75 წწ.) და „გიორგი ბრწყინვალეშიც" (2003 წ.). პოსტმოდერნისტული შრეების კვლევისათვის, ჩემი აზრით, მდიდარ მასალას წარმოგვიდგენს ოთარ ჭილაძისა და რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაც.

პოსტმოდერნიზმით დაინტერესებულ ავტორთა არეალი ფართოა, მაგრამ არა ერთგვაროვანი. ამჯერად, ძალიან მოკლედ შევეხები ორ მათგანს – კოტე ჯანდიერს და აკა მორჩილაძეს.

1992 წელს ჟურნალ „კლდეკარში" გამოქვეყნდა კოტე ჯანდიერის ვრცელი მოთხრობა „მაყვლიანი", რომელიც „ქართლის მოქცევის" ერთი ეპიზოდის პოსტმოდერნისტულ „აპოკრიფად" არის ჩაფიქრებული: მოთხრობის შესავალი-მისტიფიკაცია პოსტმოდერნისტულ სქემას გვაგონებს, იმავდროულად – ირონიულ პაროდიას. ძირითადი ტექსტი (ფაბულა: მცხეთელი ებრაელის ელიოზის წარგზავნა იერუსალიმს, მაცხოვრის ჯვარცმის ხილვა, უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანა...) რადიკალურად განსხვავდება „პრეამბულისაგან", რომელიც სათქმელის გასხვისებას და ორმაგ კოდირებას შეიცავს. „მაყვლიანი" ავტორის წიგნიერების, წარმოსახვისა და ნატიფი მეტყველებითი სტილის ნაზავია; ავტორი არ ზღუდავს ფანტაზიას, ამიტომაც დიდია სხვაობა პირველწყაროსთან.

კოტე ჯანდიერი კლასიკისადმი „სერიოზულ-ირონიულ" დამოკიდებულებას ავლენს; ხოლო მისი ტექსტი – „იმიტაცია", გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალურიც არის, დღევანდელი დაკნინებულ-დამახინჯებული ქართულის ფონზე. ავტორისათვის „მაყვლიანი" ერთგვარი გამონაკლისია, ჩემი აზრით, ესაა ინტერტექსტის შესაძლებლობების მოსინჯვის მცდელობა, – მცდელობა საინტერესო და შთამბეჭდავი (დაწვრილებით იხ. ლალი ავალიანი, „ინტერტექსტუალიზაციისათვის. ფრაგმენტები", „კრიტიკა", 2007, 2).

ჯერჯერობით ყველაზე წარმატებულ პოსტმოდერნისტულ თხზულებად მიმაჩნია აკა მორჩილაძის („ალალად მოთამაშე" ავტორის) „მადათოვური" ტრილოგია (დაწვრილებით იხ. ლალი ავალიანი, „გამოთხოვება ძველ თბილისთან, ძრწოლა ახალი თბილისის წინაშე", წგნ-ში „ჭაბუა ამირეჯიბიდან აკა მორჩილაძემდე", 2005 წ.); თუმცა, ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზებს შემოგვთავაზებს ერთობ ნაყოფიერი, უკიდეგანო ფანტაზიისა და შესაძლებლობების ავტორი!

ჩემთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ბრწყინვალე პროზაიკოსის ვაჟა გიგაშვილის 2007 წლის მიწურულს გამოქვეყნებული რომანი „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი" – უკვდავი „ჯაყოიზმის" თანამედროვე ვერსია! მაგრამ ამის თაობაზე ვრცელი საუბარი გვმართებს და სამომავლოდ გადავდოთ.

მკვლევართა უმრავლესობა ქართულ პოსტმოდერნიზმს უკვე ლიტერატურულ ფაქტად მიიჩნევს, თუმც ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ის თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის „მთავარი საყრდენია".

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ზოგი, ფართოდ რეკლამირებული და სკანდალურად „სახელმოხვეჭილი" ავტორის წრეგადასულ ცინიზმს, „რადიკალურ" ნატურალიზმს და „ვერბალურ ეკვილიბრისტიკას". მათ შორის „ბრწყინავს" (არცთუ ობოლი მარგალიტივით) „ენაგარყვნილებათა" გროსმაისტერი, რომლის ტექსტების ადგილი პანოპტიკუმშია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, პოსტმოდერნიზმი დღეს ქართული მწერლობის ციტადელად არ გამოდგება.

ქართული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურისათვის ჩრდილის მიყენება (თუნდაც მხოლოდ ეპატაჟის მიზნით) წარმოუდგენელი უგუნურებაა. „დღეიდან" არაფერი არ იწყება: „თუ ერმა ოც საუკუნეში მართლა ვერაფერი შექმნა და ოცდამეერთეში განგაში ასტეხა – ეხლა კი მთელ ქვეყანას გავაოცებო, ნუ დაიჯერებთ!" (მიხეილ ჯავახიშვილი).

კვირას, 22 ივნისს

ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში"
გაიმართება წარდგინება
**თამაზ ჭილაძის**
რომანისა
**„ბრეიგელის მთვარე"**

*დასაწყისი 15 საათზე*
ფურცელაძის 10

ვახტანგ ამაღლობელი

# სუინბერნი და ფოლკნერის სატრფოები

ფოლკნერის ლიტერატურული კარიერა პოეზიით დაიწყო. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ იგი ლექსებს ძირითადად სუინბერნისა და ჰაუსმანის მიბაძვით წერდა, უფრო სწორად, მათი სალექსო ნიმუშების კეთილსინდისიერ მოდელირებას ახდენდა. ბუნებრივია, პოეტური შეგირდობის ხანაში მყოფი რომანტიკოსის, ფოლკნერის პირველი ლექსები უმეტესწილად მელანქოლიით იყო აღსავსე და ცალმხრივ სიყვარულსა და ბუნებას ეძღვნებოდა. ეს იყო ლექსი „L'Apres-Midi d'un faune"(1919) („ფავნის ნაშუადღევი") და პოეტური კრებული „მარმარილოს ფავნი" (1924).




*გარეკანი წიგნისა „უილიამ ფოლკნერისა და მეთა კარპენტერის სიყვარულის ამბავი"*

სუინბერნისადმი თავისი დამოკიდებულება ფოლკნერმა გამოხატა ესეიში „ლექსი ძველი და ახლად შობილი: პილიგრიმობა", რომელიც პირველად 1925 წელს ნიუ ორლეანის სალიტერატურო ჟურნალ „დაბელ დილერში" გამოაქვეყნა. სხვათაშორის, ამ ჟურნალში დაიბეჭდა ჰარტ კრეინის, ერნესტ ჰემინგუეის, რობერტ პენ უორენისა და ედმუნდ უილსონის პირველი ნაწარმოებებიც. აღნიშნული ესეი წარმოადგენს ფოლკნერის სამომავლო ლიტერატურული მოღვაწეობის მანიფესტს და მისი ადრეული ლიტერატურული საქმიანობის შეჯამებას. აქ ფოლკნერი აღნიშნავდა: „თექვსმეტი წლისამ აღმოვაჩინე სუინბერნი. უფრო სწორად, აღმომაჩინა სუინბერნმა, რომელიც ჩემი ჭაბუკური ტანჯული ნიალიდან აღმოცენდა და შარაგზის ყაჩაღივით თავის მონად მაქცია. იმხანად ჩემი გონება მთლიანად და გლუვად იყო პირმოთნეობის თხელი ფენით მოჭიქული. ეს ჩემთვის მაშინ აშკარად აუცილებელი გახლდათ, რათა პიროვნული მთლიანობის სიხალასე შემენარჩუნებინა. დღემდე ზუსტად ვერ ვიტყვი, როგორ შემძრა, ან რა სიღრმის კვალი დატოვა მისმა გავლენამ ჩემს გონებაში. ახლა მეჩვენება, რომ მასში მხოლოდ დამყოლი ჭურჭელი აღმოვაჩინე, რომელშიც შემეძლო ჩემი ბუნდოვანი ემოციური ფორმები მომეთავსებინა ისე, რომ არ დამემსხვრია...

ის, რაც სუინბერნში აღმოვაჩინე, სავსებით მაკმაყოფილებდა და ავსებდა ჩემს შინაგან სამყაროს. ახლა არ ვიცი, შემეძლო თუ არა მსგავსი დამოკიდებულება ასეთი ყეყეჩური თავდაჯერებით სხვების მიმართაც მქონოდა. რა თქმა უნდა, თუკი ვინმე ოდნავ მაინც დაინტერესდება სუინბერნით, აუცილებლად იპოვის ნათესაობას სუინბერნის წინამორბედებთან."

აღსანიშნავია, რომ ნიუ ორლეანში, სადაც ფოლკნერმა რამდენიმე თვე ფრანგულ კვარტალში იცხოვრა, გაიცნო შერვუდ ანდერსონი და მისი ლიტერატურული წრე, რომელიც დაკავშირებული იყო სწორედ ავანგარდულ სალიტერატურო ჟურნალ „დაბელ დილერთან". აქვე გაიცნო მისი მეორე სიყვარული ჰელენ ბეარდი, რომელსაც სანაპიროზე სეირნობის დროს სხვა პოეტების ქმნილებათა გარდა სუინბერნის ლექსებსაც უკითხავდა. მისთვის სუინბერნის მიბაძვით შექმნილი რამდენიმე ლექსიც მიუძღვნია. სამწუხაროდ, პირველი სიყვარულივით, ეს სატრფიალო ამბავიც მარცხით დამთავრდა, რადგან ფოლკნერის დიდი მცდელობის მიუხედავად, ქორწინება არ შედგა. კარველ კოლინზი წიგნის შესავალში „ელენი: ფლირტი და მისისიპის ლექსები", რომელიც 1981 წელს გამოვიდა, მოგვითხრობს ფოლკნერისა და ჰელენ ბეარდის ურთიერთობებსა და იმ გავლენაზე, რაც ჰელენმა მოახდინა მის შემოქმედებაზე.

ფოლკნერის ბავშვობის პირველი სიყვარული კი ესთელ ოლდჰემი გახლდათ, რომელიც ოქსფორდში პოპულარული, ახტაჯანა გოგონა, ცეკვებისა და შეხვედრების აქტიური მონაწილე ყოფილა. მიუხედავად ფოლკნერთან სასიყვარულო რომანისა, იგი სხვა ყმაწვილებთანაც დადიოდა პაემნებზე, მათ შორის იყო კორნელ ფრანკლინი, რომელსაც ცოლად გაჰყვა 1918 წლის აპრილში. ასე რომ, ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების რიგებიდან დათხოვილ, იმავე წლის დეკემბერში კანადიდან ოქსფორდში დაბრუნებულ ფოლკნერს გულის სატრფო გათხოვილი დახვდა. მან ესთელს სუინბერნის პატარა, შავყდიანი ლექსების კრებული გადასცა, რომელიც ტორონტოდან უკან ჩამოიტანა. როდესაც ესთელმა კრებული გადაშალა, ფოლკნერის გვარი, სამეფო საჰაერო ძალების თვითმფრინავის ფრთები და წარწერა აღმოაჩინა, რომლითაც ფოლკნერი მას ამ კრებულს უსახსოვრებდა. მაგრამ მიძღვნა იმდენად ვნებიანი იყო, რომ ჰელენმა ფორზაცის ქვედა ნაწილი ამოხია, რათა წიგნი თან წაეღო ოქსფორდიდან ჰავაიში ქმართან ერთად გამგზავრებულს.

1929 წელს ფოლკნერი ქორწინდება ესთელ ოლდჰემფრანკლინზე, თავის ბავშვობის შეყვარებულზე, რომელიც ქმარს გაეყარა, თუმცა ამ ქორწინებას მისთვის ბედნიერება არ მოუტანია. 1935 წელს ჰოლივუდში, „მეოცე საუკუნე ფოქსში" მუშაობისას მან გაიცნო მეთა კარპენტე-

რი, რომელთანაც ურთიერთობა საერთო ჯამში 15 წელს გაგრძელდა. მეთას, ისე, როგორც ესთელსა და ელენს, ფოლკნერი კიტსის, სუინბერნისა და ჰაუსმანის ლექსების ნანყვეტებს უკითხავდა. მეთა კარპენტერმა ჰოლივუდის ცნობილი სცენარისტისა და ჟურნალისტის ორინ ბორსტენის თანაავტორობით 1976 წელს გამოსცა მემუარები: „შეყვარებული ჯენტლმენი: უილიამ ფოლკნერისა და მეთა კარპენტერის სასიყვარულო ამბავი“.

მეთა კარპენტერი წერს: „ფოლკნერის ჩემეული შეფასება სავსებით მცდარი აღმოჩნდა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ იგი ხშირად გამიმეორებდა „როდესაც იმ კარებში ვიდექი და დაგინახე, ჩემთვის ვთქვი: "ის არის!" ანდა, მე ქალს, რომელმაც ახლახან გაიხადა ბამბის ვატინი, რომელშიც ეგვიპტური მუმიასავით იყო გახვეული, რა უნდა სცოდნოდა იმ კაცის შესახებ, რომელსაც სუინბერნი და კიტსი ჰქონდა წაკითხული და მალულად ერთ ლამაზ ქალზე ოცნებობდა?“

მეთასათვის პირველი შეხვედრისთანავე ცხადი გახდა, რომ ფოლკნერს კითხვის დასმა აღარ მოუწევდა მომავალში მათი შეხვედრის შესახებ. „ჩვენი ერთად ყოფნა ფაქტი იყო, ერთად ვიქნებოდით მეორე დღესაც და ღამესაც. „სტუდიო ქლაბის“ წინ დაშორებისას შევთანხმდებოდით ხოლმე, თუ როდის გამოვიდოდა იგი ვაინის ქუჩაზე, ჩაუვლიდა რადიო სადგურებს, ჰოლივუდის რენჩ მარკეტს და რომელ საათზე გამოივლიდა ჩემთან. ანდა მე უნდა გამევლო მისი სასტუმროს წინ, ტვიდის კოსტუმში გამოწყობილ კოხტა, ჩასკვნილი კაცისათვის, რომელსაც ჯიბე ჩიბუხითა და თამბაქოს ქისით ჰქონდა გამობერილი და მოუსვენრად გასცქეროდა ჰოლივუდის ბულვარს, რათა თვალი მოეკრა ჩემი პატარა ავტომობილისათვის. შაბათ – კვირას სანაპირო გადატვირთული იყო ხოლმე. როცა ტრანსპორტი შეთხელდებოდა, ბილი საჭეს მიუჯდებოდა, აუჩქარებლად და ყურადღებით შეეჭიდებოდა გრძელ დახვეულ გზას. ზოგჯერ სამხრეთულ საეკლესიო სიმღერებს მღეროდა ხმამაღლა და მხიარულად; მერე ისევ და ისევ სუინბერნისა და ჰაუსმანის ლექსების გრძელ მონაკვეთებს მიკითხავდა ზეპირად, როცა დაამთავრებდა, მიეყრდნობოდა საზურგეს და იტყოდა, „მაგარი ვინმე ვარო“...


ჰელენ ბეარდი


უილიამ ფოლკნერი
ესთელ ოლდჰემთან ერთად

მეთა კარპენტერი ხაზგასმით აღნიშნავს ფოლკნერის რომანტიკულ ხასიათს: „იმ ღამით, ახალი ღამის პერანგით რომ მივედი ბილთან, მან საწოლი გარდენიისა და ჟასმინის ფურცლებით ავსებული დამახვედრა. იმდენად გაოგნებული დავრჩი, ვერ მოვახერხე მეკითხა, ყვავილები სად იპოვა, ანდა სად გადამალა სიურპრიზის მომენტამდე. იდგა და მორიდებულად ელოდა ჩემი მოწონების ნიშანს, როგორც დეკორაციების დამდგმელი ელოდება ფილმის რეჟისორის თავის დაქნევას. მე კიდევ, ყვავილებით მოფენილი საწოლიდან შევცქეროდი შეუცბუნებელ რომანტიკოსს, უილიამ ფოლკნერის მრავალსახეობიდან რომ გაცხადდა. მხოლოდ სიყვარული, ყველაფერი დანარჩენი გაძევებული იყო იმდღევანდელ ღამეს. მკაცრი, მდუმარე, სასოწარკვეთილი მუდარის თვალებით მიყურებდა, აინტერესებდა, სასიამოვნო იყო თუ არა, რაც გააკეთა... აცრემლებული მკლავებში ჩავეხვიე და მის მკერდში თავჩარგული სიხარულისაგან ავქვითინდი, დაფასებული და სიყვარულის კვარცხლბეკზე მდგომი, რაზედაც ყოველთვის ვოცნებობდი.“

როგორც ვხედავთ, ეს ბუმბერაზი მწერალი, რომლის შემოქმედების ადრეული ხანაა მხოლოდ რომანტიკული ხასიათისა, ცხოვრებაში ბოლომდე რომანტიკოსად დარჩენილა. აშკარაა მისი დამოკიდებულება სუინბერნის პოეზიისადმიც. თითქმის ყველა მისი ბიოგრაფი და მკვლევარი აღნიშნავს, რომ სუინბერნის ლექსებმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო მის პოეზიაზე, არამედ პროზაზეც. ამიტომ იწვევს გაკვირვებას ის, რომ უკვე საყოველთაოდ ცნობილი, ნობელის პრემიის ლაურეატი უილიამ ფოლკნერი 1957 წლის შეხვედრების დროს თავის საუბრებში (ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, „ნაკადული“, 1984 წელი) სუინბერნს არსად ახსენებს. ჯინ სტაინის კითხვაზე თანამედროვე მწერლებს თუ კითხულობთო, ფოლკნერი პასუხობს: "აგრეთვე პოეტებს: მარლოს, ქემპიონს, ჯონსონს, ჰერიქს, დონს, კიტსსა და შელის. აგრეთვე ჰაუსმანსაც..." ვირჯინიის უნივერსიტეტში შეხვედრისას, როცა ეკითხებიან, რომელი პოეტების ნაწარმოებები მოგწონთო, მიუგებს: „კეთილი, „ბალახის ფოთლები" ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია; იმ დროიდან, როცა უამრავ პოეტს ვკითხულობდი, მახსოვს ელინორ უაილი, კონრად ეიკინი, ედვინ არლინგტონ რობინსონი, რობერტ ფროსტი.“

როცა მერი უოშინგტონ კოლეჯში მას დაუსვეს კითხვა, არის თუ არა ისეთი პოეზია, რომელიც ორიოდე სიტყვით ყველაზე უკეთ გამოხატავს ჭეშმარიტებასო, მან უპასუხა: "თითქმის ყველა - ბერნსი, კიტსი, უორდსუორთი, ხანდახან უიტმენი, ბენ ჯონსონი, მარლო - თითქმის ყველა, ლაფორგი, გოეთე - ყველა. ამიტომაც კითხულობენ მათ დღესაც, დღესაც ამიტომ იცნობენ.“

საკვირველია, რატომ გაუწყრა ასე ფოლკნერი სუინბერნს, თუმცა არც ტომას სტერნზ ელიოტს ახსენებს ამ საუბრებში. მართალია, ფოლკნერი თავის შეყვარებულ ქალებს ელიოტის ლექსებს არ უკითხავდა, მაგრამ განა ელიოტმაც არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ფოლკნერის მოდერნისტული ხანის შემოქმედებაზე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ ნაქაძე

# ქამი ტყემლის ყვავილობისა

*

## ყელქცეულის ეტიუდებიდან

**მოქმედნი პირნი:**

**მწერალი** – ოთარ ჩხეიძე, დაბადებული 1920 წელს გორის რაიონის სოფელ ყელქცეულში, 39 წლის, საქართველოში უკვე გამოქვეყნებულია შემოქმედის ცნობილი რომანი „ბურუსი", მოთხრობების კრებული „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან", „ურწყავი" და სხვ. გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის უცხო ენების კათედრის გამგე, კითხულობს საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსს, გამოცდებზე თითქმის ყველას „ხუთიანით" აჯილდოებს, მხოლოდ რამდენიმე შეეხვეწა, მაინც არავინ დამიჯერებს, სამიანსაც ყაბულს ვარ, მეგობრების ხითხითისგან მაინც გადავრჩებიო.

სწამს მეგობრობა და სიალალე, საოცრად უყვართ სტუდენტებს, მისთვის არ არსებობს ლექციის დაწყება-დამთავრების ზარი, დღე და ღამე რომ გადაებას, თანახმანი არიან სტუდენტები, ოღონდ ამ ენაქართულიანმა კაცმა ილაღადოს.

განუმეორებელი თამადა, ზენიტს რომ მიაღწევს, თითქოს ღმერთებს ელაპარაკება. ამტკიცებს, ისე გახდა 27 წლის, რომ ღვინის გემო არ გაუგია. ზოგჯერ იმ ლაღადსა და ლოცვაში ათ ლიტრამდე ღვინო მიურთმევია.

მხნე და ენერგიული, გორელმა ახალგაზრდა მწერლებმა „კეისარი" შეარქვეს და ასეც მოიხსენებენ დღესაც. გორში რომ გულში იხუტებდნენ, ლანდებივით უკან დაჰყვებოდნენ, სწამდათ და სჯეროდათ, დედაქალაქში მაინც ფუთფუთებდნენ, კი მოიწონეს „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან", რომელსაც მოჰყვა დიდი ნახტომი და დაიბადა „ბურუსი".

ო, რა ამბავი ატყდა საქართველოში. ომის შემდეგ კრიტიკოსთა ასეთი გნიასისთვის არ მოუსმენიათ. სინამდვილე გახლდათ, ნათლად გამოჩნდა გულამომპალი ხე და ნაქცევის პირზე მდგარი სოციალისტური ქვეყანა. იმ კრიტიკოსთა კალმები რომ შეგეგროვებინა, გილიოტინას გამოჩარხავდა ჭკვიანი ადამიანი. დიდ მოსკოვამდეც ჩააღწია ხმამ. ბორის ჩხეიძემ იმ დედაქალაქში გამოაქვეყნა ცნობა, არ მოტყუვდეთ, ეს მე არ ვარ, ასეთ გაუკუღმართებულ წუთისოფელს როგორ დავხატავდი. ეგ სხვა ჩხეიძეა, ოთარ ჩხეიძეაო.

**გორელი** – ომარ ჩუბინიძე, დაახლოებით 18 წლის, უცნაური, ყველა სიახლის მოთავე, მაგრამ ჩრდილიდან იშვიათად გამობრძანდებოდა, შორიდან ხარობდა ადამიანთა სიხარულით, მეგობრობდა ახალგაზრდა მწერლებთან, აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, ზოგჯერ თუ აებნეოდა გზა-კვალი, ძებვივით მოედებოდა ლობეყორეს, სწამდა, რომ არასოდეს უღალატებდნენ ადამიანები. ეგ ლექსებს თხზავს და გამხელის ერიდებაო, ზოგჯერ გვიმტკიცებდა ოთარ ჩხეიძე.



**ქართლელი** – აკაკი ბიძინაშვილი, ყელმოღერებული ახალგაზრდა პოეტი, მუდამ თავაწეული დაბრძანდებოდა. ზოგჯერ თუ გადაჰკრავდა, წაქცეული დოქივით მღეროდა. ჰყავდა თავისი მკითხველი, უმეტესად გოგონები, რომლებსაც თავს აწონებდა და საოცარი ინტონაციით უკითხავდა ლექსებს.

**კახელი** – ლერი ბეგიაშვილი, ოც წელს მიტანებული, ლექსის სიყვარული ვერ გაუნელა ვერც ინსტიტუტის მშიერმა საერთო საცხოვრებელმა და ვერც უკუღმართმა დრომ. ისე კითხულობს სტროფებს, გეგონება ლოცულობსო. სახელი გაუთქვა ლექსმა, რომელშიც ხმამაღლა ეკითხებოდა საყვარელ გოგონას, მკერდში ისევ მოპარული ვაშლები ხომ არ გიწყიაო.

**მესხი** – ვახტანგ მელიქიძე, მუდამ დაფიქრებული, ამ დროს გვერდით რომ გაუარო, ზედაც არ შემოგხედავს. პირისახე მხოლოდ მაშინ აენთება, როცა ლექსის რითმებს ჩამომარცვლით მიირთმევს.

**იმერელი** – ზაურ ნაქაძე, 22 წლის. საოცრად უყვარს ტყემლის ყვავილობა და ოცნებობს ტყემლის ყვავილისფერ პატარძალზე. ერთი წლით ადრე ოთარ ჩხეიძემ ახლადგამოცემული „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან" უსახსოვრა წარწერით: „ზაურ ნაქაძეს. შენიც ბევრი წიგნი გვეხილოს. ოთარ ჩხეიძე, 1959 წლის I/VII."

ოცნებობს მწერლის ცხოვრებაზე დაწეროს მოთხრობების კრებული „ყელქცეულის ეტიუდებიდან". იმედი აქვს არ შერცხვება, მაინც უჭირს, მაინც ვერ მიუგნია გორგალიდან ამოსახვევი ძაფისთვის.

ეჰეი, ნახევარი საუკუნე გაპარულა ტყემლის იმ ყვავილობიდან, ორმოცდაათი წელიწადი ჩამომარცვლულა ისე, თითქოს ვილაცამ ჩინურის დამკრახული მტევნიდან ორმოცდაათი მარცვალი ჩამოკუმპლა და სიამოვნებით მიირთვა. ღმერთმა შეარგოს და ღმერთმა დალოცოს, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ორმოცდაათი ტყემლის ყვავილობის გახსენება შემიძლია.

უცნაურია ტყემალი, უცებ ავარდება, თეთრად შეიღებება და დაგავიწყებს ყველა ცოდვას, რომელიც გაზაფხულამდე ჩაგიდენია. ახლა ხშირად მეკითხებიან, რას აკეთებდით იმ დროს, როცა ეკლესიაში შესვლა, ლოცვა და ალსარების ჩაბარების უფლება წართმეული გქონდათო. ის ტყემალი ლოცვა იყო, ყველა საიდუმლოს გაუმხელდი, ვიდრე თოვლისფერ ფურცლებს დააყრევინებდა აშარი ქარი, ან დასავლეთიდან ამომტყვრალი ზღვის ნიავი.

როგორც გინდა გამიგეთ, არც ის მეწყინება წარმართი რომ დამიძახოთ და სიამოვნებისგან ათქართქარდეთ. ის ტყემლის ყვავილობა ღმერთიც იყო და ცოდვებსაც გაპატიებდა. ან რა ცოდვა უნდა გვეტარებინა ოცი წლის ჭაბუკებს. ცოდვები მერე მოჯარდა, როცა იერარქიის კიბე და მის ირგვლივ ჩაყუნცული ადამიანი-მგლები გამოჩნდნენ.

ზოგმა არაქართველმა და ავის მოსურნემ დღემდე ვერ მაპატია და ჩამოსულს მეძახის. სიმართლეა, იმერეთიდან ქართლში ჩამოვედი და მხოლოდ ერთი მინიატურა ჩამოვიტანე გორში. „როცა ტყემლები აყვავდებიან" სულ რამდენიმე წინადადებისგან შედგებოდა. რაღა თქმა უნდა, ტყემლებს ვუმხელდი სიყვარულს და ვუკმევდი გუნდრუკს.

გორის პედინსტიტუტში ახალგაზრდა მწერალთა კრებული „მერანი" ისტამბებოდა, ოთარ ჩხეიძე გახლდათ მისი სულისჩამდგმელი და ავან-ჩავანი. ამ მწერალმა გაუხსნა გზაკვალი იმ პირველ მინიატურებს. ერთი ხელისგულისოდენა ნაწარმოებსაც შეძლებია ადამიანთა გულის კარის გახსნა...

ეს ამბავი გაზაფხულით დავიწყე და მინიატურამდე მოვედი, სინამდვილეში ტყემლის ყვავილობაა ჩემი თემა და ვერ მივაყურისძირებ, ვერ ავუქცევ მხარს.


მხატვარი ალექსანდრე სლოვინსი

ქართლი კვირტებადაა გაჩურჩხლული, ხანდახან მეჩვენება, რომ მერცხლებივით ჩამომსხდარან ერთიმეორის გვერდით და სადაცაა აიშლებიან, იმ შავ ფრთებს აიკეცავენ და ჟღურტულით გაანათებენ ცარგვალს.

ამ დროს აღარც ინსტიტუტი არსებობს და აღარც ლექციები, გამობენტერებული ზიხარ მაგიდის კუთხეში და ოთახში შემოფრენილ საოცრად თეთრ ანგელოზს ესაუბრები. გამოგიტყდებით, ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ მინატრია მეფის სავარძელი, რომ ზაფხულის არდადეგები გაზაფხულით შემეცვალა.

ხომ შემოვივლიდი საქართველოს!

მუდამ ყურადღებით ვუსმენდი ოთარ ჩხეიძის ლექციას. იშვიათად შემხვედრია ასეთი მოსაუბრე, ზოგჯერ შეისვენებდა, სათვალეს სალოკი თითით მაღლა ასწევდა, ცხვირის კინკრიხოს გადააცილებდა და უცნაურ შეკითხვასაც დავსვამდი. ბევრი რამ ახსოვდა, მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა ცხოვრება ხომ ჯოჯოხეთს აგონებდა. დაიწყებდა და მერე ვილას ახსოვდა ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია!

გაზაფხულის იმ დღესაც მეგონა, რომ მზე შემოძვრა ოთახში, სიცხის ალმური დაატრიალა და ვგრძნობდი, როგორ ვდნებოდი. სულ ცოტა და აღარაფერი დარჩებოდა მოუსვენარი სტუდენტისგან. მაინც მოვიკრიფე ძალა, თვალებში შევხედე შემოქმედს და შევეკითხე, ამდენი საინტერესო და განუმეორებელი გმირი როგორ აღმოაჩინე ქართლის ერთ პატარა სოფელში-მეთქი.

არ უყვარდა საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ დალლარა რომ ვუხსენე, ისეთი რამე-რუმე გაიხსენა, რომელიც მოთხრობაში არ იყო ნახსენები. ძლივს შემოირიგა თურმე გაბრაზებული თანასოფლელი, თავი რატომ მომჭერი, მთელ ქვეყანაზე გამომაჭენეო.

მაინც არ მოვისვენე, კარგად რომ დააკვირდეთ, საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდებით ოგრიას, კოწიწას, ილიკოს, მაგდას, ლიზირას, მაგრამ შენი თვალით დანახული უფრო სხვაა, რაღაც უჩვეულო ელფერი დაჰკრავს. მხატვარი რომ ვყოფილიყავი, ყველას გავაცოცხლებდი, ყველას ჩავუდგამდი სულს. მერე დავატანე, დაგვპატიჟე ყელქცეულში, თან მოგეხმარებით, თან იმ კეთილ თანასოფლელებსაც გავიცნობთ-მეთქი. მიხვდა, რომ დალლარა და ოგრია ისე არ გვაინტერესებდა, როგორც მწერლის სამყარო.

დაგვყაბულდა.

მერე მოვძებნე ქართლელი კაკო ბიძინაშვილი, მესხი ვახტანგ მელიქიძე, კახელი ლერი ბეგიაშვილი და გორელი ომარ ჩუბინიძე, რომელიც შეყვარებული იყო მწერალზე, ჩრდილივით თან დასდევდა, საინსტიტუტო საღამოებზე იწვევდა. ყველას და ყველაფერს ვერ განვდებოდა, მაგრამ გულს მაინც არ ატკენდა ომარს, ჩრდილივით შეიპარებოდა ფიზიკის დიდ აუდიტორიაში და მალე თვალსდახელსშუა გაქრებოდა. აუცილებლად მოიკითხავდნენ, მაგრამ სადღა იყო ოთარ ჩხეიძე, გულს მაინც არ გაიტეხდნენ, მთავრობაში გამოიძახეს და ამიტომ მიგვატოვაო. მთავრობაში კი არასოდეს არავის დაუნახავს.

ჰოდა, ვსხედვართ თბილისი-ცხინვალის მატარებელში. მაშინ ცხინვალი ჩვენი იყო, ჩვენ შემოგვცქეროდნენ, ტაშს გვიკრავდნენ და დროს ელოდნენ თურმე. არც არავის დაესიზმრებოდა კოკოითი და ძმანი მისნი.

მწერალმა რატომღაც ბოლო ვაგონი ამოირჩია და იქ მიგვიჩინა ბინა. იქ კი ვაგონი სცენად აქცია გორელმა, კონდუქტორის სკამზე წამოსკუპდა და თამაშობს დალლარას როლს, იცინის, იცინის და კვდება სიცილით.

შინდისის სადგურზე რომ ჩამოვედით, მივხვდით რატომ ამოირჩია მწერალმა ბოლო ვაგონი, იქვე იყო ყელქცეულის მისასვლელი და გზის მცირე მონაკვეთი თითქმის გავლილი გვქონდა.

სიბნელეში ჩაიკარგა არახრახებული მატარებელი, ცარგვალს შეყუდებული ალვისხეები მიგვაცილებდა სოფლისკენ მიმავალ ახარხარებულ სტუდენტებს, რომლებმაც თითქმის გზის მეოთხედი გაიარეს და სწორედ ამ დროს ატყდა წინ მიმავალი მესხი, ანეკდოტი უნდა მო-

გიყვეთო და ისე მივადექით ღამის სიჩუმეში გარინდებულ სოფელს, ისე ავაყავყავეთ ძაღლები და ისე შევაბიჯეთ ჩხეიძეების ჭიშკარში, რომ ნახევარზე მეტი მოსაყოლი დარჩა.

სიბნელეში ჩაძირულიყო მამაპაპური სახლი, ვეება ხე გადაფარებოდა ეზოს, გეგონებოდა ჩაძირული გემის გარშემო ჯერ წყალი გაჰქრა, მერე რის ვაივაგლახით ამოიწვერა ხე, გაიზარდა, გაივსო, რომ ჩრდილით დაესაჩუქრებინა გარშემომყოფნი. დილით გავარკვიეთ, რომ მუხა ფარავდა ცარგვალს, მერე როგორ უყვარდა მწერალს ამ ხის ქვეშ პურობა, მისი სიტყვა ესმოდა ორლობეს და მეზობლებსაც.

გავაღეთ ფანჯრები, ღია დავტოვეთ კარი, გზა დავულოცეთ ლიხის მთიდან დაძრულ ნიავს და ვივახშმეთ.

რა დაგვაძინებდა, გაზაფხულის იმ ღამეს მარტო მესხი ეყოფოდა და არც გაჩუმებულა, განთიადისას დაამთავრა ანეკდოტი. ალიონზე ასე მეგონა, ჩემმა იმერულმა ხის სახლმა ჩამიკრა გულში და ჩამთვლიმა.

ვინ დაგაცადა ტკბილი ძილი, მძინარეებს დაგვადგა თავზე გორელი, წამოდექით, გაიღვიძეთ, უკვე გავიცანი დალლარა, დილაადრიან ჭინჭრის შეჭამადი მოიტანა. უჰ, რა გემრიელია. ახლა თოხ-ბარი რომ მაპოვნინა, ამ ეზოს გადავაშავებ... თოხი მაინც სჭეროდა, ან ბარი გაელესა გორის ციხესთან.

ასე თუ ისე, გავუძელით იმ დღეს, თოხნას და ბარვას ვინ მასწავლიდა, მაგრამ მზარეულობა მომისაჯეს. სამზად სახლში თავი მოხსნეს ლობიოთი სავსე ტომარას, სახაშლამე-სამწვადე თვალს მოაფარეს, ყურშა არ შემოიპაროს და ხახამშრალები არ დაგვტოვოსო. მერე ღიმილით ამბობდა მწერალი: ზაურმა იმდენი ლობიო მოხარშა, რომ მეორე დღეს მთელი ყელქცეული დავაპურეო.

სიცილ-ხარხარში გაირბინა იმ დღემ, მწერალი ხან მესხს ასწავლიდა ვაშლის გასხვლას, ხან კახელს ავარჯიშებდა თოხის დარტყმაში, გორელმა ხომ თოხ-ბარის ტარები დაამტვრია და საფიქრალი გაუხადა მასპინძელს.

მინა გადაშავებულია, ხეები გასხლული, ნასხლავი დაკონილი, მერე როგორ კონავდა მწერალი გაფარჩხულ ფიჩხს, ერთ მუჭაში ჩაეტეოდა კონა.

ლობიოც მოიხარშა და მწვადიც აშიშხინდა.

გასასინჯად კოვზით მივაწოდე კერძი, გემო მოეწონა, ამის შემდეგ შენს მეტს არავის შემოვუშვებ ამ სამზარეულოშიო, ღიმილით მითხრა. გაამაყებულმა შევთავაზე მასპინძელს, კიდევ წამოვალთ, კიდევ მოგეხმარებით, აქ ყოფნას რა სჯობია-მეთქი. მაგრამ იუარა – თოხის და ბარის გარეშე მესტუმრეთ, ასე უფრო მოუხდება ყელქცეულსო.

ვახშამზე მეზობლებიც დაგვეწვივნენ, აი თურმე როგორ ჰყვარებია თანასოფლელები მწერალს, თვითონვე უვსებდა სასმისებს, თვითონვე კარნახობდა სადღეგრძელოებს და განუწყვეტლივ ხუმრობდა. მეგონა გაგულისდებოდნენ ყელქცეულელები, თქვენც არ მომიკვდეთ, აჰყვნენ მეზობელს, ხან დალლარა ამოიღეს მიზანში, ხან ღიბირას მოულიტინეს და ოთარიც გაკენწლეს, ამოდენა ტირიფები დარგო და ბარის სატარეებსაც ვერ არჩევსო. ითმინა, ითმინა ქართლელმა, ასე როგორ გეკადრებათ, ამის ტოლი არ დადის ქვეყანაზე, თქვენ კი ცდილობთ მდგომარეობიდან გამოიყვანოთ.

ძლივს დავაშოშმინეთ კაკო, ამასობაში ბინდში ჩაიძირა მუხის ჩრდილი და ჭრაქმა გაანათა იქაურობა. წამოსცდა მეზობელს, რომ ის ღამეც ყელქცეულში უნდა გაგვეტარებინა, თურმე ყველა მატარებელმა აიარ-ჩაიარა.

მწერალს კი სადღეგრძელოების მოსაგონებლად აბგაში ხელის ჩაყოფა არ ჭირდებოდა, თანაც გვამშვიდებდა, დილით ადრე გაგაღვიძებთ, რომ მატარებელმა არ გაგასწროთო. გემოწმინდა ღვინომ აგვათამამა და სიმღერის ხასიათზე დაგვაყენა. არ მახსოვს, რომ მესხს ღვინო დასათრობად დაელიოს, ახლა თავი გაიმეტა და მესამე ხმაც შემოგვაშველა.

ვერ მოისვენა ომარმა, ხეტიალის ხასიათზე დადგა, ჰკითხა სოფლელებს, გორამდე რამდენი კილომეტრიაო. უპასუხეს, ასე ოცდაათამდე იქნებაო. ოცდაათი კილომეტრის გავლას რა უნდაო და წამოყელყელავდა. ვეება თასი შეავსებინა და თამადის დღეგრძელობა გადაწყვიტა.

იუარა ოთარმა, წამოდგა და ტყემლის ყვავილობის ჟამი დალოცა, ქულა-ქულა ღრუბლებს შეადარა თეთრი ყვავილები, მერე საბან-გობანიც გატენა იმ სითეთრით და მიგვაძინა.

არ დავუჯერეთ ჭკვიანი კაცის დარიგებას და „გოგოვ, გოგოვ, შავთვალას" სიმღერით მივადექით შინდისის სადგურს.

გავჩუმდით და შორიახლოს დავდექით, ბაქანზე არავინ ჩანდა. ვერ მოისვენა ომარმა, უმალ შეადგინა სადგურის აღების გეგმა. პირველად თვითონ შეიჭრებოდა შენობაში, მერე ქართლელი მიჰყვებოდა სიმღერით „ქართველო, ხელი ხმალს იკარ" და გორელები მეორედ ავიღებდით ბერლინს. რაიხსტაგზე დროშის აღმართვა იმერელს დაევალა...

საბედნიეროდ, ოთახში მხოლოდ მთვლემარე მორიგე იჯდა, წითელი ქუდიც კი არ ეხურა, მერე კარადის თავზე ვიპოვეთ და გამარჯვების ნიშნად დავახურეთ თავზე გორელს. შეშინებულმა მორიგემ დედა დაიფიცა, დილამდე სატვირთო მატარებელიც არ ჩაივლის გორისკენო. ტელეფონმა გაგვიჩინა საქმე, დავრეკეთ სადგურებში და გავაგებინეთ ყველას, რომ შინდისი იერიშით ავიღეთ, თუ თავი აქვთ, მოვიდნენ და წაგვიყვანონ მილიციაში, პასუხი გვაგებინონ დანაშაულზე-თქო. წარამურა ბოდიალზე სიცილით იხოცებოდნენ რკინიგზელები.

რეკვა და მუქარა ორი საათი მაინც გაგრძელდა... ნეტავ იმ ღამით ცხინვალი აგვეღო!

გადაწყდა, ფეხით ჩავსულიყავით გორში, დავადექით ლიანდაგებს, თან ვითვლით ძელებს, თან მხედრულ სიმღერას ვაგუგუნებთ.

ვარიანამდე ჩაგვყვა ხმა, მერე ვხაოდით და მივაბიჯებდით ძელებზე.

თედოწმინდასთან დაგვათენდა, მზე კი არ ამოვიდა, აყვავებული ტყემალი ჩამოეკიდა ცარგვალს, ერთმანეთს ჩავჭიდეთ ხელები და ტყემალს შემოვერტყით გარს, მერე ველარ მოვითმინეთ და თეთრი სამოსი შემოვახიეთ ხეს.

სამაგიეროდ ტყემლის ვეება თაიგულით შევედით გორის რკინიგზის სადგურში.

ტყემლის ყვავილისფერი კი არა, შავი დღე გაგვითენა რკინიგზის მილიციამ...

*3 მაისი. 2008 წელი, ფხვენისი.*



ამ ლექსებს თავისი მკითხველი ჰყავს. ეს უდავოა, მაგრამ საკითხავია, რას ნიშნავს „თავისი მკითხველი“, რას მიგვანიშნებს – შეღავათს, კომპრომისს თუ განსაკუთრებულ ღირსებას?

მიუხედავად იმისა, რომ ლექსებზე ასე არ ლაპარაკობენ, მაინც უნდა ითქვას, რომ არის აქ ისეთი რამ, რასაც ყველა ვერ გაიგებს, ხოლო ის, რაც ერთი შეხედვით გაუგებარია, ზოგისთვის ძალზე გასაგები და მახლობელი იქნება; გასაგები იქნება უჩვეულო პოეტური სინტაქსი, ზღვრამდე მისული ექსპრესია, რთული პოეტური სახეები და თვით პოეტის სურვილი, იყოს საკუთარი თავის, საკუთარი მრწამსისა და საკუთარი მკითხველის ერთგული.

დავით-დეფი გოგიბედაშვილმა კარგად იცის, რას წერს და ვისთვის წერს. ის წერს თავისას, თავისი მკითხველისთვის, რომელიც გვერდითაც ეგულება და შორსაც, სხვა სივრცესა და სხვა დროში, ანუ როგორც თვითონ წერს, „სიზმრების გადაღმა“.

**დავით-დეფი გოგიბედაშვილი**

## მარტის მისტერია

ჯადოდ მომთვარული მარტის მგლის თარეში,
მარტოობს მარტი და გზადაგზა დამტირის,
როგორც გილგამეში რუხი მგლის ღამეში
შუამდინარეთის ბაღების ნაპირით.

ძველი სახელდებით ბაბილონელი ვარ
სიცოცხლის აღთქმა კი შენს მტევნებს დავუდე,
ამოექართულა ალილოს ბნელითგან
ზღვა – მესაიდუმლე, მზე – სახლი, მთა – ბუდე.

ყველგან სადაც მივალ შენი სახე მოჩანს,
ყველგან რომ გეძებდი, ყველგანვე მოგნახე,
ჭირი დამთავრდა და ლხინიც მალე მორჩა
ორთავ სუფრაზე მყავს მთვარე მოინახე.

მასაც მარტოობით სურს მარტს მიემგვანოს
თითქოს მარტის გარდა სხვა დროს არ კვდებიან,
ძოწის მთვარეში რომ ანგელოზი გვარობს
ხელ-ფეხ შეკრული და თმააჭრილ ფრთებიან,

მარტი მაინც სხვაა, დარდით მგლის ხმა თქეშის,
თითქოს სიყვარულის კვდომისას დამტირის,
როგორც გილგამეში რუხი მგლის ღამეში
შუამდინარეთის ბაღების ნაპირით.

## ვინც

ნატვრა შევაბი იფნის რტოს,
ღორს მარგალიტი რად უგდეს,
ვისაც ფრთები აქვს იფრინოს
ვისაც სიბრძნე აქვს დადუმდეს.

ჩამოგავს ნისლიც მთის ღვინოს
მინდვრის სუფრაზეც უხვად დევს,
ვისაც ყური აქვს ისმინოს
ვისაც უყვარდა, უყვარდეს.

ნავიდეს, ვინც წამსვლელია
თუ მადლი დააქვს მადლობდეს,
სიზმრად უფრინოს ლელიანს
ქალაქებს, სოფლებს, დაბლობებს,

ტყეებს, ჭალებს და ბილიკებს,
ჭაობებს, ბაღებს, საძოვრებს,
მწარეც მთაფლავს და ტკბილიც მკბენს
ყირაზე თავს მომაწონებს,

ოღონდ შენამდე აღწევდნენ
ჩემი სიტყვანი, სუნთქვანი,
თითქოსდა ჟამთაალმწერლებს
მე საიდუმლოდ ვუთხარი,

ფსკერზე კალმახის ფხა რომ დევს
სულის და ხორცის ნირს წყვილობს,
ვინც მოითმინა ხარობდეს
ვინც გაანათა იბრწყინოს.

* * *

დამესიზმრები ოდესმე ალბათ
მომენატრები, ზეგარდმო ციდან
მზეთა გვირგვინი ვამსგავსე ანბანს,
ნუთუ მთელი დღე შენს გამო წვიმდა.

ჟამიც შენს გამო შეყოვნდა მგონი,
მგონი შენს გამო ზღვები ადიდდნენ,
ისევ მე და შენ ერთნი, ან ორნი
ან უთვალავნი დავრჩებით ვიდრე

სანაპიროზე ნავებთან ვზივარ,
ტალღებზე ოქრო სად ირიჟრაჟებს,
ნუთუ სიზმრების გადაღმა მზირალს
მომეჩვენები, ფრთით აინაზებ,

იქ, იმ ქვეყანას, იქ იმ მხარეში
შენც გესიზმრები ოდესმე ალბათ,
ციურ მინდვრებზე, ციურ ხარებს შლის
მზეთა გვირგვინი, ემგვანა ანბანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურსა ან თაფლს და ღვინოს ან რძეს,
სამოთხედ გინვდი და გეტყვი –სხვა ვინ,
მიცანი? მე ვარ, შენი ვარ ძე
და იტყვი – გიცანი, მამა ვარ, ამინ.

*
* *

მაინტერესებს, როგორ მიყურებ,
მაინტერესებს ზოგჯერ რას ფიქრობ,
მაინტერესებს თუ ხელისგულებს
ერთად დამადებ მეტს რას მოვითხოვ,

მე სურნელებას და იმ მტვერს ვეძებ
ჩემზე რომ გრჩება ყვავილტუჩების,
იქ როგორი ხარ მაინტერესებს,
როცა მივდივარ და მარტო რჩები,

როცა სიჩუმე წამით თავს გითმობს
და თავის თმობა თითქოს წაგავს
შეშლილის სურვილს სუნთქვა გარითმოს,
როგორც იმ სუნთქვებს სულნი ცად აჰყავთ,

როგორც კედლები ხატავენ ბზარებს
და როგორც ღვინო თასებს აურევს
და პეპლებივით ერთ დღეში თხზავენ
საუკუნენი სასიყვარულეთს,

მე იმ სიჩუმეს და იმ მტვერს ვეძებ,
იმ უხმო თრთოლვას ყვავილტუჩების,
იქ როგორი ხარ მაინტერესებს,
როცა მივდივარ და მარტო რჩები.

*
* *

ხის მაგიდაზე ფორთოხლებს ვხედავ
ესპანეთში ვარ გადასიცხული
და ხარის რქებზე ყორნები სხედან
წითელ ოხშივარს გავდა ცის ღრმული.

ვიღაცამ ფეხთან დანა დამიგდო
დანამ ცხელ პირზე დღე აირეკლა,
წამი გაშლეგდა, როგორ გარბის დრო,
ქალს სამკერდესთან ლილი არ ეკრა.

სისხლი მდუღარე, მზიანი სისხლი
ყელში ანვება ყველა აქ მომსვლელს,
ქამართან ერთად რევოლვერს იხსნის
მგზავრი, რომელიც ხოტბით შემოსეს.

გზა აცამტვერდა ქართა თარეშით
გზა შემახვედრებს ორ კაცს
და გაწვიმდება მთელ ესპანეთში
რადგან დახვრეტენ ლორკას.

*
* *

განთიადები ერთმანეთს მიჰყვნენ
და ღამეებმაც პირი შეიკრეს,
თუკი მჯერა და საკვირველს ვიქმენ
ცხენის ფლოქვებით მიწა შეირყეს.

თუ მესამე თვეს იანვრის შემდეგ
მკვდრეთით აღდგება ჩემი აპრილი,
თუ ბედისწერამ დამინდო დღემდე
თვალდახუჭული თოკზე გავივლი,

ამოვისუნთქავ და გავილაღებ
დრო არ გვრჩებაო ვინ თქვა,
სანამ ლექსებით კვლავ გავილახე
მოგისმენ, გეტყვი, გკითხავ,

როცა სინათლეს გადავინელებ
სულს შემოდგომით ვივსებ
და რომ გაჩვენო ჩემი სიბნელე
თუ გეყვარები ისევ?

თუ მაინც მჯერა სიზმრების დღემდე
მჯერა სიცოცხლის ზეცაგავლილი,
მე მესამე თვეს იანვრის შემდეგ
მკვდრეთით აღვდგები, როგორც აპრილი.

## ბაბუაწვერები

მთასთან შეხვედრას მთავე მოისურვებს
ტყუპებს თუ სახელიც ერთნაირ ერქვათ,
ბაბუაწვერებს – მოვერცხლილ სურებს
სუნთქვები მოაქვთ შენგან ან შენთან.

ძილი შეეშიშვლათ ნაღრუბლარ მინდვრებს
ქარსა და წვიმებს, თოვლს ასომძივად,
ღობეებს, ჩრდილებს, ალუბალმიმკრებთ
ღამის კალთაზე ჩამოეძინათ.

სძინავს შენს კოცნას, შენს ალერსს, ნატვრას,
ხილვა დაიწყო და აღარ დამთავრდება,
ქვეყნიერებაც შენს ძილში გაქრა
ცამაც ჩამოთვლიმა, ღამენამთვარებმა.

სიზმარი გიკრთის ტუჩებდათბილული
ღიმილი გიცრეცს ღამის ლიაფერთ
და სიჩუმეშიც ვარსკვლავთთაიგულის
ბაბუაწვერებს სუნთქვა მიაფრენთ.

*
* *

მგონი აქვეა სადღაც გაზაფხული
მგონი აქვეა დაფლული განძი,
ღრუბელმძივები დღელამ ქარსაბმული
ამინანქრებენ შორეთის მანძილს.

მზე სათითაოდ, მზე ყოველ მათგანს
სახელს აქარგავს, ნეტავ რა ჰქვიათ,
სიცილი შენი, ხმაც შენი სადღაც
გაზაფხულივით მგონი აქვეა.

## თმებს როცა იშლი

ვინც განიზრახა შენი მოხიბლვა
ყველა თვითონვე ჩავარდა ხიბლში,
ფეხქვეშ დავიგე მატყლის ნოხი კვლავ
თვალთმეხილება, თმებს როცა იშლი.

თავს მოგაწონებ, განა გიმღერებ,
აღგაფრთოვანებ ჩემი სიჩუმით,
თმაზე გადავფსკვნი ისევ თმის ღერებს
და იმ თმებისვე ყვავილს ვიჩუქნი,

საძილე ოთახს შეგიბალნარებ
ჩამოგიშიშვლებ დაწინწკლულ ღამეს,
იმ თმის ყვავილმა შენით ბარდნა დღეს,
ნაწნავ-კვირტებმაც ცრემლები ღვარეს,

ასეა მუდამ, როცა თმებს იშლი
მთვარეს ხელს აჰკრავ, როგორც დაირას
ვინც ჩავარდნილა შენდამი ხიბლში
არ მოხიბლულა სხვა ჩემნაირად.

## მარადის ალი ვარძიის ქარში

ირგვლივ დაგინთე მარადის ალი
მარადის ალი ყველა ხანძართა,
ხმა მოგაწვდინე, ხმა როგორც მთვრალი
ამღერებული სიზმრით მძარცვავდა.

სად დამენახე, ახლოს ან გაღმა?
ადრე გამოსულს, გვიან მევლო, სად?
ყვავილივით ხარ, მზით რომ არ გახმა
ფრთები ახსნა და იანგელოზა.

ათაიგულა ირგვლივ ქვეყანა,
წიგნი – თვალთაი მაჩვენა თითქოს,
სარდიონები ღრუბლებს ეყარათ
იქ წარწერები წაკითხვას ითხოვს.

იქ სულ კვირაა, სულ აღდგომაა
არცა მთვარეა გარეთ და მზე შინ,
იქ ის ცეცხლია სიზმრად რომ ააქვთ
მოგვებს და მეფეთ ვარძიის კლდეში.

სამთა სამგზავრო – ქვაბული მრგვალი
სულ მეძახდა და სულით მძარცვავდა,
გაღმა რომ მიხმობს მარადის ალით
ვარძიის ქარში კრძალვა ხანძართა.

* * *

გზადაგზა დამყვება ხსოვნა სურნელების
აქვე ყოფილა თურმე საიქიო,
მინდვრის ყვავილები, თრობის მსურველები
ერთი ნახვით მინდა შენთვის ავირჩიო.

დამყვება ფიქრიც თანდისთან – თანდის
ყვავილის სურნელს აქრობს თანახმად,
რა საწყენია, დროც ჩქარა გადის
რა საწყენია, აქ რომ არა ხარ.

* * *

ამომისუნთქე, მე შენი ხმა ვარ
და შეიძლება არცა ვარ იგი
და შეიძლება სიყვარულს ვმალავ,
სიყვარულს ვმალავ სიტყვათა რიგით,

ჩემი დუმილიც სამალავია,
თითქოს ფრინველმა ცა გაიყოლა,
რა დღეებია...რა მრავალია...
ღამეც იყო და არა იყო რა,

ან შეიძლება მეც არ ვიყავი
მე მოვეჩვენე იქნებ ვიღაცას,
გამდნარი ოქრო ცეცხლივით ჰყვავის
იქნებ დამშანთოს და ზედ მიმაწვას,

ზედ ნიშნულებზე სიტყვათა რიგის
ამომისუნთქე, მე შენი ხმა ვარ
და შეიძლება არცა ვარ იგი
თუკი სიყვარულს აღარსად ვმალავ.

* * *

სამხრეთის მტვერი, ოქროს მონეტა
შიშველი ღამე, ფირუზის ძეწკვი,
ცხელი სიჩუმე და რომაელთა
რუხი ძუ მგელი სიზმარში მეტყვის,

ორი ტყუპი ძმა რომ გამოზარდა
და რომ რომია წარღვნა ქალაქი,
სად შავგვრემანი ცეცხლი მოჩანს და
ლათინური მზეც თავის ქალას მხდის,

სად ავხორცობით ტანს დამილოშნის
მიწიდან ალმგვის, ქარშიაც ამკრეფს,
შვიდი მთის შორის მარმარილოში
დამალექსებს და დამაქანდაკებს,

სამხრეთის მტვერს და ოქროს მონეტას
შიშველ ღამეებს ფირუზის ძეწკვით,
დიდ საიდუმლოს მე რომაელთა
რუხი ძუ მგელი სიზმარში მეტყვის.



უჩა ზაქაშვილი

## მე და შენ გვექლვნება, ბებერო

ლიანდაგზე მოვბარბაცებდით,
ჩვენი ტყეებიდან
ჩვენ თბილ სახლში ვბრუნდებოდით,
წელში მოხრილ ფშატის ხეებთან
ბებიის მოსაგონარს ვიძახდით,
იქედან კარგად ჩანდა მისი საფლავი,
სანამ ის კაკლები გაიზრდებოდნენ...
იქ ყოველთვის ძვლებამდე ატანდა ყინვა
და ჩვენ ძვლების ადგილზე ყოველთვის გული გვქონდა
ასე ნელნელა ვიყინებოდით,
არაყს მხოლოდ თოვლის სუნს ვაყოლებდით...
ზამთარს ვემგვანებოდით...
მაინც დამასწარი გათოვება
უჩემოდ ნახვედი ყინულის ტბებისკენ,
ვარდისფერი დაისების ქვეყანაში გადაიხვეწე...

მარტოობით დაძონძილი შენს ლოგინში ვწევარ,
დუმილს ვეპოტინები
სევდას ვეპოტინები:
გაზაფხულზე, როცა დასალევზე თოვლის სუნის
ნაცვლად,
სველი მიწის სურნელის დასაყოლებლად ტყეებში წავალ,
აღარ მოვაგროვებ ყოჩივარდებს...

შენი ცოლის საფლავზე მარტო ვერ ავალ...

## ბარბაცი

ნაპრალების ველზე თოკებს ვიმაგრებთ
მზეს ჯერაც სძინავს მწვერვალები საბნად ახურავს
ვთლი საფეხურებს წარსულიდან მომავლისაკენ
და ფერდობებზე ვბერტყავ სულის სიცარიელეს.
ვბარბაცებ, ქარი მაცლის ილუზიურ სიმყარეს ფეხქვეშ,
გზებს რომელსაც
თავად ქმნის და მარხავს, თხზავს და აქრობს.
ამ გზებზე ვბარბაცებთ, ამ გზებს
მივიკვლევთ უსუსური ადამიანები
უსუსური თოკებით გადაბმულნი
საკუთარი სიკვდილის მეგობრები
საკუთარი სიკვდილის ძმები.

ვბარბაცებ, ქვათაცვენის მოლოდინში, ყინულისფერ
მინას წერაყინით ვეყუდები
ვითვლი საფეხურებს წარსულიდან მომავლისაკენ
აქ ყველაფერი ნამდვილია
ყველაფერი ცოცხალია
ილუზიაც ხელშესახებია
სიზმარსა და ცხადს შორისაც ამღვრეულა საზღვარი...
აქ აღარასდროს დაგკარგავ,
აქ ველარასდროს გაგიშვებ ხელს,
ჩემი თითები მოყინულია შენს თითებზე...
ისევე როგორც ჩვენ ვართ მიყინული დედამიწაზე,
ისევე როგორც ყველაფერი ირგვლივ ერთმანეთზეა
გადაჯაჭვული...

გაილვიძე, ჯონ, მწვერვალზე ვართ...
ა, მოვედით?

## როცა გიყვები

როცა გიყვები ჩემი ვნებიანი სიყვარულის შესახებ –
ყინულებში ჩაზრდილი ლოდების სამეფოებზე –
არასდროს ვფიქრობ შენგან წასვლაზე,
არასდროს მახსოვს ჩემი გაქცევის თეორია
და არასდროს ვნანობ შეუხორცებელი იარების
გამიზეზებას...
როცა გიყვები სამზეოსთან აბიბინებულ ცაზე მიხატულ
დედამიწაზე
და მასზე ლაქებად დამჩნეულ ადამიანებზე,
მეთითონ მჯერა
ელსადენებში გახლართული ქალაქების
გარდაუვალი დაღუპვის,
ბრეზენტის ნაჩვრეტებში დატყვევებული მზის
გადარჩენის და
მაზუთისფერი ილუზიების დასამარების,
არყის ბოთლების არაყშივე დახრჩობის.
როცა გიყვები დიდებულ მწვერვალებზე
უბრალო ადამიანების მსვლელობის მარხვასთან
მსგავსებაზე
მე თითონ მჯერა
მთაზე ასვლით ღმერთთან მიახლოების...
და
ჩვენი ინ-იანის უტყუარი შეჯვარების დასაბუთებას ასე
ვიწყებ:
როცა გიყვები ჩემი ვნებიანი სიყვარულის შესახებ
ყინულებში ჩაზრდილი ლოდების სამეფოებზე
არასდროს ვფიქრობ შენგან წასვლაზე
არასდროს მახსოვს ჩემი გაქცევის თეორია
და არასდროს ვნანობ შეუხორცებელი იარების
გამიზეზებას...

## სასიკვდილო დაშვება

ჩამოირეცხე შიშის აჩრდილები,
სპირტქურაზე ჩაიდანი უკვე შემოვდგი,

ეს ჩაი ყველაზე გემრიელი იქნება ჩვენს ცხოვრებაში...
ამოავსე სევდის ნაპრალები
დღეს ჩვენ ვაწყობთ სასიკვდილო დაშვებას.
უფრო მსუბუქი პახმელიისთვის,
ორი ცალი ლიმონი ჩემს ჩანთაში დევს.
ამოიფხიკე მაზუთის ფორმულები ტვინიდან
ამოიფხიკე ყოველგვარი ხარახურა ჯიბეებიდან,
პლასტიკური ბარათები, პირადობის მოწმობა,
ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან აღარ გვჭირდება ჩვენ,
დღეს ჩვენ ვაწყობთ დრამას ნამდვილი გმირების
მონაწილეობით,
დღეს ჩვენ ვაწყობთ გაუგონარ ავანტიურას
დღეს ჩვენ ვაწყობთ სასიკვდილო დაშვებას
ჯანდაბიდან – ჯანდაბამდე
ჯანდაბიდან – ჯანდაბის ჯანდაბამდე!

გაიღიმე, ეს არ იქნება ბოლო ჩვენთვის,
ეს ბოლო მტვერწაყრილი სიცოცხლისთვის იქნება...

## გული

გადახრუკული მინდვრებით ვიარე,
საკმეველი რომ მეკმია გიურზებისთვის,
ჩანჩქერები გადმოვლახე,
ღამე რომ მეთია ტყეში დაკარგული მგლებისთვის.
შენ კელიის კართან მელოდი,
კვერთხით და ლოცვანით ხელში,
მინაზე მაღალი ძაბვის ანძის აფეთქების გეგმას ხაზავდი
ღიმილით,
რომელიც შენი ვერსიით ადამიანის განსხივოსნებას
უშლიდა ხელს...
პირქუში მღვიმეების წრეში ვიარე,
გზა რომ მეპოვნა
ატლანტიდის მიმართულებით.
კლდიდან კლდეზე ლიანების დაწნული ხიდებით ვიარე,
შენკენ ვიარე,
ბალახებში რომ მეკოტრიალა კალიებთან,
ფეხშიშველს რომ მერბინა ბილიკებზე,
ჩახრიალების ქვიან კალაპოტში რომ მესრიალა და ზურგი
გადამეტყავა,
ტაძრის ნანგრევებში რომ დამეძინა,
და განთიადი უფრო ახლოდან მენახა,
შენკენ ვიარე,
შენ კელიის კართან მელოდი,
წვერგაბურძგნული, მშვიდი,

მე შენთვის მხოლოდ თეთრ დოლბანდში გამოხვეული
დანაცრული მზე –
ჩემი გული მომქონდა...

## ბილიკი შენთვის

ჩემი ზურგჩანთით ატრიე სევდა,
ჩემი ცრემლით იტირე
ჩემი პაერით ისუნთქე.
ჩემი მზით გაირუჯე,
ჩემი არყით გაილეშე და ჩემი ტექსტებით უბურღე ტვინი
პირველივე შემხვედრს.
ჩემი ტალახიანი ჩექმებით ხატე
ყინულივით ცივი არხოტის მთვარე!
საღამოს მეგობრები დაპატიჟე და
ჩემი ხუთ ნაჭრიანი მეთი გაუმასპინძლდი...
დესერტად,
ჩემი ჩილიმით მოწიეთ ჩემი ლექსები
დილით ჩემი სამართებლით დაისერე ვენები,
მერე ყველაფერი თავისთავად მოხდება,

მე ოზონის ხვრელთან დაგიცდი...

## მოკალი

მოკალი ნაცრისფერი სიმშვიდე,
ტალახიანი ჩექმებით ჩაწიხლე მდინარეში არეკლილი
სილუეტები,
დაამსხვრიე საკუთარი თავის ბიუსტი,
მოკალი ეგრეთ წოდებული პროტესტი – ლოთობა!
იტირე,
იტირეე!
ილოცე,
ილოცეე!
მოკალი ნაცრისფერი სიმშვიდე,
მოკალი ნაცრისფერი სიყვარული,
მოკალი ნაცრისფერი ტყვეობა,
მოკალი სიმშვიდე,
იღრიალეე!

მოკალი არყის ბოლო ყლუპი,
და მითხარი:
რომელზე გადის მატარებელი ამ სადგურიდან!

## ტაბუ

*ეთუს*

როცა ისლისფერ განთიადზე ორსულ დილას
მუცელი მოსწყდა
და ჩვენს თვალებს ღამენათევი კასიოპეა დაეყინა
საბაზო ბანაკიდან ცნობა გავრცელდა –
ორი ადამიანის გაუჩინარების შესახებ.
და როცა მთებმა ჩამობერტყეს ბოლმა ზვავებად
უკვე აღარავის სურდა გმირობა,
ისხდნენ კოცონთან,
ვახშმად საკუთარ სიმხდალეს შეექცეოდნენ
და
სამაშველო ექსპედიციის დაწყების შეუძლებლობაში
აჯერებდნენ საკუთარ სიამაყეს.

როცა მთვარემ მოციმციმე რაკეტის ქალაქს გადაუფრინა
საინფორმაციო გამოშვებები

ჩვენს დალუპვაზე უშვებდნენ სიუჟეტებს
ზვავისგან ჩატანილ ფერდობებს
და იმ ადგილს აჩვენებდნენ სადაც ჩვენი კარავი უნდა
მდგარიყო.
ბატონი პრეზიდენტი სამაშველო ჯგუფის გაზრდის
პირობას დებდა,
ჩვენი გარდაცვლილი დედები კი უკვე იმქვეყნიურ
ხაჭაპურებს აცხობდნენ ჩვენს დასახვედრად...

როცა დიდი კლდეები ქვათაცვენით აძინებდნენ პატარა
კლდეებს,
მე გაჯერებდი,
რომ ჩვენი ინფექცია დაუზუსტებელი მხოლოდ
მედიცინისთვისაა,
რომ ეს მარშრუტი არის
ბოლო არგუმენტი
სიცოცხლის ხელახლა ჩასახვის ყველა მცდელობის
საწინააღმდეგოდ და მის სასარგებლოდაც.
რომ სიცარიელის ფორმულების ამოხსნისაგან
მხოლოდ ჩვენი გამოყვანაა შესაძლებელი,
ჩვენი, როგორც დამარხული ცივილიზაციების...
მე გაჯერებდი რომ გადავრჩით და რომ მიუხედავად
ყველაფრისა,
სინამდვილეში ისინი დარჩნენ მიტოვებულები,
ვინც ერთ კვირაში ჩვენს პანაშვიდს გადაიხდიდა...

თქვენ ჩემს ცარიელ სახლთან იდექით:
„ღმერთმა უშველოთ"
ამოსთქვამდით სულში დაგუბებული სიბეციდან
„ბოლო დროს სვამდა",
„ველარც იცნობდი",
„ის უბედური რალას მიჰყავდა" –
ოღროჩოღრო კბილებიდან სცრიდით
და ცარიელ სასახლეებს ასაფლავებდით,
მერე დიდხანს სდუმდით,
ასე ცდილობდით, ერთმანეთის დასანახად,
მწუხარების უფრო მძაფრად გამოხატვას...

და უკანასკნელ დეტალებს ძერწავდა მაგიურ
მართკუთხედში...

როცა ბრუნვისგან დაქანცულმა მზემ ამოსვლა
გადაიფიქრა
და ზუსტად იმ კლდეს მოეფარა
რომლის უკანაც მაზუთიან დედამიწას ვემალებოდით,
მტვერწაყრილ სახეს ხელისგულებზე გამდნარი თოვლით
გიზელდი,
ჩემი გაყინული მონატრების ტრავერსებზე გასეირნებდი,
ზღაპრებს გიყვებოდი ძმები გრიმებიდან,
და შენს სილურჯეს სულაც არ ვარქმევდი
გარდაცვალებას,
განა სილურჯე შეიძლება ყოფილიყო სულის დალევა,
როცა ლურჯი ცა ასეთი ბრწყინვალებით იდგა ჩვენს
თავზე,
როცა
სილურჯე სადღაც ლაღად ასკდებოდა ოკეანის
სანაპიროებს,
როცა ჩვენი გათოშილი ლურჯი ხელები
ასე ერთგულად იყვნენ ჩაჭიდებული ერთმანეთზე
და როცა ყელთან ჯერაც ასე თვალისმომჭრელად
გიციმციმებდა
ჩემი ტუჩების ნაკვალევი –
ლურჯი ლამეები...

როცა შენს თმებში ჩაბუდებისას
უჩვეულოდ ცივი ორგაზმი განიცადეს ჩემმა თითებმა,
უკუნი დადგა,
ხევებს ნისლი შეეპარათ ძილბურანივით,
და კლდეებზე
ეხებიდან გაქცეული ქარი აცეკვდა...
და როცა მთებმა კიდევ ერთხელ ჩამობერტყეს ბოლმა
ზვავებად
დაილუპა ბოლო სამაშველო ექსპედიცია...

...გალვიძებდი, შენ კი აღარ აპირებდი გამოყოლას,
თვალებზე დაყინულ კასიოპეას აღარ ახამხამებდი...

პირველი შთაბეჭდილება

# ფრაგმენტის ოსტატი

თუ შევთანხმდებით, რომ კინოხელოვნების მსგავსად პოეზიაშიც არსებობს ფრაგმენტის პოეტიკა, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უჩა ზაქაშვილი არის ფრაგმენტის ოსტატი, რომელიც ნარმატებით იყენებს ავტობიოგრაფიულ ეპიზოდებს პოეტური ტექსტის ასაგებად.

მისი მთავარი „სამუშაო" მასალა, შემოქმედების პირველელემენტი და ალბათ შთაგონების წყაროც არის ცხოვრება, ადამიანურ ურთიერთობათა პრაქტიკა, რომელიც აძლევს იმის საშუალებას, რომ ყოველდღიურობის ნატეხები ესთეტიკურ ეფექტად გადაადნოს.

ფრაგმენტი ფრაგმენტად, სურათი სურათად, და ეს ყველაფერი ეკლექტიკად იქცეოდა, რომ არა ავტორის უნარი, შეავსოს შინაარსობრივი სტრუქტურა შესაბამისი მოტივით.

რა მოტივებზეა საუბარი? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ფიქრი, ფატალური განწყობილება, მეამბოხე სულისკვეთება.

სუბიექტივიზმი და ბუნტარული მსოფლმხედველობა, რომელიც უჩა ზაქაშვილის ლექსებში უხვად არის გამოვლენილი, უთუოდ გააღიზიანებს მკითხველს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ პოეტური ეპატაჟის საბოლოო მიზანიც სწორედ ის არის, რომ გაგვაღიზიანოს და დაგვანახოს, რომ ავტორი მარტო არ იმყოფება შემოქმედებით ველში, მასთან არის გარესამყარო და ყოფიერება პოეტის ხელით წერს თავისი ნევროზის ისტორიას.

პიროვნული თავისუფლების განსაკუთრებული ხარისხი, გალაშქრება კონფორმიზმის წინააღმდეგ, მძაფრი შინაგანი პროტესტი, შიშველი გულწრფელობა და მისთანანი შეიძლებოდა „ცივი ომის" დროინდელი ამერიკული ნეოავანგარდიზმის ქართულ ექოდ მიგვეჩნია...

მაგრამ, მოდი, ამჯერად საკითხი ღიად დავტოვოთ და უბრალოდ შევთანხმდეთ, რომ ეს არის უჩა ზაქაშვილი, და ეს არის მისი ხასიათი, პოეტური ხასიათი.

**მალხაზ ივანიძე**

ოსკარ უაილდი

# ინდივიდუალიზმის აღორძინება ცხოვრებაში

ახალ ცხოვრებას ერთი უმთავრესი უპირატესობა ექნება – ის ბოლოს მოუღებს საძულველ აუცილებლობას, ვცხოვრობდეთ სხვისთვის. ეს აუცილებლობა მძიმე ტვირთად დასწოლია ყოველ ჩვენგანს. იშვიათად, რომ მას გაექცეს ადამიანი.

ეს ხელეწიფება მხოლოდ დარვინისდარ დიდ მეცნიერს, კიტსისნაირ დიდ მგოსანს, რენანის მსგავს ნატიფ მოაზროვნეს, ფლობერივით ნამდვილ სიტყვის ოსტატს. ეს მხოლოდ მათ შეეძლოთ განზე გამდგარიყვნენ და ყური არ ეგდოთ დანარჩენი კაცობრიობისათვის; დიახ, კაცობრიობისათვის, რომელსაც, პლატონის თქმისა არ იყოს, თავი შეუფარებია საერთო საცხოვრებლისათვის და რჩეულებსაც ღრიანცელით უხმობს აქეთკენ. მაგრამ რჩეულნი განზე დგანან. ასე უნდა სრულყონ ის, რაც ღვთისგან ჰბოძებიათ მათსავე საბედნიეროდ და კიდევ უფრო – ჩვენს სასიკეთოდ.

მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისია. ადამიანთა უდიდესი ნაწილი იმახინჯებს ცხოვრებას სნეული და გადაჭარბებული ალტრუიზმით. ისინი, არსებითად, იძულებულნი არიან ასე დაიმახინჯონ თავი, რადგან გარს აკრავთ საძაგელი სილატაკე, სიმახინჯე, შიმშილი. ეს კი ძლიერ გვიჩუყებს გულს. გრძნობა გონებაზე ძლიერია. ადრეც მითქვამს: გაცილებით ადვილია თანაუგრძნო ტანჯვაში, ვიდრე აზროვნებაში. ამიტომ კეთილი, მაგრამ ბოლომდე მოუფიქრებელი განზრახვებით ცდილობენ უწამლონ ირგვლივ გამეფებულ ბოროტებას. მაგრამ მათი წამალი ვერ შველის სნებას; მხოლოდ აჭიანურებს მას. მეტიც, ეს წამალი სნეულების ნაწილად იქცევა ხოლმე.

მაგალითად, ცდილობენ სილატაკეს შეებრძოლონ იმით, რომ ღატაკებს ეხმარებიან, ან, უახლესი მოძღვრების თანახმად, – ართობენ. მაგრამ ეს ვერ შველის საქმეს. მთავარია, შეცვალო საზოგადოება ისე, რომ მასში სილატაკემ ვერ იბოგინოს, ის შეუძლებელი გახდეს. ალტრუიზმი კი ხელს უშლის ამას.

ზუსტად ასე: ყველაზე ცუდი მონათმფლობელები ისინი იყვნენ, ვინც კეთილად ეპყრობოდნენ მონებს და ამით ხელს უშლიდნენ მათ, ეგრძნოთ მონათმფლობელობის მთელი საშინელება. დღესაც ინგლისში ყველაზე დიდი მავნებლები ისინი არიან, ვინც ცდილობენ სიკეთის თესვას. ისტ-ენდის განათლებულმა ადამიანებმა საგანგებოდ გამოიკვლიეს ეს საკითხი და პირდაპირ ეხვეწებიან საზოგადოებას, ალვირი ამოსდონ თავიანთ ალტრუისტულ გაქანებას, სათნოების, გულმოწყალებისა და სიყვარულის ვნებათაღელვას. ამ განათლებულ ხალხს ის აწუხებს, რომ ამგვარი ქველმოქმედება დამამცირებელი და გამრყვნელია. ისინი სავსებით მართალნი არიან. ქველმოქმედება უამრავი ცოდვის სათავეა.

ერთიც: უზნეობაა კერძო საკუთრების გამოყენება იმ საშინელი ბოროტების შესამსუბუქებლად, რომელიც კერძო საკუთრებისავე ნაყოფია. ეს უსინდისობაცაა და უსამართლობაც.

ახალ ცხოვრებაში ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდება. აღარ იქნება ქოხმახები, აქოთებული ძონძებით დაკონკილი ადამიანები, სნეული და მშიერი ბავშვები. საზოგადოების უსაფრთხოება ამინდზე აღარ იქნება დამოკიდებული. ყინვა ველარ გამორეკავს ქუჩებში ასეულ ათასობით ადამიანს, რომლებიც ამაოდ ეძებენ სამუშაოს, ითხოვენ მოწყალებას და თავს იყრიან შემზარავ თავშესაფრებთან ლუკმა-პურისათვის და ბინძური ლოგინისათვის. ყველა მიიღებს თავის წილ კეთილდღეობას და ყინვისა აღარავის შეეშინდება.

რაც მთავარია: ახალი ცხოვრება ინდივიდუალიზმს დაამკვიდრებს; კერძო საკუთრებას საერთო ქონებად, ჯიბრს ერთობლივ საქმიანობად გადააქცევს და საზოგადოებას დააბრუნებს პირველყოფილ სიჯანსაღეში. ცხოვრება დაუბრუნდება თავის მკვიდრ ნიადაგს და მისთვის ჩვეულ გარემოს.

მაგრამ ცხოვრების სრული გაფურჩქვნისათვის რაღაც მეტია საჭირო – ინდივიდუალიზმი. თუ სახელმწიფო ავტორიტარული დარჩა და, უბრალოდ, სამეურნეო ძლევამოსილებამ ჩაანაცვლა დღევანდელ სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალმორჭმულობა, მაშინ სამრეწველო ტირანია დათრგუნავს ადამიანს.

დღესდღეობით კერძო საკუთრება აფერხებს ინდივიდუალიზმს. მხოლოდ მცირეთა ფუფუნებაა მოცალეობა ან სანადელი საქმის კეთება. უდიდესი უმრავლესობა კი მიჯაჭვულია მისთვის საძულველ სამუშაოს. მას, ვითარცა პირუტყვს, გაჭირვება მიერეკება სამუშაოდ. გაჭირვება მიუძღვის წინ, განა გული. მისი გული დიდი ხანია მოკვდა დახვეწილი მანერებისათვის, საუბრის ხიბლისათვის, ცივილიზაციისა და კულტურისათვის, სიცოცხლისა და სიხარულისათვის. მათი ერთობლივი ძალა ნივთიერ კეთილდღეობას ქმნის სხვისთვის. ესაა და ეს. თავის შექმნილს ისინი შორიდან შესცქერიან შურით. თვითონ მათი ფასი კი გროშია.

ტყუილად ეთაყვანებიან ხოლმე კერძო საკუთრებას. ის, პირიქით, დიდი ბოროტებაა. რამდენიმე წლის წინ აქ დადიოდა ხალხი და ირწმუნებოდა: საკუთრება მოვალეობებს წარმოშობსო. ისინი ისე წარამარა და ისე მოსაწყენად იმეორებდნენ ამას, რომ ბოლოს თვით ეკლესიამაც იწყო ამის ქადაგება. ახლა ამ აზრს ყველა კათედრიდან გაიგონებ.

ეს აზრი სავსებით სწორია. საკუთრებას იმდენი მოვალეობა ახვევია ზედ, რომ კაცს მოგწყინდება, სულ მისკენ უნდა გეჭიროს თვალი, სულ საქმეზე უნდა იყო გადაგებული და, მაშასადამე, უსაზღვროდ მოწყენილი. საკუთრება მხოლოდ სიამოვნებას რომ გვანიჭებდეს, ვინ ოხერი იტყოდა მასზე უარს? მაგრამ ეს არამკითხე მოვალეობანი პირდაპირ თავს შეგაძულებენ. არა, უნდა ვიხსნათ მდიდრები საკუთრებისაგან – ამ ულმობელი ტირანისაგან.

ღარიბები უფრო კეთილნი არიან. მაგრამ ისინიც შეგეცოდება კაცს. ხშირად ვიტყვით ხოლმე, რომ ღარიბები მადლიერნი არიან მოწყალებისათვის. ბევრი მართლაც მადლიერია, მაგრამ საუკეთესონი – ნურას უკაცრავად! ისინი, პირიქით, უკმაყოფილონი, დაუმორჩილებელნი და მეამბოხენი არიან; და მათ უფლება აქვთ იყვნენ ასეთნი. ისინი გრძნობენ, რომ ქველმოქმედება სასაცილოდ არასრულყოფილი ფორმაა სამართლიანობის თუნდაც ნაწილობრივი აღდგენისა; ან გრძნობამოჭარბებული მოწყალებაა, რასაც თან ახლავს პატივცემულ ქველმოქმედის მომაბეზრებელი შეჭრა მათს პირად ცხოვრებაში.

ან კი როგორ შეუძლიათ მათ იყვნენ მადლიერნი იმ ნამცეცებისათვის, მდიდართა სუფრიდან რომ ცვივა? მათ თანდათან უკვე ესმით, რომ თვითონაც კარგად შეუძლიათ ისხდნენ იმავე სუფრაზე. უმალ პირუტყვი იქნებოდა, ვინც მათ ადგილზე თავს უკმაყოფილოდ არ იგრძნობდა.

ვისაც ისტორიაში ჩაუხედავს, იცის: დაუმორჩილებლობა ადამიანის პირველყოფილი თვისებაა. დაუმორჩილებლობამ და ამბოხმა შექმნა კაცობრიობის დიდი კულტურა.

ხანდახან ღარიბს მომჭირნეობას უქებენ. ეს სასაცილოცაა და შეურაცხმყოფელიც. ეს იგივეა, მშიერს ურჩიო ნაკლები ჭამოს. უზნეობაა მუშის მომჭირნეობა. უმჯობესია ითხოვოს ან მიიტაცოს. პირველი უფრო უხიფათოა, მეორე – უფრო ღირსეული.

არა, ლატაკი, რომელიც არაა მადლიერი და მომჭირნე, პირიქით, უკმაყოფილო და მეამბოხეა, კაცურ კაცად მიცვნია. მას მე იმედის თვალით ვუყურებ,

სხვაა კეთილი ლატაკი. ის დიახაც შეიძლება შეგებრალოს, მაგრამ მისით ნამდვილად არ ვარ აღტაცებული. ასეთი კაცი თითქოს გაურიგდა მტერს და იაფად, ლუკმაპურზე მიჰყიდაო თავისი ადამიანური უფლებები. ამიტომ ისინი საოცრად ბრიყვები ბრძანდებიან. მე კიდევ გამეგება იმ ადამიანისა, ვინც მოიწონა კერძო საკუთრება და სიმდიდრის დაგროვება. გამეგება მეთქი, თუ მას შეუძლია ამ პირობებით ლამაზი და გონივრული ცხოვრება მოიწყოს. მაგრამ მე ვერ გამიგია: რანაირად შეიძლება ეთანხმებოდე იმ კანონსა და პირობებს, რომელმაც დაგაბეჩავა და მიწასთან გაგასწორა?

მაგრამ ამის ახსნა არც ისე ძნელია: სილატაკე იმდენად დამამცირებელია და იმდენად ადამბლავებს ადამიანის ბუნებას, რომ არც ერთ კლასს არასოდეს ბოლომდე არ ესმის თავისი უბედურება. ამას ისინი სხვებისგან იგებენ და, უმეტესად, არ იჯერებენ.

რასაც ბობოლები ამბობენ მოქადაგეთა წინააღმდეგ, წმინდა წყლის სიმართლეა. ეს მოქადაგეები მოდიანო ხოლმე საზოგადოების სრულიად კმაყოფილ ფენებთან და თესავენო შიგ უკმაყოფილების მარცვალს. აი რატომაა ეს ხალხი ასე აუცილებელი. მათ გარეშე, ჩვენს დახშულ პირობებში საქმე წინ ვერ წაიწევდა. ამერიკაში მონობისათვის ბოლო არც მონათა მოძრაობას მოუღია და არც თავისუფლების რაიმე წყურვილს მათი მხრიდან. ეს მოქადაგეთა ფარულმა მუშაობამ ქნა; ადამიანებისა, რომლებიც თვითონ არც მონები ყოფილან, არც მონათმფლობელები და, მაშასადამე, პირადად არც ყოფილან დაინტერესებულნი ამ საკითხით. ესენი იყვნენ, რა თქმა უნდა, აბოლიციონისტები, რომლებმაც აანთეს სანთელი და ააგორეს ეს საქმე.

ერთიც ვნახოთ: თვით მონებისგან მათ არც მხარდაჭერა მიუღიათ და არც თანაგრძნობა; ხოლო ომის მერე, როცა მონები სრულიად განთავისუფლდნენ და შეეძლოთ თავისუფლად დახოცილიყვნენ შიმშილისგან, ბევრი მათგანი, თქვენ წარმოიდგინეთ, სწუხდა კიდეც ახალი ვითარების გამო.

ჭკუადამჯდარ კაცს ფრანგული რევოლუციის ყველაზე ტრაგიკულ ფაქტად ის კი არ წარმოუდგება, რომ მარია ანტუანეტა მოკლეს დედოფლობის გამო, არამედ ის, რომ ვანდეის მშიერი გლეხები ნებსით ეგებებოდნენ სიკვდილს ბატონყმობის საძაგელი საქმისათვის.

ნათელია, რომ ახალი სოციალისტური ავტორიტარიზმი არავის სჭირდება. ცუდია, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მართლაც დამონებულია; მაგრამ გულუბრყვილობაა ცდილობდე საქმის გამოსწორებას... მთელი საზოგადოების დამონებით. ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს აირჩიოს საქმიანობა. აქ სრულიად დაუშვებელია რამენაირი ძალადობა. თავსმოხვეული შრომა ბოროტებაა ყველასათვის და თავისთავადაც.

არა მგონია, ჩვენს დროში ვინმე სოციალისტი მართლა ფიქრობდეს, რომ ზედამხედველი ყოველ დილას სახლებს ჩამოივლის და შეამოწმებს: შეასრულეს თუ არა მოქალაქეებმა თავ-თავისი რვასაათიანი სამუშაო დღე? კაცობრიობამ, მადლობა ღმერთს, განვლო ეს ხანა და ასე მხოლოდ იმათ ეპყრობა, ვინც – სხვათა შორის, ძალიან თვითნებურად – დამნაშავეებად შეურაცხავს. მე მეჩვენება, რომ სოციალიზმი აშკარა ძალადობას მალავს თავის თავში. ეს კი სრულიად მიუღებელია. ყოველი გაერთიანება უნდა იყოს ნებაყოფლობითი. მხოლოდ ასეთ გაერთიანებებშია ადამიანი მშვენიერი.

მაგრამ ინდივიდუალიზმი დღესდღეობით კერძო საკუთრებაზე ჰკიდია. მაშ, როგორღა იხეირებს ის ამ დაწესებულების წაშლით? პასუხი ძალიან უბრალოა. მართალია, რომ არსებულ პირობებში ცოტანი ახერხებენ საკუთარი სახსრებით თავისი ინდივიდუალობის გაშლას: ბაირონი, შელი, ბრაუნინგი, ჰიუგო, ბოდლერი... ამათგან არც ერთს არც ერთი დღე არ უმუშავია გასამრჯელოზე. მათ არ ემუქრებოდათ გაჭირვება. ეს იყო მათი უდიდესი უპირატესობა. მაშ, იხეირებს თუ არა ინდივიდუალიზმი ამ უპირატესობის გაუქმებით? აი, რას ეხება კითხვა.

ინდივიდუალიზმი დიახაც, მოიგებს. ახალ პირობებში ის უფრო გათავისუფლდება, დაიხვეწება და გაძლიერდება. მე არ ვგულისხმობ ზემოხსენებულ ოსტატთა დიად ინდივიდუალიზმს. ვგულისხმობ სხვა, არანაკლებ დიად ინდივიდუალიზმს, კაცთა მთელ მოდგმაში რომ ღვივის. კერძო საკუთრება აზიანებდა მას; ათანაბრებდა ადამიანს თავის ქონებასთან. ამით ინდივიდუალიზმის მიზნად გამორჩენა იქცეოდა და არა განვითარება. ადამიანს ეჩვენებოდა, რომ მთავარია გქონდეს და არა ის, რომ იყო. ადამიანის სიდიადე ის კი არაა, რაც მას აქვს, არამედ ის, რაც თვითონ არის.

კერძო საკუთრება აფერხებს ნამდვილ ინდივიდუალიზმს. სამაგიეროდ, ის ცრუ ინდივიდუალიზმს ქმნის. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს უშლის საზოგადოების ერთ ნაწილს თვითდამკვიდრებაში; ხელს უშლის იმით, რომ აიძულებს იშიმშილოს. მაგრამ ის არანაკლებ უშლის ხელს მეორე ნაწილის თვითდამკვიდრებასაც; ხელს უშლის იმით, რომ არასწორ გზაზე აყენებს. მართლაც, პიროვნება ისეა შეპყრობილი საკუთრების ფლობით, რომ ინგლისურ კანონმდებლობას საკუთრების შელახვაზე დიდი დანაშაული არა ეგულება რა. მას უფრო მკაცრად განსჯის, ვიდრე პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულს. საკუთრება აქ დღემდე რჩება სრული მოქალაქეობის საზომად.

ფულისათვის შრომაც დიდად ამცირებს და თრგუნავს კაცს. ჩვენს დროში საკუთრებით მოიხვეჭეს სახელი, პატივი, ტიტულები და მრავალი სასიამოვნო რამ. მაშ, რა გასაკვირია, თუ ადამიანი, რომელიც ბუნებით პატივმოყვარეა, მიზნად ისახავს ქონების დაგროვებას? ჰოდა განაგრძობს ის გულის გამაწყალებლად და მოსაწყენად მის გროვებას მას მერეც, რაც მოიხვეჭა გაცილებით მეტი, ვიდრე სურდა; უფრო მეტიც, ვიდრე სჭირდება ცხოვრებით ტკბობისათვის; ხშირად კი იმაზე მეტიც, ვიდრე ოდესმე უოცნებია. ადამიანი მზადაა სულიც კი დალიოს მეტისმეტი შრომისაგან იმისათვის, რომ გაინაღდოს საკუთრება. არც არავის უკვირს ეს, იმდენ უპირატესობას იძლევა საკუთრება ცხოვრებაში.



ოსკარ უაილდი

დიდად გულსატკენია, რომ ასე უკუღმართად მოწყობილა საზოგადოება. ადამიანი იძულებულია შეეკედლოს ბუნაგს, სადაც არ ძალუძს თავისუფლად განავითაროს თავის თავში ყოველივე საუკეთესო: საუცხოო, მომხიბვლელი, დიდებული; სადაც ის ვერა გრძნობს ნამდვილ ტკბობასა და სიხარულს.

ერთიცაა: მოცემულ პირობებში ის სრულიად ბედის ანაბარაა. ვინმე მდიდარი ვაჭარი მუდამ იმ გარემოებებზე ჰკიდია, რომლებზეც ხელი არ მიუწვდება. მხოლოდ იმის გამო, რომ ქარი სხვა, არასასურველი მხრიდან დაუბერავს ან ამინდი უცაბედად შეიცვლება, მისი ხომალდი შეიძლება ქვესკნელში დაინთქას, ხოლო საქმენი მისნი უსაშველოდ აირიოს. ამით ის გაკოტრდება და დაჰკარგავს მთელ თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ამ დროს: არაფერს არ უნდა შეეძლოს ადამიანისთვის ვნების მოტანა, თვით მის გარდა. ადამიანის კეთილდღეობა არ უნდა ეკიდოს გარემოებებზე. ადამიანი ნამდვილად მხოლოდ იმას ფლობს, რაც თვით მასშია. ხოლო რაც გარეთაა, ფრიად უმნიშვნელოა.

კერძო საკუთრების მოშლა ნამდვილ, მშვენიერ, ჯანსაღ ინდივიდუალიზმს მოგვიტანდა. აღარავინ გაიფუჭებს ცხოვრებას ნივთებისა და მისი სიმბოლოების გროვებით. მხოლოდ იცხოვრებენ! ცხოვრებაზე მშვენიერი არაფერია. ადამიანთა უმეტესი ნაწილი კი მხოლოდ არსებობს. ესაა და ეს.

ესეც ვიკითხოთ: გვინახავს კი ოდესმე პიროვნების სრული მოფენა შემოქმედების ფარგლებს გარეთ? არა, არასოდეს! ცეზარიო, ამბობს მომზენი, იყო ნამდვილი, სრული ადამიანი. კი, ბატონო, მაგრამ რაოდენ არაუზრუნველყოფილი ბრძანდებოდა ეს ცეზარი! სადაც ხელისუფალია, იქვეა მუდამ ხელისუფლების მტერიც. ძალიან სრულყოფილი იყო ცეზარი, მაგრამ მეტისმეტად ფათერაკიანი გზებით ვიდოდა მისი სრულყოფილება.

მარკუს ავრელიუსიც კაცი გახლდათო, იტყვის რენანი. ვეთანხმები, დიდი იმპერატორი სრულყოფილი კაციც იყო. მაგრამ რაოდენ აუტანელი იყო ის დაუსრულებელი მოთხოვნები, მას რომ უყენებდნენ? ო, როგორ ირყეოდა იგი ძალაუფლების უღელქვეშ! მას ესმოდა, თუ რა ძნელია ამ უზარმაზარი და თვალუწვდენელი ქვეყნიერების ზიდვა ერთი კაცისათვის.

მე სრულყოფილ ადამიანად ის მიცვნია, ვინც სრულყოფილ პირობებში ვითარდება; ვინც არ დაჭრილა, არ იტანჯება, არ დამახინჯებულა, საფრთხე არ ემუქრება. ადამიანთა უმეტესი ნაწილი იძულებულია სულ იბრძოლოს. ის სანახევროდ ამ ბრძოლაში იფიტება.

ბაირონის პიროვნება, სიტყვაზე, საშინლად დაქანცა ინგლისელების სიბრიყვესთან, მუზმუზელობასთან და თვალთმაქცობასთან ბრძოლამ. ასეთი ბრძოლა ყოველთვის როდი აკაჟებს ადამიანს; ის ხშირად ასუსტებს. ბაირონს არასოდეს შეძლებია მოეცა ჩვენთვის ის, რაც შეეძლო მოეცა. შელიმაც ბაირონივით სასწრაფოდ გაუტია ინგლისიდან. მას იმან უშველა, რომ არ ყოფილა ბაირონივით ცნობილი. საბედნიეროდ, ინგლისელებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რამხელა პოეტი იყო შელი. ეს რომ არა, ისე ჩააფრინდებოდნენ კბილებითა და ბრჭყალებით, რომ სულს ამოხდიდნენ.

მაგრამ ის არ ყოფილა გამოკვეთილი ფიგურა საზოგადოებაში, რის გამოც, ნაწილობრივ, ასცდა სასჯელი. და მაინც: ამბოხის ნაპერწკალი ხანდახან ბაირონისაზე არანაკლებ იელვებს შელის ლექსში.

მე კი მოგახსენებთ, რომ არა ჯანყი, არამედ სიმშვიდეა სისრულის ნიშანი. ო, რა მშვენიერი იქნება ნამდვილი ადამიანი, როცა ვიხილავთ მას! ის იყვავილებს ბუნებრივად და უბრალოდ, ვითარცა ყვავილი ან ხე. გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთქილება უცხო ხილი იქნება მისთვის. ის არასოდეს შეეცდება კამათსა და დარწმუნებას; რა მოჰყვება დასაბუთებას, ყველაფერი ეცოდინება რაკი. და მაინც: არაფერში დასჭირდება მას ცოდნა; სიბრძნე ეყვარება მხოლოდ. ის არ გაიზომება ნივთიერი დოვლათით. არაფერი ექნება და მაინც ყველაფერი ექნება მას. ხოლო თუკი წაართმევენ რაიმეს, მას მაინც ბევრი დარჩება; იმდენად მდიდარი იქნება ის.

ის სხვებს დაანებებს თავს და არ მოითხოვს, რომ სხვები ჰგავდნენ მას. ყველა ეყვარება, რადგან ყველანი სხვადასხვანაირნი იქნებიან. თავს კი დაანებებს-მეთქი სხვებს, მაგრამ ყველას დაეხმარება. აკი ყოველი მშვენიერი გვშველის ხოლმე; უბრალოდ იმიტომ, რომ ის ასეთია. მშვენიერი იქნება ადამიანი: ბავშვივით მშვენიერი!

ადამიანის განვითარებას ქრისტეს სარწმუნოებაც შეეწევა, თუ ადამიანები მოისურვებენ ამას. ხოლო თუ არ მოისურვებენ, უიმისოდაც იოლას გავლენ. ადამიანი მაინც განვითარდება. მას არ შეაშფოთებს წარსული. ის არ შეიწუხებს თავს ფიქრით: მოხდა ესა და ეს თუ არ მომხდარა? არც კანონებს დაგიდევს რომელიმეს, გარდა თავისი საკუთარი კანონებისა. ავტორიტეტიც თვითონვე იქნება თავისი თავისთვის. მაგრამ ეყვარება ყველა, ვინც ძალა შეჰმატა. ხშირად გაიხსენებს მათ. მათგან ერთ-ერთი კი ქრისტე იქნება უთუოდ.

„შეიცან თავი შენი!"-ო, ეწერა ძველი მსოფლიოს კარიბჭეზე. ახალი მსოფლიოს კარიბჭეზე სხვა რამ ეწერება: „იყავ ის, რაც ხარ!" ქრისტეც ხომ ამ მარტივ მცნებას ასწავლიდა. ქრისტეს საიდუმლოც ესაა.

როცა იესო ლაპარაკობდა ღატაკებზე, უბრალოდ, ადამიანებს გულისხმობდა. ხოლო როცა მდიდრებზე ლაპარაკობდა, ის გულისხმობდა სულ სხვას – ადამიანებს, რომლებსაც არ განუვითარებიათ თავიანთი ინდივიდუალობა. იესო ჩვენსავით ცხოვრობდა ნივთებით მოჯადოებულ საზოგადოებაში. მისი ნაქადაგები სახარება სულაც არ მოუწოდებდა ცუდი, არაჯანსაღი კვებისაკენ, დაკონკილი ჩაცმისაკენ, საძაგელ პირობებში ცხოვრებისაკენ. ის სრულიადაც არ კრძალავდა ჯანსაღ, სასიამოვნო, წესიერ პირობებში ცხოვრებას. ასე არ ფიქრობდნენ იქ, იმ დროს. მით უფრო არ ფიქრობენ ასე ახლა, ინგლისში. ჩრდილოეთისკენ ცხოვრების ნივთიერი მოწყობა უფრო ჭირს. ჩვენი საზოგადოება წარმოუდგენლად უფრო რთულია და გაცილებით მეტ უკიდურესობებს ამჟღავნებს ფუფუნებაშიც და სიღატაკეშიც, ვიდრე ძველი მსოფლიოს ნებისმიერი საზოგადოება.

იესომ უთხრა ადამიანს: „შენ მშვენიერი ხარ. განივითარე თავი. იყავ, რაც ხარ. ნუ გგონია მოხვეჭა ან გარეგან სიკეთეთა დაუფლება გიშველის. შენი ღირსება შენშივეა. ოღონდ კი მიაგნო მას და შენ აღარ ისურვებ სიმდიდრეს. ნებისმიერ მდიდარს გაძარცვავენ, ნამდვილად მდიდარს – ვერა. შენი სულის საგანძურში უძვირფასესი განძებია, რომლებსაც ვერავინ წაგართმევს. შეეცადე შენი ცხოვრება ისე ააგო, რომ ვერანაირმა გარეშე ძალამ ვერა გავნოს რა. ასევე შეეცადე იხსნა თავი საკუთრებისაგან. ის თავს გიკრავს მდაბალ საზრუნავებში, დაუსრულებელ ჭაპანწყვეტაში, განუწყვეტელ უსამართლობაში. საკუთრება ყოველ ნაბიჯზე აფერხებს ინდივიდუალიზმს".

თან იესოს არასოდეს უთქვამს, თითქოს ღარიბები უთუოდ კარგები არიან, ხოლო მდიდრები – მაინცდამაინც ცუდნი. ეს არ იქნებოდა მართალი. მდიდართა ფენა, პირიქით, უფრო ზნესრული, განათლებული და წესიერია. საზოგადოებაში მხოლოდ ერთი კლასი ფიქრობს ნიადაგ ფულზე. ეს ღარიბებია. მათ არც შეუძლიათ სხვა რამეზე იფიქრონ. სიღარიბე დაწყევლილია ამით.

იესო გვასწავლის: ადამიანი სისრულეს აღწევს არა იმით, რაც აქვს; ასე განსაჯეთ, არც იმით, რასაც იქმს; არამედ იმით, რაც ის არის. იესოსთან მოდის მდიდარი ახალგაზრდა, ყოვლად წესიერი მოქალაქე, რომელსაც არ დაურღვევია თავისი სახელმწიფოს არც ერთი კანონი და თავისი რჯულის არც ერთი მცნება. მას სავსებით ეკუთვნის პატივისცემა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით.

იესო კი ეუბნება მას: „უარჰყავ საკუთრება. ის ხელს გიშლის სრულქმნაში, გამუხრუჭებს, ფეხებში გებლანდება. არ სჭირდება-მეთქი ის შენს პიროვნებას. მხოლოდ შენშივე და არა სადმე სხვაგან ჰპოვებ იმას, რაც ნამდვილად ხარ და რასაც ნამდვილად ეძებ".

თავის მეგობრებსაც იმავეს ასწავლის: „იყავით, რანიც ხართ და არასოდეს შეიწუხოთ თავი გარეგან სიკეთეთა გამო. რაღაა ადამიანისთვის გარეგანი სიკეთე? ადამიანი თავადაა სრულყოფილება. ასეთი მცნებით ხალხში რომ გახვალთ, დიდ წინააღმდეგობებს წააწყდებით. ამას წყალი არ გაუვა. ქვეყანას სძულს ინდივიდუალიზმი. მაგრამ ამან არ უნდა შეგაკრთოთ. მშვიდად იყავით და გაქვითკირდით საკუთარ თავში. მოსასხამს წაგართმევენ? თქვენ პერანგიც გაატანეთ! ამით აჩვენებთ, რომ ნივთები არად გიღირთ. შეურაცხყოფას მოგაყენებენ? იმითვე ნუ გადაუხდით. ეს კი რაღას ნიშნავს? იმას, რომ ადამიანთა ნათქვამი არ ცვლის ადამიანს. ის რჩება იმად, რაც არის. საზოგადოების აზრი არაფერს ნიშნავს. თუნდაც რომ ძალა იხმარონ თქვენზე, იმითვე ნუ უპასუხებთ. თავს ნუ გაუტოლებთ მოძალადეს. ადამიანი ფრიად იდუმალი ქმნილებაა. ის არასოდეს გაიზომება თავისი ქცევით. ის შეიძლება იცავდეს კანონს და იყოს არამზადა. შეიძლება არღვევდეს მას და იყოს მშვენიერი. ის შეიძლება იყოს ცუდი, როცა ცუდს არაფერს სჩადის. შეიძლება სცოდავდეს საზოგადოების მიმართ და სწორედ ამით თავის ღირსებას ამჟღავნებდეს".

* * *

ერთ ქალს წაასწრეს მრუშობაზე. ჩვენთვის უცნობია მისი სიყვარულის ისტორია; მაგრამ ეს სიყვარული ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან იესომ თქვა: ცოდვები ეპატია არა იმისათვის, რომ მოინანია, არამედ იმის გამო, რომ მისი ტრფობა ესოდენ ძლიერი და მშვენიერიაო.

მერე, იესოს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ეს ქალი სადღესასწაულო თავყრილობაზე ეახლა მას და ძვირფასი ნელსაცხებლები აპკურა თმაზე. იესოს მეგობრებმა უსაყვედურეს ქალს, ეს მფლანგველობააო; ამ ნელსაცხებლებზე დახარჯული ფულით გაჭირვებულებს დაეხმარებოდიო.

იესო არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. მან შენიშნა, რომ ადამიანთა ნივთიერი მოთხოვნილებები დიდია და აღუვსებელი, მაგრამ მისი სულიერი შეჭირვებანი ბევრად უფრო საჭირბოროტოა და ერთ მშვენიერ, ღვთაებრივ წამში

პიროვნება შეიძლება სრულიად განიწმინდოსო. ქვეყნიერება დღემდე ეთაყვანება იმ ქალს, ვითარცა წმინდანს.

ინდივიდუალიზმისათვის უცხოა ჩვენებური ოჯახი და ქორწინება, რაკი ისინი პიროვნებაზე მაღლა დგებიან და თავისუფლებას უზღუდავენ მას. იესოს დიდებულად ესმოდა ეს. მან უარყო ოჯახის უფლებები პიროვნების მიმართ. „ვინაა დედაჩემი? ვინაა ჩემი ძმები?" – იკითხა მან, როცა მოახსენეს მათი მოსვლის ამბავი.

ერთ-ერთმა მოწაფემ სთხოვა გაეშვა მამის დასასაფლავებლად. „დაე მკვდრებმა დამარხონ მკვდრები!" იყო შემზარავი პასუხი. ის არა სცნობდა არავის უფლებებს პიროვნების მიმართ.

მაშ, ასე: ქრისტეს რომ დავემსგავსოთ, სრულიად უნდა ვიქცეთ იმად, რაც ვართ. ადამიანი შეიძლება იყოს დიდი პოეტი ან დიდი მეცნიერი, უნივერსიტეტის ჭაბუკი სტუდენტი ან სოფლელი მწყემსი, შექსპირისოდენა დრამატურგი ან სპინოზასხელა ღვთისმეტყველი, კოინდარზე მოთამაშე ბავშვი ან ტბის მებადური; სულ ერთია, ვინაა ის, ოღონდ კი სრულყოფდეს თავის თავს, საკუთარ სულს.

ცუდია მიბაძვა ყოველი – გინდა ზნეობაში, გინდა ცხოვრებაში. იერუსალიმის ქუჩებში დღესაც დადის ერთი შერეკილი და მხრებით ეზიდება ხის მძიმე ჯვარს. ის მიბაძვით დაუშნოებული ცხოვრების სიმბოლოა. მამა დამიანე ბაძავდა ქრისტეს და სტუმრობდა კეთროვანებს. ამგვარი მსახურება გამოხატავდა ყოველივეს, რაც საუკეთესო იყო მასში. მაგრამ ის უფრო ახლოს როდი იყო ქრისტესთან, ვიდრე ვაგნერი, რომელმაც თავისი სული ალბეჭდა მუსიკაში; ან შელი, რომელმაც სული თავისი ლექსად აქცია.

ადამიანები როდი უნდა იყვნენ ერთნაირნი. სრულყოფილება იმდენივეა, რამდენიც – არასრულყოფილი ადამიანი. სანამ ადამიანი ემორჩილება ქველმოქმედების მოთხოვნებს, ის ჯერ კიდევ შეიძლება რჩებოდეს თავისუფალ პიროვნებად; მაგრამ ვინც ერთფეროვნების მოთხოვნებს ემორჩილება, მას მოჭრილი აქვს გზა თავისუფლებისკენ.

ასეა, კერძო საკუთრების უარყოფით ჩვენ მივაღწევთ ინდივიდუალიზმს. ამას ბუნებრივად მოჰყვება სახელმწიფოს უარყოფა. სწორად ბრძანა ერთმა ბრძენმა, ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით ადრე: ბუნებრივიაო თავის თავს მინდობილი საზოგადოება; მაგრამ ვინმესგან მართული საზოგადოება აუტანელიაო. დიახ, მმართველობის ყოველგვარი ფორმა ნაკლოვანია.

დესპოტიზმი უსამართლობაა ყველას მიმართ, მათ შორის თვით დესპოტის მიმართაც. იქნებ, ეს დესპოტი რაღაც უკეთესისთვის იყო მოწოდებული? ოლიგარქია უსამართლოა ბევრის მიმართ, ოხლოკრატია კი – ზოგიერთების მიმართ.

დიდ იმედებს ამყარებდნენ ხოლმე დემოკრატიაზე. მაგრამ დემოკრატია, უბრალოდ, ნიშნავს ხალხის მიერ ხალხის მართვას ხალხის სახელით; თანაც – ხელკეტით. ყოველგვარი ძალაუფლება დამამცირებელია. ის ამცირებს იმასაც, ვის მიმართაც იყენებენ მას და იმასაც, ვინც იყენებს მას. როცა მას იყენებენ მოძალადურად, უხეშად და სასტიკად, ეს კარგია, რადგანაც ალაშფოთებს ადამიანებს და აღვივებს ინდივიდუალიზმს – მის ნამდვილ მესაფლავეს.

როცა მას იყენებენ შედარებით რბილად და ჯილდოების თანხლებით, ეს რყვნის ქვეყანას. ამ დროს ხალხი ვერ აცნობიერებს უღლის სიმძიმეს და ცხოვრობს მდაბალ კეთილდღეობაში. ის მოშინაურებული ცხოველივითაა, რომელსაც ეფერებიან. მას ვერ შეუგნია, რომ ცხოვრობს თავისი აზრებით, სხვის მსგავსად; აცვია, როგორც იტყვიან, სხვისი გამონაცვალი და არასოდეს არაა ის, რაც თვითონაა; არც ერთი წუთით!

„ვისაც სურს იყოს თავისუფალი, – ბრძანა ერთმა მოაზროვნემ, – არ უნდა დაემსგავსოს სხვას". ხელისუფლება კი იაფად მოისყიდის ხოლმე ხალხს და ცდილობს ნასუქალ პირუტყვად მის გადაქცევას.

ხელისუფლებას თან გადაჰყვება დასჯაც. ეს იქნება უზარმაზარი მოგება, რომელიც ძნელია გადაჭარბებით შეაფასო. როცა კითხულობ ისტორიას – ბავშვებისათვის შელამაზებულს კი არა, არამედ პირველწყაროში – ბოროტმოქმედთა დანაშაულზე მეტად მათი სასტიკი დასჯა აღგაშფოთებს. კანონიერად განხორციელებული დასჯა შეუდარებლად უფრო ვნებს საქმეს, ვიდრე შემთხვევითი ბოროტმოქმედებანი.

დასჯა ამრავლებს დანაშაულს. უახლეს კანონმდებლობებში ეს გაითვალისწინეს და სასჯელის შემცირება გადაწყვიტეს, რამდენადაც კი შესაძლებელია. მართლაც, ყველგან, სადაც კი შემცირდა დასჯა, დადებითმა შედეგებმაც არ დააყოვნა. ნაკლებია დასჯა, ნაკლებია დანაშაული! როცა სულ აღარ იქნება დასჯა, დანაშაულიც მთლად აღიკვეთება. ხოლო თუ სადმე შემორჩება, მას ექიმები განიხილავენ, ვითარცა შეშლილობის სამწუხარო შემთხვევას; შეშლილობისა, რასაც მზრუნველობითა და გულისხმიერებით უნდა ვუწამლოთ.

ვისაც ჩვენს დროში დამნაშავეებად რაცხენ, სულაც არ არიან დამნაშავენი. თანამედროვე დანაშაულის მამა შიმშილია და არა ბოროტება. კაცმა რომ თქვას, სწორედ ესაა მიზეზი, რომ ჩვენი დამნაშავეები სრულებით არ არიან მიმზიდველნი ფსიქოლოგიურად. არც საოცარი მაკბეტებია ისინი და არც საშიში ვოტრენები. ისინი ჩვეულებრივი, წესიერი, ბანალური ადამიანებია, ოღონდ – ულუკმაპუროდ დარჩენილნი. მოისპობა კერძო საკუთრება და მას თან მიჰყვება გაჭირვებაც და დანაშაულებრივი ზრახვებიც. აღიკვეთება მეთქი დანაშაული.

რაღას იზამს სახელმწიფო, როცა მართვას დაანებებს თავს? ის გადაიქცევა თავისუფალ გაერთიანებად, რომელიც მოაწესრიგებს შრომას, დაამზადებს და გაანაწილებს აუცილებელ ნივთებს. სახელმწიფო გააკეთებს იმას, რაც სასარგებლოა; ინდივიდი კი იმას, რაც მშვენიერია.

დღეს მრავალ სისულელეს გაიგონებ ხელით შრომის უპირატესობაზე. ნამდვილად კი მასში არაფერია ღირსეული და მისი უმეტესი ნაწილი სრულიად დამამცირებელია. ადამიანს ამცირებს მისთვის უსიამოვნო საქმის კეთება. ხელით შრომა კი, უმეტესად, ასეთია. სხვა რა უნდა დაერქვას ქუჩის ხვეტას დღეში რვა საათი, როცა აღმოსავლეთის ქარი ჰქრის? საშინელებაა ხვეტავდე სიამოვნებით. ადამიანი ცოტა უკეთესისთვისაა შექმნილი. ასეთ სამუშაოს კი მანქანა უნდა ასრულებდეს.

ყოველ ერთფეროვან და მოსაწყენ სამუშაოს მანქანა უნდა ასრულებდეს. დღეს მანქანა ადამიანს ეჯიბრება და ამარცხებს კიდეც. ბუნებრივ პირობებში კი მანქანა მოემსახურება ადამიანს. ეჭვი არ მეპარება, რომ სწორედ ესაა მანქანის მომავალი.

ხეები იზრდებიან, როცა მებაღეს სძინავს. ასე იქნება ცხოვრებაშიც. ულიმღამო საქმეებს მანქანა შეასრულებს, ხოლო ადამიანები იმხიარულებენ და ცხოვრებით დატკბებიან. ადამიანის დანიშნულება ესაა და არა შრომა. ის უნდა ქმნიდეს ან კითხულობდეს მშვენიერ ნაწარმოებს ან, უბრალოდ, უჭვრეტდეს ბუნებას აღტაცებითა და სიხარულით.

ცნობილია, რომ ცივილიზაციას მონები სჭირდება. ბერძნები არ ცდებოდნენ ამ მხრივ. თუ არაა მონები ბინძური, საძაგელი და მოსაწყენი სამუშაოების შესასრულებლად, აზროვნება და კულტურა სრულიად შეუძლებელი იქნება. ადამიანის მონობა უზნეობაა. მეტიც, მონას ვერ დაენდობი, გილალატებს. მომავალი მექანიკურ მონობას, მანქანების მონობას ეკუთვნის. როცა მეცნიერებს აღარ გაგზავნიან ისტ-ენდში დამშეულთა დასაშოშმინებლად, მათთვის საძაგელი კაკაოსა და ცუდი საბნების დასარიგებლად, მათ ექნებათ თავისუფალი დრო საოცარი და მშვენიერი საგნების შესაქმნელად. ამით თვითონაც გაიხარებენ და სხვებსაც გაახარებენ. ყოველ ქალაქში, ყოველ სახლში იქნება ძალის დიდი მარაგი და ადამიანი, საჭიროებისამებრ, გარდაქმნის ამ ძალას სითბოდ, სინათლედ, მოსახმარად.

განა ეს უტოპიაა? მსოფლიოს გეოგრაფიული რუკა, რომელზეც უტოპია არაა აღნიშნული, შეხედვის ღირსიც არაა. მასზე ის ერთადერთი ქვეყანაა გამორჩენილი, რომლისკენაც ილტვოდა კაცთა მოდგმა გაჩენის დღიდან. როცა კაცობრიობა გადასხდება მასზე, მერე კიდევ უკეთესს შენიშნავს და კვლავ აუშვებს ძლევამოსილ აფრებს. პროგრესი უტოპიების განხორციელებაა, სხვა არაფერი.

სხვისთვის მუშაობით კაცი საკუთარ თავს ვერ განავითარებს. ამიტომ ვერც ვერაფერს შექმნის. თუ საზოგადოება ან მისი ძალოვანი ნაწილი, ან რომელიც გნებავთ ხელისუფლება შეეცდება დაუწესოს ხელოვანს მისი საკეთებელი, ხელოვნება სავსებით დაილუპება ან უხეშ და მდაბალ ხელოსნობად გადაგვარდება. ხელოვნების ქმნილება ინდივიდუალობის შედეგია. მისი სილამაზის წყარო ერთადერთია: ავტორი ისეთია, როგორიც არის. მას არაფერი ესაქმება იმასთან, თუ რა სურთ სხვებს. იმ წამიდან, როცა ხელოვანი იწყებს სხვათა სურვილებისათვის ანგარიშის გაწევას და ცდილობს მათ დაკმაყოფილებას, ის აღარაა ხელოვანი. ის უკვე მოსაწყენი და გასართობი ხელოსანია, პატიოსანი ან ცბიერი ვაჭარია. მას აღარა აქვს უფლება ინოდებოდეს ხელოვანად. ხელოვნება ინდივიდუალიზმის ყველაზე ელვარე ფორმაა, რომელსაც კი იცნობს კაცობრიობა.

საზოგადოება ცდილობს ზემოდან შეხედოს ხელოვნების ნაწარმოებს. უზნეოცაა ეს და სასაცილოც. მაგრამ რას იზამ? საზოგადოება ყველა დროში ცუდად იყო აღზრდილი. ის ყოველთვის პოპულარობას ითხოვდა ხელოვნებისაგან, რათა ხელოვნების ნაწარმოებს მისი უგემოვნობა და ბრიყვული პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა; მოეთხრო მისთვის ის, რაც უკვე სმენია; ეჩვენებინა ის, რისი ყურებაც უკვე მოსწყინდა; გაერთო იგი, როცა მეტისმეტი ჭამისგან მოთენთილია და გაეფანტა მისი აზრები, როცა ის დაიღალა თავისივე სიბრიყვისაგან.

მაგრამ ხელოვნება არასოდეს არ უნდა ცდილობდეს პოპულარობას. პირიქით, საზოგადოება უნდა ცდილობდეს გახდეს მხატვრული. აქ დიდი განსხვავებაა. მეცნიერისათვის რომ ეთქვათ, შენი ცდების შედეგები და მიღებული დასკვნები არ უნდა ცვლიდესო გავრცელებულ წარმოდგენებს, ხალხურ ცრურწმენებს; ფილოსოფოსისათვის რომ ეთქვათ: გადაწვდი, ბატონო, აზრის უმაღლეს სამანებს, მაგრამ კეთილი ინებე და ის დასკვნები მიიღე, რომლებსაც იცავენ უბირი და ყოვლად უაზრო ადამიანები, მეცნიერიც და ფილოსოფოსიც ღიმილისგან თავს ვერ შეიკავებდნენ.

დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ განთავისუფლება დავიწყეთ პუბლიკის, ეკლესიის და მთავრობის წნეხისაგან. ისინი ძველებურად ველარ ერევიან ჭვრეტისა და აზროვნების ინდივიდუალიზმში. მაგრამ ეს უღელი ჯერ კიდევ გვაწვება. მეტიც, თავს გვაბეზრებს, შეურაცხგვყოფს და გვამწარებს.

ინგლისში ხელოვნების ის დარგები ყვავის ხოლმე, რომლებსაც საზოგადოება არ ეტანება. ამის მაგალითი პოეზიაა. ინგლისელებს მშვენიერი პოეზია ჰქონდათ იმიტომ, რომ ხალხი მას არ კითხულობდა და, მაშასადამე, ვერც ექნებოდა მასზე რაიმე ზეგავლენა. საზოგადოებას პოეტების შეურაცხყოფა უყვარს, რადგან პოეტები ინდივიდუალური ხალხია; ხოლო თუ შეურაცხჰყო, მერე ანებებს თავს. რომანი და დრამა ჩვენში გაცილებით მეტად აინტერესებთ. ამიტომ შედეგმაც არ დააყოვნა: არც ერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი ცუდი რომანი, ისეთი ბრიყვული და უხამსი პიესები, როგორც ინგლისს.

სხვაგვარად არც იქნებოდა. პუბლიკის იდეალი ისეთია, რომ ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ხელოვანი მას ვერ გაჰყვება. ძალიან ადვილიცაა და იმავდროულად ძალიან ძნელიც პოპულარულ რომანისტად ყოფნა. ადვილია იმიტომ, რომ პუბლიკის მოთხოვნები ერთობ შეზღუდულია. მათი დაკმაყოფილება შეუძლია სრულიად საშუალო ნიჭს და უკიდურესად უკულტურო გონებას. ძნელი კი იმიტომაა, რომ ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მწერალმა ძალა უნდა დაატანოს თავის ტემპერამენტს; უნდა წეროს არტისტული ტკბობისთვის კი არა, არამედ – გაუნათლებელი ხალხის გასართობად; მაშასადამე, მან უნდა ჩაჰკლას თავისი ინდივიდუალიზმი, დაივიწყოს თავისი კულტურა, მოსპოს თავისი სტილი და უპატრონოდ მიაგდოს ყოველივე კარგი, რაც უბოძებია მისთვის ბუნებას. ერთი სიტყვით, პოპულარულ მწერლად ყოფნა ერთობ ადვილია საშუალო ნიჭის მწერლისთვის, მაგრამ ძალიან ძნელია სიტყვის ნამდვილი ოსტატისთვის.

დრამის საქმე შედარებით უკეთესადაა. თეატრის პუბლიკას, მართალია, გასაგები ამბები უყვარს, მაგრამ, სამაგიეროდ, არ უყვარს მოსაწყენი რამ. ფარსი და კომედია ყველაზე პოპულარულია სცენურ ქმნილებებს შორის, რადგან ისინი ყველაზე გასაგებია.

პუბლიკა განსაკუთრებით სიახლეს მტრობს. ხელოვნების შინაარსის გაფართოებას ის ვერ იტანს. არადა ხელოვნების განვითარების ერთადერთი გზა ესაა. არ უყ-

ვარს მეთქი პუბლიკას სიახლე იმიტომ, რომ ეშინია მისი. აქ მას აღიზიანებს ინდივიდუალიზმი – ხელოვანი თვითონ ირჩევს სიუჟეტს და ისე განმარტავს მას, როგორც სურს

ამაში პუბლიკა თავისებურად მართალია. ხელოვნება ინდივიდუალიზმის მწვერვალია; ხოლო ინდივიდუალიზმი შემქმნელი კი არა, დამანგრეველი ძალაა. სწორედაც ესაა მისი ნარუვალი ღირსება. ის ანგრევს ტიპის ერთფეროვნებას, ჩვევის ტირანიას და ამით წინ ეღობება ადამიანის გადაქცევას მანქანად.

პუბლიკა სიამოვნებით იღებს უკვე ცნობილს, რადგან არ ძალუძს მისი შეცვლა; ოღონდ არა იმიტომ, რომ ძალიან აფასებს მას. ის მთლიანად ულებს გულისკარს თავის კლასიკოსებს და არასოდეს აფასებს მათ. ის აღიარებს მათ, ვითარცა ერთგვარ გარდუვალობას; და რაკი ვერაფერს უხერხებს, ისღა დარჩენია გაჰყვიროდეს მათ შესახებ.

არ ვიცი, უცნაურია ეს თუ არა, მაგრამ კლასიკოსების ასეთი აღიარება დიდად საზიანო რამ გახლავთ. ვგულისხმობ ბიბლიისა და შექსპირის ყოვლად უკრიტიკო აღიარებას ინგლისში. რაც შეეხება ბიბლიას, აქ საქმეში ეკლესიის ავტორიტეტია გარეული. ასე რომ, აქ ყველაფერი მზესავით ნათელია.

შექსპირის გამო კი დაბეჯითებით უნდა ითქვას: პუბლიკას მისი ქმნილებების არც ღირსება გაეგება, არც ნაკლოვანება. ღირსება რომ ესმოდეს, დრამის განვითარებას წინ არ აღუდგებოდა. ნაკლი რომ ესმოდეს, მით უმეტეს, მიემხრობოდა დრამის განვითარებას. ფაქტი კი ერთია: პუბლიკა კლასიკოსებს ყველგან და ყოველთვის ხელოვნების დასამუხრუჭებლად იყენებს. ის შეურაცხყოფს კლასიკოსებს ავტორიტეტად გადაქცევით. ის იყენებს კლასიკოსს ხელკეტად, რათა დააფრთხოს ხელოვანთა ახალი თაობები და ხელი შეუშალოს სილამაზის თავისუფალ და ნაირ-ნაირ გამოხატვას.

პუბლიკა ეკითხება ხელოვანს, ამა და ამ მწერალივით რად არ დაწერეო; ამა და ამ მხატვარივით რატომ არ დახატეო. ის კი არ იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ხელოვნებისგან არა დარჩებოდა რა. ახალი სილამაზე სძულს პუბლიკას. ის მწარდება, ჩიხში ექცევა და მაშინვე იშველიებს ორ ბრიყვულ გამოთქმას: „ეს გაუგებარია!" და „ეს უზნეოა!" ნეტა, რას გულისხმობს?

როცა ამბობენ, რომ ნაწარმოები გაუგებარია, ეს ნიშნავს: ხელოვანმა შექმნა სრულიად ახალი რამ. როცა ნაწარმოებს უზნეობად აცხადებენ, ეტყობა, ხელოვანმა შექმნა ღრმად მართალი რამ. პირველ შემთხვევაში სტილი აღიზიანებთ, მეორეში – შინაარსი. ამ სიტყვებს ისინი გაუცნობიერებლად, როყიოდ ისვრიან, ვითარცა აჯანყებული ბრბო – ქვებს. ამ საუკუნეში მე არ მეგულება არც ერთი ნამდვილი პოეტი და მწერალი, ვისთვისაც ბრიტანულ პუბლიკას საზეიმოდ არ მიერთვას უზნეობის ატესტატი. ეს ატესტატები ჩვენში წარმატებით ცვლიან იმას, რასაც საფრანგეთში აკადემიის ფორმალური აღიარება ჰქვია. ამიტომ, საბედნიეროდ, ჩვენში, ინგლისში არაა საჭირო მსგავსი დაწესებულება.

> **ბ-ნი მერანი საფრანგეთის აკადემიაში**
>
> საფრანგეთის აკადემიაში საკითხის განხილვა ხმაურიან და დაუნდობელ კამათში გადაიზარდა. წამოდგა ბ-ნი მერანი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი, და წინადადება შემოიტანა:
>
> – ბატონებო, იქნებ შევთანხმდეთ, რომ ერთდროულად ოთხზე მეტმა ადამიანმა არ ილაპარაკოს ?

ამ გამოთქმების გამოყენებისას ჩვენი პუბლიკა ძალიან ხშირად წინდაუხედავადაც იქცევა. თუ მან უორდსვორტს უზნეო პოეტი უწოდა, ეს ასეც იყო მოსალოდნელი – უორდსვორტი პოეტი იყო! მაგრამ როცა ის ჩარლზ კინგსლეის აცხადებს უზნეო მწერლად, ეს უკვე გაუგებრობაა – კინგსლეის პროზა არც ისე უზადოა. რა ვუყოთ, პუბლიკაც ცდება ხოლმე. ერთი ალილუია მღვდელსაც კი შეეშლებაო.

ნამდვილ ხელოვანს ყოველივე ეს ნაკლებად აწუხებს. მას სწამს მხოლოდ საკუთარი თავის. ის ხომ სრულიად ისეთია, როგორიც არის. თუ ინგლისში ხელოვანმა შექმნა ნაწარმოები, რომელიც მაშინვე სცნო პუბლიკამ გასაგებ და მაღალზნეობრივ ნაწარმოებად, ეს ხელოვანი უნდა დაფიქრდეს: ქმნიდა თუ არა ამ ნაწარმოებს მართლა თვითონ? ან ხომ არაა ეს ნაწარმოები მისთვის სრულიად შეუფერებელი, მეორეხარისხოვანი, წყალწყალა?

კაცმა რომ თქვას, ხელოვანი ინგლისში რამდენადმე მოგებულიც კი რჩება იმით, რომ მას თავს ესხმიან. ამით კარგად იკვეთება მისი ინდივიდუალობა. მართალია, თავდასხმები ერთობ უხეში, თავხედური და ზიზღის ღირსია, მაგრამ აბა რა სინატიფეს უნდა ელოდე უხამსი გონებისგან და რომელ კარგ მანერებს – სოფლელისაგან? უხამსობა და სიბრიყვე თანამედროვეობის ორი შუქურ-ვარსკვლავია. გულსატკენია, აბა რა. მაგრამ ეს მაინც ასეა. ეს შესასწავლია, როგორც ყოველივე დანარჩენი. რად ღირს თუნდაც ის, რომ თანამედროვე ჟურნალისტები პირად ცხოვრებაში მუდამ ბოდიშს უხდიან მას, ვის წინააღმდეგაც პრესაში გაილაშქრეს.

ეს რამდენიმე წელია ხელოვნების სალანძღავ ლექსიკონს კიდევ ორი ზედსართავი მიემატა: „არაჯანსაღი" და „ეგზოტიკური". უკანასკნელი გამოხატავს სოკოს მძვინვარებას უკვდავი, ნატიფი, მშვენიერი ორქიდეას წინააღმდეგ. სიტყვა „არაჯანსაღი" კი უფრო დაწვრილებით გარჩევას მოითხოვს. ეს საინტერესო სიტყვაა; იმდენად საინტერესო, რომ იმ ხალხმა, ვინც მას იყენებს, არ იცის მისი მნიშვნელობა.

ხელოვანის ნაწარმოები არაჯანსაღია, თუ მისი სტილი გასაგები, ძველმოდური და უხამსია, ხოლო შინაარსი შერჩეულია მეტისმეტად ფრთხილად; ფრთხილადაა შერჩეული არა იმიტომ, რომ ხელოვანს სიამოვნებს ასე, არამედ იმიტომ, რომ პუბლიკას აწონებს თავს გამორჩენის მიზნით.

ამიტომ პოპულარული რომანი, რომელსაც პუბლიკა ჯანსაღს უწოდებს, სრულიად არაჯანსაღია. ხოლო პუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკის მიერ არაჯანსაღად შერაცხული რომანი დიდი ყურადღების ღირსია. ეტყობა, ის სრულიად ჯანსაღი ქმნილებაა.

მე არ მანუხებს ამ სიტყვების ბოროტად გამოყენება პუბლიკის მიერ. პუბლიკისათვის ხელოვნება იმდენად უცხო ხილია, რომ სწორედაც საკვირველი იქნებოდა მის მიერ ამ სიტყვების სწორად გამოყენება. ეს სრულიად მარტივად აიხსნება – ავტორიტეტის ბარბაროსული გაგებიდან. საზოგადოებას ავტორიტეტი რყვნის. ამიტომ მას არ ძალუძს გაიგოს ან დააფასოს ინდივიდუალიზმი. ავტორიტეტს რომ ვამბობ, საზოგადოებრივ აზრს ვგულისხმობ – ამ ბებერ ურჩხულს. ის მინყივ შორსა დგას პატიოსნებისგან; მაშინაც, როცა ბოროტი თუ კეთილი განზრახვებით ცდილობს ხელოვანის მოქმედების ზედამხედველობას, და მაშინაც, როცა ბოროტად განუზრახავს ხელოვნების თვით იდეის შეცვლა.

საზოგადოებრივ აზრს ისევ საზოგადოების ფიზიკური ძალადობა სჯობია. ეს ძალა ზოგჯერ სასარგებლო და ლამაზიც კია. საზოგადოების აზრი კი ნიადაგ ბრიყვულია. ხშირად იტყვიან, რომ ძალა საბუთი არაა. მაგრამ გააჩნია, რის დამტკიცებას ცდილობენ. ბოლო ასწლეულებში ძალიან ბევრი საკითხი გადაიჭრა საფრანგეთსა და ინგლისში შიშველი ძალადობით. თვით რევოლუციის სისასტიკეშიც კი არის რაღაც დიადი.

მაგრამ ერთ ავადსახსენებელ დღეს პუბლიკამ შენიშნა, რომ კალამს რიყის ქვაზე მეტი ძალა აქვს და მის მოხვედრას ისევ ის სჯობია, აგურის ნატეხი გითავაზონ. ეს საბედისწერო დღე იყო. საზოგადოება შეუჩნდა ჟურნალისტს, გაიცნო ის, განავითარა მისი უნარები და აქცია თავის მოუღლელ მსახურად; მსახურად, რომელსაც კარგად უხდიან.

ფრიად სამწუხაროა. ბარიკადებთან კეთილშობილება და სიმამაცე მოგხიბლავს ხშირად. მაგრამ რა ჰყრია მონინავე სტატიაში სიყალბის, სიბრიყვის, თვალთმაქცობისა და ყბედობის გარდა? და როცა ეს ოთხი მანკიერება ერთიანდება, იქმნება საშიში ძალა და ცხვება ახალი, საძაგელი ავტორიტეტი.

ძველად ადამიანებს აწამებდნენ. ახლა მათ პრესას აწვდიან. ეს, ცხადია, წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ, სამაგიეროდ, პრესა რყვნის. ვიღაცამ, თუ არ ვცდები, ბერკმა პრესას მეოთხე ხელისუფლება დაარქვა. თავის დროზე ეს მიგნებულად იყო ნათქვამი. მაგრამ ახლა პრესა, ალბათ, ერთადერთი ხელისუფლებაა. მან გადაყლაპა დანარჩენი სამი. მართლაც, ზედა პალატის ლორდები სდუმან. სულიერ ლორდებს აღარაფერი აქვთ სათქმელი. ქვედა პალატასაც იგივე სჭირს, ოღონდ არ მალავს ამას. ბურთი და მოედანი პრესას დარჩა. ის გვმართავს ჩვენ. ამერიკაში პრეზიდენტი ოთხი წელი მართავს, პრესა კი – მუდამ.

საბედნიეროდ, ამერიკაში პრესამ ბოლომდე გამოიჩინა თავი. ამას ბუნებრივად მოჰყვა აღშფოთება. ამიტომ მას ძველებური ძალა აღარ შემორჩა. ინგლისური პრესა კი უხეშობის ამგვარ ექსცესებამდე არ მისულა, ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევის გამოკლებით. ამიტომ ის რჩება ძლიერ იარაღად და თვალსაჩინო ძალად. ჩვენი პუბლიკა გამოირჩევა დაურწყულებელი ცნობისმოყვარეობით: იცოდეს ყველაფერი გარდა იმისა, რისი ცოდნა მართლაც ღირს. პრესამ ეს იცის და ვაჭრის ალღოთი აკმაყოფილებს პუბლიკის მოთხოვნილებას.

ძველად ხალხი ჟურნალისტებს ყურით აკრავდა ბოძებზე. ეს სისაძაგლე იყო. ჩვენს დროში ჟურნალისტებს სასახლის ჭუჭრუტანებზე აქვთ ყური მიდებული. ეს გაცილებით უარესია. არაა საჭირო მიაწოდო პუბლიკას კაცთა და ქალთა კერძო ცხოვრების ამბები. აქ პუბლიკას სრულიად არაფერი ესაქმება. საფრანგეთში ეს საქმეები უკეთაა მოგვარებული. იქ ჟურნალისტებს ნებას არ რთავენ გამოაქვეყნონ სასამართლოში გარჩეული წვრილმანები და გაართონ ამით საზოგადოება. იქ ზღუდავენ ჟურნალისტს და სრულ თავისუფლებას ანებებენ მწერალს. ჩვენთან კი პირიქითაა: ვზღუდავთ ხელოვანს და სრულ თავისუფლებას ვაძლევთ ჟურნალისტს. ინგლისური საზოგადოებრივი აზრი ცდილობს გზები შეუკრას მწერალს, ჟურნალისტს კი ნებას რთავს ილაქლაქოს ათასი უხამსობა. ასე რომ ჩვენი ჟურნალისტები ყველაზე სერიოზულნი არიან დედამიწის ზურგზე, ხოლო ჩვენი გაზეთები – ყველაზე უწესო.

ხელოვნება უნდა ბატონობდეს მაყურებელზე და არა მაყურებელი – ხელოვნებაზე. მაყურებელი ვნებითი მხარე უნდა იყოს; ვიოლინო უნდა იყოს, რაზეც მსახიობი უკრავს. რაც უფრო მეტად დათრგუნავს ის თავის ბრიყვულ აზრებს ხელოვნების მავნებლობის შესახებ, მით უფრო გაიგებს და დააფასებს ხელოვნების ნაწარმოებს. ეს ეხება განათლებულ მაყურებელსაც. მისი აზრები წარსულის ხელოვნებიდან ამოიზარდა. მაგრამ ახალი ხელოვნება სწორედ იმითაა კარგი, რომ არა ჰგავს წარსულის ხელოვნებას. მაშ, როგორღა შეიძლება მისი გაზომვა წარსულის ნიმუშით? ამით ხომ სწორედ იმას დავიწუნებდით, რაც მას დასტურ ამშვენებს და ხელოვნების ნამდვილ ქმნილებად ხდის?

ნამდვილი ხელოვანი საერთოდ არ უწევს ანგარიშს პუბლიკას. მისთვის არც არსებობს პუბლიკა. მას არა აქვს ხაშხაში ან თაფლისკვერები ურჩხულის დასაშოშმინებლად და მასთან სალოლიავოდ. ეს საქმე მას პოპულარულ რომანისტისთვის მიუნდია. ის თავისი სიამოვნებისთვის წერს. არც როდისმე იკითხავს, თუ რა სიამოვნებს პუბლიკას. ის მიაბიჯებს პირდაპირ, ამხნევებს თავის პიროვნებას და ქმნის თავის ნაწარმოებს.

ასეთია ჩვენი ჯორჯ მერედიტი. თავიდან არავინ ეკარებოდა მას. მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა ამას. მერე ზოგიერთებმა შენიშნეს და ყური მიუგდეს. ამას არ შეუცვლია ის. მერე და მერე აღიარეს. ის კი იგივეა მარად და მარად – შეუდარებელი რომანისტი!

შემოქმედება ავტორიტეტს ვერ შეურიგდება. ხანდახან იკითხავენ: როგორი მმართველობა უფრო აძლევს ხელს ხელოვანს? ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობს: ყველაზე უპრიანი მმართველობა ხელოვანისათვის ისაა, რომ არავითარი მმართველობა არ იყოს.

ამბობენ, დესპოტიზმის დროს მხატვრები საუკეთესო ნაწარმოებებს ქმნიანო. ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი: დესპოტი შეიძლება კულტურული იყოს. აი, ბრბო კი მუდამ უკულტუროა. იმპერატორი ან მეფე შეიძლება დაიხაროს და ფუნჯი მიაწოდოს მხატვარს; მაგრამ

ბრბო თუ დაიხრება, მხოლოდ – ტალახის სასროლად. ბრბოს ამისათვის არც კი სჭირდება დაბლა დახრა; ის იმთავითვე ნუმპეშია.

დესპოტი სამნაირია. ერთი სხეულის ტირანია, მეორე – სულისა, მესამე – ერთისაც და მეორისაც. პირველს მეფე ჰქვია, მეორეს – ხუცესი, მესამეს – ხალხი. მეფე შეიძლება კულტურული იყოს და სწორედ ესაა საშიში. მაგონდება დანტე სევდიან დღესასწაულებზე ვერონეში და ტასსო – ფერარის საგიჟეთში. ხელოვანს ის ურჩევნია, რომ არ ცხოვრობდეს მეფეებთან, შორს დაიჭიროს თავი მათგან.

ხუცესნიც ყოფილან კულტურულნი. მათ შორის უარესნი სწორედ კულტურულნი იყვნენ. ცუდ მღვდლებს ისევე ვნებიანად უყვარდათ სილამაზე, როგორც კარგებს სძულდათ აზრი. პაპების ცოდვებისგან დიდადაა დავალებული კაცობრიობა. სამაგიეროდ, მათი სიწმინდე თვითონაა გამოუვალ ვალში კაცობრიობასთან. მართალია, ვატიკანმა შეინარჩუნა მქუხარე მჭევრმეტყველება და დაკარგა მეხთამტყორცნელი კვერთხი, მაგრამ არც ერთ ხელოვანს არ ვურჩევდი პაპებთან ცხოვრებას.

ერთმა პაპმა კარდინალთა კრებას მოახსენა ჩელინის გამო, რომ საერთო კანონები და საერთო ავტორიტეტი ასეთი ხალხისათვის არ შექმნილა. მაგრამ ეს ის პაპი იყო, ვინც ციხეში ჩააგდო ჩელინი და იქამდე აყურყუტა იქ, სანამ დიდი მოქანდაკე ჭკუიდან არ შეიშალა. მას მოეჩვენა, რომ მზეს უყვარდა და გაურბოდა მას ერთი კოშკიდან მეორეში ქონგურ-ქონგურ ცოცვით. ერთხელაც, დილის ჰაერისგან მოთენთილი, ჩამოვარდა და დახეიბრდა. მევენახემ ვაზის ფოთლები დააფინა და ურმით მიუყვანა ხელოვანი თაყვანისმცემელს, რომელიც უვლიდა სიკვდილამდე.

რა არის ხალხი და მისი ავტორიტეტი? ხალხის ავტორიტეტი ბრმაა, ყრუა, საძაგელია, სასაცილოა, გასართობია, არასერიოზულია, უხამსია. მასთან ხელოვანის ცხოვრება არანაირად არ შეიძლება. ის ჰგავს უგულო ჯამბაზს და უსულო ქურუმს. გებრალებოდეთ იგი, ვისაც სილამაზე გიყვართ. თვითი მას სილამაზე არ უყვარს; მაგრამ ნეტავ თვითონაც ებრალებოდეს თავი.

ალორძინების ხანა დიადი იყო იმიტომ, რომ არ ზრუნავდა სოციალური საკითხების მოგვარებისათვის. ის მხოლოდ ინდივიდის თავისუფალ განვითარებას ესწრაფოდა. ამიტომაც ჰყავდა დიდი მხატვრები და დიდი ადამიანები.

ლუი XIV-მ კი შექმნა თანამედროვე სახელმწიფო და მოსპო ხელოვანის ინდივიდუალიზმი. ხელოვნება გაკოტრდა, იქცა მოსაწყენ განმეორებად და ერთფეროვნებად. მაგრამ არც წარსულია მთავარი და არც აწმყო. მთავარია მომავალი. მართლაც, რა არის წარსული? ეს ისაა, რაიც არ უნდა ყოფილიყო. რაღაა აწმყო? ის, რაიც არ უნდა იყოს. მხოლოდ მომავალია ჩვენს ხელთ და ის ხელოვანმა უნდა შექმნას.

დროა უარვყოთ ყოველი მეცნიერული სქემა ცხოვრების შესახებ. სქემა ხომ ისაა, რაც უკვე იყო ან არის, ანდა არსებული პირობებიდან გამომდინარეობს. მაგრამ სწორედ ეს პირობებია უარსაყოფი. მასთან შეგუებული ყოველი სქემა ყალბი და უგუნური იქნებოდა. როცა ეს პირობები აღიგვება პირისაგან მიწისა, მაშინღა შეიცვლება ადამიანის ბუნება.

ადამიანი იცვლება. აი, ერთადერთი სიმართლე, რაიც თქმულა ადამიანის ბუნების გამო. ფეხს წაიტეხს ყველა სისტემა, რომელიც ამას არ გაითვალისწინებს. ლუი XIV-ს კი ურყევად სწამდა, რომ ადამიანის ბუნება არასოდეს შეიცვლება. ეს იყო მისი შეცდომა. ამ შეცდომას მოჰყვა საკვირველი შედეგი – ფრანგული რევოლუცია. სამთავრობო შეცდომებს ყოველთვის საკვირველი შედეგები მოსდევს.

ინდივიდუალიზმი როდი მოგვევლინება სნეული პირფერული ფრაზებით მოვალეობის შესახებ; მოვალეობისა, რომელსაც სხვები ითხოვენ, რაღაი თვითონ სჭირდებათ. არც საძაგელი, თვალთმაქცური თავგანწირვის სახით გამოგვეცხადება იგი. ასეთი თავგანწირვა ველური სიმახინჯის გადმონაშთია. არა, ინდივიდუალიზმი არაფერს მოგვთხოვს. ის თვით ჩვენი ნების ამოქმედება იქნება. ეს ის მიზანია, რომელსაც ყოველი განვითარება ესწრაფვის. ეს ის შინაგანი დანაწევრებულობაა, რომლისკენაც მიიწევს ყოველი ორგანიზმი. ეს ის სისრულეა, რაითაც გვხიბლავს სიცოცხლის ყოველნაირი სახეობა.

ინდივიდუალიზმი არანაირ ძალას არ ატანს ადამიანს. პირიქით, ასწავლის, რომ საზიზღარია ძალადობა. არც სიკეთისაკენ მოგვიწოდებს, გვინდა თუ არა. მან იცის ერთი რამ: ადამიანი კეთილია, თუ ძალას არ ატანენ, თავს ანებებენ. ინდივიდუალიზმი მხოლოდ შიგნიდან ხარობს. სიცოცხლის ყვავილის დიადი გზა ინდივიდუალიზმია. სადაც ინდივიდუალიზმს გზებს უხერგავენ, იქ მხოლოდ სნეულებასა და სიკვდილს თესავენ.

არც ეგოისტური იქნება ეს ინდივიდუალიზმი და არც პირფერული. შემჩნეულია, რომ უზომო ტირანია სიტყვების უბრალო, პირვანდელ შინაარსს აუკუღმართებს. შერეკილიაო, იტყვიან ჩვენს დროში ადამიანზე, თუ ის საკუთარი გემოვნებით იცვამს; ისე, როგორც თვითონ მოსწონს. არადა, ასეთი ქცევა ხომ სრულიად ბუნებრივია? განა, შერეკილობა, პირიქით, ის არაა, რომ ჩავიცვათ სხვისი გემოვნებისამებრ? ისე, როგორც უმრავლესობას მოსწონს? უმრავლესობის აზრი ხომ მეტისმეტად ბრიყვულია!

ვთქვათ და ადამიანი ცხოვრობს ისე, როგორც მას მიაჩნია თავისი პიროვნების გაშლისა და განვითარებისათვის საუკეთესოდ. ვთქვათ და თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად საკუთარი თავის განვითარება დაუსახავს. ასეთ ადამიანს მაშინვე მიაწებებენ ეგოისტის იარლიყს. არადა, ეს ხომ ის გზაა, რომლითაც უნდა იაროს ყველამ. ეგოიზმი ის კი არაა, რომ ცხოვრობ საკუთარი სურვილისამებრ. ეგოიზმია მოითხოვო, რომ სხვებმაც იცხოვრონ

კვირას, 29 ივნისს
ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში“
გაიმართება შეხვედრა
**ზაზა შათირიშვილთან**
*დასაწყისი 15 საათზე*
ფურცელაძის 10

შენი სურვილისამებრ. ეგოისტი არა ხარ, თუ დაანებებ თავს ადამიანებს და აღარ ერევი მათს ცხოვრებაში. ეგოიზმი სულ იმის ცდაშია, რომ თავის გარშემო ერთფეროვნება გაავრცელოს. ინდივიდუალისტი კი, პირიქით, შეჰხარის მრავალფეროვნებას და ამკვიდრებს მას.

საკუთარ თავზე ფიქრი და ზრუნვა ეგოიზმი როდია. ვინც თავის თავზე არ ფიქრობს, ის არც არაფერზე ფიქრობს. მაგრამ არ უნდა ითხოვდე, რომ სხვებიც ზუსტად შენნაირად ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ. აი, ეს იქნებოდა ეგოიზმი. ან კი რად უნდა ითხოვდე ამას? თუ სხვა ადამიანს ფიქრი საერთოდ ძალუძს, ის, უეჭველია, განსხვავებულად იფიქრებს. ხოლო თუ მას არა აქვს ფიქრის უნარი, მაშინ სისულელეა მას მოსთხოვო ფიქრი. წითელი ვარდი ეგოისტი როდია, თუ სურს წითელ ვარდად ყოფნა. მაგრამ საშინლად ეგოისტი იქნებოდა, თუკი ისურვებდა, რომ ყველა ყვავილი ბაღში აუცილებლად წითელი ყოფილიყო და აუცილებლად – ვარდი.

ინდივიდუალიზმის პირობებში ყველა ადამიანი სრულიად ბუნებრივი და სრულიად არაეგოისტი იქნებოდა. მათ სწორად ეცოდინებოდათ სიტყვების მნიშვნელობა და ხორცს შეასხამდნენ მათ თავიანთ მშვენიერ, თავისუფალ ცხოვრებაში. ადამიანები აღარ იქნებოდნენ ისეთი ეგოისტები, როგორიც დღეს არიან. ეგოიზმი მათ აღარ მოჰგვრით სიამოვნებას.

ინდივიდუალისტი თანაგრძნობისკენაც ბუნებრივად და თავისუფლადაა მიდრეკილი. დღემდე თანაგრძნობის უნარს განვითარება არ განუცდია. ადამიანი, უკეთეს შემთხვევაში, ჭირში თანაუგრძნობს მოძმეს. მაგრამ ეს როდია ნამდვილი თანაგრძნობა. ყოველი თანაგრძნობა მშვენიერია, მაგრამ ტანჯვაში თანაგრძნობა – ყველაზე ნაკლებად. მას ეგოიზმის სუნი დაჰკრავს. უპირატესად, საკუთარი უსაფრთხოებისათვის ზრუნვა გამოკრთის აქედან. ჩვენ გვეშინია, რომ თავად შეიძლება აღმოვჩნდეთ კეთროვანის თუ უსინათლოს მდგომარეობაში და ვაითუ არავინ მოგვხედოს!

ინდივიდუალისტი კი თანაუგრძნობს არა მხოლოდ ტანჯვაში, არამედ, უპირველესად, სიხარულში, მშვენიერებაში, ძალაში, სიჯანსაღეში, თავისუფლებაში. ადვილია მეგობარს ტანჯვაში თანაუგრძნო. მაგრამ იმისათვის, რომ წარმატებაში თანაუგრძნო მას, საჭიროა მეტისმეტად დახვეწილი სული; სული ნამდვილი ინდივიდუალისტისა.

თანამედროვე კონკურენციის მტვერსა და ღრიანცელში ასეთი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იშვიათია. მას გზას უხშობს ერთფეროვნების, აგრეთვე წესებისადმი მორჩილების უზნეო იდეალი, ყველგან რომ გაბატონებულა; ინგლისში კი – განსაკუთრებით.

მწუხარებაში თანაგრძნობა, ცხადია, მუდამ იქნება. ეს ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი ინსტინქტია. გამოკვეთილი ინდივიდუალობის, ეგრეთ წოდებული მაღალი ჯიშის ცხოველებს ეს ინსტინქტი საერთო აქვთ ჩვენთან. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიხარულში თანაგრძნობა ამრავლებს სიხარულს ქვეყნად; მწუხარებაში თანაგრძნობა კი არ ამცირებს მწუხარებათა ჯამს. ის გვეხმარება უბედურების გადატანაში, მაგრამ უბედურება მაინც რჩება. ჭლექიანს თანაგრძნობა ვერ მოარჩენს. მას მხოლოდ მეცნიერება უშველის. როცა სოციალიზმი სიღარიბის პრობლემას გადაწყვეტს, ხოლო მეცნიერება – ავადმყოფობისას, სენტიმენტალისტების ასპარეზი შეიკვეცება და თანაგრძნობაც უფრო ჯანსაღი გახდება. ადამიანს გაახარებს სხვათა სიხარულიანი ცხოვრება.

მხოლოდ სიხარული იქნება მომავალი ინდივიდუალიზმის ნავსაყუდელი და ნამდვილი სტიქია. ქრისტეს არანაირად არ უცდია საზოგადოების გარდაქმნა. მაშასადამე, ინდივიდუალიზმი, რაიც მან უქადაგა ადამიანს, გათვლილი იყო მწუხარებაზე და განმარტოებაზე. ქრისტიანი უნდა განუდგეს საზოგადოებას და შორს განაპირდეს. მაგრამ ადამიანი, თავისი ბუნებით, საზოგადოებრივია. უდაბნოც კი, ბოლოსდაბოლოს, ხალხით გაივსო. ბერიც თავის პიროვნებას ამკვიდრებს, ოღონდ – მწირი სახით.

მეორე მხრივ, საშიში ისაა, რომ მწუხარებას საკვირველი ხიბლი ახლავს და ადამიანი მასში უკეთ ამჟღავნებს საკუთარ თავს. საეჭვო ღირსების მჭევრმეტყველები და მოაზროვნეები ხშირად ილაშქრებენ მაღალი ტრიბუნებიდან და კათედრებიდან ტკბობის იდეალის წინააღმდეგ. სიხარულისა და სილამაზის იდეალი კი ერთობ იშვიათია მსოფლიო ისტორიაში.

მწუხარებისადმი თაყვანისცემა გაცილებით ხშირია ისტორიაში. შუა საუკუნეები თავისი წმინდანებითა და ნამებულებით, თვითგვემით, საკუთარი თავისადმი ჭრილობის მიყენების ველური ჟინით, სხეულის დასერვითა და გამათრახებით – აი ეს შუა საუკუნეებია ნამდვილი ქრისტიანობა, ხოლო შუა საუკუნეების ქრისტე – ნამდვილი ქრისტე. როცა გამოკრთა აღორძინების სხივი, სიცოცხლისა და სიხარულის ახალი იდეალები, ადამიანებს უკვე აღარ ესმოდათ ქრისტე.

ამაში თვით ხელოვნება გვარწმუნებს. აღორძინების მხატვრები ქრისტეს გამოსახავდნენ ტოლებთან მოთამაშე პატარა ბიჭუნად, ანდა დედის მიერ ატატებულ ჩვილ ბავშვად, რომელიც უღიმის დედას, ყვავილს, ნათელ ჩიტუნას; ან კიდევ – კეთილშობილ, ამაღლებულ გმირად, ამაყად რომ ჰკვეთს ქვეყნიერებას; საოცარ მოლანდებად, რაღაცნაირ ექსტაზში რომ დგება მკვდრეთიდან. ჯვარცმულსაც თავისებურად გამოსახავენ – ბოროტი ადამიანების მიერ ნაგვემ მშვენიერ ღვთაებად.

კაცმა რომ თქვას, აღორძინების მხატვრებს ნაკლებად იზიდავდა იგი. მათ ადამიანი უფრო ხიბლავდა; მიწიერ სიმშვენიერეს გამოსახავდნენ მითი. ბევრ რელიგიურ სურათს ხატავენ ისინი; იმდენად ბევრს, რომ ერთი და იმავე ტიპის და მოტივის გამეორება მოსაწყენი გახდა და საზიანო შეიქნა ხელოვნებისათვის. ყოველთვის ასეა, როცა პუბლიკა ბატონად დაგისკუპდება ხელოვნებაში. ეს დასანანია ფრიად.

მაგრამ აღორძინების მხატვრების ნამდვილი სულისკვეთება სიუჟეტში როდი ჩანს. რაფაელი მართლაც დიადია, როცა პაპის პორტრეტს ხატავს, მაგრამ ნაკლებია მადონებისა და ჩვილი იესოს გამოსახვისას. ქრისტეს აღარაფერი აქვს სათქმელი აღორძინების ხანისთვის. რაღა უნდა უთხრას მან იმ დიად ხანას, რომელმაც ახალი, მისგან სრულიად განსხვავებული იდეალი მოიტანა? ამიტომ თუ გვინდა ქრისტეს მართალი გამოსახულება, შუა საუკუნეების ხელოვნებას უნდა მივაკითხოთ. იქ ქრისტე და-

მახინჯებული და დასახიჩრებულია. არ გესიამოვნება მისი შეხედვა, რადგან სიხარულს მხოლოდ სილამაზე განიჭებს. მისი ტანისამოსიც დასვრილია, მაშინ როცა სამოსელიც სიხარულს უნდა ჰფენდეს. არასმქონეა ის, მაგრამ სულით მშვენიერი; სულით ღვთაებრივი. არც საკუთრება სჭირდება, არც ჯანმრთელობა. ის ღმერთია, რომელიც თავის სისრულეს ტანჯვაში აღწევს.

ადამიანის ევოლუცია ძალიან ნელა მიმდინარეობს. საზღვარი არ აქვს მის უსამართლობას. ამიტომ ტანჯვა თან სდევს მთელ მის ისტორიას. მაშ, რა გასაკვირია, თუ ის რელიგიურ მცნებადაც იქცა? დღესაც კი, მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას, ქრისტეს მოძღვრება საჭიროა. ვეჭვობ, ვინმეს შეეძლოს თანამედროვე რუსეთში სრულყოფა ტანჯვის გაუვლელად. რუსების ხელოვნება, თავისი ხასიათით, შუასაუკუნეობრივია, რადგან მასში ტანჯვის მოტივი სუფევს.

ჩვეულებრივი რუსისათვის კი მწუხარება სრულყოფის ერთადერთი გზაა. თუ რუსი ბედნიერად ცხოვრობს დღევანდელი რუსული მმართველობის პირობებში, მას უთუოდ სწამს, რომ ადამიანს არა აქვს სული; ხოლო თუ აქვს, არა ღირს მისი განვითარება. ნიჰილისტია ის და უარყოფს ყოველივე ავტორიტეტს, რადგან ავტორიტეტი ბოროტებად მიაჩნია. ის მიესალმება ყოველგვარ ტანჯვას, რადგან გახლავთ ნამდვილი ქრისტიანი. მისთვის ქრისტიანული იდეალი ჭეშმარიტებაა.

მაგრამ ქრისტეს ხელი არ აღუმართავს ავტორიტეტზე. ის სცნობდა რომის იმპერიის ხელისუფლებას და იხდიდა ხარკს. ის ემორჩილებოდა ებრაული ეკლესიის ავტორიტეტს და მის ძალადობას. მას არ ჰქონია საზოგადოების გარდაქმნის არანაირი გეგმა.

თანამედროვე მსოფლიოს უკვე აქვს გეგმები. მას განუზრახავს სიღარიბის და მისგან მომდინარე ტანჯვის მოსპობა. მას სურს თავის დახსნა მწუხარებისგან და აქედან მომდინარე ტანჯვისგან. საშუალებად კი სოციალიზმი და მეცნიერება უფიქრია. მისი საბოლოო მიზანი კი ინდივიდუალიზმია, სიხარულში გამოხატული. ბევრად უფრო ფართო, სრული და მშვენიერი იქნება ეს ინდივიდუალიზმი, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

არა, ტანჯვა როდია სისრულის უმაღლესი მწვერვალი. ის მხოლოდ წინასწარი პროტესტია და უსამართლო, არაჯანსაღ, დამამცირებელ გარემო პირობებს უკავშირდება. როცა ნყენა, ავადმყოფობა და უსამართლობა მოიკვეთება, აღარც ტანჯვა იქნება. მისი საკეთებელი საქმე დასრულდება. დიდი იყო ეს საქმე, მაგრამ ის თითქმის დასრულდა. ტანჯვის ველი დღითიდღე იკვეცება.

ადამიანი ამ გზას დაადგა და არც შემცდარა. ასეა, რადგან მას არც ტანჯვა უძებნია ოდესმე და არც ტკბობა. ის სიცოცხლეს ეძებდა ნიადაგ. მას სურს იცხოვროს ნათელი, სრული, სისხლსავსე ცხოვრებით. როცა ის შეძლებს იცხოვროს ისე, რომ არც სხვა შეავიწროოს და არც სხვისგან შეიზღუდოს, მაშინ მისი ცხოვრება სიხარულად გადაიქცევა. ის უფრო ჯანმრთელიც იქნება, უფრო მხნეც, უფრო კულტურულიც და, მაშასადამე, უფრო ემგვანება საკუთარ თავსაც. ტკბობა ბუნების მიერ მომარჯვებული საზომია, მისგან მოწონების ნიშანია.

როცა ადამიანი ბედნიერია, ის სრულ თანხმობაშია საკუთარ თავთანაც და სხვებთანაც. ახალი ინდივიდუალიზმი იქნება სრული თანხმობა. ამას ესწრაფოდნენ ბერძნები, მაგრამ მიაღწიეს მხოლოდ აზრში. ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ ჰყავდათ მონები და ისინი არჩენდნენ. ამ თანხმობას უმიზნებდა აღორძინებაც, მაგრამ მიაღწია მხოლოდ ხელოვნებაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ ხანაშიც იყვნენ მონები – ადამიანები, რომლებიც შიმშილით იხოცებოდნენ. ახლა კი ეს დიადი თანხმობა სრულად განხორციელდება და მისი წყალობით ყოველი ადამიანი მიაღწევს თავის სრულყოფას. ახალი ინდივიდუალიზმი ახალ ელინიზმად მოგვევლინება.

თარგმნა
**ზურაბ ხასაიამ**

## მთარგმნელისაგან

ოსკარ უაილდი ინგლისური სიტყვის ნამდვილი დიდოსტატია. ამ მხრივ ის თვით შექსპირისა და ბაირონის ბადალი მხატვარია.

მის ამ ღირსებას სრულად შეიგრძნობს მხოლოდ ის, ვისაც ეს ენა ნატიფად ესმის. სამაგიეროდ ყველასათვის გასაგები და დაუვიწყარია უაილდის ლიტერატურული სტილი – პარადოქსების არაჩვეულებრივი კასკადი; სინამდვილისა და წარმოსახვის მარადიული თამაში. ამით აიხსნება მწერლის მიდრეკილება ზღაპრისადმი. მას სწამდა: სინამდვილეს ყველაზე ღრმად ზღაპარი გამოხატავს. გონებისათვის სინამდვილე სრულიად გაუგებარია. სინამდვილე ესმის მხოლოდ მას, ვინც გრძნობს მის მიუწვდომლობას და ზღაპრულ ყვავილობას.

სინამდვილის ზღაპრულობასთანაა გადაწნული უაილდის განუმეორებელი იუმორი. კაცმა რომ თქვას, ეს არცაა იუმორი. უაილდი არასოდეს ხუმრობს. ის სრულიად სერიოზულად ლაპარაკობს, მაგრამ ნათქვამი ხუმრობად ისმის. ეს იმიტომაა, რომ სინამდვილე თვითონაა ხუმრობა. ის ყირამალა უნდა ამტრიალდეს, რათა ოდნავ მაინც გამოჩნდეს.

უაილდი ამგვარი გამომწვევი სტილით წერდა და ცხოვრობდა. ზნეობრივი სიმტკიცით განთქმულმა ინგლისმა ამის გამო სასტიკად დასაჯა იგი.

უაილდის შემოქმედებაში მძლავრად ფეთქავს თავისებური რელიგიური ვნება. ის იყო არა მხოლოდ მწერალი, არამედ – ქადაგიც. რუსოს, ტოლსტოის, ნიცშეს მსგავსად, მანაც მწვავედ იგრძნო დასავლური კულტურის დასნეულება და მისი აღორძინების გზა იქადაგა. სულის ამ კვეთებითაა დადაღული ყველა მისი ნაწარმოები; მათ შორის – ქვემოთმოყვანილი ესეი.

ოსკარ უაილდის ეს ეტიუდი პირველად დაიბეჭდა ლონდონის ჟურნალში „Fortnightly Review“ (ორკვირეული მიმოხილვა) 1891 წლის თებერვალში. ოთხი წლის შემდეგ მწერალმა ის ცალკე წიგნად გამოსცა, ოღონდ რატომღაც – მცირე ტირაჟით და გასაყიდად არ გამოუტანია. მწერლის გარდაცვალების შემდეგ წიგნი რამდენჯერმე გამოიცა. ითარგმნა ფრანგულად და გერმანულად.

ეს საინტერესო ესეი უაილდის მკითხველისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ქართულად დღემდე არ თარგმნილა. ვფიქრობ, ქართველი მკითხველი გულგრილი არ დარჩება ამ თარგმანის მიმართ.

თარგმანი შესრულებულია ოდნავ შემოკლებულად.

იოსებ ჭუმბურიძე

# ვინ (რამ) შთააგონა ბარათაშვილს „მერანი"?

ამ შეკითხვაზე სკოლის მოსწავლეებიც კი დაუფიქრებლად გვიპასუხებენ: შამილის მიერ პოეტის უმცროსი ბიძის ილია ორბელიანის დატყვევებამ. საბუთსაც იქვე მოაყოლებენ – თვითონ ტატოს ბარათს, უფროსი ბიძის, გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილს: „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავი ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რალაც შვება მომცა. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო, ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ანუგეშოს რა".

მოსწავლე, ასეთი პასუხისთვის, უეჭველად „ფრიადს" (უფრო ზუსტად, „ათიანს") დაიმსახურებს, ლიტერატურის მკვლევარი კი... კითხვას ასე ადვილად ვერ „გადაურჩება".

ვერც მე „გადავურჩი", რადგან ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პუბლიცისტურ ასპექტებზე მსჯელობისას, სრული თავდაჯერებულობით აღვნიშნე: **„პირადი წერილები უხვ ინფორმაციას გვაწვდის, რაც თავისთავად გამოკვეთს მათს პუბლიცისტურობას. მით უმეტეს, რომ ინფორმაცია, ხშირად, უნიკალური და ფასდაუდებელია. მაგალითად, რომ არა გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ერთ-ერთი ბარათი, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა ის შემოქმედებითი იმპულსი, რამაც „მერანის" დაბადება განაპირობა" (ჟურნალისტური ძიებანი, ტ. X, 2008 წ.).**

ამას რომ ვწერდი, რატომღაც, მხედველობიდან გამომრჩა, სულ ხუთიოდე წლის წინათ ხელმეორედ გამოცემული წიგნი, რომელიც მიმანიშნებდა, რომ ჩემი თავდაჯერებულობა სულ მცირე ორ პიროვნებას მაინც მოჰგვრიდა ირონიულ ღიმილს: პავლე ინგოროყვას და როსტომ ჩხეიძეს.

ყველა ადვილად მიხვდებოდა, რომელი წიგნი და ორი პიროვნებაც იგულისხმება: „როსტომ ჩხეიძის „ბედი პავლე ინგოროყვასი".

ეს ორი პიროვნება სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს: „მერანის" შთამაგონებელი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო და არა ილია ორბელიანი. ის, რასაც პოეტი უფროს ბიძას სწერს, მხოლოდ კონსპირაციული ხერხია.

სამისოდ, მათ არაერთი საბუთი აქვთ. უმთავრესი კი ეს არის: **„ბარათაშვილს თავიდანვე ერჩია, ხმა ასე დაეყარა, თორემ ილია ორბელიანის დატყვევება ძალიან** პატარა საბაბი, უფრო მეტიც, სრულიად შეუსაბამო საბაბი ჩანდა ამხელა შთაგონებისთვის: შინაგანად გაორებული, დაბნეული კაცის სახე – კაცის, ვინც თავისი მამულის დამპყრობთა მხარდამხარ იბრძოდა სხვისთვის თავისუფლების წასართმევად – განა ასეთი განზოგადებისთვის გამოდგებოდა? არა და არა, „მერანის" უსაზღვრო არე და სული ასე ხომ ერთბაშად დაკნინდებოდა".

არანაკლებ დამაჯერებელ საბუთად მოსჩანს ის ლეკური თქმულებაც, რომლის თანახმად, „ალექსანდრე ბატონიშვილს მფრინავი ცხენი ჰყოლია, იმ ცხენით დაჰქროდა, უცებ გაჩნდებოდა, სადაც საჭირო იყო, უცბადვე გაჰქრებოდა, ღრუბლებს გაეკვროდა, გადაიელვებდა (თქმულების შინაარსი შემონახულია ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ვასილ ბარნოვი").

აი, ეს ლეკური თქმულებაც უნდა ყოფილიყო „მერანის" შთამაგონებელი".

პავლე ინგოროყვას და როსტომ ჩხეიძეს სხვა საბუთებიც აქვთ იმის საჩვენებლად, რომ **„მერანი" არამცთუ ილია ორბელიანის დატყვევებით არ შეიძლება იყოს შთაგონებული, არამედ ეძღვნება სწორედ ილია ორბელიანის სრულიად საწინააღმდეგო სულისკვეთებისა და ეროვნული მრწამსის პიროვნებას".**

ამ მიგნების სიხარული პავლე ინგოროყვას სანდრო ახმეტელისთვის გაუზიარებია და „ისიც ურჩევია, კარგი იქნება, პიესა რომ დაგედგა ალექსანდრე ბატონიშვილზე, შენი თეატრის გმირულ-რომანტიკულ სტილს სწორედ ეს შეეფერებაო. ახმეტელს ძალიან მოსწონებია „მერანის" ასეთი ახსნაც, ის ლეკური თქმულებაც, პიესის დადგმის იდეაც".

პიესის დაწერა უთხოვია ახალგაზრდა მწერლისთვის, რომელიც მასთან საკუთარ ნათლიას, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს მიუყვანია. უთხოვია, მაგრამ... „მოგვიანებით გიორგი შატბერაშვილი სინანულით იტყვის, ახმეტელს ეს სურვილი ვერ შევუსრულეო. გული წყდებოდა, მაგრამ მისი ბრალიც არ იყო, ვინ აცალა ჩანაფიქრის აღსრულება".

* * *

რამდენ გამოჩენილ კრიტიკოსს უკვლევია ბარათაშვილის შემოქმედება, მაგრამ ეს საკითხი საეჭვოდ არ გაუხდია.

მაგალითად, **გურამ ასათიანი** წერს: „როგორც ცნობილია, „მერანის" შექმნას სწორედ ილია ორბელიანის ტყვეობის ამბავმა მისცა ბიძგი". მას ოდნავი დაეჭვებისკენაც არ უბიძგებს ის გარემოება, რასაც, ცოტა ქვემოთ, თავადვე გახაზავს: **„ბარათაშვილისთვის ილია ორბელიანი აღტაცების საგანიც იყო და, ამავე დროს, მკვეთრად ანტიპოდური პიროვნებაც".**

ერთადერთი, ვისაც ინტუიცია რაღაცას მიანიშნებდა, აკაკი განერელია იყო:

ბარათაშვილის ზემოხსენებულ წერილს რომ მოიხმობდა, ის აღნიშნავდა:

**„ეს სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ გვავალდებულებენ „მერანის" ახსნისა და დაფასების დროს. ლექსში გადმოცემულია არა ილია ორბელიანის ფიქრები, არა-**

მედ თვითონ ბარათაშვილის სულიერი განწყობილება, ის „სხვადასხვა უცნაური ფიქრი“, რომელიც შემდეგ სტროფების რიტმში გადმოილვარა... „მერანის“ არქიტექტონიკა, მისი რთული მეტრული წყობა და სხვადასხვა ზომის სტროფების ერთმანეთთან შეხამების სისტემა ამხელს, რომ ეს ნაწარმოები დიდხანს მწიფდებოდა ბარათაშვილის არსებაში. „მერანი“ სამშობლოდან და ნათესავებისგან გაქცეული ადამიანის სულის ექსტატური ყიჟინაა და არა უცხოეთში დატყვევებული ოფიცრის სულიერი განწყობილება: აულ დარლოს ორმოებში დაპატიმრებული ადამიანისათვის ნ. ბარათაშვილის ასეთი ფიქრები სრულიად შეუსაბამოდ უნდა მიეჩნიოთ“.

შეუსაბამობა აქ „დაჭერილია“, მაგრამ პავლე ინგოროყვას ინტუიცია (ზოგს რომ ფანტაზია ჰგონია!) უფრო შორს მიდის.

პავლე ინგოროყვა უფრო „როსტომისაა“.

აკაკი განერელია – „უფრო ჩემი“.

მაგრამ ჭეშმარიტება (ისევე, როგორც სამშობლო) ყველაფერზე მაღლა დგას.

ჭეშმარიტება კი, აქ, პირველის მხარეზეა.

მართალს ბრძანებს აკაკი განერელია:

ბარათაშვილის ფიქრები სრულიად შეუსაბამოა ილია ორბელიანისათვის.

მაგრამ აქ გაჩერება შეუძლებელია.

ინტუიცია აკაკი განერელიასაც განსაცვიფრებელი ჰქონდა, მაგრამ, რატომღაც, ბოლომდე არ მიჰყვა, ეტყობა, მაინცდამაინც პავლე ინგოროყვა უნდა იყო, რომ ესეც დაუმატო:

ბარათაშვილის ფიქრები სრულიად შეესაბამება ალექსანდრე ბატონიშვილს.

ჩემთვის, საეჭვო და გასარკვევი აღარაფერია.

მხოლოდ ერთი კითხვაღა მაწვალებს:

ცნობილი იყო თუ არა აკაკი განერელიასთვის ის ლეგენდური თქმულება – დაღესტანს და, საერთოდ, კავკასიას ხომ ისიც ზედმიწევნით კარგად იცნობდა?

***მინაწერი:*** *ამას წინათ, ორი უნებლიე შეცდომის გასწორებას რომ ვჩქარობდი – საშიშია, არ გამისამდეს-მეთქი („ჩვენი მწერლობა“, 10), არც კი ვიცოდი, რომ, თურმე, კარგა ხნის გასამებული ყოფილა. ყველაზე სერიოზული შეცდომის შესახებ არც კი მცოდნია. თავს იმითღა ვინუგეშებ, რომ რაკი გასამდა, საშიშროება ამითაც მოხსნილი უნდა იყოს.*

---

ქეთევან ჯერვალიძე

# აკაკი წერეთელი ხატის წინ

**ჩვენს მიერ ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების განხილვას ამოსავალ თეზად ედება შემდეგი სიტყვები: გრამატიკა ენის სულია, ლიტერატურა – სულის წვრთნა. გარდა ამისა: „სიტყვა ეს სალვთო ქარაგმაა,“ კოსმიური შიფრია ადამიანისათვის ამოსაცნობად გამოგზავნილი“ (მირჩა ელიადე), თანაც „სიტყვას არ გააჩნია სივრცისა და დროის მიღმური არსებობა“ (კასირერი). ამ ორი თვალსაზრისის წინაშე კრთების და განცვიფრდების გონება კაცისა.**

ხატი, ეს ეგვიპტური თუ ურარტული წარმომავლობის სიტყვა, რომელსაც ორგვარი შინაარსი აქვს ძველ ქართულში – 1. სახე, გამოსახულება, მსგავსება, „ფერი“... 2. საკულტო დანიშნულების საგანი, „სარკმელი ადამიანისათვის ღვთის შემეცნებისა და შეცნობის გზაზე“ – აკაკიმ თავისი უმშვენიერესი ლექსის სათაურის შემადგენელ ნაწილად აირჩია. ხატის, როგორც ქრისტიანული საკულტო დანიშნულების საგნის წერილობითი ფიქსაცია პირველად გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვხვდება და ის სულიერის რანგშია აყვანილი. მამა გრიგოლმა და მისმა თანმხლებმა პირებმა კონსტანტინოპოლიდან „...მოიყვანნეს ნაწილნი წმიდათანი და ხატნი წმიდანი“. აკაკიმ ლექსი „ხატის წინ“ 1894 წელს დაწერა. ამ დროს ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ არ იცნობდა გიორგი მერჩულის ქმნილებას, რომელიც ნ. მარმა 1902 წელს იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკიდან გადმოწერა, ხოლო 1914 წელს გამოსცა. მაშასადამე, აკაკის ლექსი ვერ დაუკავშირდება ერისთვის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ძეგლის აღმოჩენით გამოწვეულ სიხარულს. არ არის გამორიცხული, რომ მგოსნის მიერ ლექსისათვის ასეთი სათაურის შერჩევა დიდი განსჯის შედეგიც იყოს.

„ხატის წინ“ დაარქვა ლექსს თანაც იმ დროს, როცა საყოველთაოდ და საქართველოშიც დაწყებულია შეტევა ღვთისა და ხატის წინააღმდეგ და საკუთარი თავი, როგორც შემოქმედმა, წამგებიან მდგომარეობაში ჩაიყენო, არ გახლავთ იოლი საქმე. მე, პირადად, დღევანდელი გადასახედიდან პოეტის არჩევანი პროტესტის ფორმადაც კი მეჩვენება. აკაკის თავისუფლად შეეძლო ლექსის სათაურად სხვა რამ გამოეტანა, თუნდაც მისი პირველი სტროფის, პირველივე სტრიქონის პირველივე სიტყვა – „მიყვარს...“ და შემდეგ სამი წერტილი დაესვა. ჰოდა, ახლა ჩვენც ამ სიტყვით დავიწყოთ ერთი შეხედვით მარტივზე მარტივი, თუმცა უმარტივესი ლექსის განხილვა. საზოგადოდ, აკაკის ლექსების დიდ ნაწილს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „მარტივად რთული ლექსები“, ვინაიდან ბევრ მათგანში ურთულესი აზრი გადმოცემულია უმარტივესი ფორმით, რასაც გარკვეულ წილად პოეტის იმერლობაც განაპირობებს.

მგოსანი პირველ სტროფში ნებისმიერი მკითხველისა და მსმენელის მზერის არესა და ყურთასმენის ველში ათავსებს თავისი სიყვარულის ობიექტს. მაგრამ ეს ობიექტი არ გახლავთ მხოლოდ ნივთიერი სახის მქონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ: ან სანთელი, ან ხატი ცალკე აღებული. ეს ხატის, როგორც საკულტო საგნის წინ დანთებული სანთლის წვის პროცესია, ერთი შეხედვით ბუნებითი და ჩვეულებრივი. სანთელს, ქვემდებარეს, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, შემასმენლის და – ქვე – მდებარება - ში მყოფ წევრს მსაზღვრელად უზის ზედსართავი სახელი წმინდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ის თაფლის სანთელია და მისი ყოფითი დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. წმინდა სანთელი არის სიმბოლოც, ღვთისმსახურების აუცილებელი კომპონენტიც და საეკლესიო შესაწირიც.

ანთებული სანთელი, თანაც ხატის წინ, როგორც ხილული იდუმალება ასახიერებს ღვთიურ მადლს, მარადიულ სულიერ ნათელს და ქებათაქებად აღიწევა ღმერთამდე. გავიხსენოთ ბარათაშვილის სიტყვები: „... მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი, ანგელოზთაგან იკვროდა მუნ დავითის ქნარი და განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი".

ხატის წინ დანთებული სანთელი ეს ღვთიური დაცვის ხილული ნიშანია, ეს გონიერი ნათლის სახეა, ქმნილსა და შემოქმედს შორის დამაკავშირებელი ხიდია. „მე ვარ ნათელი სოფლისა" – თქვა უფალმა.

**მიყვარს, როდესაც ხატის წინ**
**ანთია წმინდა სანთელი**
**და საიდუმლო პარპალით**
**ბნელს ფანტავს მისი ნათელი.**

უკვე ლექსის პირველი სტრიქონის სიტყვები „მიყვარს, როდესაც..." მიანიშნებს იმაზე, რომ შესაძლებელია, და ასეც ხდება ხოლმე, ხატის წინ სანთელი ყოველთვის არ ენთოს. ხატი, ანთებული სანთლის გარეშე არ არის თვითკმარი მხატვრული სახე პოეტისათვის. თვით შემასმენლის ფორმაც – „ანთია" – სტატიკური ვნებითი საგანგებოდ არის შერჩეული, ცხადია ღვთიური შთაგონებით.

სანთლის უპირველესი თვისება გა-ნათ-ებ-ა-ა, რაც პარპალით, ცეცხლის ალის ნელი რხევით ხორციელდება და რასაც შედეგად ბნელის გაფანტვა მოსდევს. ის, რომ ეს „ბნელი" აუცილებლად ხილულ და უხილავ კოსმიურ ბოროტებას მოიაზრებს, გადმოცემულია ვითარების გარემოებაზე - „პარპალით' – მსაზღვრელ „საიდუმლოს" დართვით. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში სანთლის დანთების პრაქტიკა 325 წელს ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ დააკანონა და ეს წესი ჩვენ უკვე გვხვდება იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამებაში". სანთლის დანთების ტრადიცია ახასიათებდა როგორც წარმართულ რელიგიებს, ასევე ზოროასტრიზმს.

აკაკის ლექსის პირველი სტროფი ანუ თეზა, ანუ სიყვარულის ობიექტის გამხელა მთლიანობაში ერთი ქვეწყობილი წინადადებაა, რომელშიც მთავარი წინადადება სულ ერთი სიტყვითაა გადმოცემული, იმ ერთით, რომელიც ჰაერივით გვჭირდება ჩვენ, ყველას, ახლა და ეს ერთი სიტყვა გახლავთ მისი უდიდებულესობა – „ მიყვარს". მისდამი ჩვენი კეთილგანწყობის გამოსახატავად, რადგან სიტყვათქმნადობის არანაირი შედეგი არ გვაკმაყოფილებს ჩვენში, შეიძლება, ისეთ დიდ ავტორიტეტებს მივმართოთ, როგორნიც მახარებლები არიან და მათი „თავსაკიდურ ცათა" გამოვიყენოთ. „თავსაკიდურ ცათა", ანუ სასაძირკვლე ქვა ეს მაცხოვარია, მაგრამ სიტყვაც მაცხოვარია და სიყვარულიც. სიტყვა და სიყვარული, ეს უდიდესი ძალის იარაღები, წინ უსწრებენ ნებისმიერი სახის „შესაქმეს". ჩვენმა გენიალურმა პოეტმაც სწორედ სიტყვა სიყვარულით დაიწყო.

როგორც ვთქვით, „მიყვარს" – ეს მთავარი წინადადებაა, გადმოცემული ინვერსიული ზმნით, ანუ მასში მომხდარია პირის ნიშნების შებრუნება, ლოგიკურად მე, ის, გრამატიკულად – ის, მე. ამ ზმნის ინვერსიულობა დიდი ისტორიული გზით არის განპირობებული. ეს ერთი შეხედვით წვრილმანი რამ, სინტაქსში სხვაობას იძლევა. თუ მთავარ წინადადებას ლოგიკურად შევუწყობთ პირებს, მაშინ ქვეწყობილი წინადადება ირიბი დამატებით დამოკიდებული გამოვა, თანაც ეს ირიბი დამატება სახელობით ბრუნვაში იქნება დაბრძანებული. ხოლო გრამატიკული ნიშნების მიხედვით შეწყობა კი დამოკიდებულ წინადადებას ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების სახეს მისცემს. რაც შეეხება, თვითონ დამოკიდებულ წინადადებას, ის გახლავთ რთული თანწყობილი, ორი მარტივი გავრცობილი წინადადებით შემდგარი. ასეთი რთული კონსტრუქციები სამწუხაროდ დღეს აღარ ისწავლება. არადა, აბა დააკვირდით რა ლამაზია, რა იდუმალ შემომგზნები, დამათრობელი და ზეაღმტაცი. ასეთ წინადადებებს სიმფონიებიც კი შეიძლება ვუწოდოთ...

მაგრამ პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ, თუკი აკაკი ლექსის პირველ სტროფში სანთლის ბუნებრივ და მისტიკურ დანიშნულებაზე საუბრობს, მეორეში ის სანთლის სიმბოლურ ფუნქციას უსვამს ხაზს. სანთელი ეს „დიადი მსხვერპლის", ანუ მაცხოვრის სიმბოლოა, ვისი მეშვეობითაც მამაღმერთმა „სამოთხიდან გამოვრდომილსა მას კაცსა, დაცემულსა, ზეცად აღუწოდა და მიუწვდომელს მას საიდუმლოსა ღირს ყო..." რა არის ეს საიდუმლო? როგორც მეორე საუკუნის თეოლოგი ირინეოსი გვიხსნის: „მაცხოვრის საწუთროში გარდამოხდომა ეს მკურნალობის მეთოდია. ძე ღვთისა ხდება ძე კაცისა, რათა მიმადლებით ძე კაცისა ძე ღვთისად იქცეს".

მაცხოვარმა თავისი მსხვერპლშეწირვის მადლით „თვალუწვდენელი წყვდიადი გაასპეტაკა", მაგრამ ეს არ მოხდებოდა, თუკი მისი ქმედება არ იქნებოდა ნებაყოფლობითი. მგოსანმა დიადი მსხვერპლის ნებელობა გადმოსცა სამი მიჯრით გამოყენებული სიტყვით: „მყუდროდ, უხმოდ, უძრავად". ამათგან პირველი ჩვენი მთის (აღმოსავლეთ საქართველო) საკრალური ლექსიკის ერთ-ერთი ძირითადი სიტყვათაგანია – (მ) – ყუდრო.

**მყუდროდ, უხმოდ და უძრავად**
**დნება თვით მსხვერპლი დიადი,**
**რომ მადლით გაასპეტაკოს**
**თვალუწვდენელი წყვდიადი**

გავიხსენოთ ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვის მომენტი „ჰაბოს წამებიდან", „ბაში-აჩუკიდან", „ბახტრიონიდან", ლორთქიფანიძის „ქედუხრელნიდან" და ა.შ.

სინტაქსის თვალსაზრისით მეორე სტროფიც ერთი ქვეწყობილი წინადადებაა. მისი პირველი ნახევარი მთავარია, მეორე – მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადება. თავის მხრივ, მთავარი გარემოებებით შერწყმული წინადადებაა. მისი შემასმენელი უნიშნო დინამიკური ვნებითი გვარის ზმნით არის გადმოცემული, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი კი მოქმედებითი გვარისაა, და მიზნიდან გამომდინარე, მეორე სერიის მეორე კავშირებითის მწკრივშია წარმოდგენილი. მადლი – სულიერების თვალსაზრისით, უდიდესი რამ, სინტაქსის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ უბრალო დამატებაა, წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი. თუმცა. ამ უბრალოებაში მაინც იგრძნობა მისი მნიშვნელოვანება. ის უბრალოდ უბრალო დამატება კი არ არის, არამედ საჭურვლის, იარაღის უბრალო დამატებაა მოქმედებით ბრუნვაში.

ამრიგად, პოეტი ლექსის პირველ ორ სტროფში გვესაუბრება თავისი სიყვარულის ობიექტის მისტიკურ და სიმბოლურ დანიშნულებაზე, ხოლო მესამეში გვიზიარებს თავის სულიერ განცდებს ამ „დიდ ძალის" ცქერით გამოწვეულს. მგოსანი ფრაზაში – დიდ ძალს – ადამიანის თავისუფალი ნებისა და ღვთის განგებულების დამთხვევას გულისხმობს, ვინაიდან მისი აზრით, ვერანაირი გმირული ქმედება ვერ განხორციელდება, თუ ადგილი არ ექნა პიროვნებაზე „ღვთის მადლისა და მირონის გადმოსვლას",(იხ. „თორნიკე ერისთავი"). ამავე სტროფის მეორე სტრიქონში აკაკი მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამოთქმაში – „ტკბილ-მწარე" – აადგილებს წევრებს. ვილებთ კომპოზიტს – „მწარ – ტკბილად", - რასაც საფუძვლად კვლავ ქრისტიანულ-ქართული ტრადიცია უდევს: „ბოროტსა სძლია კეთილმან..."; „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი..." და ა.შ.

პიროვნების თავგანწირვა მნახველში, მსმენელში, უპირველეს ყოვლისა, მწარე განცდებს ბადებს, შემდეგ კი ეს მწარე განცდები სიტკბოებაში გადადის, ამაღლებს მათ და ბაძვად განაწყობს. აკაკის გზა „მწარ-ტკბილისა" ერთგვარად უახლოვდება არისტოტელესეული კათარზისის გზას. ეს კათარზისის გზა კი ნამდვილად საკვირველი რამაა, რაც თუნდაც იმითაც დასტურდება, რომ პოეტს თავს „ცის სვეტად" განაცდევინებს. თუ ჩვენ ცის სვეტთა დანიშნულებასა და რაოდენობას ჩავუღრმავდებით, მყისვე მივხვდებით, რომ ეს სიტყვები არ გახლავთ ოდენ უბრალო, პროფანირებული შედარება. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" „დაუცემელი ცის სვეტები" – ეს მამა გრიგოლის მოწაფენი არიან. ცათა საძირკველი მაცხოვარია, დაუცემელი სვეტნი კი მისი საუკუნიდან საუკუნეში გადამსვლელი მიმდევრები, რომ არა მათი თავდადება, „ცა ფეხად ჩამოვიდოდა" და დაუბრუნდებოდა შესაქმემდელ მდგომარეობას.

აკაკი რომ ძალზე ამაღლებულად წარმოგვიდგენს საკუთარ თავს ამ სტროფში იმითაც დასტურდება, რომ „დიადი მსხვერპლის" მახასიათებლები, ერთის გამოკლებით, პოეტის მახასიათებლების იდენტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორი მზად არის მიმადლებით ძე ღვთისად იქცეს და საკუთარი პერსონა მომავალ მსხვერპლთა რიგში ჩააყენოს.

**მივჩერებივარ ამ დიდ ძალს,**
**მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული,**
**მეცა უსიტყვოდ, უძრავად,**
**ცის სვეტად გაქვავებული.**

რაც შეხება სინტაქსს, მეგობრებო, აქაც დიდი მოულოდნელობა გველოდება. მთელი სტროფი ერთი ვითარების გარემოებებით შერწყმული წინადადებაა, ხოლო ქვემდებარეს, რადგან ის პირის ნაცვალსახელითაა გადმოცემული, აქვს შესაძლებლობა, განკერძოებული განსაზღვრებები მარჯვნივ და მარცხნივ ამოიყენოს, წინ და უკან, ზევით და ქვევით ბრწყინვალე გაშლილ სხივთა კონად შემოივლოს.

ხატის წინ დანთებული სანთლის დაჟინებით ყურება ლექსში გადმოცემულია დონიანი დინამიკური ვნებითის ორპირიანი ფორმით – „მივჩერებივარ" (III სერიის I თურმეობითი), (ახალი თაობის, ორიენტირად ვიღებ 1992 წელს, აბსოლუტურ უმრავლესობას არათუ წარმოდგენა არა აქვს ჩვენი ენის გრამატიკაზე, ე. ი. მის თეორიაზე, კითხვის დასმითაც ვერ გადაჰყავთ დინამიკური, სტატიკური და საშუალ - ვნებითები III სერიის მწკრივებში. აქედან დასკვნა...), რაც განწმენდს პოეტის ბუნებით მზერას და მას ენიჭება უნარი უცნაური სახილველი იხილოს, განიცადოს, აზრად გადაადნოს და სიტყვაში გაასაგნოს, თუმცა თვითონ იგი, თავისი დიდი წინაპრების მიბაძვით (ამ შემთხვევაში ძალაში შედის ისტორიული გენეტიკის კანონი), თვითდამცრობა - დაკნინების მეთოდს მიმართავს და გვეუბნება:

**რაღაც უცნაურ ერთობას**
**ვხედავ სანთელს და ჩემ შუა,**
**მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება**
**ჩემი გონება და ჭკუა.**

გონება ეს ინტელექტია, ათვისების, მიღებული ინფორმაციის დაგროვების უნარი, ჭკუა კი მისი პრაქტიკაში გამოყენების ნიჭი, რისი აუცილებლობაც ჯერ კიდევ პირველმა სოფისტიკამ დააყენა დღის წესრიგში.

რაც შეეხება ამ სტროფის სინტაქსს, აქ, ილიასი არ იყოს, შეიძლება ფეხი მოვიტეხოთ და კისერიც მივაყოლოთ ზედ, მაგრამ ნუ შევშინდებით, მოვიმარჯვოთ გასაღები, ე. ი. მისი აღმატებულება შემასმენელი და შევაღოთ მისი საიდუმლოს კარი. დავინახავთ, რომ როგორც ქუხს, ისე არ წვიმს. მთელი სტროფი რთული თანწყობილი წინადადებაა მაპირისპირებელი კავშირით –„თვარა-თორემ". მისი პირველი ნახევარი კი შემასმენლებითა და უბრალო დამატებებითაა შერწყმული – მე „ვხედავ", მე „ვგრძნობ"; ვის შუა ვხედავ ერთობას? „სანთელს და ჩემ შუა". ზემოხსენებულ შემასმენელთა შორისაც იგულისხმება მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ", მაგრამ ის, როგორც უადგილო, გამოტოვებულია.

შემდეგი სტროფიდან კი ვიგებთ, რომ წინარეში პოეტის უძლურებაზე საუბარი, მართლაც პირობითი ყოფილა, ვინაიდან ადამიანის რაობის ქრისტიანული არსი, მისი დიქოტომური ბუნება აკაკის არაჩვეულებრივი სიმარტივითა და სიცხადით აქვს მკითხველის სამსჯავრიზე გამოტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სანთელი ჩემი ხორცია,**
**სიცოცხლე – მოკლე პატრუქი,**
**ნათელი – ჭკუა-გონება,**
**იმათგან გამონაშუქი.**

ადამიანი მიწისა და ზეცის, ხორცისა და სულის (იგივე სიცოცხლის) ერთობაა. ამ ერთობიდან კი შუქდება ნათელი – ჭკუა და გონება. აკაკისათვის მიუღებელია, სულისა და ხორცის კავშირმა სიბნელე მოგვცეს, ან თუნდაც ამ ჭკუა-გონებას ხან ეშმაკი დაეპატრონოს, ხანაც ანგელოზი. იმის თქმა, რომ მგოსანი პავლეს ეპისტოლეებს არ იცნობდა, დიდი მკრეხელობა იქნება. XIXს-ის დიდ ქართველ შემოქმედთათვის ბოროტების ანატომიის დეტალური კვლევა, მისი ახსნა არ არის თვითმიზანი. მით უმეტეს, აბსოლუტურად მიუღებელია მისი გამართლება, მიუღებელია ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე: 1. დაკარგულია პოლიტიკური დამოუკიდებლობა; 2. გაუქმებულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; 3. ქართულ ენას წართმეული აქვს სახელმწიფო და სალვთისმსახურებო ფუნქცია; 4. სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი მთლიანად უცხოთა ხელშია.

რაც შეეხება სინტაქსს, აქაც სიახლე გველოდება. მთელი სტროფი ერთი რთული თანწყობილი წინადადებაა, სულ რალაც სამი მარტივი წინადადებისაგან შემდგარი. პირველი მარტივი გავრცობილია. მისი შემასმენელი კი შედგენილია ხორცი + ა, მეორეც ასევე, გავრცობილია, მაგრამ შედგენილი შემასმენელი მხოლოდ მისი სახელადი ნაწილით არის წარმოდგენილი – „სიცოცხლე", გამოტოვებული მეშველი ზმნის ადგილას „არის" კი დაწერილია ტირე. მესამე წინადადება მარტივი გაუვრცობელია. აქაც მხოლოდ სახელადი ნაწილი გვაქვს შედგენილი შემასმენლისა, მაგრამ სამაგიეროდ ქვემდებარეს ახსივოსნებს განკერძოებული განსაზღვრება. ღმერთო, რა გვეშველებოდა, ეს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები რომ არ გვქონდეს?!

მაგრამ დავუბრუნდეთ პირველ სათქმელს. ლექსის ჩვენს მიერ განხილული ხუთივე სტროფი სინამდვილეში არის მხოლოდ ექსპოზიცია, თუ გნებავთ პროლოგი, ერთგვარი ალსავლის კარი, არგუმენტირებული შესავალი მთავარი სათქმელისათვის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ოთხ სტრიქონს მოიცავს:

**ჩემი ხატია სამშობლო,**
**სახატე – მთელი ქვეყანა,**
**და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,**
**არ შემიძლია მეც, განა?**

როგორც თავიდან ვთქვით, მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ხატი სარკმელია ღვთის შემეცნებისა და შეცნობის გზაზე. ილიასთვის, აკაკის, ვაჟასა და ყაზბეგისათვის სამშობლოა ხატთა ხატი, ზეციური სამშობლოს, ცათა სასუფევლის მატერიალიზებული და ხილვადი გამოვლენა, გამოვლენა იმ სამშობლოსი, რომლის მხოლოდ ბუნდოვანი ხსოვნაღა რჩება ხორცში ჩამოსულ ადამიანს. მათი ცნობიერება კონკრეტულიდან, თვალსაჩინოდან მიემართება ზოგადისა და უხილავისაკენ, მაგრამ ეს გზაც კურთხეულია სახარებით. თუმცა, სამშობლოსადმი სიყვარული არ გამორიცხავს სხვა ერებისა და ქვეყნების პატივისცემასა და საიყვარულს, ვინაიდან ერთიც და მეორეც „ფერუთვალავი მშვენიერებით" ალვსილი ქვეყნიერების სამკაულია, კურთხეული სულთმოფენობისას უფლის მიერ.

თუ სამშობლო ხატია, მაშ არათუ პოეტის; არამედ ყოველი რიგითი ქართველის სწრაფვა ამ ხატისაკენ, მისდამი სალვთო ვალდებულებისა და მსახურებისაკენ უნდა იყოს მიმართული. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი სახის ოქსიმორონი, შეუთავსებელთა შეთავსება: კარგი პოეტი - უზნეო ადამიანი, კარგი მომღერალი – ქურდი, და ა.შ. კარგმა პროფესიონალიზმა არ უნდა გადაწონოს და შეიწიროს მამულიშვილობა.

მაგრამ სტროფის ბოლოს აკაკის მიერ კითხვის ნიშნის დასმა მიგვანიშნებს იმაზე , რომ სამშობლოსათვის ერთგულება დასაცინი და საქილიკო გამხდარა. და მართლაც, თუკი ჩვენ ორ გუბერნიად წარმოდგენილი ჩვენი სამშობლოს ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ რომ ამ კითხვის ნიშნით პოეტი არსებულ რეალობას ეკამათება. მოგეხსენებათ, XIXს-ის 70-იანი წლებიდან ასპარეზზე გამოდიან ე.წ. „ნაროდნიკები", რომელთა ერთ ნაწილს საერთოდ არ აწუხებს ეროვნული პრობლემა, ილიას მგზავრის გულისტკივილი მათთვის „უკვე დაძლეულია". 90 - იანი წლებიდან კი ჩნდებიან ნყეული „მესამე დასელები", რომელნიც კიდევ უფრო გაშმაგებით უარყოფენ ფარნავაზის ეპოქიდან გაცნობიერებულ სამებას: მამული, ენა, სარწმუნოება. ის, რაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს სხვა ერების, მაგალითად, სომეხი სოციალ-დემოკრატებისაგან განასხვავებს, ეს მათი გონებრივი სიბეჩავე და თვალსაწიერის სივიწროვეა. ვაჟამ სამართლიანად უწოდა მათ „ყვავ-ყორნები" და „ტვინფრუტუნა კოსმოპოლიტები".

იმ დროს, 1894 წელს, როცა იწერება ლექსი „ხატის წინ" უკვე გამოქვეყნებულია გიორგი მუხრან ბატონის ყბადაღებული ნარკვევი „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц"( 1872 წ.), ასევე „ნაროდნაია ვოლიას" წევრის, ხალხოსანი ივანე ჯაბადარის „Письма о Грузии„ (1889 წ.). აკაკი ცდილობს თავისი მოსაზრებების სისწორე, ჭეშმარიტება, მისი ღირებულება ათას ცხრაასწლოვანი მრწამსის შეხსენებითა და მისი საკრალური ლექსიკის გამოყენებით შეაგნებინოს გაგარეწრებულთ და კვლავ ეროვნულ- სახელმწიფოებრივი იდეალების წრის შიგნით შემოაბრუნოს ისინი.

სინტაქსის თანახმად, მთელი სტროფი ერთი ქვეწყობილი წინადადებაა. პირველი ორი სტრიქონი არის პირობითი დამოკიდებული წინადადება. მის წინ პოეზიის კანონებიდან, გამომდინარე მოხსნილია კავშირი „თუკი". დამოკიდებული მთავარს უერთდება „და რომ „ კავშირით. ცალკე აღებული დამოკიდებული წინადადება არის რთული თანწყობილი. ორივეში გამოყენებულია შედგენილი შემასმენლები. რაც შეეხება მთავარ წინადადებას, ის ქვეწყობილია. მასში მთავარია „არ შემიძლია მეც, განა?" რა არ შემიძლია? რომ ვიწვოდე, ვდნებოდე ირიბი დამატებით დამოკიდებულია და თანაც შემასმენლებით შერწყმული. აი ასეთია გრამატიკული სასწაული ამ სტროფისა.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს სამშობლოს უერთგულესი ადამიანების აღზრდა? ამ საქმეში აკაკის აზრით, დიდი როლი უნდა ითამაშოს მნათემ. ლექსში „მნათე" წარმოადგენს მშობლის, მასწავლებლის, პოეტის, მოძღვრის, გმირის ალეგორიულ სახეს. მნათემ უნდა მიიტანოს ცეცხლი თითოეულ ქართველთან. ლექსის ეს ბოლო სტროფი, ისევე როგორც ილიას ლექსი „პოეტი" ესაიას ხილვის ერთ-ერთი ეპიზოდის ალუზიაა. აკაკისთან ეს ალუზია უფრო ქვეტექსტურია, ილიასთან კი უფრო გახსნილი და ზედაპირზე ამოტანილი. აკაკი მნათეს უწოდებს მომავლის მოციქულს და მას ჭიკჭიკა მერცხალს ადარებს, რითაც გამოყოფს სიტყვის აღმგზნებ და დამატკბობელ თვისებებს.

**კი, მაგრამ მნათე არსად ჩანს,**
**ჩემთან მომტანი ცეცხლისა,**
**ის მოციქული მომავლის,**
**მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა.**

სინტაქსური საკვირველება გველოდება ბოლო სტროფშიც. ის – „კი, მაგრამ მნათე არსად ჩანს". დანარჩენი სამი სტრიქონი კი განკერძოებული განსაზღვრებებია. რომელი მნათე? 1. ცეცხლის მომტანი, 2. მომავლის მოციქული, 3. ჭიკჭიკა მერცხლის მსგავსი. მათი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებად გადაკეთება ძალიან იოლია.

აი, ასეთად მეჩვენება აკაკის ესოდენ „მარტივი" ლექსის პოეტურ გრამატიკაში განფენილი საერო და სალვთისმეტყველო შინაარსის ბალნარი. მოდი და ნუ ირწმუნებ ამის შემდეგ, რომ გრამატიკა თავისი არსით პოეტურია, რომ შესაძლებელია და უნდა არსებობდეს კიდეც საგანი - გრამატიკის პოეტიკა.



მაია ჯალიაშვილი

# ღვთისა და საკუთარი თავის ძიება

*

## ზურაბ ლავრელაშვილის რომანი „მღვიძარება"

„მინდა ჯურღმულში შევიხედო.
ადამიანის სულის ჯურღმულში"

*„მღვიძარება"*

„უდიდესი სიამოვნება ძალაუფლება ან ვნებათა დაცხრომა კი არა, ადამიანებზე დაკვირვებაა", – ამბობს ზურაბ ლავრელაშვილის ახალი რომანის ერთი პერსონაჟი. ვფიქრობთ, ეს სიტყვები კარგად გამოხატავს მწერლობის არსს და ზურაბ ლავრელაშვილიც თავისი შემოქმედებით შესანიშნავ დამკვირვებლად წარმოგვიდგება. მიხეილ ჯავახიშვილი კარგი მწერლის ერთ-ერთ თვისებად სწორედაც დაკვირვებას მიიჩნევდა: „ვისაც დაკვირვების მარაგი არა აქვს, ის ვერც ვერაფერს გვაჩვენებსო".

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში უდავოდ გამორჩეულია ზურაბ ლავრელაშვილი. მას აქვს თავისი სტილი, რომელსაც უპირატესად მისი ნაწარმოებების ენობრივი ქსოვილი ქმნის. თანამედროვე სამეტყველო და მედიაქართული ისევე ღარიბია, მოუქნელი, ბნელი და ერთფეროვანი, როგორც ყოველთვის და მიხეილ ჯავახიშვილის დროსაც, ამიტომ მწერალი გაზეთის თვალიერებას ლექსიკონების, სასულიერო წიგნებისა და კლასიკის კითხვას ამჯობინებდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრებაო... ნაპოლეონი ამბობდა, ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისთვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერმე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული" (მიხეილ ჯავახიშვილი, „როგორ ვმუშაობ", 1933).

ზურაბ ლავრელაშვილის პროზა უპირველესად კარგი ქართულით გამოირჩევა და, ჩემი აზრით, ეს არის მისი უპირველესი ღირსება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამ მდიდარი და მოქნილი ენით დახატული მხატვრული სამყარო. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მისი თემატიკის მრავალფეროვნება, თანაბარი ინტერესით წერს თანამედროვეობასა თუ წარსულზე, რეალურსა თუ მისტიკურზე. მისი მხატვრული სამყაროს დრო-სივრცე შეუზღუდავია, დასავლეთი და აღმოსავლეთი (თავიანთი კულტურით, რელიგიით, მითით, ზღაპრითა და ლეგენდით) ხშირად იჭრებიან მის წარმოსახვაში, ამიტომ მისი შემოქმედება მრავალფეროვანია. უმთავრესი, რა თქმა უნდა, ადამიანია, რომელსაც წარმოაჩენს ნაირგვარ გარემოსა და მშვიდსა თუ ქარტეხილიან ისტორიულ ვითარებაში.

მას, როგორც მწერალს, აინტერესებს ადამიანი, მისი გულის ჭიდილი, ურთიერთობა საკუთარ თავსა, საზოგადოებასა და ღმერთთან, ნიჭი და წიგნიერება კი ეხმარება ცხოვრების ერთიანობაში დახატვისა და სულის სიღრმეების წარმოჩენაში.

მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწერებში ხშირად სწორედაც რომ წიგნიერი და არა რეალური გამოცდილების გზით შემოჭრილი განცდებია ასახული, ყველაფერი მაინც ბუნებრივია და დამაჯერებელი. ეს მეტყველებს, რა თქმა უნდა, მის სამწერლო ოსტატობაზე, წარმოსახვის სიძლიერესა და შემდგომ უკვე მხატვრულ სიტყვაში გადმოცემის ხელოვნებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ინტერვიუს მიხედვით, ამოვინიშნე მისი შეხედულებები, პრინციპები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება ინტერვიუში მთლად გულწრფელი არ იყოს.

საზოგადოდ:

1. მწერალი მჟღავნდება უნიღბოდ, რეალობაში, ყოფით ურთიერთობებში.

2. მწერალი წარმოჩნდება საზოგადოების წინაშე ნიღბით (სიტყვები, ინტერვიუები, პუბლიცისტიკა)

3. პერსონაჟებში, რომელიმეში განსაკუთრებით.

ზურაბ ლავრელაშვილის შემოქმედებაში, ამ მხრივ, ნიღაბთა მრავალფეროვნებაა.

როგორია ზურაბ ლავრელაშვილი სწორედაც მწერლის ნიღბით?

ერთი ინტერვიუს მიხედვით: („ჩვენი მწერლობა“, 21-28 სექტემბერი, 2001):

1. საკმაოდ მოკრძალებული და თვითირონიული.

2. საინტერესოდ მოსაუბრე.

3. სჯერა, რომ ხელოვნება ეხმარება ადამიანებს მათთვის აუცილებელი ღირებულებების დადგენაში.

4. მისი აზრით, რელიგიასთან ერთად, ხელოვნება განძთსაცავია, სადაც ცხოვრების ამა თუ იმ პირობების შესაფერისი ღირებულებები ინახება სიმბოლოების სახით. თუ საზოგადოების განვითარება მოითხოვს, რომ ასპარეზზე რომელიმე ფასეულობა გამოჩნდეს, მწერლობაც სწორედ ამ მოლოდინს პასუხობს, ანუ ეძებს ახალ „ღმერთს“ – ღირებულებათა სისტემას, რაც მოცემული ეპოქისთვის აუცილებელია.

5. ფიქრობს, რომ თუ კაცობრიობას მომავალი სურს, კოსმოსისა და ბუნების, ყოველივე არსებულის ერთიანობა უნდა შეიგნოს. სწორედ ამით ეხმარება ხელოვნება ადამიანს, რათა მას მუდამ ახსოვდეს ეს ერთიანობა და სიცოცხლის უნივერსალურობა.

6. მწერალი ახალს ვერაფერს იგონებს, პირიქით, იგი მუდამ ძველი სქემებით სარგებლობს.

7. მწერალს დღესაც ის როლი აქვს, რაც უნდა ჰქონდეს ყველა ქვეყანასა და ყველა დროში – აღავსოს ადამიანი შემეცნების სიმამაცით და ადამიანად ყოფნის მხნეობით, რათა მუდამ ვეძებდეთ და არ დავივიწყოთ „ღმერთი“, ვითარცა ჩვენი არსებობის ერთადერთი მიზანი.

8. თამაში უყვარს, ამიტომ, როგორც თვითონ ამბობს, მიდგა და სქემები აჭრა.

9. ანტიკური თუ აღმოსავლური სამყარო მეტად მდიდარია მითოსური მოდელებითა თუ მითოლოგემებით. ჰოდა, რაკი ახლის მოფიქრების თავი არა აქვს, ისევ იმათ მიადგა, თანაც, ეს კაცობრიობის ერთიანობის განცდასაც გაგრძნობინებს, თუნდაც დროისა და ისტორიის ერთიანობას.

10. მწერალი რელიგიურ მოძღვრებებს თუ სხვა იდეებს მხოლოდდამხოლოდ ესთეტიკური, გნებავთ, სიმბოლური აზრით იყენებს. ამდენად, აქ კერძო, ვთქვათ, ქრისტიანული ან ბუდისტური მოძღვრება კი არ იგულისხმება, არამედ ესაა მინიშნება ადამიანის მარადიულ წყურვილზე, ეძიოს ღმერთი და საკუთარი თავი.

11. მისი აზრით, მთავარია ადამიანის მეტამორფოზა, მისი სულიერი ფერისცვალება. გმირი როდი კვდება, არამედ მისი ძველი არსი, საზოგადოებრივი ჩენჩო, მისი გახევებული და უსიცოცხლო ნიღაბი. ერთფეროვანი, პირქუში გარემო იმ კოსმიურ სიბნელეს უნდა შევუდაროთ, საიდანაც, როგორც მსოფლიოს ყველა რელიგია გვასწავლის, ნათელი გაჩნდა და სიცოცხლე იშვა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ამ მწერლის შემოქმედების უპირველესი ნიშანი ინტერტექსტუალობაა, იგი სავსებით გააზრებულად მართავს დიალოგებს ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურისა და ფილოსოფიის ძეგლებთან. ამ მხრივ, ყველაზე ხშირად „ესაუბრება“ ჯავახიშვილს, გამსახურდიას, დოსტოევსკის, კაფკას, ნიცშეს, ბორხესს, აკუტაგავა რიუნოსკეს, პლატონს, ზოგადად, ბიბლიას, აღმოსავლურ რელიგიებს... ვხვდები, რომ ჩამონათვალი შორს წამიყვანს.

ამ რომანის დაწერამდე მან გამოაქვეყნა მოთხრობების ორი კრებული: „ბაგრატიონთა გვარის პრინცესა“ (1998) და „ნახტომი“ (2001).

„ჩვენს მწერლობაშიც“ დროდადრო იბეჭდება მისი მოთხრობები. მისი პროზა ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ნიჭიერ მწერალთან, რომელიც წარსულის თუ აწმყოს აღწერით მიგვანიშნებს მომავალზე და ამისთვის შესანიშნავად იყენებს ტრადიციულსა თუ ნოვატორულ ხერხებს. როგორც აღვნიშნე, უპირველესად ყურადღებას იქცევს დახვეწილი ქართულით, მდიდარი ლექსიკით. ერთი სიტყვით, სიამოვნებით ვკითხულობ.

რატომ?

1. ამბავია ხოლმე საინტერესო.

2. თხრობის სტილია მიმზიდველი, ექსპრესიული.

3. სიტყვიერად თავისუფლად მოიხელთებს და გამოხატავს განცდას, ემოციას.

4. გარეგანზე მეტად შინაგანი იტაცებს და ულრმავდება ადამიანის სულს.

5. ეგზისტენციურ თემებს ამუშავებს.

6. პერსონაჟებია უცნაური და საინტერესო.

7. მის თხრობას ხშირად გადაჰკრავს მისტიკური იერი.

8. რეალობა იოლად გადადის ირეალობაში. თუმცა ხანდახან რჩება ბუნდოვანების განცდა.

9. რეალობას აღიქვამს, როგორც არსებითზე მინიშნებასა და სიმბოლოს.

10. თხრობას ხშირად გადაჰკრავს პოეტურობა, იჭრება ლირიკა, იგრძნობა რიტმი.

ყველა ეს ნიშანი წარმოჩენილია მის ახალ რომანში, ვფიქრობ, ამ ჟანრის წარმატებულ დებიუტში.

მრავალმნიშვნელოვანია რომანის სათაური. შესაბამისად საინტერესოა დასაწყისიც და ყურადღებას იქცევს ეპიგრაფიც. ეს არის ფსევდოაპოკრიფული სახარებიდან ის ფრაგმენტი, გეთსიმანიის ბაღში იუდა ამბორით რომ გასცემს უფალს. მაცხოვარი იუდას მარადის გამცემად სახავს. ასე რომ, თავიდანვე მწერალი მიანიშნებს სახარებისეული ამბების მარად გამეორებაზე ყოველდღიურობაში და მკითხველს წასაკითხი ამბების სიმბოლური და ალეგორიული აღქმისთვის განაწყობს. მოჩვენებითი რწმენა იუდას ღალატს ემსგავსება. კანონიკურ სახარებებში აღწერილ ამ ეპიზოდს წინ უძღვის ამბავი, თუ როგორ წაიყვანა ქრისტემ გეთსიმანიის ბაღში პეტრე და ზებედეს ორივე ძე და უთხრა: „სასიკვდილოდ არის დამწუხრებული ჩემი სული. იყავით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად“. ლოცვის შემდეგ დაბრუნებულს მოწაფენი ჩაძინებული დახვდა, ასე

განმეორდა სამჯერ. მაშინ უთხრა: „თქვენ ისევ გძინავთ და ისვენებთ? აჰა, მოახლოვდა ჟამი და და კაცის ძე მიეცემა ცოდვილთ ხელში" (მათე, 26, 36-45). მარკოზის სახარებაში იმავე ეპიზოდის აღწერისას ქრისტე ეუბნება მოწაფეებს: „იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში, სული მხნეა, ხოლო ხორცი უძლური" (მარკოზი, 14, 38). რომანის სათაური სწორედ ამ ეპიზოდიდანაა ამოზრდილი.



ზურაბ ლავრელაშვილი

მარადის მღვიძარე უნდა იყოს ადამიანი, რა თქმა უნდა, ეს არის გადაძახილი ქრისტეს სხვა იგავებთანაც, უპირველესად □□ ქალწულთან. სიძის მოლოდინში ჩაძინებულ ხუთ უგუნურ ქალწულს სამოთხის კარი ჩაეკეტა.

როგორ შეიძლება მარადის მღვიძარების მიღწევა ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, რომელსაც კი აქვს რწმენა და სურვილი ცხონებისა თუ გადარჩენისა, მაგრამ სულის ძალა და ნებისყოფა ღალატობს.

სწორედ ამ შინაგან ბრძოლაზე, ვნებებსა და სულიერ მისწრაფებებს შორის წინააღმდეგობაზეა ეს რომანი. როგორ ექიდებიან სხვადასხვა მხარეს ადამიანს გული, სული და გონება, რა ძნელია მათი მორიგება, შეთანხმება, სულიერი წონასწორობისა და სიმშვიდის მოპოვება.

ასე რომ, რომანი ერთი პერსონაჟის სულიერ ცვალებაზეა, ამიტომაც ტექსტი ლირიკულ აღსარებას წააგავს. რომანს წრიული სტრუქტურა აქვს. დასაწყისი დასასრულს იმეორებს, ოღონდ ახალ განზომილებაში.

რომანს ერთგვარი მისტიკური დასაწყისი აქვს, სიმბოლური, პერსონაჟი იბადება ჩვენს თვალწინ, როგორც მოცემული მხატვრული დრო-სივრცის „შემოქმედი". რადგან იგი მთხრობელი-პერსონაჟია და მისი თვალთახედვით მოთხრობილ ამბებს მივადევნებთ თვალს. სიბნელიდან გამოდის მისი სახება, თუმცა მწერალი აღნიშნავს, რომ დაუსაბამო სიბნელე და სინათლე ერთმანეთს ჰგავს, ან ერთი და იგივეაო. დასაწყისი და დასასრული „ორივე ბნელში მყოფობს". ეს თვალსაზრისი შესაქმის დასაწყისს იმეორებს: „ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი" (დაბადება, 1, 2-3). სიბნელისა და სინათლის იდუმალი სიღრმეები გალაკტიონსაც ანამებდა: „წმინდა ნათელში ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში".

„კმარა" – გაისმის უჩ□ნარი ხმა, რაც სიმბოლურად მიანიშნებს ძველის უარყოფაზე, ახლის დაწყების სურვილზე. ამავე დროს, ამ სიტყვაში ირეკლება აქამდე განვლილი ცხოვრების მიმართ უკმაყოფილება და პროტესტი.

დასაწყისშივე იქმნება მტანჯველი სიმბოლო დროის წარმავლობისა: დიდი ციფერბლატიანი საათი, რომლის გრძელი ქანქარა ჩამოხრჩობილის თოკს ჰგავს და ზედ ვილაც ჰკიდია: „რომელსაც თუ კარგად დააკვირდები, იოლად იცნობ, მაგრამ სწორედ ეს გაშინებს". პერსონაჟის ხილვაში აღიბეჭდება მისი სულიერი მდგომარეობა. დროის მკაცრ მდინარებაში ის საკუთარ თავს ვერ მოიხელთებს. აქ გადაძახილია □□□□□□□□□□□□ გამსახურდიას ნოველასთან „მკვდართან შეხვედრა". გმირი ქალა□გარეთ ტყეში გადაეყრება ხეზე თოკით ჩამოხრჩობილს. შინ მისული კი გაიაზრებს, რომ ის სწორედ თვითონაა: „ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდივართ დღედაღამ და გამვლელ-გამომვლელს ვეღრიჯებით: „ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო".

რომანის დასაწყისშივე იქმნება ის რიტმი და კოლორიტი, რომელიც შემდეგ მთელ ტექსტს გაჰყვება.

მთავარ გმირს სურს თავის შეცნობა იმ ახალ რეალობაში, რომელიც იხატება რომანში. სიმბოლურად მწერალი ქმნის პერსონაჟის ნილაბს, ირგებს, მერე შეჰყავს წარმოსახულ სამყაროში და აკვირდება, სხვადასხვა სიტუაციაში რას მოიმოქმედებს, რა არჩევანს გააკეთებს.

„შენ ფანტომი ხარ, ეული ცთომილი ალი, ცივი ნათება, კოსმოსის ჯურღმულში მობორიალე და არც ქრები და არც ენთები, არამედ დაუსრულებლად დაბორიალობ ბნელში და არავინ იცის, სად მიგიყვანს ეს მარადიული მოგზაურობა".... სათქმელს მოაქვს რიტმი და ამიტომაც დასაწყისი პოეტური პროზასავითაა. აქ დახატულია ზოგადად ადამიანი, როგორც სამყაროში დაკარგული, მარადი მოგზაური ჭეშმარიტების ძიებაში.

საგულისხმოა, რომ რომანი იწყება გმირის ფიზიკური გამოღვიძებით და სული□რი გამოღვიძებით მთავრდება. ალბათ, შემთხვევითია, მაგრამ სწორედ ამგვარად იწყება და მთავრდება გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული". იქაც გამოტანჯული გმირი ბოლოს იწყებს ახალ ცხოვრებაზე ფიქრს. რომანის ბოლო თავს სწორედ ასე ჰქვია „გზა ვიტა ნუოვა-სკენ". „თამაზი აღარ იყო, იგი სხვა იყო... მის წინ დიდი ძლიერი სინათლე გამოჩნდა". აქამდე მას აწუხებდა კითხვა: „სად ხარ, ღმერთო?" ახლა კი ბუნების წიაღში გასხივოსნებულმა სივრცეებს გასძახა: „შენ ხარ! შენ ხარ! შენ ხარ!" თამაზი უსახელოს უყვიროდა".

ზურაბ ლავრელაშვილის გმირიც ბუნებაში, სინათლი□ ავსებული ფიქრობს: „რაც უნდა გადამხდეს, ვიცი, რომ ის მოვა. ვისაც სახელი არა აქვს".

მათე მახარებელი წუხდა „მელთა ხურელი უჩნთ და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძისა კაცისასა არარაი აქუს, სადა თავი მიიყუდნესო".

ამ შემთხვევაში გმირი მზადაა, რომ ღმერთი მას ჩამოეყრდნოს – „და ვეტყვი: აჰა, მზად ვარ შენს შესახვედრად! წამოდი და ერთად ვიაროთ".

ასე რომ, ეს რომანი ერთგვარად ჰერმეტულია, გმირის მეტამორფოზა ხდება გარკვეულ ჩაკეტილ სივრცეში, საიდანაც გამოდის ახლად შობილივით. ამგვარი ლიტერატურული მოდელის პარადიგმაა თომას მანის „ჯადოსნურ მთა“.

რომანში ერთმანეთს უპირისპირდება: გონება და ინსტი□ქტი, ბუნებრიობა და ხელოვნურობა.

ნიცშე აღიარებდა სულის სამ ცვალებას – აქლემი, ლომი და ბავშვი.

აქლემი სიმბოლურად ღვთისმოსავი, მცნებათა აღმსრულებელი ადამიანია, მოვალეობებით შებორკილი. ლომი – ილაშქრებს და უარყოფს ტრადიციულ ღირებულებებს, ნიჰილისტია, ბავშვი – ახლის დასაბამია, შემოქმედებაა, პოზიტიური თავისუფლებაა („ესე იტყოდა ზარატუსტრა“).

რომანის დასაწყისში პერსონაჟი ლომს შეესაბამება, თუმცა არის მინიშნება, რომ იგი ისევე ცხოვრობდა, როგორც სხვები (ე.ი. აქლემის მდგომარეობა: „შენ მოვალე“ ხარ მისთვისაც იყო ცხოვრების წესი) და აღწერილია, როგორ, რა გზით გადადის ბავშვის მდგომარეობაში. სულიერი სისუფთავისა და უმანკოების სტადიაში, როცა ეხსნება შინაგანი მზერა და ხედავს დაფარულს, რაც იწვევს სამოთხის მონატრებას, ბუნებასთან შერწყმის წყურვილს. სახარებისეული „სასუფეველი გულთა თქვენთა შინა არს“ გმირისთვის ცოცხალ განცდაში ეწერება.

ბოლო ეპიზოდში გმირი ტანსაცმელსაც იხდის.

სამოსის გახდა – დედიშობილა ყოფნა – მიანიშნებს როგორც სულიერი სამოსის წყურვილზე – ღმერთით შემოსვაზე (□□□□□ დოჩანაშვილი „სამოსელი პირველი“ – დაბრუნება მამასთან), აგრეთვე, ცივილიზებულობისაგან განძარცვაზე.

სქემა ნაცნობია, გმირი გადის შინიდან სიახლის საძებნელად, უპირველესად, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის შესაცნობად. „შინ“ არ არის მისი საყრდენი. ე. ი. ეს არის ადამიანი, რომელსაც მეტის დანახვა, შეცნობა სწყურია, ამიტომაც მცირე ბარგის მეტი არაფერი მიაქვს. „არც სინანული, არც მონატრება ვინმესი“. ეს რომ სხვაგვარი სურვილია, მჟღავნდება გმირის ფიქრში: „ერთი სული მაქვს, აქაურობას გავეცალო, თუნდაც ერთი დღით, ერთი კვირით, ერთი სიცოცხლით...“. აქაც მოგზაურობის პარადიგმული მოდელი გათამაშდება, გმირს უნდა გადახდეს გარკვეული ხიფათები, რათა საკუთარი თავი გამოსცადოს. „ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავს და ღმერთს მიაგნოს ბოლოს“ (კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“).

“იყო კი ეს მგზავრობა გაქცევა? ხსნა? რაღაცის დასაწყისი თუ დასასრული? გაუთავებლად უნდა ვიბორიალო, სანამ რაიმე ნავსაყუდელს არ მივადგები“, – ფიქრობს გმირი. ამ რომანში ეს ხიფათი უფრო შინაგანია. გმირი ებრძვის საკუთარ ხორციელ ინსტი□ქტებს. საფიქრებელია, რომ ის სწორედ ამ ინსტი□ქტებს გაექცა, მაგრამ ბრძოლა, პირიქით, უფრო გაუმძაფრდა. ვნებებთან ბრძოლა ერთ-ერთ□ უმთავრესი თემაა ლიტერატურაში. მწერალი ახერხებს დამაჯერებლად წარმოაჩინოს ყოველი ნიუანსი.

ეს არის ინტელექტუალური რომანი, სავსე რემინისცენციებითა და ალუზიებით. მიუხედავად ამისა, მსუბუქად იკითხება, რადგან ქვეტექსტებშია გადატანილი აზრის სიმძიმე და მისტიკურობა. ასე რომ, თხრობის თვალსაზრისით ნამდვილად მაღალ ოსტატობას ავლენს ზურაბ ლავრელაშვილი.

რომანის დრო-სივრცული მოდელი სავსებით რეალისტურია. მწერალს მოქმედება გადააქვს მეოცე საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციების ხანაში, რითაც ამძაფრებს ქაოტურობის შეგრძნებას და ადამიანის დაკარგულობას. ამით მოჩვენებითად დისტანცირებას ახდენს □□□□□□□□ თავისა თუ დღევანდელობისაგან: „გაზეთი გავშალე – ომი საზღვარგარეთ, მღელვარება რუსეთში, რაბინდრანათ თაგორი ევროპაში“. ამა□□□□, სწორედ ამ დროს მსჭვალავდა ახალი იდეოლოგიების დაბადების ხანა, რომელთაც ფესვები საუკუნეთა სიღრმეში ჰქონდათ გადგმული. უპირველესად ეს არის ნიცშეანული ულმერთობის ხანა.

თხრობა წარიმართება აწმყოში, თითქმის არ□ ჩანს წარსული, ასე რომ, გმირი მართლაც ჩვენს თვალწინ იბადება და იცვლება.

რომანის მთავარი გმირი ექიმი ბარჯაძეა. იგი ბოლომდე უსახელოდ რჩება, ასევე უსახელოა მისი ანტითეზა პერსონაჟი ლომოური. სახელის დარქმევა ნიშნავს მისი რეალური მყოფობის აღიარებას, რადგან მას თავი არა აქვს ნაპოვნი, ალბათ ამიტომაცაა უსახელო.

ექიმი, მკურნალი უკავშირდება მწერლობას, რადგან მწერალი ხშირად გაიაზრება როგორც ადამიანთა სულის მკურნალი. აქედან მინიშნება მაცხოვარზე, რომელიც ადამიანთა სულების უპირველესი მკურნალია და მხსნელი. რომანში თვითონ ცივილიზებულობა გააზრებულია, როგორც სნეულება.

ექიმის ამგვარ სახეს ხატავს ფრანც კაფკა მისტიკურ ნოველაში „სოფლის ექიმი“. აქ მთხრობელი სოფლის ექიმია, რომელსაც ზამთრის ერთ პირქუშ დღეს ავადმყოფთან გამოიძახებენ. პაციენტის მშობლები ვერაფერს გააგებინებენ. ექიმი ვალს იხდის და ავადმყოფს გასინჯავს, ერთი შეხედვით, სასიკვდილოს ვერაფერს აღმოაჩენს, თანაც ავადმყოფი ბიჭი შეევედრება, თავი დამანებე, დაე მოვკვდეო. ყველაფერი იხატება რეალისტურად, ბუნებრივად, ყოფითი დეტალებით, მაგრამ მკითხველს არ ტოვებს უჩვეულოს შეგრძნება. „მეც კი მინდა სიკვდილი. რას ვაკეთებ ამ უსასრულო სუსხიან გაუთავებელ ზამთრის დღეებში“, – ფიქრობს ექიმი. ჩნდება მაცხოვრის ალუზია. „რეცეპტების გამოწერა ადვილია, მაგრამ ადამიანების შეცნობა რთული“. ექიმის ეს ფიქრი ამხელს ცხოვრების პარადოქსულობას. ადამიანებმა იციან, როგორ მოიქცნენ, მათ აქვთ ამის მზა „რეცეპტები“ ბიბლიურ მცნებ□□□ სახით, მაგრამ მაინც გამუდმებით ცდებიან. იმედგაცრუებული მშობლები ექიმს არ უშვებენ და ბიჭის კიდევ გასინჯვას სთხოვენ. ექიმი ხელმეორედ გასინჯვისას აღმოაჩენს, რომ ბიჭს მარცხენა ფერდთან თეფშისოდენა გახსნილი ჭრილობა აქვს, საშინლად გახრწნილი და მატლებით მოფუთფუთე (ისევ მინიშნებაა, მაცხოვარს რომ ფერდში შუბი ჩასცეს). მოულოდნელად იცვლება ავადმყოფის განწყობილებაც, იგი ექიმს გადარჩენას სთხოვს, თითქოს მასში ჩვეულებრივ ექიმს კი არა, მაცხოვარს შეიცნობს. ექიმი საგონებელში ვარდება, რადგან გრძნობს, ბიჭის გადარჩენა შეუძლებელია, ახლობლები კი

ექიმის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვენ. გარედან ისმის სოფლის გუნდის ხმა:

**გააძრეთ ტანზე, მან უნდა განკურნოს სნეული,**
**და თუ არ განკურნავს, მოკალით.**
**ის ხომ ექიმია, ის ხომ ექიმია მხოლოდ.**

კვლავ ჩნდება ადამიანთაგან ჯვარცმული მაცხოვრის სახე. კაფკა ხატავს ფანტასმაგორიულ სურათს. ექიმს აწვენენ ავადმყოფის ლოგინში ჭრილობის მხარეს, მაგრამ ექიმი კი არ კრთება, პირიქით, სიამოვნებს სითბოს შეგრძნება. „აბა, მე რა შემიძლია? ეს არც ჩემთვისაა იოლი", – ასე პასუხობს ბიჭს განკურნების თხოვნაზე. „გინდა მაგ ბოდიშით მომიქონო თავი და მე გიშველო? მე, რომელიც ამ მშვენიერი ჭრილობით დამასაჩუქრა ცხოვრებამ? და მხოლოდ ეს გამაჩნია ამქვეყნად". – ასე უცნაურად იწყებს ბიჭი ლაპარაკს, ექიმი კი აქაურობიდან თავდაღწევას ცდილობს. მოახერხებს კიდეც, ცხენები კვლავ უეცრად ჩნდებიან და კაცი სახლიდან გამოიპარება, მაგრამ თავდახსნამდე შორია, ცხენები იღლებიან, ქურთუკი რაღაცას გამოედება და ექიმი უკაცრიელ სითეთრეში მარტოდმარტო რჩება. შორიდან კვლავ ჩაესმის სიმღერა: „გაიხარეთ ავადმყოფებო, ექიმი თქვენსავე საწოლშია". მოთხრობა სასოწარკვეთილი ექიმის გოდებით სრულდება: „ვინ შეიწუხებს ჩემთვის თავს! როგორ მოვტყუვდი! ვიღაცის ცრუ გამოძახილს ავყევი და დავღუპე ყველაფერი".

ასე გამოხატა კაფკამ ადამიანთა ურწმუნოებითა და უღმერთობით გამოწვეული სულიერი სიცარიელის ტკივილი. ექიმიც ისეთივე განწირულია, როგორც ავადმყოფნი. ადამიანი თითქოს თვითვე დევნის და ჯვარს აცვამს თავის მკურნალს.

მსგავსი განცდები და ასოციაციებია ზურაბ ლავრელაშვილის რომანშიც.

აქ რეალურად ერთი პერსონაჟის თავგადასავალია, რომანისთვის თითქოს ცოტაა, მაგრამ სისავსის შეგრძნება მაინც არის. ლომოური ექიმის ბნელი მხარეა, არაცნობიერი, ოღონდ პერსონიფიცირებული. ერთგან ეუბნება კიდეც ლომოური ბარჯაძეს: „მე და თქვენ ერთნი ვართ, ეს არ დაგავიწყდეთო".

„ღვთის ქმნილებათა შორის მხოლოდ ადამიანს შეუძლია ცოდვის ჩადენა. რას ნიშნავს ეს? ჰარმონიის რღვევას" (ნიკოს კაზანძაკისი)

დარღვეული ჰარმონია აღელვებს ბარჯაძესაც, რომელიც ეძებს „ხიდებს" ჰარმონიულობის აღსადგენად. ფროიდმა კი თავისთვის მიაგნო ამ ხიდს, ამიტომაც იზიდავს ბარჯაძეს იგი, არადა, სწორედ იმიტომ მიიწვიეს, რომ გაქცეული ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნოს. ამას ფრედი სიკვდილს არჩევს, რომანის გმირისთვის კი ფრედის სიკვდილი მხოლოდ ხორციელი ცხოვრების დასასრულად გაიაზრება.

მთავარი გმირის სულის ხატვისას არის გადაძახილი ფროიდთანაც:

ზიგმუნდ ფროიდი „ფსიქოანალიზის ნარკვევში" საუბრობს „მეს"უმთავრეს მახასიათებლებზე. მემკვიდრეობით მიღებულ, უპირველეს ყოვლისა კი, სხეულის ორგანიზაციიდან მომდინარე ლტოლვებს უწოდებს „იგი"-ს. დროთა განმავლობაში ტვინში შეიქმნა განსაკუთრებული სტრუქტურა, რომელიც შუამავლობს „იგი"-სა და გარესამყაროს შორის. სულიერი ცხოვრების სწორედ ამ სფეროს უწოდებს მეცნიერი „მე-ს". „მე-ს" უპირველესი ამოცანა თვითდაკვირვებაა. გამოცდილება კი გროვდება მეხსიერებაში. „იგის" შინაგანად უპირისპირდება იმით, რომ აღწევს ლტოლვების მოთოკვას, მათზე გაბატონებას. „მე" წყვეტს, შეიძლება თუ არა მათი დაკმაყოფილება – გადაიწიოს დროში თუ საერთოდ დაითრგუნოს. ფროიდის აზრით, ბავშვობის პერიოდის ნალექი „მე-ში" წარმოქმნის განსაკუთრებულ ინსტანციას, რომელშიც არსებობას განაგრძობს მშობელთა ზემოქმედება და მას უწოდებს „ზემეს", რომელსაც „მე" ანგარიშს უწევს. „მე-ს" მოქმედება, ფროიდის მიხედვით, მაშინაა სწორი, როცა ის ერთდროულად აკმაყოფილებს იგი-ს, „ზე-მესა" და რეალობის მოთხოვნებს. „იგი" და „ზე-მე" განსხვავების მიუხედავად, მსგავსნიც არიან: ისინი წარმოადგენენ წარსულის ზეგავლენას. „იგი"-სთან დაკავშირებულია ლტოლვები – სხეულებრივი მოთხოვნები. ფროიდმა ორი უძირითადესი ლტოლვა გამოარჩია – ეროსი და დესტრუქცია (სიკვდილის ლტოლვა), ამიტომაც უკავშირდებიან ერთმანეთს სიყვარული და სიკვდილი. რომანში მწერალი ხატავს ბარჯაძის სულში მიმდინარე კონფლიქტს: „მე"-ს. „ზე-მე"-სა და „იგი"-ს შორის.

"მე " ხშირად უძლურია: „გონებას მხოლოდ სურვილების მოთოკვა ძალუძს, მაგრამ ქვეყნიერებასთან ვერ შემარიგებს". „ილუზიების ტყვე ვარ".ცნობილია ის ფაქტი, რომ ფროიდი აღიარებდა და წუხდა, რომ მის მიერ ადამიანის შინაგანი სამყაროს ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა არტურ შნიცლერს (ავსტრიელ იმპრესიონისტს) ამ გზის გაუვლელად, შემოქმედებით პროცესში ეძლეოდა. ერთ წერილში, 1922 წელს ფროიდი წერდა შნიცლერს, რომ მას თავის ორეულად აღიქვამდა. იგი მის ნაწარმოებებში თავის ნააზრევსა და კვლევის შედეგებს ხედავდა. ფროიდის აზრით, მწერალი იმავე მასშტაბითა და სიღრმით, როგორც თვითონ, სწვდებოდა და გადმოსცემდა არაცნობიერს ადამიანში. ზუსტად ასახავდა მასში მიმდინარე შინაგან ფსიქიკურ პროცესებს და მათ განპირობებულობას ორი ძირითადი ძალის – სიყვარულისა და სიკვდილის მიერ.

ზურაბ ლავრელაშვილის რომანში ლომოური დაახლოებით ამასვე ეუბნება ექიმს: „ვინმე პროვინციელი მწერალი შესაძლოა უკეთ იცნობდეს ადამიანის ზნეს, ვინემ მთელი თქვენი ექსპერიმენტული ფსიქოლოგია".

დარღვეული მთლიანობის აღსადგენად რომანში ბუნებასთან სიახლოვის გზაა დახატული: „ხე, ქვა, ჩიტი, ღრუბელი და ვარსკვლავები ჩვენი მასწავლებლები არიან", „მინდა ჰაერს შევერიო და მზეში გავლღვე". გმირი ნამდვილ ნეტარებას მხოლოდ ბუნებაში შეიგრძნობს. მთელ წარსულს არარაობად მიიჩნევს და იჯერებს „უმიზეზო არსებობის" სიხარულს. უკვირს, აქამდე სად იყო? ტანას წყალში მობანავე კი თითქოს ახლად იშობა, თავისუფლდება წარმავალი ღირებულებებისაგან; „მოწყვეტილ ფოთოლს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ვიდრე რუსეთ-გერმანიის ზავს". საერთოდ, რომანში ბუნებასთან სიახლოვისას განცდილი წუთები შთამბეჭდავადაა აღწერილი. აქ არის აღიარებაც იმისა, თუ როგორ

ძარცვავს და ანადგურებს ქალაქი (სიმბოლურად , ცივილიზაცია) ადამიანის სულს, ართმევს თავისუფლებას, ღვთის ყველაზე დიდ საჩუქარს. ბუნების ნაწილად როცა შეიგრძნობს თავს, აღარც სიკვდილის ეშინია და აღარც სინდისი – „ყველაზე დიდი მაჯლაჯუნა" – ტანჯავს. მხოლოდ ამის შემდეგ განიცდის ბარჯაძე ადამიანებთან ახლო ყოფნის სურვილსაც, რადგან კაციც ბუნების ნაწილია. თუმცა სანეტარო წამები დიდხანს არ გრძელდება და სინამდვილე კვლავ ძალადობს, რასაც მოაქვს მარტოობის მტანჯველი განცდა. ადამიანი ბუნების, რწმენის გარეშე მარტოა.

ბუნების აპოლოგია რომანის ბოლოსაც, როდესაც გმირი მუხას ეხვევა; „ამიტომაც მიყვარს ხეები: არასოდეს გკითხავენ, ვინა ხარ და რა გინდა; უნდა მიხვიდე და შველა სთხოვო". კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში" ერთ თავს ჰქვია „ჰიმნები ხეებისადმი". სავარსამიძე ხეებს ევედრება: „მასწავლეთ, ჩემო კარგებო, როგორ უნდა იცოცხლო უჩივლელად, უდარდელად, უშიშრად და როცა ჟამი მოვა... იქვე წაიქცე ... და შენივ ცხედრით დაფარო ეს შენივე მიწის ნაჭერი".

რომანში ძალიან სუფთად და ლამაზად იხატება ბუნება: „თბილი და ვარსკვლავიანი ღამე იყო. აბრეშუმის ჰაერს სიგრილე ექსოვებოდა. მთების წვერებზე მთვარე ამოცურდა, სხივები დალვარა". ამგვარად იქმნება ტრადიციული კონტრასტი შეურყვნელ ბუნებასა და ადამიანის შერყვნილ სულს შორის.

სიუჟეტი ზომიერადაა ჩახლართული. ექიმი ატენში ჩადის საქმოსან სიეზმანთან, რომელსაც სურს ექიმმა მისი ოჯახიდან გაქცეულ ძმისშვილს უმკურნალოს, რეალურ ცხოვრებას დაუბრუნოს. ეს ძმისშვილი, სახელად ფრედი, უცნაურია, სექტისმაგვარი აქვს ჩამოყალიბებული. სწორედ მასთან ურთიერთობა შეცვლის გმირს, რომლისთვისაც ფრედისა და მარიასთან შეხვედრა იქცა ერთგვარ კატალიზატორად (მარია და ფრედი სიმბოლურად ღვთისმშობელსა და ძე ღვთისაზე მიანიშნებენ, მიუხედავად იმისა, რომ ცასა და დედამიწასავით განსხვავდებიან თავიანთი პარადიგმებისაგან, თუმცა სიმბოლოებისთვის დამახასიათებელია მხატვრულ სივრცეში ამგვარი ტრანსფორმაცია). ფრედი უნებურად გვახსენებს ფეოდორს, ე. ი. დოსტოევსკის, და მიანიშნებს, თუ რა გავლენა მოახდინა ამ მწერალმა მასზე სულიერი ძიების თვალსაზრისით. ლომოური ფრედიზე ამბობს: „სწორედ მეორედ მოსული ქრისტეა... ნამდვილი ლიტერატურული ტიპი..."

სამყაროსთან გაჩენილი უფსკრულის ამოსავსებად ბარჯაძეს ძიების გზაზე შემოეყრება მარია და მოეჩვენება, რომ მისი სიყვარული იხსნის, რადგან ქალის თვალებშიც „ზეცის ნიალი ჩანს". „გონებით შევთხზე და შეთხზულს მარია ვუწოდე... ცხოვრება სხვაა, ის ჩვენს წარმოსახვას არ ემორჩილება". XX საუკუნის ლიტერატურაში აქტიურად შემოიჭრა ქალის, როგორც – ერთდროულად – მეძავისა და წმინდანის სახება. გავიხსენოთ ფოლკნერის რომანი „რეკვიემი მონაზონისთვის". ამ რომანშიც მეორდება ეს ლიტერატურული პარადიგმა. მარია, ერთი მხრივ, ბარჯაძეს გზას უხსნის ბუნებისკენ, მეორე მხრივ, მრუშობის ჭაობში ითრევს: „მარიასადმი ჩემი ლტოლვა ნაზი და წმინდაა. წმინდა?! ავაზა ისევ აბორგდა ჩემს სულში".

მარია, საზოგადოდ, გარდა ზემოხსენებულისა, ლიტერატურაში ხშირად არის მარადქალურობის, მშვენიერების, ბუნებრიობის, ამაღლებულობის სიმბოლო. აქ კი მარია ექიმის ხორციელ ინსტინქტთა ბრძოლის ასპარეზზე მთავარი მეტოქეა, იგი ერთდროულად განასახიერებს ეროსსაც და თანატოსსაც. მწერალი ეროსის, ხორციელი ლტოლვის მეტაფორულ სახეს ქმნის. ეს არის ავაზა. პანტერა, ვეფხვი ერთი რიგის სიმბოლოები არიან და განასახიერებენ საზოგადოდ ამქვეყნიურობის ძალდატანებას ადამიანის სულიერებაზე. გმირი გამუდმებით ცდილობს ინსტინქტის, ავაზის დამორჩილებას. მხატვრულად საინტერესოდ და ოსტატურადაა დახატული ეს ბრძოლები. გმირი ხან იმარჯვებს, ხან მარცხდება. „ჩემი მეობა შელახულია. სამარცხვინო გრძნობების მონა ვარ". „ორად გავიხლიჩე". „სიკვდილზე უძლიერესი ინსტინქტი" ჯაბნის და გონების მოჩვენებით ძლიერებას ნიღაბს ხდის. რომანში ერთგვარი დეტექტიური ხერხიცაა გამოყენებული მარიას აგენტობაზე ეჭვის თვალსაზრისით.

სიეზმანის ოჯახში ერთმანეთს ხვდებიან ექიმი და ლომოური და მსჯელობენ როგორც პოლიტიკურ, ასევე, უმთავრესად ფილოსოფიურ-რელიგიურ თემებზე. ამ მსჯელობებზე რომანში დიდი აქცენტია გაკეთებული. მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნებში" მსგავს თემებზე სასაუბროდ თეიმურაზს მოპაექრედ ნახუცარი ივანე დაუყენა. ლომოურიც ოდნავ სქემატური სახეა, რადგან ის მხოლოდ ბნელი ფონია, გმირის შიდა მხარეა ზედაპირზე წამოტივტივებული.

საინტერესოა ლომოურის აფორისტული გამონათქვამები: „თავისუფლად რომ ვაზროვნებ, პოლიტიკაში ამიტომაც არ ვერევი". მის მიერ რევოლუციის კრიტიკას („ეგ თქვენი რევოლუციაც ისეთივე წყლის ნაყვაა, როგორც კაცობრიობის მთელი ისტორია"...) მოჰყვება თანასწორობის იდეის აპოლოგია – „ვინ გამოიცნოს, როგორ და რისთვის შექმნა უფალმა ყოველი ჩვენგანი თავისივე მსგავსად, თუკი თანასწორობა არ ექნებოდა ნიმუშად"....

ლომოური, ინტელიგენტთა მსაგვსად, ნიჰილისტია, ცინიკოსი და ტრადიციულ ღირებულებათა უარმყოფელი, ერთგვარი მეფისტოფელური სახე. ქართველებს სიზარმაცეს უკიჟინებს: „ტექნიკური პროგრესი გვეხამუშებაო, მოძალადეები ვართ, ყოველი ჩვენგანი თავის ბუნებაზე ძალადობსო.

ლომოური ამბობს, რომ ნიცშე წაუკითხავს. ეს უთქმელადაც იგრძნობა მის საუბარში. მისთვისაც ადამიანი ავადმყოფი ცხოველია, რომლის ევოლუცია ჯერ არ დასრულებულა. ეს სენი კი ნიჰილიზმია. მისთვის მიუღებელია ადამიანის მოქცევა ცივილიზაციის მიერ შემოთავაზეულ მორალურ ღირებულებათა მარწუხებში. იგი მეტაფიზიკურ სკეპტიკოსად მიიჩნევს თავს და სწამს სიცოცხლე ღმერთის გარეშე, იგი „არაფრობის მაღიარებელი" ტრაგიკული მარტოსულია. თავისებურად იაზრებს სახარებისეულ ამბებს. მისი მტკიცებით, ჯვარცმის შემდეგ მოციქულებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგან აღარავინ მოუწოდებდა, „იფხიზლეთო". იუდასა და პეტრეს ქცევა ესახება პარადიგმებად: „თითოეული ჩვენგანიც ამ ორ არჩევანს შორის მერყეობს: ან გასცეს თავისი ღმერთი, ან უარყოსო".

ცივილიზაცია და რწმენა დახატულია როგორც ცეცხლი და ყინულივით შეუთავსებელი. ეს ანამებს ბარჯაძეს და საფიქრალს უჩენს.

ლომოური ნამოსწევს წინ თემას ილუზიისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების შესახებ. ეს მწერლის მთავარი საფიქრალია. პერსონაჟის მსგავსად, თვითონაც „ნაკითხია და თითოეულ საგანსა თუ მოვლენას აუცილებლად ლიტერატურულ შესატყვისს მოუძებნის... თითქოს განუზრახავს, ქვეყნიერება მხოლოდ ლიტერატურულ ფაქტად აქციოს".

ცხოვრება, ქვეყნიერება მწერლისთვის მეტატექსტია – რომელშიც ჩაწერილია სხვა ტექსტები. ზურაბ ლავრელაშვილი თავის პერსონაჟებსაც სწორედ ამ მეტატექსტის კონტექსტში წარმოაჩენს.

სიმბოლო ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს ირაციონალურ სამყაროსა და მისტიკურ სამყაროს შორის (იური ლოტმანი, „სიმბოლო კულტურის სისტემაში"), ამიტომ მწერალი ხშირად მიმართავს სიმბოლოებს. რომანში გმირი მიატოვებს ყველაფერს და მთებისკენ გარბის. სიმბოლურად ეს ნიშნავს, რომ ბუნებაში უნდა დასრულდეს მისი სულის მეტამორფოზა, თუმცა გმირის ტანჯვა არ მთავრდება სრული სინათლის მიღწევით. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს და ეს არის სწორედ მღვიძარება.

როდესაც ბოლოს ტყისკენ აღმართს აუყვება, იგი ნაცნობ ადგილას საყდარს ველარ დაინახავს, ის მან ახლიდან უნდა ააგოს თავის სულში. სიფხიზლე ტკივილთანაა დაკავშირებული. ცნობილ მითში პრომეთეს არწივი ღვიძლს უკორტნის, რომ მღვიძარე იყოს. ეს მისი სასჯელია.

ბარჯაძე გრძნობს, როგორ ღვივდება მის სულში სიცოცხლისა და თავისუფლების მცენარე, ამიტომაც აღარც ლოდინისა და აღარც დამარცხების აღარ ეშინია: „რაც უნდა გადამხდეს, ვიცი, რომ ის მოვა. ვისაც სახელი არა აქვს. ვინც ჩვენ გვგავს და ჩვენზე მეტია".

რომანის მთავარი სათქმელიც ესაა: მწერალს სჯერა და მკითხველსაც არწმუნებს: „სიბნელეში სინათლე იმალება. სინათლე უნდა დაინახო. ამისთვის უნდა იფხიზლო".



ეკა ბუჯიაშვილი

# კიდევ ერთი ზეცა

*

## გალაკტიონის დღე ლიტერატურის ინსტიტუტში

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა ტრადიციულად გალაკტიონის დღე აღნიშნა და მისი გარდაცვალების თარიღს – 17 მარტს კიდევ ერთი საინტერესო შეკრებით გამოეხმაურა – ქალბატონმა **რუსუდან ნიშნიანიძემ** წაიკითხა მოხსენება თემაზე: „გალაკტიონი ემიგრანტულ სივრცეში". საღამოს ბატონი **როსტომ ჩხეიძე** უძღვებოდა.

მისი თქმით, რუსუდან ნიშნიანიძემ თავის წიგნში – „საქართველო სამანს აქეთ და სამანს იქით" – ერთ სისტემაში მოაქცია ვრცელი და საინტერესო მასალა ემიგრანტული ლიტერატურის შესახებ და ერთ მთლიანობაში დანახული ქართული კულტურის სურათი შექმნა. სწორედ ამ წიგნში ბუნებრივად შემოდის გალაკტიონის სახელიც – რა მოსაზრებებს გამოთქვამდნენ მასზე ემიგრაციაში, როგორ მოიაზრებდნენ, როგორ აფასებდნენ და როგორ ეხმაურებოდნენ ამ დიდი პოეტის შემოქმედებას. და აი, ბატონ თემურ დოიაშვილს გაუჩნდა იდეა, ქალბატონ რუსუდანს საგანგებოდ დაემუშავებინა ეს საკითხები და ცალკე მოხსენება მოემზადებინა ამ თემაზე. მოხსენებას, თვითკმარი ღირებულების გარდა, ის მნიშვნელობაც ექნება, რომ ასეთი კუთხით სხვა მწერლების კვლევაც შეიძლება.

– საერთოდ კი ეს ყველაფერი იმის დასტურია, რომ გალაკტიონი ამოუწურავია, რაც მეტად შევდივართ მისი პოეზიისა თუ ბედისწერის სიღრმეებში, ვრწმუნდებით, რომ კიდევ ბევრი რამ არის ასახსნელი, თითქოს შენს წინაშე უამრავი ახალ-ახალი ზეცა იხსნებოდესო, – თქვა ბატონმა როსტომმა შეკრებაზე. მომხსენებლის თემა კი ასეთი იყო:

* * *

– „ამჯერად იმ ლიტერატურულ ტექსტებზე ვისაუბრებ, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სივრცეში დაიწერა და იქვე გამოიცა კიდეც. სიტყვაში „სივრცე" – ორგვარ დატვირთვას ვიგულისხმებ: პირველი – ემიგრაციაში, მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოში და მეორე – გარკვეულ ისტორიულ თუ ესთეტიკურ (კულტურულ) კონტექსტში. დამეთანხმებით, შეუძლებელია ყოველი ავტორის და წერილის წარმოდგენა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძირითად ტენდენციებზე ვისაუბრებ, რამდენიმე ნიმუშს გამოვყოფ და ამგვარი თანამიმდევრობით დავალაგებ: წერილები, რომლებშიც აღწერილია გალაკტიონის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი-მოვლენა, მეორე კატეგორიაში წარმოვადგენ ლიტერატურულ რეცენზიებს და ბოლოს, ე.წ. „პოეტური გადაძახილი". როცა ემიგრანტულ ლიტერატურულ სივრცეზე საუბრობ, შეუძლებელია, მხოლოდ რეალური მოვლენების გაცნობით ან რეცენზიებით შემოიფარგლო. გალაკტიონს არ იგონებენ მხოლოდ, გალაკტიონს არ აფასებენ მხოლოდ, არამედ მას ლექსებითაც ეხმიანებიან. ამგვარი პრინციპით, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანი პანორამა დაიხატება", – თქვა ქალბატონმა რუსუდან ნიშნიანიძემ და ისაუბრა საფრანგეთში გამომავალ კრებულზე „კავკასიონი" და ჟურნალზე „თავისუფლების ტრიბუნა"; აგრეთვე პარიზში 1926-1939

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებში გამოცემულ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ორგანოს, გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს" ნომრებზე, საფრანგეთშივე დასტამბულ გიორგი ყიფიანის წიგნზე „რჩეული შაირების კრებული" (1951 წ.); ასევე, წიგნაკზე „ლტოლვილთა საძვალეები" და სანტიაგო დე ჩილეში 1960 წელს გამოცემულ გიორგი გამყრელიძის პოეტურ კრებულზე „გვიანი რთველი". მომხსენებელმა პარალელები გაავლო „აქ" დაბეჭდილ ნიმუშებთან.

თავისი გამოსვლა რუსუდან ნიშნიანიძემ ამგვარად დაასრულა: „კარლო ინასარიძე წიგნში „ფილმისმეტყველება" (მიუნხენი, 1975 წელი) საინტერესოდ წერდა: სიმბოლო შეიძლება იყოს საერთო და ინდივიდუალური: ჯვარი არის მაგალითად, ნამებისა და აღდგომის სიმბოლო, სულ ცოტა, ქრისტიანებისათვის, რითაც ის არის საერთო სიმბოლო. ჯვარცმის მედალიონი კი, რომელსაც, ვთქვათ, ქმარი მიიღებს მომაკვდავი მეუღლისაგან, ხდება ინდივიდუალური ერთგულების სიმბოლო. შორეული პერიფრაზით და ერთგვარი რედაქტირებითაც შეგვიძლია დავასკვნათ: ქართულ ემიგრაციაში შექმნილი თითოეული ტექსტი (და მათი რიცხვი არცთუ უმნიშვნელოა) რჩება, როგორც ამ ავტორთა ნიშანი-სიმბოლო საერთო ერთგულების, ყურადღების, ანგარიშის გაწევის და იმავდროულად, პირადი პატივისცემისაც".



რუსუდან ნიშნიანიძე

* * *

ქალბატონმა **თამარ ბარბაქაძემ** შეკრებილებს წაუკითხა სიტყვა გამოგზავნილი **აკაკი ხინთიბიძის** მიერ, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ ტრადიციის დაფუძნებასა და შენარჩუნებაში. მისი თქმით, ბატონი აკაკი მუშაობს გალაკტიონის ცხოვრებაში რიცხვი 17-ის საკრალურ მნიშვნელობაზე. იგი ფიქრობს, რომ ეს ციფრი გამორჩეული იყო გალაკტიონისთვის – ის 17 ნოემბერს დაიბადა და 17 მარტს გარდაიცვალა. მისი უსაყვარლესი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი 1817 წელს დაიბადა, ხოლო ლადო ასათიანი კი – ვინც მას „ლექსის მეორედ მოსვლა უწოდა" – 1917 წელს.

– სწორედ ამ თემაზე ამზადებდა ბატონი აკაკი მოხსენებას, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი და ვერ შეძლო.

იმედი ვიქონიოთ, რომ ის ამ ყველაფერს მალე დაწერს და გამოაქვეყნებს კიდეცო.

ბატონმა **გიორგი გაჩეჩილაძემ** მომხსენებელს თავისი მოსაზრება გაუზიარა და იმ შტრიხის გათვალისწინება ურჩია, რომლის მეთოდოლოგიური პრინციპი თვითონ გალაქტიონსაც აქვს განსაზღვრული.

– ცივილიზაციის, ასევე საზოგადოების აღმავლობა და დაცემა ყოველთვის უკავშირდება ერთ ბიორიტმს – ეს არის ამ ერის, ამ ცივილიზაციის შემოქმედებითი უმცირესობის გასვლა თავისი ქვეყნის გარემოდან და მერე უკან დაბრუნება, დაბრუნება სხვა სკნელიდან წამოღებული სიბრძნითა და სინათლით, ახალი ხედვით, რომელიც თავის რეალობაში გასარკვევად გამოადგება. იმის თქმა მინდა, რომ იმ ემიგრანტულ საზოგადოებას გალაკტიონი, მიუხედავად მისდამი სათუთი დამოკიდებულებისა, არ აღუქვამს გასვლისა და დაბრუნების კონტექსტში. არადა, გალაკტიონი თავისი პოეზიით ასრულებს ამ მისიას – ის თავისი შემოქმედებითი ინტერესებით არის ქართული გარემოდან ზეტერიტორიალიზებული, შემდეგ ბრუნდება და აღწევს რეტერიტორიზაციას ანუ ის გლობალური მოვლენააო, – აღნიშნა მან.

ბატონი **ემზარ კვიტაიშვილის** თქმით კი, მზადდება გალაქტიონოლოგიის მორიგი ტომი, რომლისთვისაც ის მუშაობს წერილზე აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას შორის არსებული კავშირების შესახებ. შეკრებაზე ბატონმა ემზარმა ისაუბრა გალაკტიონის სიახლოვეზე აკაკისთან და ნიკოლოზ ბარათაშვილთან და მისი სამყარო ამ ორ გენიასთან მიმართებაში გახსნა.

ამასთანავე მან გაიხსენა გასული წლის ნოემბერი – სტუმრობა ფარცხნალში, სადაც გალაკტიონი პედაგოგად მუშაობდა ერთი წლის მანძილზე და ახლა კი იქ გალაკტიონის კუთხე არსებობს.

– ამ საღამოს ერთ-ერთი თაოსანი იყო ქალბატონი იზა ვეფხვაძე, ვისაც გამოცემული აქვს წიგნი „გალაკტიონის ნატერფალები", – თქვა ბატონმა ემზარმა, – გალაკტიონის პოეზიის არაჩვეულებრივი ცოდნა და სიყვარული გამოავლინეს იქ შეკრებილებმა, მერე ჩვენ მოვინახულეთ ფარცხნალის ეკლესია, ტაძრის ეზო, სადაც დიდი პოეტის ხელით დარგული ნიფელა დგას... და როცა ის გარემო ვნახე, მე მივხვდი, რომ იქაურობამ საოცარი შვება მისცა გალაკტიონს, შვება, რომელიც მის შემოქმედებაშიც აისახაო.

ქალბატონმა **თამარ ბარბაქაძემ,** ვინც სონეტის ისტორიას იკვლევს და ამ თვალსაზრისით აკვირდება გალაკტიონის პოეზიას, მისი შემოქმედება ასეთი კუთხიდან დაანახა შეკრებილებს.

**შალვა საბაშვილმა** და **თენგიზ სვანიძემ** საღამოზე გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

ბატონმა **თემურ დოიაშვილმა** კი შეკრებილ საზოგადოებას შეახსენა:

– ახლოვდება გალაკტიონის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის – ახალი ქართული პოეზიის დაბადების თარიღი. გალაკტიონის ცენტრი ამ ყველაფერს სათანადოდ გამოეხმაურება, მაგრამ უფრო ფართო მასშტაბით აღნიშვნაა საჭირო, ჯერჯერობით კი ხელისუფლებასთან ამ თემაზე არანაირი ხმა არ ისმისო.

გალაკტიონის დღე **ლევან ქურციკაშვილის** გამოსვლით დასრულდა:

– ახლახან გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნდა პატარა წერილი გალაკტიონზე. იქ იხსენებდნენ ასეთ რამეს:

გალაკტიონი მეორე სართულზეა. არაფერი იცის. მესამე სართულზე კი შალვა დადიანია გარდაცვლილი. მწერლები მივიდნენ გამოსათხოვებლად. გალაკტიონმა რომ გაიგო, შეუერთდა, ხელი გაუწოდა მათ, მაგრამ არცერთმა მათგანმა არ ჩამოართვაო... მართლა ასე იყო? – გულისტკივილით იკითხავს ლევან ქურციკაშვილი.

– კონსტანტინე გამსახურდიამ არ ჩამოართვა ხელი. თვითონვე წერს ამის შესახებ: თავი ავარიდე და ახლა ძალიან ვნანობ, ასე რომ მოვიქეციო, – უპასუხებენ დარბაზიდან.

– და კიდევ: ერთი სევდიანი მოგონება მაქვს, – განაგრძობს იგი, – მე სულ სხვა საქმისთვის ვიყავი იმ პროზექტურაში მისული მაშინ. გალაკტიონის გაკვეთა მიმდინარეობსო, – მითხრეს. გარეთ ვიცდიდი. მახსოვს ის განცდა და ის სიტყვებიც მახსოვს ექიმისა: მისი ღვიძლი ისეთი იყო, როგორც მტრედისაო...

ჩემი თაობის ადამიანებს ვის არ გვახსოვს გალაკტიონი – ახოვანი, ბერკუტივით გადაშლილი ხელებით და მომართვით:

– ბიძიკოებო!.. ბიძიკოებო!..

---

რიტა ბაინდურაშვილი

# ხუმრობებზე... სრულიად სერიოზულად

„ვინ თხზავს ანეკდოტებს?" – ასეთ ორიგინალურ თემას მიეძღვნა არტ-კაფე „ქარავანში" კრიტიკოს ლევან ბრეგაძესთან შეხვედრა, რომელიც ფარმაცევტულმა ფირმა „ავერსმა" დააფინანსა და, ჩვეულებისამებრ, არტ-კაფეს დიასახლისმა ლელა შუბითიძემ გახსნა. ლევან ბრეგაძემ ანეკდოტის წარმოშობის ისტორია სახალისოდ და საინტერესოდ უამბო მსმენელთ და მრავალი პარალელი გაავლო ძველი და ახალი დროების ანეკდოტებს შორის.

მართლაცდა, როგორ იქმნება ანეკდოტი?

* * *

მომხსენებელმა ასეთი ამბავი გაიხსენა არც ისე შორეული წარსულიდან: 80-იან წლებში საკავშირო ტელევიზიით ყოველ კვირადღეს გამოდიოდა პოლიტიკური მიმომხილველი იური ჟუკოვი და ტელემაყურებელთაგან წერილობით შემოსულ შეკითხვებს უპასუხებდა. წერილების ავტორებს აინტერესებდათ, მაგალითად, რას ნიშნავს მომწიფებული სოციალიზმი? ანდა რატომ განყვიტა ამა თუ იმ ქვეყანამ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა და ა.შ.

მაშინ ხალხში ასეთი ანეკდოტი-პაროდია გავრცელებულა: გამოდის იური ჟუკოვი ტელევიზით, წინ წერილები უწყვია და აცხადებს: ტელემაყურებელი პეტროვი ვლადივოსტოკიდან გვეკითხება: ვინ თხზავს პოლიტიკურ ანეკდოტებს? ეს საკითხი აინტერესებთ აგრეთვე ამხანაგ ანდროპოვს მოსკოვიდან, ამხანაგ ალიევს ბაქოდან, ამხანაგ ინაურს თბილისიდან...

ეს ანეკდოტი-პაროდია იმ პერიოდში მართლაც უამრავი პოლიტიკური ანეკდოტის გავრცელებამ დაბადა, რაც საბჭოეთის პოლიტიკურ ელიტას, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა. არადა, კომუნისტური ეპოქა თავისი აბსურდული და მარაზმატიკული იდეოლოგიით არაჩვეულებრივად მსუყე ნიადაგი გახლდათ პოლიტიკური ანეკდოტების წარმოშობისათვის. ჰოდა, ხალხიც თხზავდა და ბევრსაც იცინოდა.

მომხსენებლის აზრით, ანეკდოტის შექმნა თვალშეუვლები პროცესია და მისტიკური ბურუსით არის მოცული. დაბეჯითებით იმის თქმაც კი ძნელია, ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია იგი თუ კოლექტიურისა. მრავალი ანეკდოტი, რომელიც უაღრესად თანამედროვედ, აქტუალურად ჟღერს და ახლახან შექმნილს ჰგავს, სინამდვილეში საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს და კარგად დავიწყებული ძველია.

იმის ნიმუშად, რომ მრავალი ანეკდოტი, რომელიც მეტად თანამედროვედ ჟღერს, სინამდვილეში ოდნავ გადაკეთებული კარგად დავიწყებული ძველი ხუმრობაა, ლევან ბრეგაძემ 1953 წელს გავრცელებული ერთი ანეკდოტი უამბო დამსწრეთ: ეშმაკის სამფლობელოს, ჯოჯოხეთს, დანტე ათვალიერებს და ხედავს, რომ ერთი ყველაზე საზიზღარი არამზადა მხოლოდ მუხლებამდე დგას სისხლში. გაუკვირდა დანტეს, მიუახლოვდა და ლავრენტი ბერია იცნო:

– ასეთ ცოტა სისხლში რატომ დგახართ, ლავრენტი პავლეს-ძევ? – ჰკითხა დანტემ.

– იოსებ ბესარიონის ძის მხრებზე ვდგავარ და იმიტომ, – უპასუხა ბერიამ.

ეს ანეკდოტი არა მარტო ჩვენთან, უცხოეთშიც გამოქვეყნებულა. იდეა კი, რომელიც მას საფუძვლად უდევს, ათას ოთხასი წლის წინანდელი მაინც არის და სათავეს მე-6-7 საუკუნეების ბიზანტიელი მწერლის იოანე მოსხის მოთხრობათა კრებულ „ლიმონარში" იღებს. „ლიმონარი" პატარ-პატარა სულთმარგებელი მოთხრობების კრებულია, რომელიც ბერ-მონაზონთა და ასკეტთა ცხოვრებაზე გვიამბობს. მასში ასეთი ამბავიც არის მოთხრობილი: ერთ ბერს ათი მოწაფე ჰყოლია, რომელთაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ზარმაცი და დაუდევარი ყოფილა. ბევრი ხშირად აფრთხილებდა, მოკვდავი ხარ და შენი სულისთვის იზრუნეო, მაგრამ მონაფე არად აგდებდა ბერის ნათქვამს. მალე იგი მართლაც გარდაიცვალა. შეწუხდა მოძღვარი: იცოდა, მის მონაფეს ჯოჯოხეთი არ ასცდებოდა და უფალს სთხოვა, მისი ადგილ-სამყოფელი მაჩვენეო. უფალმა თხოვნა შეუსრულა. ნახა მოძღვარმა, რომ მისი მონაფე ყელამდე ცეცხლის მდინარეში დგას და დანანებით შეახსენა: ხომ გაფრთხილებდიო. მონაფემ მიუგო: „იმაზეც მადლობელი ვარ გამჩენისა, რომ ცეცხლიდან თავი მაინც მაქვს ამოყოფილი, „რამეთუ ფერხნი ჩემნი დგანან თავსა ზედა ეპისკოპოზისაო"

– ეს პატარა მოთხრობა და 1953 წელს გავრცელებული ანეკდოტი მხოლოდ დეტალებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძველებური აქსესუარები ახლით არის შეცვლილი, რის შედეგადაც ძველისძველი ფაბულა უაღრესად თანამედროვედ ახმიანებულა, – ბრძანა ბატონმა ლევანმა და კიდევ რამდენიმე ასეთი პარალელი გაიხსენა ანეკდოტთა ძველი და ახლი ვერსიებისა.



ლევან ბრეგაძე

შემდგომ დარბაზში მსჯელობა გაიმართა, საინტერესო დისკუსია იმის შესახებ, განიცდის თუ არა იუმორის გრძნობა ევოლუციას. მომხსენებლის აზრით, უძველეს ბერძნულ ანეკდოტებზე ისევე გვეცინება, როგორც თანამედროვე მახვილგონივრულ ხუმრობებზე, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იუმორის გრძნობას იმ ისტორიული პერიოდის განმავლობაში, რომლის შესახებაც წერილობითი წყაროები მოგვეპოვება, ევოლუცია არ განუცდია. ხოლო ის ამბავი, რომ ზოგიერთ ძველ ხუმრობაზე აღარ გვეცინება, მომხსენებელმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით ახსნა და ამის მაგალითად ერთი შემთხვევა გაიხსენა:

– ძველი უბის წიგნაკში 1989 წლის 9 მაისს ასეთი ანეკდოტი ჩამიწერია:

„ერთი ნატრობდა, ნეტავი 2000 წლის 20 დეკემბერს მომასწროო. რატომ მაინცდამაინც 20 დეკემბერსო? – ჰკითხეს. რატომ და თვის ბოლო ხომ იქნება, კვარტლის ბოლო ხომ იქნება, წლის ბოლო ხომ იქნება, საუკუნის ბოლო ხომ იქნება და ათასწლეულის ბოლოც ხომ იქნება. ჰოდა, რამდენ რამეს გამოიტანენ მაღაზიებში!"

ამ ანეკდოტის იუმორს მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც გეგმური საბჭოთა ეკონომიკის პირობებში უცხოვრია და ახსოვს, რომ მუდამ ცარიელ მაღაზიებში, როგორც წესი, თვის, კვარტლისა და წლის ბოლოს ჩნდებოდა პროდუქცია გეგმის შესასრულებლად. ამას წინათ ჩემს სტუდენტებს წავუკითხე მილენიუმისადმი მიძღვნილი ეს მშვენიერი სატირული მინიატურა და არათუ გაეცინათ, ვერც კი მიხვდნენ, რაზე იყო საუბარი.

შეცვლილ საზოგადოებრივ ვითარებასთან დაკავშირებულ ამგვარ „ყავლგასულ" ანეკდოტებს მრავლად შეხვდებით ძველ კრებულებში, იქნება ეს აბულ ფარაჯის (სირია, მე-13 საუკუნე) თუ პოჯო ბრაჩოლინის (იტალია, მე-15 საუკუნე) კოლექციები. ასეთი ხუმრობები კვლავ გაცოცხლდება, როგორც კი იმის მსგავსი ვითარება შეიქმნება, რამაც თავის დროზე ისინი წარმოშვა.

საერთო მსჯელობაში პარალელები ანეკდოტსა და იგავს შორისაც გაივლო, ითქვა, რომ პოეტიკა და ფორმა, ლაკონიურობის პრინციპი ამ ჟანრებისთვის საერთოა, თუმცა განსხვავება მათ შორის არსებითია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ რელიგია უხვად იყენებს იგავს, ანეკდოტს (საერთოდ, იუმორს) კი არა სწყალობს.

შეხვედრის დასასრულს მწერალმა და კრიტიკოსმა როსტომ ჩხეიძემ ერთგვარი რეზიუმე გააკეთა და აღნიშნა:

– როცა ამ თემაზე ლევან ბრეგაძის ადრე გამოქვეყნებული მცირე ნაშრომი წავიკითხე, იმდენად საინტერესო მეჩვენა, რომ ვთხოვე, განევრცო იგი, გაეგრძელებინა მასზე მუშაობა, შეევსო ახალი ანეკდოტებითა და მისეული ანალიზით, ამ თემაზე დღეს არსებული ინფორმაციით და მონოგრაფიად ექცია, რადგან მას არა თუ ასეთ ორიგინალურ, არამედ სრულიად სტანდარტულ თემებზეც კი იმდენად საინტერესოდ შეუძლია წერა და საუბარი, რომ აღტაცებაში მოიყვანოს მკითხველი, მსმენელი. იშვიათია ჩვენში ასეთი მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანი, ამიტომ საზოგადოება მისგან კვლავაც ელის ახალსა და ისევე საინტერესოს, როგორიც თუნდაც დღევანდელი მისი მოხსენებაა.

შეხვედრა კი მართლაც საინტერესო და ხალისიანი გამოვიდა. ხუმრობებზე ხუმრობით და სრულიად სერიოზულად მსჯელობდნენ მისი მონაწილენი. ითქვა, რომ ანეკდოტი სოციოლოგთა, ფილოსოფოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა, რისი დასტური ისიც არის, რომ ამ ჟანრისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომია განთავსებული ინტერნეტში, ალექსანდრე კარტოზიას კი დისერტაციაც დაუცავს საბჭოურ ანეკდოტზე. ასე რომ, ანეკდოტი, ანუ „გამოუქვეყნებელი" (ასე ითარგმნება ეს სიტყვა ბერძნულიდან ქართულად) დღეს უკვე მეცნიერთა სერიოზულ ინტერესს იწვევს, მას არა მარტო სიამოვნებით ისმენენ, არამედ გატაცებით იკვლევენ კიდეც.

ამ შეხვედრაზეც ბევრი ძველი თუ ახალი ანეკდოტი გახმიანდა, ანდა, როგორ იქნებოდა სხვაგვარად?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# თვითმკვლელობა – გარდუვალი მოვალეობა

ყოველთვის საპირისპირო პოლუსზე აყენებდა მიხეილ ჯავახიშვილი, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძეს და, მეორე მხრივ, ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის ტანდემს. მაგრამ ისტორიის ჩარხი ისე დატრიალებულა, რომ ეს ტანდემი დაშლილა და ნოე ჟორდანიას, თავისდაუმოულოდნელად, ილიას მხარეს გადაუნაცვლებია. გინდა – არ გინდა, ნოე აღმოჩნდებოდა იმისი მემკვიდრე და დამოუკიდებელი საქართველოს თავისებური სიმბოლოც, როგორც სახელმწიფოს მეთაური. ფორმალურია ეს გაიგივება, და არა სულიერებიდან ამოზრდილი, მაგრამ 30-იანი წლების დამდეგს, როდესაც „უბის წიგნაკის" ეს რკალი იქმნება, ნოე ჟორდანიას სახელი მხოლოდ ასე ხმიანებს საზოგადოებრივ ცნობიერებაში – კიდევ მოელიან, რომ რაღაცას ილონებს პარიზში თავშეფარებული და ევროპიდან ამოიგებს დაკარგულ თავისუფლებას.

ამ განწყობილებას ნამიერად ემორჩილება მიხეილ ჯავახიშვილიც. და უკვირს და ვერ აუხსნია, ღმერთი თუ კიდევ შემორჩა ამ ქაოტურ სამყაროს, რატომ არ კითხულობს აბელის ბედს, და აბელის სისხლი მაინც რატომ არ შეჰღაღადებს უფალს?!.

– ღმერთმა რომ საქართველოს გადმოხედოს, ატირდება.

და რაკილა ზეციდან კურცხალი არავის ეცემა თავზე, მაშ ღმერთი სრულიად გარიდებულა, ზურგი შეუქცევია ჩვენი ქვეყნისათვის და კურთხევა დაწყევლით შეცვლილა.

დგებოდა ბოლშევიზმის ხანა და 25 თებერვალი ქვეყნის ხელისუფლებიდან რომ გაისტუმრებდა მენშევიკებს, მიხეილ ჯავახიშვილი უბის წიგნაკში ამ პოლიტიკურ მოვლენას ასეთი სიმბოლიკით განსაზღვრავდა:

– მენშევიზმი უკვე ძველი აღთქმაა.

ნუ მოგჭრით ყურს ეს ფორმულა და ნუ წაეკამათებით მწერლის აჩრდილს – მენშევიზმი სადაური ძველი აღთქმააო. სატირიკოსის მზერაში მხოლოდ ასე მოჩანდა და არა სხვანაირად, ფარსი და პაროდია ამ ადგილს მიუჩენდა და „ჯაყოს ხიზნების" შემოქმედს ანკი როგორ გამორჩებოდა მენშევიზმის ეს ბედისწერა.

ფრაზა გამჭვირვალედ მიანიშნებს, თუ რა გამხდარა ახალი აღთქმა, ძველზე ამოზრდილი, მაგრამ მასზე უკვე ბევრად აღმატებული და მიმდევრებითაც ძალიან გასწრებული.

მინიშნება მინიშნებად, მაგრამ ბარემ უშუალოდაც გამოითქვას აქ ნაგულისხმევი.

გამოითქმის კიდეც:

– „თეთრი საყელო". ჯურხა (როცა ელიზბარს ემშვიდობება): წითლები ამავლენ, ჩვენს საქონელს და დავლათს წაილებენ, ჩონ კი შიმშილს, წითელ სახარებას, თავიანთ ხალათსა და ენას დაგვიტოვებენ.

გამოქვეყნებისას რომანში ვერსად ამოიკითხავთ ამ სიტყვათშეთანხმებას: წითელი სახარება.

ყოველ შემთხვევაში, ასე შეერქმევა მარქსიზმს მიხეილ ჯავახიშვილის მსოფლგანცდაში, და ეს „წითელი" მხოლოდ ერთგვარ განსხვავებას კი არა გულისხმობს ახალი აღთქმისაგან, არამედ სრულიად საპირისპირო პოლუსს.

და როდესაც ირონიულად არ იხსენიებს მარქსის მოძღვრების ახალ აღთქმობას, და სახარება მართლაც ქრისტეს სჯულის ქადაგებაა, იმ აუცილებლობას ირწმუნება:

– სატანას მხოლოდ ქრისტე მოერევა. მარქსის შხამს მხოლოდ სახარება გაჰკურნავს.

აუცილებლობას, ურომლისოდაც სასაცილოვდება და უმწეოვდება ყველაფერი, რადგანაც ტრაგედიის უფსკრულს ქრისტეს რწმენაზე დაუყრდნობლად თავს ვერაფრისდიდებით ვერ დააღწევ:

– ყოველივე დანარჩენი უქმი ლაყბობაა და მეტი არაფერი.

ერთდერთი აზრი და მიზანი ყოველი მწერლისა და მოღვაწის ეს შეიძლება იყოს: მარქსის შხამის ამოშრეტვა, წითელი სახარების გადაფხრეწვა და შესაფერისი პირობებისა და გარემოს მომზადება მესიის მოსასვლელად.

ყველა, ყველა მოელის მესიას.

თუმც სხვადასხვაა მათი წარმოდგენა.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის და საერთოდ ეროვნულ მოღვაწეთა მოლოდინს იმ წუთას არც გაამჟღავნებდა, როდესაც ქრისტიანულსა და კომუნისტურ იდეალს შეუთანასწორებდა ერთმანეთს.

– ქრისტიანები და კომუნისტებიც ერთნაირად ელიან მესიას. ერთნი ზეცას, მეორენი ამ ქვეყნად.

და იქვე მწარე ჩაცინება:

– ელოდნენ.

სასონარკვეთის წუთი დასდგომია მწერალს და ეს განწყობილება ისე მორევია, ლამის ქრისტიანული რწმენისაც აღარ იწამოს თეიმურაზ ხევისთავივით – სულ აქეთიქით რომ აწყდება და ირყევა რწმენასა და ურწმუნოებას შორის.

საგულისხმო ამ ჩანაწერში ისაა, რომ მხსნელის მოლოდინიც ძველი და ახალი აღთქმიდან მიუტაციათ მარქსისა და იმის მიმდევართ და ამჯერადაც ამაღლებულის გაპაროდიულება-გაპამპულება მოუხერხებიათ.

სასონარკვეთის წუთი ქრება და მიხეილ ჯავახიშვილი კვლავ ორ საპირისპირო პოლუსზე მოაქცევს ქრისტიანულსა და მარქსისტულ მოძღვრებას, რათა გააგრძელოს წითელი სახარების მორალური დაცემა-გახრწნის მხილება:

– წითლების მიზანია ყველანი ერთმანეთს შეაძულონ და თავისთავიც შეაძულებინონ (ანტიქრისტეს ოცნებაც ეს არის). ქრისტიანებისა კი ერთმანეთიც და საკუთარი

---

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა" №12

თავიც შეაყვარონ. „თქმა არ უნდა ლენინი ანტიქრისტეა და სტალინი კი მისი ომარი" – ამბობს ვინმე იქსი.

და ასეთ შემაძრწუნებელ ჟამს, როდესაც ეს მორალი განაგებს ყველასა და ყოველივეს, რას შეიძლება მოეჭიდოს ადამიანი, გარდა ოცნებისა, უფრო ხელშესახები რა შეიძლება გამოიჩხრიკოს, რომ მის მოსალონიერებლად გადადოს თავი და სხვათაც იმ მადლის ნამცეცები შეაგრძნობინოს? როგორ შეიძლება ქრისტიანული მოძღვრება კვლავ შინაგან მოვლენად იქცეს ერისათვის და არა გარეგნულ სამოსად, მითუმეტეს, რომ უკვე ათეისტურ საზოგადოებაში მოუწევთ ცხოვრება?

რეალობის არსში ჩახედვა კიდევ უფრო მწუხარე განცდას ბადებს:

– საქართველოს რელიგიური ძიება არა აქვს, რადგან შინაგანი თავისუფლებაც არა აქვს.

თუკი ქრისტეს ხელახალი პოვნა მოგინდომებია, რათა ეს მოძღვრება ზედაპირულად კი არ გქონდეს გადმოცემული, არამედ მისი არსის შეცნობა-შეთვისება სცადო, ჯერ შინაგან თავისუფლებას უნდა მიაღწიო. საფეხურები კი მკაფიოდაა განსაზღვრული, მაგრამ როგორ გინდა ამ შინაგანი თავისუფლების მოპოვება? ასეა თუ ისე, იმედი მკრთალად მაინც გაიჟიატებდა – რასაც დღეს ვერსად ჰპოვებდი, ხვალ იქნებ დაკარგული არც ყოფილიყო, მაგრამ, აი, რუსეთი რას აპირებდა, იმპერიად გადალაჯული უშველებელ სივრცეზე, თუმც თვითონაც უბედური, რადგანაც ღვთის რწმენა გამოსცლოდა.

– რელიგია ჰგულისხმობს ზეცას. დღევანდელი რუსები კი რელიგიას ჰქმნიან (ლენინიზმი) და საკუთარ კუჭზე ლოცულობენ.

ამ ლოცვის იქით?

ეს ჩანაწერი აქ წყდება, რათა იქვე ახალი ფრაგმენტი გაჩნდეს, ამავე თვალსაზრისის ვარიაცია და არა მისი შევსება თუ გაღრმავება:

– რუსეთი სალოსების კლასიკური ქვეყანაა. მუდამ უხვად იყვნენ კუზმები, მიტკები, საროველები, კრონშტატელები და რასპუტინები. ეს ღვთის მონები და დავრდომილი ქადაგები ხშირად განაგებდნენ მთავრობასაც კი, და სამივე – მთავრობაც, სალოსებიც და ხალხიც მუდამ სასწაულის მოლოდინით სცხოვრობდა. ეხლაც იგივეა: იყო ლენინი და დარჩა სოციალიზმის სასწაული.

მარქსიზმის შხამის ამოშრეტვაო...

ლენინიზმი მისი პირმშოა და სათავე რომ მოისპობა, ისიც თან გადაჰყვება. მარქსიზმის ჩაშრეტვასა და წითელისახარების გადაფხრეწვასთან ერთად გაქრება სოციალიზმის სასწაულიც და კომუნისტური სასუფევლის მოლოდინიც, და ბოლშევიკი წინასწარმეტყველნი და ნაქადაგარი მესიაც თავიანთ ნამდვილ სახეს დაიბრუნებენ – პაროდიულს, კომიკურს, მარტოდენ ფარსისათვის შესაფერისს.

ყოველივე დანარჩენი უქმი ლაყბობაა და მეტი არაფერიო...

და ყალბმა იდეალმა რომ გადაიაროს, გაკოტრებულმა და გაცუცურაკებულმა სახადივით რომ ამოიჭამოს თავი, ამ განცდამ უნდა იტრიალოს ხელახლა ქვეყნის ცხოვრებაში, XIX საუკუნეში შთამბეჭდავად ამოზიდულმა და მერე ნელ-ნელა მიბინარებულმა – ქართულმა მესიანისტურმა რწმენამ.

XX საუკუნის 20-იანი წლები მესიანისტურ იდეასთან მიბრუნების ჟამია და მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკშიც ამიტომ მიმოიბნეოდა მისი აღდგენის წყურვილი.

მესია არ მოგვევლინება, თუ არ იქნა მძაფრი მოლოდინი.

მხოლოდ მოლოდინი გაუხსნის გზასავალს მესიას.

და სკეპსისით გულგამოჭმულმა თეიმურაზ ხევისთავმაც სახარებაში უნდა ჰპოვოს სულიერი შვებაც, ნუგეშიც და მძაფრი მოლოდინის შეგრძნებაც, და ღვთის სამსჯავროს გარდუვალობის იმედად განჭვრიტოს ჯაყოსა და ჯადოობის აღსასრული.

იმედოვნება განმსჭვალავდა მწერლის სასოწარკვეთამდე მიღწეულ სულიერ რყევას, თვითონაც აპოვნინებდა შვებას რომანის მხატვრული სამყარო და თეიმურაზ ხევისთავის ხასიათის სრულყოფილი, უკიდურესობამდე გაშიშვლებული გამოხატვა აალებინებდა ხელს თვითმკვლელობის განზრახვაზე.

ისე ჰგვემდა საკუთარ თავს თეიმურაზის სახით, ისე არ უტოვებდა ნამცეცსაც კი თავის მოსატყუებლად და სულიერი ჯვარცმისათვის გაწირავდა,რომ რომანშივე ჩატოვებდა თვითმკვლელობის განზრახვას, ისევე, როგორც ვერტერის სახის გამოხატვამ რომანში აალებინა ხელი გოეთეს უკვე გადაწყვეტილ თვითმკვლელობაზე.

„ჯაყოს ხიზნებშივე" ჩატოვებდა თვითმკვლელობის განზრახვასო.

კი მაგრამ, სად შეიძლება ამოიკითხოს ადამიანმა მიხეილ ჯავახიშვილის ეს შემაძრწუნებელი ჩანაფიქრი?

ასე პირდაპირ არც არსად – არც კერძო ბარათში, არც უბის წიგნაკში, ქარაგმულადაც არ მიგვანიშნებს და მაშ... არარსებულ განზრახვას ხომ არ მივაწერთ?

კიდევ რამდენი შეხედულება თუ დაკვირვება მიმოიბნეოდა.

– პირწავარდნილი ბიზანტიადა დაიწყო: იგივე სარწმუნოება, დავა, სექტანტობა.

ეს ფრაზა იმიტომაც უნდა გამოირჩეს, რომ რელიგიურობისა და პარტიულობის შეპირისპირების თარგზე აგებული ჩანაწერთა რკალი საბოლოოდ შეივსოს.

კვლავაც გაიგივებულა ბოლშევიზმ-კომუნიზმი რელიგიასთან და შიდა პარტიული ბრძოლები სარწმუნოებრივ ჭიდილთან.

განსხვავებას ვერა ხედავს: პირწავარდნილიო და იგივეაო.

ასე რომ, მესამე რომს – რუსეთს როგორც მოაქვს თავი – და მის სახელმწიფოებრივ იდეოლოგიად გადაქცეულ პარტიულ აზროვნებას ყოველმხრივ შეეფერება ეს ისტორიული ცნებანი – ბიზანტია და ბიზანტიადა.

ის, რაც 1925 წელს მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში ამ მოკლე ფრაზით აღნიშნულა, მოგვიანებით კონსტანტინე გამსახურდიას გონებაშიც იჩენდა თავს და, „დიდოსტატის მარჯვენას" მძაფრი ანტიბიზანტიური სულისკვეთებით რომ განმსჭვალავდა, ცხადია, ოდესღაც გადაშენებულ იმპერიას კი არ გაუმართავდა დავას დროის გადასახედიდან, რუსულ ძალმომრეობას შეასკდებოდა კიდევ ერთხელ.

პირწავარდნილი ბიზანტიადაო...

ბიზანტიის ბედიც მოელოდა ადრე თუ გვიან მისი მემკვიდრეობის დამჩემებელს, მაგრამ მანამდე ბოლშევიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რი იმპერია სულსაც გაგვიმწარებდა და უამრავ ადამიანსაც გადაიყოლებდა, კევრის ქვეშ მიხეილ ჯავახიშვილიც რომ მოჰყვებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებას ისედაც არ დაკლებია დრამატიზმი და ხელოვნური შტრიხის მიმატება რაღა საჭირო უნდა იყოს?

მაგრამ არის კი ხელოვნურად მიმატებული?

დითირამბს რომ შეასხამდა კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობას – ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი საქართველოშიო, ერთადერთი ვაჟკაცური აქტიო, დღეს ასე უნდა მოიქცეს ყოველი პატიოსანი ქართველიო, დღეს თვითმკვლელობა გარდუვალი მოვალეობააო – მაშინვე „ჯაყოს ხიზნების“ გმირსა თუ უფრო ანტიგმირს წამოუტივტივებდა მეხსიერება: ვინც ამას ვერ გაბედავს, პირწავარდნილი თეიმურაზ ხევისთავიაო.

კიდევ ერთხელ წაჰკრავდა ფეხს დაცემულსა და ნაკაცარად გადაქცეულ პერსონაჟს, უფრო ზუსტად, საკუთარ თავს, კარლო ჩხეიძის საპირისპირო პოლუსზე მდგარს.

დითირამბი თვალნათლივ მოწმობს, თუ როგორ შენატრის ასეთ ვაჟკაცობას, პატიოსნებასა და მოვალეობის აღსრულებას, რა ძირისძირობამდე განუცდია და გაუაზრებია ამ აქტის ღრმა სიმბოლიკა.

და თუ გადამწყვეტი ნაბიჯისაგან „ჯაყოს ხიზნების“ შექმნა დაიხსნიდა – 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაწყებულ-დასრულებული ერთი შეტევით, როდესაც გულზე ცეცხლი ედებოდა და სული კი სისხლში ჰქონდა ამოვლებული – სამაგიეროდ, მიდგებოდა და რას მიდგებოდა საკუთარ პროტოტიპზე ამოზრდილ პერსონაჟს და მისი დაცემა-დაკნინების სურათების წარმოსახვითაც რომ ვერ მოიოხებდა გულს, შეურაცხმყოფელ ეპითეტებსაც არ მოაკლებდა: წიგნის ჭიაო, წიგნის მატლიო, ქაჩალი თაგვიო, განათლებული ქათამიო, ნაკაცარიო...

თეიმურაზ ხევისთავი ვერ აღასრულებდა პატიოსანი ქართველის გარდუვალ მოვალეობას, მაგრამ ავტორის წინაშე კი მოიხდიდა თავის ვალს და თვითმკვლელობის წადილს ჩაუქრობდა და სამუდამოდაც გადააფიქრებინებდა.

თუმცა თავისებურ ნოსტალგიად კი შემორჩებოდა მიხეილ ჯავახიშვილს ეს დღეები, ამ განზრახვას რომ აეტანა მისი არსება, და თუ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავდა, კარლო ჩხეიძის საქციელში ჰპოვებდა თავისი ოცნების ხორცშესხმას.

ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი საქართველოშიო!..

გამოჩნდა სიმბოლოდ, ზნეობის უწყვეტობის შემნარჩუნებლად და სხვათა ჯვარის მტვირთველად, გამოჩნდა, როდესაც ფარდა გადაეფარებოდა აგვისტო-სექტემბრის სისხლიან რბევას და თავგანწირული გაბრძოლება თავისუფლებისათვის ბოლშევიკური ხელისუფლების ცილისმწამებლურ, ღვარძლიან, ქედმაღლურ და ცინიკურ შეფასებებში ჩაიძირებოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი გასცლოდა ბრძოლის ველს თავის რაზმელებიანად და სამშობლოს მიტოვებაც ავ ბედისწერად აეკიდებოდა, რათა ამ გაუსაძლის ტკივილს გამოეხრა მისი სულიც და სხეულიც და გამოფიტული გაეწირა სამარისათვის.

1925 წლის 28 აგვისტოს მარიამობის წირვასა და წლის პანაშვიდს რომ გადაიხდიდნენ ბაკურიანში, საგანგებო ჩანაწერიც გაჩნდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში:

– ასი ოჯახი მაინც იქნებოდა, რომელთა ნათესავები დაუხვრიტეს. მაგრამ პანაშვიდს ორიოდე მოხუცი და ხუთიოდე ბავშვი დაესწრო. ამ ამბავის სიღრმე და მნიშვნელობა განუზომელია. ამავე დღეებში ჩვეულებრივი სიმღერა. დუდუკი. ზურნა.

როგორი გულისჭიდილითაა ჩანიშნული ეს სტრიქონები. ჩვეულებრივი სიმღერა, დუდუკი და ზურნა ფარავს ტრაგედიის ამ გამოძახილს, რომელიც ასეთი მკრთალია და თითქმის შეუმჩნეველი – ორიოდე მოხუცი და ხუთიოდე ბავშვი.

ნუთუ სულ ესაა მგლოვიარეთა გუნდი!..

როგორ დაზაფრულა და დაშინებულა ხალხი, რომ პროტესტის გამოთქმასაც გაურბიან და საქვეყნო ურვის გამოხატვა იმ ორიოდ მოხუცისა და ხუთიოდ ყმაწვილისათვის მიუნდიათ.

და მაინც, იმედითა და რწმენით ალავსებს მწერლის გულს ეს რელიგიურ-პოლიტიკური აქტი. ხომ მაინც აღსრულდა, ქვეყნის ზნეობრივ მატიანეში ხომ აღიბეჭდა და ამიტომაცაა აღტაცების კილო რომ გამოერევა: ამ ამბავის სიღრმე და მნიშვნელობა განუზომელიაო.

მერე ასეთი ლაკონური ჩანაწერიც გაიელვებს.

– თემა და სათაური: „შავი ჩოხა“.

ეს განზრახული მოთხრობა უსათუოდ აგვისტო-სექტემბრის სისხლისღვრის გამოძახილად უნდა ვიგულისხმოთ, გლოვის აქტად, რაც კიდეც მომხდარა რეალობაში და იქნებ იმ მწერალთა – ცალკე იოსებ მჭედლიშვილი, ცალკე კი კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა და ვახტანგ კოტეტიშვილი – სახეებიც გამოეყენებინა პროტოტიპებად. უშუალოდ ეს ეპიზოდი გაეაზრებინა მხატვრულად, ანდა მხოლოდ ერთგვარი ბიძგი გამომდგარიყო ის პოლიტიკური აქციები მიხეილ ჯავახიშვილის შთაგონებისათვის.

კომენტარიც რომ დაერთვოდეს ამ ჩანაწერს, ამჯერადაც უსათუოდ ის ფრაზა განმეორდებოდა: ამ აქტის სიღრმე და მნიშვნელობა განუზომელიაო.

მაგრამ რაღაც მეტი იყო აუცილებელი.

ის მეტი, რაც ერთხანს თვითონ მიხეილსაც მოჭიდებოდა გულზე და, თავს რომ დააღწევდა ამ მტანჯველ ფიქრს, მღელვარებას იმით დაიმშვიდებდა, სხვაგვარად გავწირავ თავს ქვეყნისათვისო.

და ის მეტი კარლო ჩხეიძის სახელითა და მოქმედებით შევიდოდა საქართველოს ისტორიაში.

ძლივს არ გამოჩენილიყო ერთი პატიოსანი კაცი საქართველოში!..

ხან ისეთი განცდაც დაეუფლებოდა: ვინც ჩვენს დროში ცხოვრობს, ყველა წმინდანად ჩაიწერებაო, – და, ცხადია, აქ „ყველა“ გულისხმობდა ტანჯულთ ქართველობის შენარჩუნებისათვის, დევნაში მოყოლილთ თუ სულიერად შევიწროებულთ. მაგრამ აუცილებელი იყო ისეთი პიროვნებაც, ვინც იტვირთავდა სიმბოლოობას სასოწარკვეთისა და საკუთარი ცოდვის ზღვისა. სხვა თუ ვერ დაგდებდა ვერავითარ ბრალს, შენ ხომ შეგეძლო მკაცრად მოგეთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა პასუხი საკუთარი თავისათვის და ბრალდებულიც შენვე ყოფილიყავ, მსაჯულიც და ჯალათიც.

კარლო ჩხეიძის აქტიც სასონარკვეთაზე მეტად ამ სულიერ სამსჯავროს წარმოსახავდა და თავისებურ მისტიკურ რიტუალად ამიტომაც უნდა ჩაბეჭდილიყო შთამომავლობის ხსოვნაში, თუკი სამუდამოდ არ დარჩებოდა ყველა და ყველაფერი სინამდვილის მიღმა.

მიხეილ ჯავახიშვილი თავისას შეეცდებოდა და ზუსტად და სრულყოფილად განსაზღვრავდა ამ აქტის მისტიკურსა და ეროვნულ შინაარსს, იმ ეროვნულს, რაც ქართველ სოციალ-დემოკრატთა წინამძღოლის თვალში ერთ დროს შოვინიზმისაგან არც განირჩეოდა.

ისტორიას სჩვევია პარადოქსები.

და ესეც ისტორიის პარადოქსულობის კიდევ ერთი ქრესტომათიული ნიმუში.

კოსმოპოლიტი ზვარაკად ეწირება ეროვნულ რწმენას. მარქსიზმის ქადაგებაში დამაშვრალი კაცი მაინც ჰპოვებს ზამთრისაგან დატანებულ ბილიკს ამირანის კვნესისაკენ.

ყველა წმინდანად ჩაიწერებაო...

ერთ პიროვნებას კიდევ გამოარჩევდა ამ ყველადან – გიორგი ლასხიშვილს, და უბის წიგნაკში ასეთ საგულისხმო ჩანაწერს დაგვიტოვებდა მასზე:

1000 წლით უფრო ადრე რომ დაბადებულიყო, წმინდანობა არ ასცდებოდაო.

რატომ ათასი და ორასი ან სამასი არა? ანდა ათას ხუთასი?

ნეტა რას მიგვანიშნებს ეს რიცხვი, რაიმე ნიშანდობლივ თარიღს თუ უბრალოდ საუკუნეთა სიღრმეს?

მაშ რა, იმ ათასი წლის წინათ – უკეთესი პირობები გახლდათ თავის განწირვისათვის?

აგერ გიორგი ლასხიშვილის გვერდით მოღვაწე – სულაც გზის გამკაფავი მისთვის საზოგადოებრივ ასპარეზზე – ილია ჭავჭავაძე წმინდანად არ ჩაიწერებოდა საქართველოს მატიანეში, როდესაც ეკლესია შერაცხავდა წამებულთა ამ დასში?

მაშ გიორგი ლასხიშვილს რატომ დასჭირებოდა საამისოდ ათასი წლით ადრე დაბადება?

აკლდა ის რაღაც, ვერ გადაედგა სწორედ ის გადამწყვეტი ნაბიჯი, რაც ძალდაუტანებლად გადაიყვანდა წმინდანთა დასში, ჰა, მიმდგარიყო ამ დასის ზღურბლთან, მაგრამ არ გაიღებოდა კაკუნზე კარი.

## V
## ნუთუ მართლა განეზრახა თვითმკვლელობა მიხეილ ჯავახიშვილს?

– ხა-ხა! საკუთარ პანაშვიდს დავესწარი! ჩემივე თავის დასაფლავება ვნახე! ხა-ხა-ხა! – ჩაიხითხითებს თეიმურაზ ხევისთავი და ეს სიმწრის სიცილია, გაოგნებისაგან გონებაზე გადასული კაცის ულმობელი განაჩენი საკუთარი უმწეობის მიმართ, როდესაც ხელშესახებად შეიგრძნობს, თუ როგორ გადაგვარებულა სულითაც და ხორცითაც ფოლადისაგან ჩამოსხმულ წინაპართა ეს საბრალო შთამომავალი, გულის მაგიერ დამპალი ძონძი ჩაუდევს, სულის ნაცვლად სიმყრალე დაგუბებია, ძარღვებში კი ცხელი სისხლის მაგიერ ჭაობის დუბელა დაუდის.

საკუთარი გარდაცვალებისა თუ დასაფლავების წარმოსახვა ყოველთვის დრამატულ ხილვებში ეხვევა და მიმანიშნებელია გმირის სულიერი ფერისცვალებისა და აღორძინების, მაგრამ არსებობს ცალკეული გამონაკლისებიც, როდესაც დრამატიზმს ფარსი შეერევა და ტრაგიკული და კომიკური ამ სურათშიც ისევე აიზილება ერთიმეორეში, როგორც მისი ბიოგრაფიის სხვა ეპიზოდებშიც.

თეიმურაზ ხევისთავის ის მტანჯველი ხილვა სწორედ ამგვარ გამონაკლისთაგანია. ეს აზელვა თვითონაც გაუცნობიერებია და მარგოსაც გამოუტყდება: ჩემს ცხოვრებაში ისე აირია კომედია და ტრაღედია, რომ ერთი მეორესგან ველარ გამირჩევია. და რაც შენ კომედიად გეჩვენება, ჩემთვის ტრაღედია გახლავს, – მაგრამ იმ იმედს უფრო ებღაუჭება ნუგეშად და გასამხნევებლად და თვითმკვლელობაზე ფიქრისგანაც იმან უნდა დაიხსნას.

– ხორცით ვკვდები... ხორცით! მაგრამ სული ისევ ჩემია, ჩემი!

თითქოს ამ შეგრძნებით დააღწევს თავს კომედიურობას, მაგრამ თვითონვე აცნობიერებს, რომ ასე ადვილიც არ არის მის ბედში ჩავარდნილი კაცისათვის ფარსს გამორიდება და ის გულსაკლავი სიცილი, საკუთარი თავის აბუჩად აგდება – ჩემს პანაშვიდს დავესწარიო – ამ გაცნობიერებას მოსდევს.

მწერლებისათვის ამგვარ ეპიზოდთა ჩართვა ბელეტრისტულსა თუ პოეტურ ქმნილებებში უმეტესწილად მხატვრული მრწამსითაა ნაკარნახევი, სიუჟეტის მსვლელობის შინაგანი ლოგიკით, მაგრამ კვლავ და კვლავ გამონაკლის შემოქმედთა ხელში ეს ხილვა თვითონ მწერლის პირადი განცდის მხატვრული გარდათქმაა.

რაკილა თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპი თვით მიხეილ ჯავახიშვილია, ისედაც საფიქრებელი გახლდათ, რომ საკუთარი თავის დასაფლავების შეგრძნება მწერალს აგვისტო-სექტემბრის სისხლისღვრის შემდგომ თან დასდევდა და სულს უხუთავდა. და უბის წიგნაკის ჩანაწერი მხოლოდ ადასტურებს მკითხველის მიხვედრას:

– ზოგჯერ მგონია, თითქო ჩემ დასაფლავებას ვესწრები მეთქი.

დიახ, ეს პირადად მიხეილ ჯავახიშვილის ფრაზაა და არა თეიმურაზ ხევისთავის.

ნაცვლად თვითმკვლელობისა, საკუთარ დასაფლავებას გამოცდიდა ხელშესახებად და ამ განცდასა და ხილვას პერსონაჟზე გადაიტანდა.

აბორგებულ, აფორიაქებულ სულსაც ამით დაიმშვიდებდა.

მაგრამ, ეტყობა, დროებით.

იქ, სულის სიღრმეში მაინც ფეთქავდა ზვარაკად თავის გადადების ჟინი, ოდნავ დაყრუებულიყო, შეფარულიყო, მაგრამ გაქრობით მაინც არ გამქრალიყო და, ვინ იცის, კიდევ ეჩინა თავი. ამიტომაცაა, „ჯაყოს ხიზნებში“ რომ არა მთავრდება ეს მოტივი და „გივი შადურშიც“ გადაინაცვლებს კიდევ უფრო გაღრმავებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი შადურიც ხომ თვითონ მწერალია, და მასაც როგორი დაუნდობლობით მოიხსენიებს ნაკაცარად, როგორ ჰგვემს და უსწორდება, ოღონდ ისეც არა, თეიმურაზ ხევისთავი როგორც გაემეტებინა. იქ ჩაეხარჯა თვითყვედრების, თვითგასამართლების ჟინი და, თუ რაიმე მორჩენოდა, უკვე ის გაესიმბოლოვებინა გივი შადურის სახეში.

რატომღაც მიბინარდებოდა ეს რომანი და მიხეილ ჯავახიშვილის სახელი უპირველესად „კვაჭი კვაჭანტირაძესა“ და „ჯაყოს ხიზნებს“ დაუკავშირდებოდა, პოპულარობა – „არსენა მარაბდელსაც“, მოთხრობებიდან – „დამპატიჟეს“, „ლამბალო და ყაშას“, „მართალ აბდულას“... და „თეთრი საყელო“ თუ „გივი შადური“ უფრო ნაკლებმნიშვნელოვან თხზულებებად განიხილებოდა, ერთგვარ ფონად იმ მთავარი ქმნილებების ანალიტიკური განსჯისას.

მაგრამ „გივი შადური“ სწორედაც იმ ორი რომანის ბადალია მხატვრული ღირსებებით, ეპოქალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც არანაკლებ ფასეული და „ჯაყოს ხიზნებთან“ ერთად თავისებურ დილოგიადაც გვევლინება.

ამ რომანის სახისმეტყველებას ისეთი ხელოვნებით გახსნიდა ლელა ნიქარიშვილი, მხატვრულ შთამბეჭდაობასთან ერთად თხრობაში მიმობნეულ ისტორიულ და ფსიქოლოგიურ რეალიებსა და სიმბოლიკას ისეთი დამაჯერებლობით დაალაგებდა და გაიაზრებდა, უკვე საბოლოოდ დაუმკვიდრებდა იმ შესაფერის ადგილს ჩვენს სამწერლო მიღწევებში, რაც მანამდე ვერ მოგვენახა. და სხვა ნარკვევში „ჯაყოს ხიზნების“ დაუმთავრებლობის ლეგენდას საგანგებოდ რომ დაუკვირდებოდა და ამ ახალი ნარკვევით კი უშუალო ხიდს გასდებდა ამ ორ რომანს შორის, თვალნათლივ გაიხსნებოდა ის შინაგანი სივრცე, რაც უკვე მათ დილოგიურობას გვიდასტურებს.

თუმცა ამ ტერმინს უშუალოდ არსად ახსენებს მკვლევარი, მისი მსჯელობა სწორედ აქეთ მიემართება და ჟანრის ეს ცნებაც ძალდაუტანებლად ჩნდება.

მიტევების, მოთმინების, გადარჩენის მოტივები „ჯაყოს ხიზნებშიც“ და „გივი შადურშიც“ ერთიანდება ზვარაკის სიმბოლიკაში, ზვარაკისა, როგორც სულიერი და ზნეობრივი გამწმენდისა ერის ვინაობის აღდგენის, სახელმწიფოებრიობის ძიების გზაზე.

სისხლის მითოსი გრძელდებოდა.

60-იანელთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის ეს ერთ-ერთი სიმბოლური ნიშანი ყოველთვისაც მოელოდა ხელახალ სიცოცხლეს და მიხეილ ჯავახიშვილსაც მხატვრულ-იდეური კონცეფციის უმნიშვნელოვანეს საყრდენად გადაექცეოდა.

ზვარაკის მოვლინების აუცილებლობა მწერლის მსოფლხედვაში სულ უფრო მკვეთრდებოდა და თანდათან ყველა სხვა მოტივს გადაფარავდა.

კარლო ჩხეიძის იმ უჩვეულო საქციელის გაზლაპრებასაც ამიტომ მოინდომებდა.

„გივი შადურსაც“ ამიტომ მოადევნებდა „ჯაყოს ხიზნებს“.

მის ფიქრში ერთდროულად იხლართებოდა ამ რომანისა და კარლო ჩხეიძეზე განზრახული მოთხრობის სიუჟეტები, „არსენა მარაბდელიც“ აგვისტო-სექტემბრის სისხლისღვრის თავისებურ გამოძახილად ჩაეთქვა და ჯერ ეს რომანები დაწინაურდებოდნენ წარმოსახვაში, ჯერ მათი კომპოზიციური ქარგა შეიკვროდა და... კიდეც შემოიჭრებოდა ყოფით სინამდვილეში ახალი საშიშროება კოლექტივიზაციის სახელითა და ამქვეყნიური ბედნიერების გზაზე ამ აუცილებელი საფეხურის შეთვისების ძალდატანებით.

ამიტომ ჯერ ამ ილუზიის გაქარწყლებას მოითხოვდა მისგან მწერლური მოვალეობა, ეკონომიკურ რღვევაზე მეტად ზნეობრივ საფრთხეს რომ განჭვრეტდა მისი მახვილი მზერა. ამასობაში უფრო და უფრო ჩაიხუთებოდა რეალობა, ყველასა და ყველაფერს და, ცხადია, ლიტერატურასაც კიდევ უფრო მოეჭირებოდა და გაუმკაცრდებოდა რკინის ჭანგები და მიხეილ ჯავახიშვილიც უკვე ველარ შეიძლებდა ბევრად დამძიმებული ტვირთის აზიდვას, თუმც სულ მოლოდინსა და იმედოვნებაში იქნებოდა, ძველ ძალ-ღონეს როგორ ვერ დავიბრუნებო... მოლოდინსა და იმედოვნებაში – თეიმურაზ ხევისთავივით და გივი შადურივით.

თეიმურაზის სამოსში გამოწყობილი საკუთარ პანაშვიდსაც დაესწრებოდა?

გივი შადურად გარდასახული ერთადერთ საცხოვრისად სასაფლაოსა და სარკოფაგს ჰპოვებდა.

სიუჟეტურ ქარგაში გაიშლებოდა ის, რაც, დაწნეხილი, ამ შიშველი სახითაც შემძვრელ სტრიქონებად გამოითქმოდა:

– მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ ვაება და კაეშანია. მეუბნებიან, გმირული რამ დასწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე – თავში ჩამირახუნებენ. თუ ავტლიკინდი – სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი.

თითქოს ირონიულად შეჰყურებს ჰეროიკულ სულისკვეთებას, დროის შინაარსიდან ამოვარდნილად ეჩვენება, მაგრამ უიმისოდ მაინც ვერ გაძლებდა და – ნაკაცარების ხილვითა და საკუთარ თავში მათი აღმოჩენით გაოგნებული – ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახებას ალამაღლებდა და იმ მითოსურ გმირად გაიაზრებდა, არსენა მარაბდელის სამოსში შებურვილს, ვისი სიკვდილიც დაუჯერებელი გახლდათ ხალხისათვის და მის ყოველწამიერ დაბრუნებას მოელოდნენ.

რომანში კი გამოუტყდება თუ არა სხვა პერსონაჟებს, საგოდებელზე გავიჩინე სადგური და ახლა აქ არის ჩემი ტაძარი, ესაა უზარმაზარი სევდის ბალი ათი ათასი მიცვალებულით დასახლებული და ამალად ისინი მყვანან, ეს არის ჩემი შეუვალი სახელმწიფოც და სამყაროც, ჩემი ლაშქარიც, ოჯახიც და ნათესავიცო, იმათ არამცთუ დაუჯერონ, ვერაფრისდიდებით ვერ აუხსნიათ: ამ გოდებისა და ურვის სამეფოში რამ მოგიყვანაო.

მწუხარე ხილვებმა მატერიალური სახე უნდა შეიძინონ, რათა ერთი კაცის ბედისწერაც შესაფერისად განზოგადდეს და მთელი ერისაც.

გივი შადურმა ყოველღამე აკლდამაში უნდა გაათიოს და სიკვდილისა და გაცოცხლების მისტერია ასე გამოსცადოს, მაგრამ – თეიმურაზ ხევისთავის ხვედრისა არ იყოს – მის დრამატულ ცხოვრების წესსაც ფარსი უნდა შეერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს და არც მისტერია დაანებონ სიმბოლურ ხილვაში და არც ეს ყოვლად უცნაური სამყოფელი ცოცხალი ადამიანისათვის. ჯერ აკლდამაში ცხოვრება რა არის და თურმე იქიდანაც უნდა გამოდევნონ – გირგიდოვის, ვისი ნეშტისთვისაც აგებულა ის აკლდამა, შვილმა ის საუკუნო განსასვენებელი უნდა გაყიდოს და ამით გადაჭრას, გულგრილად და დაუნანებლად, ის ძაფი, რაც წუთისოფელსა და საუკუნო სოფელს ერთმანეთთან აკავშირებს და ცოცხლებსა და მიცვალებულთ შორის შემაერთებელ ძარღვს ქმნის.

ამ იდუმალ ძარღვს ელოლიავებოდა გივი შადური და სიცოცხლის ნიშატსაც უნარჩუნებდა არა მხოლოდ საცხოვრისად აკლდამის არჩევით, არამედ ეპიტაფიების შეთხზვითაც – გარდაცვლილთა ცხოვრების გათავისებითა და სხარტ პოეტურ ფორმულებში ჩაწურვით. რაკილა ახალ რეჟიმს მოუშლია წესის აგებაც, პანაშვიდიც და ნაკურთხ მიწაში ჩასვენებაც ცხედრისა, ეპიტაფიებილა ინარჩუნებენ ძველთაძველი წეს-ჩვეულების ანარეკლს, ისინი მიისწრაფიან იმ უძველეს ფესვებთან შესაყრელად. მაგრამ რაკილა ყოფა უფრო და უფრო მძიმდება და ხელისუფლების პოლიტიკა შმაგდება, ეპიტაფიების სრულ მოსპობა-გაქრობასაც ველარაფერი აოკებს. მიცვალებულნი დაინომრებიან – ესეც სოციალისტური ეპოქის მოთხოვნა – და მათი ეპიტაფიაც ეს იქნება და განვლილი ცხოვრების დამაგვირგვინებელი წერტილიც.

მაინც გრძელდებოდა სისხლის მითოსი.

მაინც მისი ეიმედებოდა ყველაზე ძალიან მიხეილ ჯავახიშვილს.

და თავისებურ ნიშანსვეტად გაიკიაფებს თეიმურაზ ხევისთავის თვითდასაფლავების ხილვასა და გივი შადურის აკლდამაში ცხოვრების მისტერიას შორის კარლო ჩხეიძის ის შეხლა ბედისწერასთან.

კოშმარული ხილვა ხელშესახებად გარდაქმნილიყო აკლდამად, დროში იწელებოდა ზვარაკად თვითგალებისაკენ სწრაფვა, ეს ოცნება ხან უფრო უახლოვდებოდა და ხანაც შორდებოდა... მაგრამ ოდესმე უნდა აღსრულებულიყო და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ის ისედაც დრამატული სხდომა, 1937 წლის 8 ივნისს გამართული, უპირველესად ამ სიმბოლოს საჯარო გაცხადებით შემორჩებოდა მწერლის ბიოგრაფიასაც და ქვეყნის ზნეობრივ ისტორიასაც:

– თუ ზვარაკია საჭირო, ეს სხვა საქმეა.

მშვიდად იტყოდა ამ ფრაზას დაუნდობელი თავდასხმების პასუხად და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით დემეტრაძე ყელში რომ ეცემოდა: არავითარი ზვარაკი არ არის და თავი დავანებოთ ასეთ ლაპარაკსო, – თითქოსდა მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლეს ოდნავი საფრთხეც არ ემუქრებოდა და მწერალთა კავშირის წევრები მისი გულწრფელი მონანიების მოსასმენად შეკრებილიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ, უკვე იცოდა, გილიოტინის ალესილი პირი კისერზე აწვა და წამინამზე ჩაკვეთდა ძვალს; და, რაკილა გილიოტინას ველარ გამოეცლებოდა, მხატვრული მრწამსის კომპოზიციურ მოთავებასა და ღირსეულად დაგვირგვინებას დაეშურებოდა. ღირსეული დაგვირგვინება კი მხოლოდ ის იქნებოდა, რომ რაც თეიმურაზ ხევისთავსა და გივი შადურს ვერ გადაელახათ, თვითონ შემოქმედი გაჰკვეთდა გორდიას კვანძივით.

ამიტომაც ის ფრაზა იმ სხდომის საოქმო ჩანაწერთა ნაწილი იმდენად არ არის, რამდენადაც მწერლის მხატვრულ-იდეური კონცეფციისა.

თითქოს უბის წიგნაკში ჩაენიშნოს აუცილებლად დასაწერ თხზულებათა შორის. მოთხრობად? ისიც რომანად? დრო გამოაჩენდა, თუკი დააცდიდნენ, ჯერ კი ეს ტევადი მინიშნება უნდა გვეკმარა:

– თემა: თუ ზვარაკია საჭირო, ეს სხვა საქმეა.

დილოგია ტრილოგიად გადაიქცეოდა.

სისხლის მითოსი გრძელდებოდა – ხელახლა გაბრწყინებული.

აქ არც მოთავდებოდა, მაგრამ ამ მითოსის კვალს ამჯერად ნუ გავყვებით. ის ფრაზა ბიოგრაფია-შემოქმედებაში ერთდროულად გაჩენილი კომპოზიციური ჩარჩოს მეორე კიდედ ვიგულისხმოთ, კვლავ უბის წიგნაკებში ვიტრიალოთ და იმ ორიგინალურსა და მახვილგონივრულ მიგნებას ჩავუკვირდეთ, მიხეილ ჯავახიშვილი თავისივე პერსონაჟებს რომ უნდა გაესამართლებინათ და, მათ შორის, თეიმურაზ ხევისთავსაც.

ნეტა რას მოჰკითხავდა თავისავე პროტოტიპს ნაშინდარელი მებატონე? რა ბრალს დასდებდა? რას არ მიუტევებდა? რა იყო მაინც – მიხეილ ჯავახიშვილი თეიმურაზის სახით საკუთარ თავს რომ ჰგვემდა დაუნდობლად, ახლა თეიმურაზის ხელითაც სურდა გასწორებოდა თავის უმწეობას.

იქნებ ამას მაინც გადაედგმევინა გადამწყვეტი ნაბიჯი ზვარაკობისაკენ. დასანანია, ეს უჩვეულო სიუჟეტი მარტოდენ ჩანაფიქრის გამხელად რომ შემოგვრჩენია. ჰოი, რა ვნებათაღელვა იტრიალებდა შიგნით და მკითხველს სულსაც არ მოათქმევინებდა!.. მწერლისთვის კი ის ფსიქოლოგიური ბიძგი აღმოჩნდებოდა, პერსონაჟების მიერ გამოტანილ – უსათუოდ სასტიკ – სასჯელს რეალობაში თვითონვე რომ განახორციელებდა.

მსაჯულნი კვაჭი კვაჭანტირაძე, ჯაყო ჯივაშვილი და.... თეიმურაზ ხევისთავი იქნებოდნენ.

ბრალდებული – მიხეილ ჯავახიშვილი.

და საკუთარი თავის ჯალათიც მიხეილ ჯავახიშვილი.

ისე წაეწყობოდა მოვლენები, აღარც დასჭირდებოდა იმ მოთხრობის შექმნა ფსიქოლოგიურ ბიძგად, ისედაც გაარღვევდა მოჯადოებულ წრეს საკუთარ თავში და გარდუვალ მოვალეობას ასე აღასრულებდა.

თეიმურაზ ხევისთავის ხასიათი უკვე გაილანდებოდა ბუნდოვნად იმ ჩანაწერში, რომელიც – ეპოქის კონტექსტიდან ამოგლეჯილი – ბევრს ვერაფერს მიგახვედრებს, მაგრამ სწორედ ეპოქისა და ისტორიულ მოვლენათა ტრაგიზმი ძალდაუტანებლად გაგრძნობინებს, რომ მწერალს სულიერი სიკვდილი გამოუცდია და ეს მისთვის წამიერი განწყობილების ნაყოფი კი არ არის, გულისა და გონების შემარყეველი, მაგრამ მაინც თანდათან ჩაფერფლილი და მკრთალ ანაბეჭდად ჩარჩენილი, არამედ მისი მომავალი ცხოვრების შინაარსად გადაქცეულა, ერთნაირად რომ განმსჭვალავდა მიხეილ ჯავახიშვილის მორალსაც და მხატვრულ წარმოსახვებსაც:

– დღეს ცოცხლები მკვდრები ვართ, ხოლო დახოცილები უკვდავნი არიან და ჩვენზე ბატონობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონობენ სწორედ იმით, რომ არასოდეს დაგანებებენ სინდისის ქენჯნის დაშოშმინებას და ყოველ წამს შეგახსენებენ იმ იდეალისა და მრწამსის გადარჩენის აუცილებლობას, რისთვისაც ეს ამდენი ადამიანი გაიწირა, სულაც ოჯახები და გვარები გაიჟუჟა.

მათ წინაშე ქედის მოდრეკას და საკუთარი უმწეობა-არარაობის შეგრძნებას გამოხატავდა შეუფერადებლად: დღეს ცოცხლები მკვდრები ვართო, – და თანდათან ამოჩნდებოდა თეიმურაზ ხევისთავის სახებაც ცოცხალ მიცვალებულთა სიმბოლოდ, ამოჩნდებოდა, ხორცს შეისხამდა, სიუჟეტს მოიყოლებდა და ეპოქასაც დაიტევდა საკუთარ თავში.

1924 წელსაა ეს ფრაზა ჩანიშნული.

1926 წელს ერთხელ კიდევ ამოსკდებოდა თვითგვემიდან უმძაფრესი სტრიქონი:

– ულირსნი ცოცხალნი ვართ, ღირსეულნი წავიდნენ.

მონანიებაა თავისი სახელითაც და სხვათა სახელითაც, მათი, რომელთაგან ზოგი თავს იტყუებს, ჩვენც რა შეგვეძლო, თავის გაწირვით ქვეყანას მაინც ვერას ვუშველიდითო; და ზოგიც გულწრფელად განიცდის, მაგრამ თვითგვემის საჯაროდ გაცხადებას ერიდება.



*კარლო ჩხეიძე სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე*

მიხეილ ჯავახიშვილი შეეშველებოდათ.

მკვდრები ჩვენ ვართ, ტრაგედიის მსხვერპლნი კი არ არიან მკვდრებიო.

ულირსნიც ჩვენ ვართო.

ისტორიას შემოუნახავდა საყოველთაო მონანიებად.

მაშინდელ რეალობაში კი პერსონაჟებს აჰკიდებდა ამ მწარე განცდებს.

ადამიანი რაობაა, რომლის დაძლევაც ხამს, – ირწმუნებოდა ფრიდრიჰ ნიცშე, როდესაც ზეკაცს ეძიებდა და მისკენ მისასვლელ გზაზე ადამიანი ჩაელობებოდა თავისი მდაბალი ბუნებითა და ჭეშმარიტების ნაცვლად ყალბი იდეალისაკენ სწრაფვით.

თეიმურაზ ხევისთავი რაობაა, რომლის დაძლევა ხამს, – ასეც შეიძლება გამოითქვას „ჯაყოს ხიზნების" იდეური მრწამსი. ეს გარდამავალი ხიდი გამოეძებნა მიხეილ ჯავახიშვილს, რათა დაეძლიათ საკუთარ თავშიც და ქართველ ერშიც თეიმურაზ ხევისთავობა და ყველანი იმ წინაპრებად გარდასახულიყვნენ ხელახლა, ვისაც არც დათვების ხელით დახოცვა უძნელდებოდა, არც ყინულზე წოლა და ფოლადისაგან ჩამოსხმულებად შეიგრძნობდნენ თავს.

დღეს ცოცხლები მკვდრები ვართო...

იმ სულიერი სიმტკიცის გარეშე სიცოცხლის ნიშატს ვერც ვერასოდეს აღიდგენდი და სამუდამო ხიზნობისათვის გაიწირებოდი შენსავე მიწა-წყალზე.

იმ სულიერების დასაბრუნებლად კი ჯერ თეიმურაზ ხევისთავი უნდა ამოგეცნო საკუთარ თავში, მერე მის დასაძლევად შემართულიყავი და თვალდათვალ დარწმუნებულიყავი, როგორ ჩამოგეფხრიწებოდა ნაკაცარის სამოსი და შენს ნამდვილ სახეს დაიბრუნებდი უფლის მსგავსად და ხატად.

სხვა შემთხვევაში თეიმურაზ ხევისთავის თვითმკვლელობის მცდელობის სცენა მხოლოდ თხრობის აუცილებელ ეპიზოდად აღიქმებოდა მკითხველის თვალში, მხატვრული წარმოსახვის ნაყოფად – ამ ხასიათის კიდევ ერთი თვისების წარმოსაჩენად.

მარტო ხილვაში კი არ უნდა გამოსცადოს საკუთარი გარდაცვალება, არამედ ხელშესახები გახდეს სიკვდილის სუნთქვა – დადასტურება მისი გაბედულებისა – ერთხელ მაინც ცხოვრებაში, მძაფრი ამოთქმა პროტესტისა მოუწყობელი წუთისოფლის გამო, რადგანაც მისთვის საკმარისია გოლგოთის აღმართი.

ღმერთკაცი ხომ არ არის, ჯვარცმაც განიცადოს და გაუძლოს ამ უძნელეს გამოცდასა თუ მისტერიას, რომლის გადალახვაც ლამის თვით მაცხოვარს გაუჭირდა. ამიტომაც იყო მზად, უარი განეცხადებინა თავის მისიაზე და უფალს ევედრა: მამაო, ამაშორე ეს სასუმელიო. სახარება ვერ დაფარავდა და არც დაუფარავს ეს გულისშემძვრელი წუთები და სიტყვები.

სასოწარკვეთილებაზე მეტად თითქოს შინაგანი სიმტკიცე წარმართავს თეიმურაზის მოქმედებას, სიმტკიცე, რომლის არსებობაც აღარ სჯეროდა და უეცრად მოიკრიბა მისი ნამცეცები, რათა ეს გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა. მოიკრიბა და ახლა თავდაჯერებით მიექანება ლიახვისაკენ.

გაუქრება თუ... შეინარჩუნებს სიმტკიცეს?

მორევის წინაშე მდგარს მაინც აკავებს რაღაც ძალა... მაგრამ სიცოცხლის უჩინარი სიმები თუ უკან ექაჩებიან, მეორე ხმამ ბრალი უნდა დასდოს ფლიდობასა და თვითმოტყუებაში, თანაც მოაგონოს, მომავალში მხოლოდ სირცხვილი, შიმშილი და ათასი დამცირება მოგელის, მოიგლიჯე კისრიდან ძაღლის მძორი, მხოლოდ ერთი წუთი, ერთადერთი და ყველაფერი უცებ გათავდებაო.

ამჯერადაც გაორებულა თეიმურაზი და ეს უმძაფრესი ჭიდილი, მის გულში რომ დატრიალებულა, პლასტიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად იმით უნდა გამოიკვეთოს, რომ კაცს, ვინც თავის მოსაკლავად უნდა გადახტეს მდინარეში, ვილაც უჩინარმა მარჯვენა ხელი აანევინოს, ფართე პირჯვარი გადაანერინოს და ხელიც წაჰკრას.

დიახ, თეიმურაზი, ვისაც ღმერთიცა და პირჯვრის წერაც დავიწყნია, ჯვრის გარდასახვის შემდეგ კიდეც უნდა ჩაინთქას ლიახვში, და... სიბნელეს გმინვა ამოაყოლოს, რადგანაც მორევში ფრჩხილებითა და კბილებით ჩააფრინდეს სიცოცხლეს:

– მიშველეთ! მიშველე-ე-ეთ!..

და თვითონაც ნელ-ნელა გამოიკვლიოს გზა ნაპირისაკენ და ბედად ნინიკამაც მოუსწროს, ნაპირზე ჩაცოცდეს, თეიმურაზს ხელი ხელში წაავლოს და გაამხნევოს.

ამ სცენის შემდეგ პერსონაჟის ხასიათი – სხვა შემთხვევაში – გაანალიზდებოდა მხატვრულადაც, ფსიქოლოგიურადაც, გნებავთ ფილოსოფიურადაც, მაგრამ ტექსტის მიღმა თუ შევეცდებით გახედვას და ამ ეპიზოდის შეპირისპირებას მწერლის ბიოგრაფიასა და ფსიქოლოგიურ პორტრეტთან, ძალდაუტანებლად ამოვიკითხავთ მიხეილ ჯავახიშვილის წყურვილს – ცხოვრებაში გადაედგა ეს საბედისწერო ნაბიჯი, და იმ შიშს, რამაც ბოლო წამს შეაცვლევინა განზრახვა.

რაკილა თეიმურაზი მისი ორეულია და არა სურს მისი დანდობა, ბარემ თვითმკვლელობის მცდელობაც გაუპამპულოს, დრამატიზმს კვლავ კომიზმი შეურიოს და, წყალს მიკარებულ პერსონაჟს მშველელი მოახმობინოს.

ან მდინარეში გადახტომა რა იყო და ან ეს გამწარებული გმინვა: მიშველეთო.

რა იყო და:

თეიმურაზ ხევისთავის ბუნების კიდევ ერთი ნიშანდობლივი შტრიხი.

და, ამასთან, მიხეილ ჯავახიშვილის სულიერი გვემის გახვევა ტრაგიკომიკურ სამოსელში.

უფრო მეტად – სწორედ ეს მეორე.

თითქოს მკერდი გადაუხსნია და შეუფერადებლად გვიჩვენებს თავისი გულის კარდიოგრამას.

* * *

ტრაგიკომიზმი ტრაგიკომიზმად და ამ დიდ სულიერ ჭიდილს გამოვლილ მიხეილ ჯავახიშვილს უკვე მოუპოვებია უფლება, ფუჭად და ამაოდ აღარ ეჩვენებოდეს საკუთარი მომავალი და თავის ქვეყანას ფერნაცვალი წარუდგეს. ეს ის ფერნაცვალობაა, თავის თავის რწმენასა და სიმხნევეს რომ ჰმატებს და უხილავ ძაფებსაც მოაძებნინებს ამ ტრაგიკულ მოვლენათა მსხვერპლებთან. აქამდე თუ თავი არ ეღირსებოდა მათი საქმის გამგრძობად და ანდერძის აღმსრულებლად, ახლა უპირველეს მოვალეობად ეს გაუხდია და ეს განზრახვა თავის მხატვრულ ორეულზე გადაუტანია.

ჩახედეთ უბის წიგნაკის ამ პასაჟს:

– თეიმურაზი რომ გადარჩა დახრჩობას, თავს ინუგეშებს: „ყოველივე დავკარგე, მაგრამ გადარჩენილი სიცოცხლე შეიძლება გამოადგეს ჩემს ერსო“ – და თავს გადასდებს მისთვის.

ამ სტრიქონების ნაკითხვა ასეც შეიძლება:

დახრჩობას რომ გადავრჩი, თავი ვინუგეშე... სანუგეშო ნამდვილად ჰქონდა.

ჯერაც იყო შესაძლებელი, დარჩენილი სიცოცხლე ერს გამოსდგომოდა!..

* * *

ნუგეშს რა სჯობს, მაგრამ აბურდული ფიქრი და განცდა დიდად არ დაგიდევს ამ სულიერ თავშესაფარს და, რამდენჯერაც უნდა ააგო ოცნებაში სულიერი სავანე, შესაძლოა იმდენჯერვე მოგინგრიოს.

ამიტომაც:

ნაკაცარიო, – ულვთოდ გვემდა საკუთარ თავს მიხეილ ჯავახიშვილი, თავგანწირულ პიროვნებათა აჩრდილები რომ არიალდებოდნენ გონებაში. თავგანწირულნი არა ოდესღაც და ისტორიულ გადმოცემათა პერსონაჟებად შემორჩენილნი, არამედ მის გვერდით შესულნი ცეცხლში, მის გვერდით შემდგარნი ბეწვის ხიდზე, უფსკრულს რომ ჩასცქეროდა, მის გვერდით შეცვენილნი აბობოქრებულ მდინარეში.

თითქოს მდინარე თვითონაც განეცადა – მისი მღელვარება და საშიში წამოფოფრვა.

თუკი ასეა, რატომ არ ენანებოდა თავი, ყვედრებით რომ აევსო, და თეიმურაზ ხევისთავში განსახიერებითაც ვერ დაეშოშმინებინა აბორგებული გული?

არადა, მართლა ასეა და მდინარის მეტაფორა ძალდაუტანებლად ჩნდება მის უბის წიგნაკში, თავისი ბიოგრაფიის უღელტეხილს იგავივით რომ გაიაზრებს და ამ ფსიქოლოგიურ სარჩულს რომ გამოუძებნის:

– ჩემი საიდუმლო მუშაობა პარტიაში 1921-23 წლებში ჰგავდა იმ ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახსნელად ისკუპა ხიდიდან და წყალში გადავარდა. ამის ახსნა შეუძლებელია. აქ მუშაობს იდუმალი ძალა – ალლო მოძმის მიშველებისა. და ამ ალღოს ასჯერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე შეგნებას.

ეამაყება, თანაც რარიგ – ასჯერ მეტი ძალაო. ამხელა განსხვავება დაუდასტურებია ალღოსა და შეგნების შეპირისპირებისას და, ალღო ასე რომ დაუმჯობინებია, თავის მოქმედებას არამცთუ ამართლებს, თავმოსაწონებლადაც მიაჩნია, თავმოსაწონებლად არა ვინმე სხვის, არამედ საკუთარი მეორე – მე-ს წინაშე, ან თავს რატომ იგვემ, ან პირველ მე-ს რატომ არ ეშვები საყვედურებით; წყალში გადახტომა მოყვასის სახსნელად, როდესაც აღარც კი გაგონდება, რომ ცურვა არ იცი, ეს ხომ ღვთიური მადლის გამოსხივებააო.

ამ პასაჟში ყველაფერი გაცხადებულია, გულის კუნჭულში მიმალული განცდები გამომზეურებულა და მოულოდნელი რაკურსით იკვეთება მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკული ფიგურა.

პიროვნულ პატიოსნებას უკიდურესობამდეც კი მიჰყავს და ცურვის უცოდინრად ხიდიდან გადახტომას თან თითქოს ღირსებად მიითვლის, მაგრამ თან ვერც სულიერად აშოშმინებს. დაე ჰქონდეს ამ ალღოს ასჯერ მეტი ძალაც, ვიდრე შეგნებას – ხომ მაინც გადარჩა, გამოაღწია ნაპირზე, ახალი ცხოვრების რიტმზე გადაერთო. ესაა, სინდისის ქენჯნად რომ მოსდევს. გადარჩენა არ ესახელება და არა, ეს გამოღწევაა, ამაღლებულის შარავანდს რომ აცლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ ედავება ამ შარავანდს?

თვითონ, თვითონ ედავება საკუთარ თავს და არ არსებობს ძალა, რაც თვითყვედრებასა და მონანიებაზე ხელს აალებინებდეს.

ესეც მისი ბედი ყოფილა!..

## VI
## სოფლის მაშენებელნი

1917 წლის პეტროგრადს თუ ახსენებ, ძალაუნებურად უნდა გაჩნდეს კარლო ჩხეიძის სახელიც. თებერვლის პეტროგრადი უმისოდ არც ყოფილა, მაგრამ ნოემბრის? იქ ხომ დასრულდა მისი გამგებლობა და გავლენა და, რეალობიდან ამოვარდნილი, საქართველოს თუ დაუბრუნდებოდა.

მაშ საიდან ჩნდება ნოემბრის ხილვა-განწყობილებათა ფონზე მისი სახელი გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „რამდენიმე დღე პეტროგრადში"? მისიც და ირაკლი წერეთლისაც, თანაც როგორ კონტექსტში:

**მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,**
**ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი!**

ეს „როგორც ასეთი" მაინც რას უნდა გულისხმობდეს?

ლექსის დასაწყისში „ჩონჩხებიანი ხეების" გამოჩენა უკვე მიგვანიშნებს რაღაც ავბედითს და ამ განცდას ბუნებრივად აღრმავებს კოშმარულ ხილვათა წყება და მათი ტრაგიკული დაგვირგვინება: გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს, ანდა რევოლვერს დავიცლი გულშიო.

სასონარკვეთას იმ მიჯნისათვის მიუღწევია, რომელიც სამზეოსთან შემაერთებელ უკანასკნელ ძაფსაც დაუნანებლად წყვეტს, მანამდე კი ყორნის ბრჭყალებით ჰაერში მიმოტარებული ქალის ნაზი ხელების ხილვამაც უნდა შეგძრას, წყებად დალეწილი ზარების დარდმაც, უცხო ნისლის ბარიკადებმაც, ბაღების გულცივობამაც და ყორანივით უცნობის ვიოლინოს ატირებამაც შენს მხართან უამინდობაზე.

ყოველი სტრიქონი ულრმესი ლირიზმითა და ჰაეროვნებით სუნთქავს და უეცრად ეს „როგორც ასეთი".

კანცელარიული ენის ნასხლეტი.

საგაზეთო სტილის ნაგლეჯი.

და რატომ უნდა გაჩენილიყო ჰაეროვნებით აღვსილ ლექსში, გაჩენილიყო და ყურიც მოეჭრა მკითხველისათვის, თუმც... რაღაცასაც უნდა მიმხვდარიყო.

ათასგვარად დატრიალებულ კოშმარულ ხილვებში ეს ორად-ორი სტრიქონია დოკუმენტური ყაიდისა, დროისა და ეპოქის ყველაზე გამჭვირვალედ, ხელშესახებად მიმანიშნებელი, ახალი ათვლის წერტილის, ახალი მიჯნის დამადასტურებელი რეალობაში, ახალი მიჯნის დადგენა კი იმით მომხდარა, რომ ეს ორი პოლიტიკოსი – ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე – გამქრალა არენიდან, ყველაზე თვალსაჩინო სახეები ბურუსში შთანთქმულან, გარდასულ ეპოქასთან გაიგივებულან და მხოლოდ ხსოვნად დარჩენილან.

ვისთვის ნოსტალგიად ქცეულა მათი გახსენება.

ვისთვის – საირონიოდ.

გალაკტიონსაც საირონიოდ გაუხდია და ეს განწყობილებაა, იმ კანცელარიულ თუ საგაზეთო გამოთქმიდან რომ გამოსჭვივის. ცოტა შეფარულია ეს განცდა, მაგრამ ნამდვილ მკითხველს არ გამორჩება.

მაინც სად გაქრა ეს წერეთელიო...

გაკვირვების ეს ინტონაცია და ჩვენებითი ნაცვალსახელი „ეს" აძლიერებს „როგორც ასეთის" ქარაგმულ შინაარსს, რადგანაც პოეტს ჩინებულად მოეხსენება, სადაც გამქრალიყო „ეს წერეთელი", და ჩხეიძეც სად მიჰყოლოდა, ჩხეიძე, მისგან ყელზე ჩამოკიდებული იარლიყით – „როგორც ასეთი".

ხოლო ფინალური სტრიქონი – „ანდა რევოლვერს დავიცლი გულში" – ერთნაირად აუხდებოდათ გალაკტიონსაც და მის ლექსში გაელვებულ პერსონაჟსაც. რევოლვერი პირობითად ითქმოდა, თორემ თვითმკვლელობის იარაღთა არჩევისას ორივე თავისუფალი გახლდათ და, როგორც მოუხერხდებოდათ, ისე აღასრულებდნენ საკუთარი თავისა თუ სამყაროსადმი გამოტანილ განაჩენს.

ერთი ბლაგვ დანას მიანდობდა სიკვდილისაკენ გასასვლელი გზის მოძებნას.

მეორე – სივრცეს.

მაშინ კი... მაშინ დიდი იმედით შეჰყურებდა გალაკტიონი საკუთარ გულსა და გონებაში აბობოქრებულ ვეება სტიქიებს და უხაროდა, რომ მათი დამშოშმინებელი არ გახლდათ.

კარგი იყო ძილი, რკინაზე მძიმე, კარგი იყო უგზოდ დაკარგვაც უცხოეთში, კარგი იყო თოვლიც, კარგი იყო წვიმაც... მაგრამ მისთვის, უცნობისათვის რა დაერქმია? ეს განცდაც კარგი იყო...

წერეთელი კი გამქრალიყო.

გამქრალიყო ჩხეიძეც, როგორც ასეთი!..

და ორივეს გული უკვდებოდა, რომ თვალდათვალ ეშრიტებოდათ იმ გულსა და გონებაში აბობოქრებული ვეება სტიქიები...

გალაკტიონი ამ ორ სახელს რომ გამოარჩევდა ეპოქის სიმბოლოდ, პირად შთაბეჭდილებასაც ეყრდნობოდა და საზოგადოებრივ აზრსაც, ეს ორი პიროვნება ურთმანეთოდ რომ ველარავის წარმოედგინა.

თითქოს სიამის ტყუპები არიანო!..

თანამოაზრეთა გუნდიდან ეს ორნი მაინც განსაკუთრებით შეთვისებოდნენ ერთმანეთს, გვერდიგვერდაც მოღვაწეობდნენ და ხალხის წარმოდგენაშიც შედუღაბდებოდა მათი სახელები.

გალაკტიონის ლექსსაც რომ ჩამოვეხსნათ, ზურაბ ავალიშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაშიც „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში" (პარიზი, 1924) ძალდაუტანებლად ჩნდება დროდადრო „სიამის ტყუპთა" ეს სახებანი.

ვთქვათ:

საქართველოს დელეგაციის „ტფილისიდან გამოსვლის შესახებ (დეკემბერი, 1918 წელი) ჩვენ ლონდონში მივიღეთ ცნობა იანვრის შუა რიცხვებში. ეს დელეგაცია ისე იყო შედგენილი, რომ მას შეეძლებოდა ყოველი კითხვა „ავტორიტეტულად გადაეწყვიტა" საქართველოს სახელით; დელეგაციაში შედიოდა ყოველი პარტიის წარმომადგენელი,

მას ჰყავდა მრჩევლები, სპეციალისტები და სხვა. დელეგაციის სათავეში იდგენ კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი. კონსტანტინოპოლს ეს ვეებერთელა ორგანიზაცია ვერ გასცილდა, და მისი წევრებისა და მოხელეების უმრავლესობა იძულებული შეიქნა საქართველოში დაბრუნებულიყო".

ან:

„ჩვენ ვაცნობეთ, რომ ვიცოდით დელეგაციის შემადგენლობაზე და მივიღეთ დაპირება, რომ ჩხეიძესა და წერეთელს შემოუშვებენ („ოღონდ შემოიტანონ თხოვნა"), მაგრამ შემდეგ კი მაინც დაგვპირდა, რომ ჩხეიძისა და წერეთლის შემოშვებას კონსტანტინოპოლს დეპეშით აცნობებს".

ან კიდევ:

პარიზში „ასეთ წარმომადგენლებათ ჩამოვიდენ, როგორც იქნა, დიდის დაგვიანებით, სხვადასხვა კარანტინებში ჯდომის შემდეგ, ჩხეიძე და წერეთელი (1919 წლის თებერვლის სულ უკანასკნელ რიცხვებში).

მათი სახელები ჯერ კიდევ ბევრს ახსოვდა (მე ვლაპარაკობ არა სოციალისტ ფრანგებზე) მათ მიერ რუსეთის რევოლუციის პირველ დროს პეტროგრადში დაჭერილი მდგომარეობის გამო, უმთავრესად ახსოვდათ რომ ისინი იყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგი. საფრანგეთის მთავრობის თვალში არსებითად მხოლოდ ამიტომ იყვნენ ისინი კეთილსაიმედონი...

...ეს ცნობილი სახელები, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ რუსეთის პარტიების პოლიტიკურ უთანხმოებასთან, აბნევდა უცხოელებს. მათ იცნობდენ, როგორც რუსეთის მოღვაწეებს, რომელნიც გამოდიოდნენ რუსეთის რევოლუციის უზარმაზარს, ყველასათვის თვალსაჩინო სცენაზე (რამდენი რეპუტაცია გამოჩნდა და გაჰქრა აქ!) და ადვილად ვერ გაერკვიათ, თუ რათ გამოჩნდენ ისინი ეხლა ქართველ მოღვაწეებათ".

აქვე ზურაბ ავალიშვილი იმასაც დასძენს, ზოგიერთ უცხოელს, ინგლისელსა თუ ფრანგს, რომელიც ცდილობდა ჩაკვირვებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვას, შესაძლოა ეჭვიც კი შეპარვოდა ამ ლოზუნგის სიდინჯეში, როდესაც ხედავდა ასეთ უეცარ გარდაქმნას, რუსებს კი საშუალება ეძლეოდათ ეყვირათ ღალატსა და სკანდალზეო.

თურმე კიდევ უფრო მეტიც:

„გაუგებრობა განსაკუთრებულათ ღრმავდებოდა იმითი, რომ რუსეთის წრეები მათ მიაწერდნენ მეტად დიდ როლს საქართველოს სახელმწიფოს საქმეებში: ზოგიერთი პირდაპირ ამბობდა „ჩხეიძისა და წერეთლის მთავრობა ტფილისში" და გულისხმობდენ საქართველოს მთავრობას".

რადგანაც ზურაბ ავალიშვილის წიგნში ზუსტად და შეუფერადებლადაა აღდგენილი მაშინდელი შეხედულებანიც და განწყობილებანიც, თავისთავად დამაფიქრებელია ის ვითარება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ წრეებში იხსენიება სწორედ ასე და არა სხვაგვარად: ჩხეიძისა და წერეთლის მთავრობად.

და ეს მას შემდეგ, რაც „გაქრა ეს წერეთელი" და „ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი".

საქართველოს ხელისუფლებას თუ ვინმესი ეიმედება დიპლომატიურ სარბიელზე, უპირველესად ამ ორი პიროვნებისა, და გულისფანცქალით ამიტომაც ადევნებდნენ თვალს მათ ყოველ ნაბიჯს:

„არეოპაგში, – ეუბნებოდნენ თავის თავს – პირველ ჭიანურს დაუკრავს პრეზიდენტი 14 მუხლით, მასთან ერთად „ინტერნაციონალი", „საერთაშორისო პროლეტარიატი", შეკავშირებული პროლეტარიატის წარმომადგენლები და სხვა. და როცა „ჩვენი კარლოსი" (ჩხეიძე) და „ჩვენი კაკი" (წერეთელი) გამოვლენ ამ არეოპაგის წინ, ვინ გაუძლებს? ვის არ წამოუვა ცრემლები და არ ჩაეხვევა მათ? ვინ ეტყვის მათ უარს „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე"?

ირონია ირონიად, მაგრამ ამ განწყობილებას სად წაუხვალ, რაღაც განსაკუთრებული შარავანდით რომ შემოსილა მათი სახელები, ამაღლებულსა და ჰიპერბოლურ საბურველში გახვეულა და, თუნდაც წარმოსახვაში, მათ წინაშე დაჩოქილს შეჰყურებენ ევროპის თვალსაჩინო პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო მეთაურებს.

გერონტი ქიქოძე უფრო შემწყნარედ, თანაგრძნობითაც კი მოეკიდებოდა მათ მარცხიან დიპლომატიურ მისიას მემუარულ წიგნში „თანამედროვის ჩანაწერები": პარიზში უფრო პოლიტიკურ ცხოვრებას რომ მიჰყვებოდნენ, ვიდრე გავლენას ახდენდნენ მასზე, ეს მათი უბედურება უფრო იყო, ვიდრე მათი ნაკლი, რომ დასავლეთ ევროპის ცენტრში ესოდენ კრიტიკულ ეპოქაში მოხვდნენო.

თუმცა იქვე ესეც აუცილებლად უნდა თქმულიყო: არც კარლო ჩხეიძე, არც ირაკლი წერეთელი განვლილი გზით იმისთვის მომზადებულნი არ ყოფილან, რომ გარკვეულიყვნენ პოლიტიკურ ქაოსში, რომელშიც ძველი გამობრძმედილი დიპლომატებიც იბნეოდნენო.

იქ კი, ზურაბ ავალიშვილის თხრობაში ერთმანეთს როგორ გადახლართოდა ავტორის ირონია და მაშინდელი განწყობილების აპოლოგეტური შინაარსი.

ვინ გაუძლებსო...

ცრემლი ვის არ წამოუვაო...

უარს ვილა ეტყვითო...

ამ განწყობილებას სახელოვანი მკვლევარი და დიპლომატი „მიმდინარე ისტორიის ერთ-ერთ მამოძრავებელ მითს" უწოდებს, მითს, რომლითაც მოხიბლულმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა გაგზავნოს პარიზში აუცილებლად ისინი: ჩხეიძე და წერეთელი.

ანდა:

„ჩხეიძე რომ დაიჭერდა უმოქმედობის და ბედის მორჩილების პოზიციას, ეს ადვილათ შეიძლებოდა წინდაწინვე გვეფიქრა. წერეთლისაგან კი მოსალოდნელი იყო, რომ ევროპის სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელებთან პირად დაახლოებაში მეტ აქტიობას გამოიჩენდა... სამწუხაროთ, მას არსებითად არ ჰქონდა არავითარი ინტერესი კავკასიის კითხვებისადმი, და საკმაოდ ვერ შეეგნო მათი საერთო მნიშვნელობა".

აშკარა განსხვავებული პიროვნული ხასიათებია, მაგრამ სიამის ტყუპობას ეს ხელს სრულებითაც არ უშლის, რაკილა: როდესაც ყოფაშიც ჩნდება ეს უცნაური ჰიბრიდი, ერთ სხეულში ამოჭრილი ორი თავი შესაძლოა სხვადასხვაგვარად აზროვნებდეს და იმ ერთ სხეულში ორი საპირისპირო ხასიათიც იყოს ჩაბუდებული.

ასეა ყოფაში და ასევე გადადის სიმბოლიკაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ავალიშვილი მათ სილუეტებს ლაკონურად, ოღონდ საკმაო სისავსით რომ გამოჰკვეთს, როგორც რუსეთის რევოლუციის პანთეონის ბინადრებისა, მაშინაც მათი პიროვნული განსხვავებანი თუ თავისებურებანი ამოაქვს ზედაპირზე, ერთი მხრივ, კარლო ჩხეიძის ბუდიური უმოქმედობა ბოროტების წინააღმდეგ და ანგარიშდაბნეული კაცის გულკეთილობა, და, მეორე მხრივ, ირაკლი წერეთლის ტანჯული, ასკეტური სახე, თითქოს ელ გრეკოს ტილოდან ჩამოსულიყოს და არც განსხვავდებოდეს წმინდა ფრანცისკოსა (სტიგმატებს რომ ლებულობს) და წმინდა სებასტიანესაგან (ისრები რომ ხვდება), მაგრამ ღრმად ჩაკვირვება შესამჩნევს ხდის მის ქვეშ-ქვეშა, მგლურად მომზირალ თვალებს.

და კიდევ ერთხელ რომ გაიფიქრებ, ასერიგად განსხვავებულ ადამიანებს ასე ძალიან მაინც რა აახლოვებდათო, ძალაუნებურად გაგახსენდება, რომ საპირისპირო ხასიათებს სჩვევიათ ურთიერთმიზიდულობა. და კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის ტანდემის არსებობასაც ეს ზოგადი კანონი უნდა განსაზღვრავდეს.

ძალდაუტანებლად ჩნდება დროდადროო...

„ახალგაზრდა რესპუბლიკების" დელეგატები დასვეს თავმჯდომარის პირდაპირ. ჩხეიძესა და წერეთელს ეხლა შეეძლოთ პირის-პირ ეცქირათ ევროპის საქმეების გადამწყვეტი დიდი სახელმწიფოების „ინტერნაციონალისთვის", რომელიც რამოდენადმე განსხვავდებოდა მათი ქართულ-რუსული ოცნების სათნო „ინტერნაციონალიდან".

რაოდენ სხარტი და ტევადია თუნდ ეს გამოთქმა: მათი ქართულ-რუსული ოცნება. ერთბაშად წარმოისახება აზროვნების ყაიდაც და ცხოვრების გეზიც!..

ან:

„... როცა ამიერ-კავკასიაში ომი და მყუდროება და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მომავალი დამოკიდებული იყო არა ლონდონსა და პარიზისაგან, არამედ მოსკოვსა და ანგორისაგან, საქართველოს მთავრობა ყურადღებას არ ათხოვებდა ანგორა-მოსკოვს და თავის უმთავრეს ძალებს თავს უყრიდა დასავლეთში: სამი მინისტრი (გეგეჭკორი, გოგიჩაიშვილი, კანდელაკი) და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე (ჩხეიძე), განსაკუთრებული, განსხვავებული, უნივერსალური რწმუნებული (წერეთელი) ილვწოდენ დასავლეთ სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებში მაშინ, როცა საერთაშორისო ვითარებამ, რომელმაც საქართველოსადმი წუთით კეთილ-განწყობილი სახე მიიბრუნა, ეხლა კი ზურგი უჩვენა საქართველოს".

ასეთი ვითარება დემონსტრაციის შთაბეჭდილებას ტოვებდაო, – დასძენს „საქართველოს დამოუკიდებლობის" ავტორი, – თითქოს ჩვენი ქვეყანა ახლო იყო დასავლეთის სახელმწიფოებთან, რაც სრულებით არ შეეფერებოდა სინამდვილეს, და საბაბი ეძლეოდა მოსკოვის თვალთმაქცურ შიშს „ევროპის ჩარევის ბაზის" შესახებ, რაც ასევე დაშორდებოდა სინამდვილესო.

ეს პასაჟები ზურაბ ავალიშვილის წიგნიდან იქნებ უფრო მოკლედაც ამომეწერა, მაგრამ კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის ერთად ხსენებისაკენ საერთო მიდრეკილება მარჯვე საბაბი აღმოჩნდებოდა საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებში კარლო ჩხეიძის უშუალო მონაწილეობის ფრაგმენტული სურათის აღსადგენად.

წიგნის ავტორი ასე ადვილად ვერ ჩამოეხსნებოდა ამ ორ პიროვნებას და მოიხსენიებდა „მეტად სიმპატიურ მოღვაწეებად" და „რუსეთის რევოლუციის ორ დიდებულ" ფიგურად, რომელთაც:

– თავი იხსნეს იძულებით თავს მოხვეულ საქართველოს სივიწროვისაგან და გამოვიდენ ევროპის ფართო სივრცეში.

მსოფლიო მოქალაქენი სხვაგვარად ვერც იაზროვნებდნენ, თუ სულშეხუთულად არ იგრძნობდნენ თავს საქართველოს მიწა-წყალზე და მხოლოდ ევროპას არ დაიგულებდნენ მათი გაქანებისათვის შესაფერის ასპარეზად. ევროპამდე კი ჯერ რუსეთის სივრცეებში უნდა ეგრძნოთ თავი ბატონ-პატრონად.

ეყოფათ ქების შესხმაო, – იქვე რომ აღნიშნავს, ეს მართლა ქებაა თუ... მწარე ირონია და სინანული? ამ ირონიას კიდევ უფრო ამძაფრებს სულხან-საბა ორბელიანის იგავის „სოფლის მაშენებელნი" შემოტანა მსჯელობის ქარგაში, ძაღლი და მამალი რომ დაძმობილდებიან, სოფლის აშენებას გადაწყვეტენ და, ძაღლი რომ შეფიქრიანდება, მამალი თამამად დაუსახავს სამოქმედო გეზს: შენ იყეფებ, მე ვიყივლებ და სოფელიც აშენდებაო.

ვაი საქართველოს ასეთ მაშენებელთა ხელში!..

ზურაბ ავალიშვილი მათ ამ თვალსაზრისით რაღაც გამონაკლისად კი არ მიიჩნევს, არამედ სახელმწიფო პირთა იმ სკოლის წარმომადგენლებად, რომელიც ძალიან გავრცელებულიყო საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც; ჩაუკვირდებოდა, განაზოგადებდა მათი მოღვაწეობის ყაიდას და ეროვნულ ხასიათთანაც კი დააკავშირებდა, შორეულად და ბუნდოვნად, მაგრამ მაინც.

ესეც სკოლა ყოფილა!..

სულხან-საბას პერსონაჟთა სკოლა...

კარლო ჩხეიძე, თავის პოლიტიკურ ტყუპისცალთან ერთად, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია მაშენებელთა ამ კასტისა, მაგრამ სხვებზე ბევრად აღმატებული და წარმატებული.

ამას ვერც ზურაბ ავალიშვილი უარყოფს და, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსისა, მიუხედავად მწვავე ირონიული გადაკვრებისა, დაფასებით მაინც საკმაოდ აფასებს მის პოლიტიკურ მიღწევებს და „დიდებული" ამიტომაცაა წრფელი ეპითეტი, რომელსაც ასე უშურველად უბოძებს.

ეგაა, ეს დიდებულება რუსეთის რევოლუციაში მოხვეჭილიყო.

ყეფდა ძაღლი.

ყიოდა მამალი.

და თავზე ემხობოდა ხალხს ძლივს ამოგებული სახელმწიფოებრიობა.

კიდევ ერთხელ გაქრებოდა წერეთელი.

და გაქრებოდა ჩხეიძეც.

ისტორიის მორევი ითრევდათ უკვე მერამდენედ.

...რა არის მაინც, პოეტის ეს რა უცნაური სურვილია, რა ამოუხსნელი ოცნება: ანდა რევოლვერს დავიცლი გულშიო!..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე არჩვაძე
ვასილ გურგენიძე

# ღვაწლი მეცნიერისა

*

## სერგი ავალიანი

ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობამ „უნივერსალი" დაბეჭდა სქელტანიანი კრებული „ფილოსოფიის კლასიკური და თანამედროვე პრობლემები", მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და ამავე აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ სერგი ავალიანის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი.

გამოცემის რედაქტორებია ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ირაკლი კალანდია, მიხეილ მახარაძე და კახა ქეცბაია. წიგნში წარმოდგენილია 37 სამეცნიერო სტატია ქართულ, გერმანულსა და ინგლისურ ენებზე, რომლებშიც განხილულია თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები იუბილარის სამეცნიერო მოღვაწეობასთან კავშირში. კრებულის ავტორებია როგორც ქართველი, ისე უცხოელი ფილოსოფოსები გერმანიიდან, კანადიდან, ისლანდიიდან, იტალიიდან და ესპანეთიდან, რაც წარმოდგენილ საიუბილეო კრებულს საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებს.

სერგი ავალიანის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი შედეგები საკმაოდ ვრცლად გადმოცემულია შესავალ წერილში „ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და მოღვაწე", რომლის ავტორებია ირაკლი კალანდია და მიხეილ მახარაძე. მასში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი სერგი ავალიანის გამოკვლევებს თეორიული ფილოსოფიის სფეროში, განსაკუთრებით მის მიერ შემუშავებულ ფსევდოაბსოლუტურის თეორიას, რომელიც დიდიხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. მისი ძირითადი იდეა გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, გერმანულსა და ინგლისურ ენებზე. ფსევდოაბსოლუტურის ფილოსოფია ძირითადად გნოსეოლოგიური თეორიაა, თუმცა იგი ავტორმა აქსიოლოგიის (ღირებულების თეორიის) სფეროზეც გაავრცელა, რის შედეგად ადამიანის მთელი ცნობიერების შინაარსი (შემეცნება, ცოდნა, ღირებულება) ფსევდოაბსოლუტურის საფუძველზე ახსნა; ფსევდოაბსოლუტურობა, მისი აზრით, ცნობიერების ფუნდამენტურ კანონზომიერებას წარმოადგენს. სხვა რომ არაფერი დაეწერა ჩვენს იუბილარს, ფსევდოაბსოლუტურის ფილოსოფია თავისი ორიგინალური შინაარსის გამო საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მის ავტორს დაემკვიდრებინა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის სახელი. რეცენზიაში შეუძლებელია ამ თეორიის თუნდაც ძირითადი იდეების გადმოცემა; დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს არა მარტო ამ კრებულს, არამედ, რაც მთავარია, სერგი ავალიანის წიგნს „ფსევდოაბსოლუტურის ფილოსოფია" (თბილისი, 2006).

სერგი ავალიანის მეცნიერული მოღვაწეობა თეორიული ფილოსოფიის დარგში მარტოოდენ ფსევდოაბსოლუტურის ფილოსოფიის შექმნით არ ამოიწურება. მან ჩამოაყალიბა დაკვირვებადობის ცნობილი პრინციპის ახალი (გნოსეოლოგიური) ინტერპრეტაცია, რომლის საფუძველზეც ერთმანეთისაგან გამიჯნა ცოდნა და რწმენა, უარყო მეტაფიზიკური ფილოსოფიის შესაძლებლობა ფილოსოფიის მეცნიერულობაზე დამყარებით. ფილოსოფია, მისი აზრით, არის მეცნიერული მსოფლმხედველობა, ცოდნის დარგი, ლოგიკურად დასაბუთებული სისტემა, რომელიც სპეციალური მეცნიერებებისაგან პრინციპულად განსხვავდება ზოგადობისა და სიღრმის მიხედვით. იმავე დაკვირვებადობის პრინციპის მისეული გაგების საფუძველზე მან შეიმუშავა ორიგინალური თეორია „მეცნიერული ონტოლოგიის" სახელწოდებით (იხ. მისი „მეცნიერული ონტოლოგია" თბილისი, 1994).

ამ წიგნში ავტორი ამტკიცებს, რომ მეცნიერული ონტოლოგიის საგანს მთელი სინამდვილის არსება ანუ აბსოლუტური არსი წარმოადგენს, რომელიც სხვა არაფერია, გარდა ღვთაებისა, ხოლო ღმერთზე მოძღვრება არის თეოლოგია. აქ სერგი ავალიანი ერთმანეთისაგან განასხვავებს ფილოსოფიურსა და რელიგიურ თეოლოგიას; პირველი ცოდნის სფეროა, მეორე კი რწმენისა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთი და იგივე საგანი აქვთ, მათი ერთმანეთში აღრევა შეუძლებელია. ფილოსოფიური თეოლოგიის ქვეშ ბატონი სერგი გულისხმობს პლატონის, არისტოტელეს, დეკარტის, სპინოზას, ლაიბნიცის, ჰეგელის, ბრედლისა და სხვათა მონათესავე ფილოსოფიურ სისტემებს აბსოლუტური არსის შესახებ.

ს. ავალიანმა თავისებურად სცადა სიცოცხლის არსების ტელეოლოგიური და ვიტალისტური ახსნა. თხზულებაში „ტელეოლოგია" (თბილისი, 2003) მან ქართულ ფილოსოფიაში შემოიტანა ანთროპოცენტრიზმის ცნება, აჩვენა რელიგიური და მეცნიერული (კოსმოლოგიური) კრეაციონიზმის იდეური ნათესაობა.

სერგი ავალიანის მეცნიერული გამოკვლევები ქართული ფილოსოფიის დარგში ვრცლად და საფუძვლიანად გაანალიზებულია შესავალ წერილში. აქ განხილულია წიგნები „გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა" (თბილისი, 1954), „Философские взгляды И. Р. Тархнишвили", (Тбилиси 1957), „ქართული ნატურფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები" (თბილისი, 1984), „ანტონ პირველი", (თბილისი, 1987) და სხვა. ამ უკანასკნელი წიგნისათვის ს. ავალიანი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

სერგი ავალიანი ჩვენში ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის პრობლემების კვლევის პიონერია. მის მიერ ამ დარგში გამოცემული წიგნები „Очерки философии естествознания", (Тбилиси, 1968), „ბუნებისმეცნიერების

ფილოსოფია" (თბილისი, 1974), „აინშტაინი" (1984) და სხვა კარგად ცნობილია ფილოსოფიით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მონოგრაფია „მეცნიერების ფილოსოფიის შესავალი" (თბილისი, 1991). ამ ღვაწლის დაფასებად უნდა ჩაითვალოს მისი არჩევა მეცნიერების ფილოსოფიის ასოციაციის (ჩიკაგო) წევრად.

დიდ ინტერესს იწვევს სარეცენზიო წიგნში გამოქვეყნებული ქართველ და უცხოელ ავტორთა სამეცნიერო სტატიები. უცხოელ ავტორთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფოსების ეშ გოუბარის (ტრანსილვანიის უნივერსიტეტი, აშშ) და ჯონ მაკმურთრის (გუელფის უნივერსიტეტი, კანადა) გამოკვლევები.

ფილოსოფიის კლასიკური
და თანამედროვე
პრობლემები

სერგი ავალიანი - 80

**Problems of**
**Classical and Contemporary**
**Philosophy**

Sergi Avaliani - 80

თეორიული ფილოსოფიისა და მეცნიერების ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებს ეხება ქართველ და უცხოელ ფილოსოფოსთა ძალზე საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები: ნაპო კვარაცხელია, ეშ გოუბარი, კახა ქეცბაია, გერონტი შუშანაშვილი, ემანუელ დვალიშვილი, გიორგი მელქაძე, მამუკა დოლიძე, ნინო თომაშვილი, ჯორჯო ბარუჩელო, ჯონ მაკმურთრი, ლერი მჭედლიშვილი, კოკა კუტუბიძე; ადამიანის, კულტურისა და საზოგადოების თანამედროვე აქტუალურ პრობლემებს განიხილავენ: ანზორ ბრეგაძე, ირაკლი კალანდია, ანტონიო კასადო და როჩა, გერმანე ფაცაცია, მარინე ამბოკაძე, ქრისტოფერ დიკარლო, თეიმურაზ მთიბელაშვილი, დავით ზაქარაია, ლევან გველესიანი და თეიმურაზ ფანჯიკიძე; ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის ისტორიის კლასიკურ და თანამედროვე პრობლემების ორიგინალური ხედვაა მოცემული ზურაბ ხასაიას, აკაკი ყულიჯანიშვილის, მექი ლობჟანიძის, ენვერ ბარათელის, რევაზ გორდეზიანისა და ბარბარა როსის სტატიებში. ფილოსოფიური თარგმანის განყოფილებას წიგნში ამშვენებს ხოსე ორტეგა ი გასეტის ბაჩანა ბრეგვაძისეული ბრწყინვალე ქართული თარგმანი.

წიგნის ბოლო (მეხუთე) განყოფილების სათაურია „სერგი ავალიანი - 60 წელი ფილოსოფიის სამსახურში", რომლის ავტორებია ცნობილი ქართველი მეცნიერები: „საპატრიარქოს უწყებანის „ რედაქცია, გიორგი ხუბუა, ირაკლი იმედაძე, ტარიელ რეხვიაშვილი, გიორგი ვეკუა, გურამ ასათიანი, კახა ქეცბაია. მათ სტატიებში სხვადასხვა კუთხით დახასიათებულია სერგი ავალიანის მეცნიერული მოღვაწეობა. ერთ-ერთი ავტორი (გურამ ასათიანი) იუბილარს „ქართველ ფილოსოფოსთა პატრიარქს" უწოდებს.

ბატონი სერგის მეცნიერულ ღვაწლს იცნობს ბევრი უცხოელი ფილოსოფოსიც. 1987 წლის 16 ოქტომბერს ბერლინის უნივერსიტეტში მოეწყო კოლოკვიუმი თემაზე „ფსევდოაბსოლუტურის ფილოსოფია"; 1998 წელს ს.ავალიანი მიწვეული იყო 21-ე საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესზე; კონგრესის მასალებში დაიბეჭდა მისი მოხსენების ტექსტი (http://web.bu.edu/wep/ papers/onto/Aval.htm). გარდა იმისა, რომ ბატონი სერგი არის მეცნიერების ფილოსოფიის საერთაშორისო ასოციაციის (ჩიკაგო) წევრი, მისი ბიოგრაფიული მონაცემები შეტანილია საცნობარო კრებულში "21-ე საუკუნის 2000 გამოჩენილი მოაზროვნე" (კემბრიჯი) . ამასთან დაკავშირებით კრებულის გამომცემელი ჯონ გიფორდი ს. ავალიანს სწერდა: „ძვირფასო ბატონო ავალიანო! მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენი საგამომცემლო საბჭო ერთხმად დათანხმდა, რომ თქვენი ბიოგრაფიული დეტალები შევიდეს ჩვენს საცნობარო ნაშრომში „21-ე საუკუნის 2000 გამოჩენილი მოაზროვნე". მსოფლიოს 2000 ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნის შერჩევისას წინასწარ ვგრძნობდით ამ ნაშრომზე სხვადასხვა ქვეყნის კვლევითი ინსტიტუტებისა და ბიბლიოთეკების მაღალ მოთხოვნილებას. კიდევ ერთხელ გილოცავთ. მთავარი რედაქტორი ჯონ გიფორდი".

ს. ავალიანი 45 წელი ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ინსტიტუტის თეორიული ფილოსოფიის განყოფილებას. ამჟამად იგი ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკია. იგი 40 წლის განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; მის მიერ აღზრდილია ახალგაზრდა (ამჟამად ცნობილი) მეცნიერ- მუშაკთა მთელი თაობა, ილვწოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და ა. შ. ამიტომ ბუნებრივია, რომ დაბადებიდან 70 წლის თავზე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო 75 წლისთავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იგი დააჯილდოვა ივანე ჯავახიშვილის მედლით. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს საპატიო სიგელები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მისალოცი ბარათი დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ამავე თარიღთან დაკავშირებით ს.ავალიანს მიულოცა მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და ძვირფასი საჩუქარიც გადასცა.

წიგნს დართული აქვს სახელთა საძიებელი და ს. ავალიანის ნაშრომების ბიბლიოგრაფია, ორივე შედგენილი ფილოსოფიის დოქტორის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კახა ქეცბაიას მიერ. წიგნის უკანასკნელ ნაწილში დაბეჭდილია კახა ქეცბაიას საუბარი სერგი ავალიანთან.

ისიც უნდა ითქვას, რომ საიუბილეო კრებული შედგენილი და გამოცემულია დიდი ოსტატობითა და საგამომცემლო საქმიანობის კარგი ცოდნით, რაც არა მარტო მისი ავტორების, არამედ აგრეთვე წიგნის შემდგენლებისა და რედაქტორების მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს.

ია საკანდელიძე

# მარადისობაში გადასული მშვენიერება

*

## მედეა ბიბილეიშვილის გახსენება

უშენობით დამძიმებული 40 დღე გავიდა, ჩვენო ძვირფასო მედეა! იმედია, უკვე ზეციური სასუფევლიდან ავედრებ ღმერთს შენს სამშობლოს, საყვარელ ოჯახს და იმ ადამიანებს, რომლებიც რწმენით, სიკეთით, სიყვარულით, სილამაზით ან ნიჭიერებით გამორჩევიან.

მჯერა იმიტომ, რომ სიცოცხლის ბოლო დღესაც ლოცულობდი და ყოველთვის ამბობდი – სამყაროს მხოლოდ ღმერთისადმი რწმენა, სიკეთე, სიყვარული, ნიჭიერება და სილამაზე გადაარჩენსო. თავად ხომ ყველა ეს ღვთიური მადლი ერთდროულად გიბოძა განგებამ. ძალიან ბევრს უყვარდი და შენც დიდი სიყვარული შეგეძლო, ნიჭიერიც იყავი, სულიერად კეთილშობილებით სავსე და ფიზიკურად გამორჩეულად მშვენიერი, ოჯახური გარემოც საამაყო გყავდა.

შენი მშობლების – ცნობილი ექიმების დავით ბიბილეიშვილისა და თამარ გურაბანიძის – ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ იმდროინდელი თბილისის ინტელიგენციის ყველასათვის საყვარელი, თვალსაჩინო ადამიანები: სესილია თაყაიშვილი, მარინა თბილელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე ყიფშიძე, გიორგი შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი, აკაკი კვანტალიანი და მრავალი სხვა. ბუნებრივია, ყოველივე სასიკეთო როლს ასრულებდა შენი პიროვნული თუ პროფესიული ჩამოყალიბების პროცესში.

მხოლოდ ერთი რამ მაინც დააკლო მედეას ბუნებამ – ამ მერკანტილურ სამყაროში საკუთარ შესაძლებლობათა დაცვას ხშირად ვერ ახერხებდა. ჰოდა, თანდათან ტკივილი, დარდი მოუმრავლდა, დაიღალა! უმოქმედოდ ყოფნასაც ველარ შეეგუა და თავისი სათნოებით მარადისობას შეუერთდა, რათა ნათელ სვეტად ანთებულ სხვა ადამიანთა მართალ სულებს შეხიდებოდა, უსამართლობით გაძლიერებული ბოროტი ძალის მიერ შელახული სამართლიანობის ჭეშმარიტი წესის აღდგენაში, სწორედ – „რწმენის, სიკეთის, სიყვარულის, ნიჭიერების, სილამაზის“ დაცვის ღვთიურ საქმეში.

იქნებ ამიტომ ძალიან ჭირვეული, სევდიანი და დაბნეული იყო წელს მაისი. იცოდა ალბათ, დიდი ზამთრიანობის შემდეგ, გაზაფხულივით სანატრელ და მშვენიერ ქალბატონს მედეა ბიბილეიშვილს რომ ნაგვართმევდა. ნაგვართმევდა სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, რომელსაც ვერც წარმატება და ვერც ტკივილი უცვლიდა სულიერ მომხიბვლელობას.

ბალზაკს აქვს ერთგან ნათქვამი: „ძლიერი განსაცდელი ადამიანის სულის სარკეა, რომელიც მშვენიერ და სათნო სულს კიდევ უფრო ალამაზებს, ბოროტს კი მეტად აბოროტებსო.“ უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი მედეა, მაგრამ არავის გაუგია მისი წუწუნი და უფლის მიმართ საყვედური. ბოლო ამოსუნთქვამდე, კარგად ვარო – ამბობდა და სხვების შეწუხებას ყოველთვის ერიდებოდა. მერე ასე ტკივილებითა და განსაცდელით გასპეტაკებული მიქბარა სული ზეციურ საუფლოს.

დიახ, გამორჩეული ადამიანები გამორჩეულად მიდიან ამ ქვეყნიდან. მან ხომ ჯერ კიდევ ახალფეხადგმულმა მსახიობმა, იმ დროისთვის ყველაზე ახალგაზრდა მარტა-იზაბელმა იცოდა, რომ ერთ დროს, გაზაფხულზეც და ზამთარშიც ამაყად მდგარი „ხეები ზეზეულად კვდებიან“. და თან იცოდა ძალიან საგულისხმოდ, რასაც ადასტურებდნენ ა. კასონას ამ სპექტაკლის მიმოხილვისას მაშინდელი თეატრალები: „ბიბილეიშვილის შესრულებული მარტა-იზაბელათი შევიცანით რწმენის უსაზღვრო ერთგულება, სიკეთისა და მაღალი ადამიანური გრძნობების ზეიმი, ამასთან, მსახიობის აქტიორული ბუნებისათვის დამახასიათებელი ლირიზმი და გულწრფელობა.“ – ასე დაიწყო მარჯანიშვილის თეატრში მედეას წარმატება.

გაზაფხულისათვის მედეა შემთხვევით არ შემიდარებია. ამას ბევრი მისი თაყვანისმცემელი ცდილობდა. თუმცა ყველაზე უკეთ ეს მედეას დიდმა სიყვარულმა, ნაადრევად გარდაცვლილმა მეუღლემ – რამაზ ვადაჭკორიამ შეძლო, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის წინათ, ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ ფესვებიანი, ყვავილებით აფეთქებული ატმის ხე მიართვა, რითაც გულწრფელად მიანიშნა: „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი... ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითაო.“ ცხადია, ბატონი რამაზის ამ წარმოსახვასა და ფანტაზიას დიდი სიყვარული და შთაგონება სჭირდებოდა, რომლის წყაროს მედეა მუდამ წარმოადგენდა..

საოცარია, რომ მედეას წლის თვეებში ყველაზე მეტად მაისი უყვარდა და ყველაზე უფრო თერთმეტი რიცხვის ეშინოდა, რადგან ბატონი რამაზი თანაცხოვრების მეთერთმეტე წელს გარდაიცვალა და უახლოესი ადამიანებიც ამ რიცხვში ჰყავდა დაკარგული. ჰოდა, სწორედ თერთმეტ რიცხვში შეძლო მორეოდა მის სიცოცხლეს იქნებ „გაბრაზებული“ მაისი, რადგან ხშირად ეცილებოდა მას თავისი სილამაზით მშვენიერი ქალბატონი...

ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ მედეას თეოლოგიური ცოდნა, სარწმუნოებრივი მიგნებები და მოყვასის სიყვარული – მათხოვრიდან დაწყებული „ალმატებულ“ ადამიანამდე, საკმარისი იქნებოდა ერთი ადამიანის სიცოცხლის აზრისა და სულის ცხონებისათვის.

ერთი ადამიანისათვის კი, მაგრამ მედეასათვის სამყაროს იდუმალებათა შეცნობა ძალიან იყო დაკავშირებული თეატრთან. იგი თვლიდა, რომ როცა საერთო კანონების ძალა მთავრდება, იქ იწყება ზნეობრივ კანონთა მოქმედება ხალხზე, ხოლო ამ ზნეობრივ სამსჯავროდ თეატრიც მიაჩნდა. ამიტომ ბედნიერი იყო ეცოცხლა თეატრით და ცდილობდა თავისი შემოქმედებით ეცოცხლებინა ის საქ-

მე, რასაც სამ ათეულ წელზე მეტი მარჯანიშვილის თეატრში დიდი სიყვარულით ემსახურებოდა. ამ ხნის განმავლობაში იგი თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი გახლდათ... და თეატრსა და კინოში 40-მდე როლი ჰქონდა შესრულებული.

თუმცა მისი, როგორც მსახიობის ამობრწყინების ერთ-ერთი პირველი ნათლობა სოხუმის თეატრის სცენაზე შედგა (სადაც მსახიობმა მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო) ვ. კოროსტილოვის პიესაში „მე მჯერა შენი!". მედეას მიერ სიმართლით, ოსტატობამდე ამაღლებული ირინას სცენური სახის ხილვისას თეატრალებმაც და მაყურებელმაც ერთხმად უწინასწარმეტყველეს მსახიობს საიმედო აქტიორული მომავალი.

მსახიობის შემოქმედებაზე წერას რომ იწყებ, ცხადია, მის მიერ შესრულებული როლების ნუსხას ადგენ, სადაც ბევრი ისეთი აღმოჩნდება, რომელიც თვითონვე გკარნახობს შენს სათქმელსა და სამადლობელს, იმ ბედნიერი და ამაღლებული წუთებისათვის, რომელიც ამ მსახიობის ნიჭიერებამ მიანიჭა მაყურებელს. მეც რამდენიმე ასეთი როლის გახსენებით მინდოდა შემოვფარგლულიყავი. მერე, როცა გავიხსენე, მართლაც „რკინის ფარდა" რომ ჩამოაფარეს მედეასა და მისი თაობის, მაყურებლისათვის ასე საყვარელ მსახიობებს, გადავწყვიტე, მედეას ცხოვრების დასასრულს მაინც, მეტი რუდუნებით მომეგონებინა მსახიობის მომადლებული ქალური მომხიბვლელობით, სათნოებითა და საოცარი ტემპერამენტით შესრულებული როლები.

მით უფრო დღეს, ისე როგორც არასდროს, გვამებზე მოსიარულე, ინცესტებისა და ბიოლოგიური მოთხოვნილებებით გამარჯვებული გმირებით დაღლილ ქართველ მაყურებელს ნამდვილად სჭირდება მედეას რეპერტუარის გახსენება, მისი პიროვნული ღირსებებით შთაგონებული სახეები: რწმენის უსაზღვრო ერთგულებით, სიკეთისა და მაღალი ადამიანური გრძნობებით სავსე გმირები...

მართალია, მედეას ვარსკვლავი არ გახსნილა, მაგრამ მისი დებიუტი კინოში სწორედ მხატვრულ ფილმ „ჩემი ქალაქის ვარსკვლავში" შედგა და, საბჭოთა პერიოდში პირველად, ვარსკვლავად წოდებული, მსახიობი ქალის ოლოლის სახე შეასრულა, რომელშიც მისი გმირის დახვეწილი არისტოკრატიული გარეგნობა, აღმოსავლურ-დასავლური სილამაზის იშვიათი შეხამებით, დიდი შემოქმედებითი წარმატების შესაძლებლობას იძლეოდა.



*ლეო ფილფანი, მედეა ბიბილეიშვილი და ზურაბ ქაფიანიძე სინჯი ფილმისა „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი"*

ვარსკვლავობით დაიწყო და ასე გააგრძელა კიდეც. მოსკოვსა და ლენინგრადში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს, გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა" წერდა: „საინტერესოა მ. ბიბილეიშვილის დედოფალი ელისაბედი (შილერის „დონ-კარლოსი") . აქ მსახიობი, რომელმაც ასე მკაფიოდ ჟანრული ძარღვიანობით ითამაშა ნასტია აკაკი გეწაძის პიესაში „წმინდანები ჯოჯოხეთში", პოულობს პრინციპულად სხვაგვარ ფერებს, აღწევს საოცარ ფსიქოლოგიურ სიზუსტეს, ნახატის აკვარელურ გამჭვირვალობას. აქვს შინაგანი ძალების ამოუწურავი მარაგი, რომელიც სიყვარულშიც იჩენს თავს და პოლიტიკაშიც".

დიახ, ელისაბედის დედოფლური სიზვიადე, მკაცრი ვალდებულებებითა და უფლებამოსილებით სრულიად განსხვავდებოდა უბრალო რუსი გლეხის ქალის ნასტიას პერსონაჟისაგან. რომელიც შეყვარებული სულისა და სხეულის სიმღერა იყო. რამდენი კონტრასტი და ვირტუოზული მიგნება ვნახეთ მის ნასტიაში..

მიუხედავად სწორედ თერთმეტწლიანი „გარინდებისა", თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ერთი ადამიანის გასაკეთებელი მაინც მოასწრო...

მარჯანიშვილის თეატრში მედეას რეპერტუარი გაამდიდრა – ვისიმ (ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისი"), სადაც მისი გმირი, უპატრონოდ დარჩენილი, უფუნქციო, რეალობას მოწყვეტილი საქართველოს ალეგორიული სახეა, რასაც მედეა მეტყველი თვალებით, კომიკურობამდე მისული უმწეო მოძრაობებით, უთქმელად ისე გამოხატავდა, რომ იმდროინდელ ცენზურასაც გულიანად აცინებდა და თან ავტორის ჩანაფიქრი გამგებ მაყურებლამდეც უჩუმრად მიჰქონდა...

მსახიობის შემოქმედებაზე წერის დროს სამართლიანი იქნება გავიხსენოთ სოფოკლეს „ანტიგონეში", მედეას მიერ ხორცშესხმული ანტიგონე, რომელშიც მან პერსონაჟისადმი არცთუ ტრადიციულად, ქალური ბუნების წინა პლანზე წარმოჩენა განიზრახა... მედეას ანტიგონე აბობოქრებული ქალური სტიქიონის უსაზღვრო ბრძოლაა არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობის გრძნობითა და სამყაროს განახლების წყურვილით.

საინტერესო იყო ჯაბა იოსელიანის კომედიაში „ტაკიმასხარა" მისი ნანა. მედეამ გმირის სახე ისეთი მიგნებული შტრიხებითა და მსუბუქი იუმორით განასახიერა, რომელიც მაყურებელში არა ისტერიულ, არამედ საზრიან სიცილს იწვევდა. დიახ, დღევანდელობისათვის ასე სანატრელ საზრიან სიცილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ქალბატონ მედეასა და ბატონ კოტე მახარაძის პარტნიორული დუეტი „დონ სეზარ დე ბაზანში", „სადაც მედეას ბოშა ქალი მარიტანა, მადრიდის მოედნების მახაა, გოიას ნახატებიდან გადმოსული, რომელსაც ფეხშიშველობაც შვენის და დიბა-ატლასის ქოშებიც უხდება. გადამდებია მისი სულიერი ტკივილიც, თავისუფლების წურვილი. მის მხილველს გვჯერა, რომ იგი ჭეშმარიტი სიყვარულს არ გაცვლის სამეფო კარის სინიორიტას სამკაულებზე", – წერდა ცნობილი თეატრალი კირა კვეიძე.

მედეამ შეძლო გმირთა ხასიათებთან ინტიმური სულიერი კონტაქტების დამყარება, ერთი ამოსუნთქვით როლის დაბადება და შექმნა მისი მსახიობური ოსტატობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება გახლდათ. მედეას ყოველი გმირის ქცევა ადამიანური სისუსტის ელემენტებს შეიცავდა, რითაც კიდევ უფრო გასაგებსა და ახლობელს ხდიდა მის მიერ განსახიერებულ პერსონაჟებს. სწორედ ასეთად შეიძლება ჩაითვალოს თამაზ ჭილაძის პიესაში „ბუდე მეცხრე სართულზე"– მაკას ფსიქოლოგიური პერსონაჟი. მედეას შესაძლებლობა, გმირის ნებისმიერი ტკივილი თუ ტრაგიკული განცდა არა მხოლოდ ნათლად და ცხადად, არამედ ქალური მიმზიდველობის სრული შენარჩუნებით წარმოეჩინა, არაჩვეულებრივ ფონს და გარემოს ქმნიდა პარტნიორის მამაკაცური ხიბლის სრულ გამოსავლენად. ამიტომაც ეს სპექტაკლი, საპასუხო იმპულსებიდან გამომდინარე პარტნიორთა შორის არსებული შინაგანი ქვეცნობიერი დიალოგით კ. მახარაძე – მ. ბიბილეიშვილის აქტიორული პლასტიკისა და სიტყვის ზეიმად იქცა..

საინტერესო იყო მარჯანიშვილის თეატრში ანზორ ქუთათელაძის სპექტაკლ „მოსამართლეში" გვანცას როლი, მედეას შესრულებით, სადაც მან მთელი სიცხადითა და დამაჯერებლობით გადმოგვცა ომის პერიოდის ახალგაზრდა ქვრივი ქალის განცდები, ჭიდილი საკუთარ თავთან. ამიტომაც აღინიშნა, რომ „დასამახსოვრებელი იყო მედეას ყოველი ჟესტი, უბრალო მოძრაობაც კი".

არ შეიძლება დაგვავიწყდეს მედეას განსახიერებული თამარ შერვაშიძე (კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება"). ამ როლზე მედეა თვით კონსტანტინე გამსახურდიამ აირჩია და სპექტაკლის შემდეგ მისი მოწონებაც დაიმსახურა.

შემდგომ მედეას რეპერტუარს შეემატა თეო (პოლიკარპე კაკაბაძის „სამი ასული" და „ტყის ქალები"). მედეა (გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი"), გაბი (რობერტ ტომას „რვა მოსიყვარულე ქალი), მარიამი (ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი"), მერი (გიორგი ხუხაშვილის „მთაწმინდის მთვარე"), მოსამართლის ქალიშვილი (ნ. ჰიქმეთის „დამოკლეს მახვილი"), თოვლის დედოფალი (ანდერსენის „თოვლის დედოფალი"), მარიამი (გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველი), ზანდა (მხატვრული ფილმი „ანარეკლი") და მრავალი სხვა. ბოლოს ათონელის თეატრში მარგო (ლალი როსებას „უჩვეულო რეპეტიცია").

შეუძლებელია არ გავიხსენოთ მოხუცი არისტოკრატი ქალის სახე (აფინაგენოვის „შიში"). პიესაში მედეას გმირს წართმეული აქვს ყოველგვარი ადამიანური უფლება, ხშირად ლაპარაკიც კი. მედეა ახერხებდა, მოხუცი ქალისათვის დამახასიათებელი მოძრაობით, გამომეტყველებით გმირის სულიერი კეთილშობილების გამოხატვას. გიჭირდა დაჯერება, რომ ეს წელში მოხრილი, ცხოვრების ქარტეხილებისაგან დასუსტებული მოხუცი ქალი, რომელიც ისე დააბიჯებდა სცენაზე, გეშინოდა ჰაერის ტალღის ზედმეტ შეხებასაც კი არ წაექცია, მედეა ბიბილეიშვილი იყო.

რას ვიზამთ, ადამიანის გაზაფხული ყოველთვის მთავრდება. თუმცა, მედეა მწველი ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში, ოცდათერთმეტ აგვისტოს მოევლინა ამ ქვეყანას. მისი ცხოვრებაც სწორედ ასეთი, ზაფხულივით მწველი და შემოდგომასავით სევდიანი იყო. სევდიანი იმიტომ, რომ ძალიან გრძელი გამოდგა მისი შემოქმედებითი გარინდების ზამთარი, იმდენად ხანგრძლივი, რომ შეიძლება ითქვას, თან გაზაფხულის მშვენიერებით შემოსილი შემოდგომაც გაიყოლია. დიახ, როცა ქალბატონი მედეა მარჯანიშვილის თეატრში აღარ ირიცხებოდა, მისი მშვენიერება, ჯერ კიდევ, გაზაფხულივით ელვარებდა.

ბუნებრივია, რუსი გლეხი ქალის ნასტიადან – დედოფალ ელისაბედამდე, კომედიური მანანადან, თუ ვისიდან – ტრაგიკულ ანტიგონემდე, მოხუცი მისუსტებული ქალიდან –ახალგაზრდა „მშვენიერ ქალამდე", თუ ლირიკული ხასიათის მრავალი პერსონაჟიდან – ბოშა ქალ მარიტანამდე გარდასახვა მსახიობის დიდ შემოქმედებით დიაპაზონს მოითხოვდა.

ერთხელ მედეას ჰკითხეს, რატომ არა ხართ რესპუბლიკის სახალხო არტისტიო? მან უპასუხა: „ერთ მწერალს ჰკითხეს, რატომ არ არის თქვენი ძეგლი აღმართულიო? მწერალმა უპასუხა: სჯობს ასე მკითხოთ, ვიდრე პირიქით, ვინმემ მკითხოს, რატომ არის თქვენი ძეგლი აღმართულიო. მეც იგივეს გეტყვით: მირჩევნია, მხოლოდ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვიყო, ვიდრე ეს კითხვა ვინმემ პირიქით დასვას. ეს ხალხმა მერე თვითვე უნდა გადაწყვიტოსო!"

დიახ, მედეამ შეძლო ერთი ფუძისეული კანონიდან მეორე ფუძისეული კანონის პოვნა, რადგან ყოველი ცინცხალი ნიჭის მქონე ხელოვანი თავად ქმნის ფუძისეულ კანონებს და ერთგულებს მას. სწორედ ამ გზით შეძლო მედეამ წარმატებით, აღიარებით დატვირთული ცხოვრებიდან ოჯახურ სიმყუდროვეში ჩაკარგულიყო, შემდეგ კი უკურნებელი სენით განამებული შესჭიდებოდა თავის სატკივარს, პრობლემებს და ასე სულიერად გასპეტაკებული მარადისობას შეერთებოდა. სიმბოლურია ალბათ, თეატრალურ ინსტიტუტში ოსტროვსკის „უმზითვოში," ლარისას როლის შესრულებით რომ შედგა მედეას თეატრალური ნათლობა. მართალია, ამ სპექტაკლში ყველამ ირწმუნა და აღნიშნა მისი ნიჭიერება, მაგრამ გმირის გულისტკივილი და ამა სოფლის ძლიერთაგან უსამართლობა კი ღაებედა სამწუხაროდ.

მსუბუქი იყოს მედეა შენთვის ქართული მიწა! ეჰ, ჩვენო კარგო, რამდენი ადამიანის გულის მესაიდუმლე და ტკივილის დამსალბუნებელი იყავი, ვინ იცის! ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული!

დაიბადა 1965 წელს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში. 1986-1992 სწავლობდა კიოლნის უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე. სამი წლის განმავლობაში მუშაობდა კიოლნის რადიოში, სადაც დაეუფლა რადიოჟურნალისტის პროფესიას, ასევე დახვეწა წერის მანერა და სტილი. 2001 წლიდან პროგრამისტად მუშაობს ბიოტექნოლოგიურ ფირმაში.

თავისუფალი დროის დიდ ნაწილს წერას უთმობს: პირადი ინტერნეტ-გვერდისთვის www.georgienseite.de წერს ყოველდღიურ ახალ ამბებს საქართველოს შესახებ. მისი მოთხრობები და რომანები უმეტესად კრიმინალური ჟანრისაა. 2006 წელს საკუთარ გამომცემლობაში გამოაქვეყნა პირველი დეტექტიური რომანი „უკანასკნელი ველოსიპედი".

თომას ბერშაიდი

# წართმეული სიყმაწვილე

## I.

ჰაინრიხ ზობეკმა სანთებელას თავი ახადა, ცეცხლი დააკვესა და „გოლოაზს" მოუკიდა. სიგარეტი ღრმად მოქაჩა, სანთებელა ჯიბეში ჩაიდო და მიეყრდნო ოპელს, რომლითაც მან მოხუცი ჰერმანი ქირურგთან მიიყვანა. მალე ორთოპედის ჯერიც დადგა. სამოქალაქო სამსახურის ბოლო კვირები იყო. მას ევალებოდა ინვალიდთა ტარება ექიმებთან. ათასი რამ უტრიალებდა თავში: ფიქრები უმაღლესში სწავლის დაწყებასა და მოხუც კაცზე, რომელიც ექიმთან უნდა წაეყვანა, რადგან ამ საქმის კეთება სხვას არავის სურდა.

ჰაინრიხმა სიგარეტის ნამწვი ფეხით გასრისა. მან ექიმის კაბინეტის ზარის ღილაკს ხელი დააჭირა და ხის მძიმე კარი გაალო. ჰერმანი ინვალიდის სავარძელში იჯდა და მისალებში ელოდებოდა. ჰაინრიხისთვის ზედაც არ შეუხედავს.

„მზად არის"? ჰკითხა მან ხანშიშესულ, ამპარტავან მედდას.

„საბუთები აქაა", უპასუხა მან ჰაინრიხს და მიაწოდა ორთოპედთან გადაგზავნისთვის საჭირო მიმართვა. „შემდგომ რომ მოხვალთ, მანქანა უნდა"...

„თქვენ არა გაქვთ ჩემთვის მითითებების მოცემის უფლება", უკმეხად მიუგო ჰაინრიხმა. მას აღარ გაუგონია, როგორ მიაძახა აღშფოთებულმა მედდამ, ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილაო.

„ბატონო ჰერმან, ორთოპედთან უნდა წავიდეთ", მიმართა ინვალიდის სავარძელში მჯდომ მოხუცს.

„სამშობლოს მოღალატე", შეუღრინა მოხუცმა. ჰაინრიხმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.

„შეგიძლიათ მიღრინოთ, რამდენიც გენებოთ, სულ ფეხებზე მკიდია", უპასუხა მოხუცს და ინვალიდის სავარძელს ქამარი გადაუჭირა.

„შენისთანებს ჩვენ..." ჰაინრიხს მეტი აღარ გაუგონია. მანქანის კარი ხმაურით მიაჯახუნა.

## II.

ჰაინრიხმა ჰერმანი უსიტყვოდ შეიყვანა სტაციონარში. ერთ-ერთმა მომვლელმა ჩამოართვა მოხუცი, რომლის თავიდან მოშორებამაც ჰაინრიხი გაახარა.



კიდევ რამდენი ხანი უნდა აეტანა მისგან ასეთი დამცირება? სამოქალაქო სამსახური მაინც მალე დამთავრდებოდა და ხომ არ სჯობდა, მოეთმინა?

ექიმები ეპილეფსიით დაავადებული პაციენტით იყვნენ დაკავებულნი. მედდების ოთახში ჰაინრიხი მარტო დარჩა. გასაღებებიც იქ დარჩენოდათ. მან ცხვირსახოცით გამოაღო უჯრა და ავადმყოფის ბარათი ამოიღო.

„ჰელმუტ ჰერმანი, დაბადებული 1923 წელს რაიდტში, მუშაობდა მასწავლებლად და 10 წლის წინათ პენსიაზე გავიდა. სამი წელია მოხუცებულთა სახლში და ექვსი თვეა, რაც გერონტოფსიქოლოგიურ განყოფილებაში იმყოფება. დეპრესიულობა და ფარული აგრესიულობა, ორივე ფეხის დამბლა. სამედიცინო თვალსაზრისით ორგანული დაავადება არაა აღმოჩენილი", ეწერა ბარათში.

ჰაინრიხმა ბარათი კარადაში დააბრუნა. ოთახში ექთანი გერდა შემოვიდა. „საქმე არაფერი გაქვს?"

„საწოლებია გასასწორებელი", უპასუხა ჰაინრიხმა. „საიდან დავიწყო? დღეს ვინმე ხომ არ გარდაცვლილა?"

„ჯერ ჰერმანს მიხედე, თორემ ისევ დაიწყებს ყვირილს. ახლა აბაზანაშია", მიუგო მედდამ.

ჰაინრიხი მოხუცის ოთახში შევიდა. მთელს ოთახში სამხედრო დისციპლინა და კონტროლი სუფევდა. სკამზე იდო აბსოლუტური სიზუსტით გადაკეცილი შარვალი. ტუმბოზე ერთმანეთის მიყოლებით ეწყო ორი წიგნი, ღამის ნათურა და წყლის ჭიქა მარჯვენა კუთხეში. საწერ მაგიდაზე ყაზარმული სიზუსტით ელაგა ორი ფანქარი, კალამი და საწერი ქაღალდი. ჰაინრიხმა შარვლიანი სკამი კარის სახელურს შეუდგა.

კარადა ღია იყო, რადგანაც კლინიკაში ნებადართული არ გახლდათ მისი ჩაკეტვა. ჰაინრიხმა მზერა შეავლო თაროებს. აქაც სამხედრო წესრიგი სუფევდა. პერანგები, შარვლები და პულოვერები თაბახის ფურცლების ზომაზე გაეკეცათ და ერთმანეთზე კოხტად ეწყო. მან თითები შეაცურა ტანსაცმელში და მოსინჯა. თუმცა რა უნდა ეპოვა იქ? ჰეროინი ან სხვა რომელიმე ნარკოტიკი? არყის ბოთლი? ჰერმანი ამის გამკეთებელი არ უნდა ყოფილიყო.

კარადაში ძველი ლაბადა ეკიდა, რომელსაც მარცხენა მხარე საკმაოდ გაცვეთოდა. ჰაინრიხმა მიმოიხედა. კარს იქით ჩამიჩუმი არ ისმოდა. მან ლაბადა თავისკენ მისწია და ჯიბეები მოჩხრიკა. ყველა ჯიბე ცარიელი იყო. ახლა უბის შიდა ჯიბეს შეავლო ხელი. ისიც ცარიელი აღმოჩნდა. „სამწუხაროა. იქნებ აქ იარაღი ჰქონდეს დამალული", გაუელვა თავში.

ახლა ლაბადის ხაოიანი ქსოვილის სინჯვა დაიწყო, რომელსაც ალბათ ბევრი წვიმა და თოვლი ახსოვს. ლაბადის შიგნითა ნაწილში რალაც მაგარი მოხვდა ხელთ. მან ლაბადა ამოატრიალა და ხელი დაუსვა სარჩულს. იქ საიდუმლო ჯიბეს წააწყდა. მართლაც დიდი სიზუსტით უნდა ეძებო, რომ მიაგნო. ერთი ღილი გახსნა და ხელი ფრთხილად შეაცურა სარჩულში. იქნება ხაფანგი აქვს დამალული, ან კიდევ თაგვის საწამლავი, გაიფიქრა თავისდაუნებურად. თუმცა ეს მისთვის სულერთი იყო. რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეგო, რა იყო იქ დამალული. ხელს ამოჰყვა მუყაოს წიგნაკი.

ჰაინრიხს ვერმახტის სამხედრო ბილეთი ეჭირა ხელში.

III.

მზე კარგად აჭერდა, როცა ჰაინრიხმა ინვალიდის სავარძელში მჯდომი ჰერმანი მანქანაში ჩასვა. თუმცა ახალგაზრდა კაცი მზის მცხუნვარებას კი არა, მუცელში წვას უფრო გრძნობდა.

გუშინ კიოლნში იმყოფებოდა, სადაც მოინახულა მუზეუმი, რომელშიც წინათ გესტაპოს მიერ პატიმრები იქნენ ნაწამები და მოკლული. მას შეხვედრა ჰქონდა ერთ-ერთ ისტორიკოსთან, რომელმაც ნათელი მოჰფინა ომისდროინდელ ჯარისკაცთა ამბებს. ჰაინრიხმა აქ გაიგო, სინამდვილეში ვინ ყოფილა ჰერმანი.

ჰაინრიხმა კადეტის კარი გაალო და უსიტყვოდ ჩაჯდა. უსაფრთხოების ქამარი გადაიჭირა, თუმცა არ უნდა დავიწყებოდა, რომ ჯინსის ქურთუკის მარცხენა ჯიბეში პლასტმასის გადასაბმელი ედო. ქალაქს გასცდა, გაზს ფეხი დააჭირა, სიჩქარეს მოუმატა და სოფლის გზაზე გავიდა.

„დღეს ერთ ლამაზ ექსკურსიას გავაკეთებთ, ბატონო კუპერს", თქვა ჰაინრიხმა.

„მე ჰერმანი მქვია", ისევ შეუღრინა მოხუცმა.

„თქვენს აქტში კი სხვა გვარი წერია. როგორ გერქვათ მაშინ, ვერმახტის დროს?" ჰკითხა ჰაინრიხმა.

„რა თქვი?" ხმა აუთრთოლდა ჰერმანს.

მოხუცის სახის დასანახავად ჰაინრიხმა სარკე მიატრიალა. „თქვენს აქტში არ წერია, რომ თქვენ ყრუ ხართ", უპასუხა მან. ნებადართული 70 კმ სიჩქარის აღმნიშვნელი აბრისთვის ყურადღება არც მიუქცევია, გაზს ფეხი დააჭირა და სიჩქარეს მოუმატა.

მარცხენა მხარეს გზა იყო, რომელიც აღმართით ტყეში შედიოდა. ჰაინრიხს მაშუქი არ ჩაურთავს, ტყეში ისე შეუხვია. მაგრად დაამუხრუჭა, კადეტი მარცხნივ გადაიხარა და ჰერმანი კარს მიახეთქა.

„რას ნიშნავს ყოველივე ეს?", უყვიროდა ჰერმანი. „ჩქარა გადადი გზაზე!"

ჰაინრიხმა უკანა ფანჯარა დახურა. აბღუვლებული მოტორით შევარდა მანქანა ტყეში. შუაგულ ტყეში ბოლომდე დაამუხრუჭა, მანქანა მარჯვენა მხარეს მიაგდო უასფალტო გზაზე და 50 მეტრის შემდეგ ლარტაფზე შეჩერდა. გადმოვიდა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების სასიამოვნო გრძნობა დაეუფლა. ომში ნამყოფი კუპერსი შეიძლება გამოცდილი მებრძოლი იყო, ჰერმანი კი - 54 წლით უფროსი ჰაინრიხზე, რომელიც კარატეში მწვანე ქამარს ფლობდა. მან მანქანის კარი გაალო და ინვალიდის სავარძელს მიუახლოვდა.

„სასწრაფოდ უკან დაბრუნდი", ყვიროდა ჰერმანი, „თორემ რაც მოგივიდეს, შე..."

სილის გაწვნამ დაამთავრა ყვირილი.

„შენ მაშინ ილაპარაკებ, როცა მე გეტყვი, კუპერს". ჰაინრიხს უკვე დაემორჩილებინა მოხუცი.

„ხელები უკან წაიღე!"

ჰერმანი არ დაემორჩილა. ჰაინრიხმა გაშლილი ხელისგული შუბლზე მიარტყა და შემდეგ თავისი შუბლით მთელი ძალით მიაწვა მისას.

„ხელები უკან წაიღე, რომ შეგიკრა, თორემ განახებ, რას ნიშნავს ტკივილი". მისი თვალების მზერას, მიპყრობილს მოხუცისაკენ, ნებისმიერი გააფთრებული კატის მორჯულება შეეძლო.

ჰერმანი აღარ შეწინააღმდეგებია. ჰაინრიხმა ჯინსის ქურთუკიდან გადასაბმელი ამოიღო და მოხუცს ხელები შეუკრა. შემდეგ მისი მანქანიდან გამოყვანის დროც დადგა.

„სად მივდივართ?" ახლა კი შერბილებული ტონით იკითხა ჰერმანმა.

„კითხვებს აქ მე ვსვამ. ახლა მივხედავთ შენი ეგზეკუციის საქმეს".

ჰაინრიხმა ინვალიდის სავარძელი ტყის შუაგულში ჩადგა და წრე დაარტყა მას. ჰერმანმა ახედა, პირი გაალო რალაცის სათქმელად, მაგრამ როცა ჰაინრიხის ხელს შეხედა, ისევ დახურა, თუმცა ზობეკს მხოლოდ სანთებლის ამოღება სურდა შარვლის ჯიბიდან. მოხუცმა მიმოიხედა. ირგვლივ არავინ ჩანდა. მანქანის დანახვა აქედან უკვე შეუძლებელი იყო. აქ სრულიად მარტონი იყვნენ. ჰაინრიხმა კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, ჰერმანს სახეში შეაბოლა და თვალებში ჩააშტერდა.

„შენი გვარი არაა ჰერმანი", დაიწყო მან. „შენი სახელი და გვარია ჰერბერტ კუპერსი, დაიბადე 1923 წლის 25 აპრილს. 1940 წლიდან მსახურობდი ვერმახტში. 1942 წელს მოხვდი აღმოსავლეთ ფრონტზე. ბაბი იარში მასობრივი ულეტის შემდეგ უამრავი სამოქალაქო პირი დახოცე უკრაინაში. მათი უმეტესობა ქალები და ბავშვები იყვნენ, ყველა ებრაელი. რამდენიმე დღის წინათ წავიკითხე მოწმეთა ჩვენებები." სიგარეტის ფერფლი გადაფერთხა კუპერსის შარვლიდან და განაგრძო: „ომის შემდეგ გვარი შეიცვალე და მასწავლებლად დაიწყე უცოდველი ცხოვრება. ზოგიერთმა პიროვნებამ იზრუნა, რომ ამ ტვირთის უზიდველად გეცხოვრა".

ჰერმანი დუმდა. ჰაინრიხი თვალს არ აშორებდა. „შენ რომ ბოლო დღეებში მუდმივად არ გელანძღე, ჩემთვის ეს ყველაფერი სულერთი იქნებოდა", განაგრძო ჰაინრიხმა. „მაგრამ შენმა მუდმივმა ნაცისტურმა ნაბოდვარმა მოთმინებიდან გამომიყვანა. ამიტომაც მოვქექე შენი წარსული. ახლა ამას ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო, რათა ამის შემდეგ აღარავის შეეშინდეს შენი".

„გინდათ..." ჰერმანს ხმა აუთრთოლდა. „ჩემი მოკვლა გნებავთ?"

„რომ მეც შენსავით მკვლელი გავხდე?" უპასუხა ჰაინრიხმა. „არა, კუპერს, ასე იოლად ვერ წამიხვალ ხელიდან".

ჰაინრიხი ადგა, სიგარეტის ნამწვი სილაზე გასრისა, დაიხარა და მოხუცს თვალებში ჩახედა.

„მომიყევი ომის შესახებ", დაიწყო ჰაინრიხმა. „მომიყევი იმ პატარა ბავშვებზე, რომლებიც უკრაინაში დახ-

ვრიტე. მინდა ვიცოდე, რამდენად მაგარი ბიჭობაა დახვრეტა იმ უცოდველი ხალხისა, რომელსაც თავის დაცვა არ შეუძლია."

ჰერმანმა თავი გვერდზე მიაბრუნა. ჰაინრიხმა ნიკაპთან მიუტანა ხელი და სახე თავისკენ მოაბრუნებინა.

„მომიყევი", არ ეშვებოდა ის მოხუცს. „ყვიროდნენ? ტიროდნენ? რა მანძილზე ასხამდა სისხლი? ისე ესროლე, რომ ტკივილი არ განეცადათ და მაშინვე დახოცილიყვნენ? მინდა დეტალები ვიცოდე."

მოხუცმა ჰაინრიხს თვალებში შეხედა, რომელიც კვლავ განაგრძობდა მის ნვალებას. „როგორი შეგრძნება იყო?" ჰკითხა და თავი თვალებთან ახლოს მიუტანა. „ჩახედე ბავშვებს თვალებში? რა შეგრძნება იყო, როცა შენ..."

ჰერმანს მისი დანარჩენი კითხვები აღარ გაუგონია. მან უცბად სხვა დროში გადაინაცვლა, რომელიც დავინყებული ეგონა. ის ფიქრებით ახლა სულ სხვა ადამიანთან იყო. ვილჰელმთან.

მოხუცს თვალნინ დაუდგა უკრაინაში დატრიალებული უბედურება და ის პატარა ბიჭი. შემდეგ კი გასროლა. თვალები დახუჭა. ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. შემდეგ მეორე და... უცბად ტირილი აუტყდა. პატარა ბავშვივით და მთელი არსებით ტიროდა.

შემცბარმა ჰაინრიხმა უკან დაიხია. ამ ადგილზე იმ განზრახვით მოვიდა, რომ ეს ადამიანი დაემცირებინა და შური ეძია მასზე. ასეთ რამეს კი არ ელოდა. ეს თავგადადებული ნაცისტი, რომელიც მას რამდენიმე ნუთის ნინათ ალბათ დიდი სიამოვნებით მიაყენებდა კედელთან, ახლა მის ნინ იჯდა და პატარა ბავშვივით ტიროდა.

ჰაინრიხი ჰერმანს გაოგნებული უცქერდა და აღარ იცოდა, რა ექნა.

მოხუცი ჯერ კიდევ სლუკუნებდა. ჰაინრიხმა ჯინსის ქურთუკის უბის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მიანოდა.

„გმადლობ", უპასუხა მოხუცმა ათრთოლებული ხმით და ცხვირი მოიხოცა. შემდეგ კი ჰაინრიხის შეთავაზებული კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.



მხატვარი კარლო ფაჩულია

**IV.**

ერთი კვირის შემდეგ კვლავ ორთოპედთან უნდა ნასულიყვნენ. ისინი უსიტყვოდ მიდიოდნენ ნაცნობ გზაზე. ჰერმანმა შუშაზე დაუკაკუნა ჰაინრიხს, რომელმაც გამყოფი ფანჯარა ჩამოსნია.

„ტყეში შედი, გთხოვ", თქვა ჰერმანმა მოულოდნელად.

ზობეკი გაოგნებული უყურებდა მოხუცს სარკეში. მარცხნივ შეუხვია და აღმართზე ავიდა, ოღონდ ამჯერად ადრინდელზე შედარებით ნელა. ისევ ლარტაფზე დააყენა კადეტი და მოხუცი გადმოიყვანა მანქანიდან.

„სიგარეტის მონევა გინდათ?" ჰკითხა მან.

„არა მარტო ეგ. მინდა, რაღაც მოგიყვე", უპასუხა მოხუცმა.

ჰაინრიხმა სიგარეტი მიანოდა.

„შენ ხარ პირველი ადამიანი, რომელსაც 50 ნლის შემდეგ ვუყვები ჩემს ამბავს", თქვა ჰერმანმა პირველი ნაფაზის მერე და თავი გვერდზე მიაბრუნა.

პატარა შესვენების შემდეგ დაინყო 50 ნლის ნინანდელი ამბის მოყოლა: „უკრაინაში ვიყავით. მივიღეთ ბრძანება ებრაელთა განადგურების შესახებ. მხოლოდ სამი დღე იყო, რაც აღმოსავლეთ ფრონტზე ვიმყოფებოდი. მანამდე სხვა ბრძანებებს ვასრულებდი. მეც ისევე უნდა გავმხდარიყავი დამნაშავე, როგორც სხვები. მერე ვეღარავინ მეტყოდა, რომ ამ საქმეში ხელები არ მქონდა გასვრილი. ჯერ კაცები მოიყვანეს. ჯარისკაცები, რომლებმაც ჩვენები დახოცეს."

ჰაინრიხი მინაზე დაჯდა და სმენად გადაიქცა.

„შემდეგ ბავშვების ჯერი დადგა", განაგრძო ჰერმანმა. „ეს საშინელება იყო. ჩემმა ოფიცერმა მითხრა, ესენი მომავალი პარტიზანები არიან და შემდგომ ჩვენზე შურს იძიებენო. მე თვალები დავხუჭე. ეს ძალზე შემზარავი იყო."

ჰერმანს თვალები აუნყლიანდა. ჰაინრიხმა ცხვირსახოცი მიანოდა.

„როცა თვალები გავახილე", იგი თავს ძლივს იმორჩილებდა, „ორი მათგანი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. მარცხენა მხარეს მდგომი ჩემს ძმას, ვილჰელმს ჰგავდა ძალიან. ასაკითაც მისი ტოლი იყო, ექვსი ნლის. თვალებიც ზუსტად მისნაირი ჰქონდა. მე..." ჰერმანს ხმა აუკანკალდა. „მე ვილჰელმს ვესროლე", თქვა და ბაგე აუთრთოლდა.

„შემდეგ ისევ ბანაკში ნავედით. გვამები სადღაც დაფლეს. მას მერე მათზე აღარაფერი მსმენია. არცერთ ჩვენგანს ამაზე არასოდეს ულაპარაკია. ამ საქმის ჩადენა სულაც არ გვეამაყებოდა. ვიცი, რომ დამნაშავენი ვიყავით."

„ნინააღმდეგობა რატომ არ გაუნიეთ?", ჰკითხა ჰაინრიხმა.

„ჰმ, ნინააღმდეგობა?" - ასევე კითხვით უპასუხა მოხუცმა. „ვიდრე სასროლად ნაგვიყვანდნენ, გზაზე ერთ ხეს ჩავუარეთ. მასზე ეკიდნენ ჩვენი მებრძოლები, რომელთაც

კისერზე რალაც აბრები ჰქონდათ გაკეთებული. მათ წინააღმდეგობის გაწევა სცადეს."

## V.

ჰაინრიხის სამოქალაქო სამსახურის ბოლო კვირა დაიწყო. ინვალიდის სავარძელში მჯდომი მოხუცი უსიტყვოდ ჩასვა მანქანაში ორთოპედთან წასაყვანად. გამყოფი ფანჯარა ჩამოსწია, უკან მიტრიალდა და ჰერმანს ჰკითხა:

„ექიმი თუ ტყე?"

„ტყე", უპასუხა ჰერმანმა.

„რალაც მოგიტანეთ", უთხრა ჰაინრიხმა და ქურთუკის ჯიბიდან ფრანგული კონიაკის ბოთლი ამოილო.

„აქ თითქმის ისეა, როგორც დასავლეთ ფრონტზე", გაიღიმა მოხუცმა.

„არა, მაინც რატომ მლანძლავდით ხოლმე?" - ჰკითხა ჰერმანს.

„ჩვენ არჩევანი არ გვქონდა", დაიწყო მან. „ ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ უნდა ჩავწერილიყავი „ჰიტლერ-იუგენდში". როცა გერმანია პოლონეთს დაეცა, მაშინვე ჯარში მიკრეს თავი, შემდეგ კი - ფრონტზე. წაიყვანეს ჩემი მეგობრები და საერთოდ, მთელი ჩვენი კლასი."

ჰერმანმა ბოთლი აილო და კონიაკი ნელ-ნელა გადაუშვა ყელში.

„ჩვენ არ გვქონდა არჩევანის უფლება. ან ბრძოლა, ან დეზერტირობა", განაგრძობდა მოხუცი. „რაც დეზერტირებს დამართეს, მოგიყევი. სტალინი ხომ კიდევ უარესი იყო: მილიონზე მეტი საკუთარი ჯარისკაცი დაახვრეტინა".

მან კიდევ მოსვა ერთი ყლუპი კონიაკი და მოყოლა განაგრძო: „ნაცისტებმა სიყმაწვილეს მომწყვიტეს. მათ უმანკოება წამართვეს და მკვლელობის მანქანად გადამაქციეს. დღეს ახალგაზრდებს შეგიძლიათ აირჩიოთ ან სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახური."

„რას იზამდით ახლა, ახალგაზრდა რომ იყოთ?" ჰკითხა ჰაინრიხმა.

„იმას, რასაც შენ აკეთებ: ავირჩევდი სამოქალაქო სამსახურს", მიუგო მოხუცმა.

„მაინც რატომ გადმოდიოდა ჩემზე მთელი ბრაზი?" არ ეშვებოდა ჰაინრიხი.

„იცი რა, ბოლო ორი კვირა ძალიან ბევრი დრო მქონდა საფიქრელად. ჩემი ახალგაზრდობა განადგურებულია. ჩვენ იძულებული ვიყავით, ომში წავსულიყავით ისე, რომ არ გვქონდა უარის თქმის შანსი. ომის შემდეგ არავის სურდა ამის შესახებ საუბარი. რას იზამ, ასეთია ომი. გარდა ამისა, მაშინ სხვანაირი დრო იყო. შემდეგ მე მასწავლებელი გავხდი. 60-იან წლებში ერთხელაც პროკურატურიდან მომაკითხეს. დამკითხეს, როგორ იყო ჩაცხრილვის ამბავი. სულ ესაა. არავის უკითხავს, მაშინ რა განვიცადეთ. შენ იყავი პირველი ადამიანი, ვინც ამ ამბით დაინტერესდა."

## VI.

ჰაინრიხმა ინვალიდის სავარძელში მყოფი ჰერმანი კადეტიდან გადმოიყვანა და კლინიკაში შეიყვანა. უცებ მხარზე ვილაცის ხელის შეხება იგრძნო.

„ჰაინრიხ, გთხოვთ სასწრაფოდ წამოხვიდეთ", უთხრა ექიმმა ბუსკემ.

ექიმთა კაბინეტში არსებული ვითარება საატესტაციო გამოცდას აგონებდა. მის პირდაპირ ისხდნენ ექიმი ბუსკე, მომვლელი და კლინიკის პერსონალთა განყოფილების უფროსი, შრიოდერი. მათი დათრგუნული სახეების დანახვაზე ჰაინრიხს ტანში გააცია.

„დოქტორ ზომერლინგის კაბინეტიდან დარეკეს, რომ ორი კვირაა, რაც ბატონი ჰერმანი ორთოპედთან სამკურნალოდ არ ყოფილა. ბოლო ხანებში თქვენ მორიგეობდით. სად იყავით იმ დროს?"

„მანქანა გაგვიფუჭდა", მიუგო ჰაინრიხმა.

„სისულელეს ნუ ლაპარაკობთ", შეუტია შრიოდერმა. თქვენს მორიგეობის წიგნაკში არაფერია შეტანილი მანქანის გაფუჭების შესახებ. კიდევ ერთხელ გეკითხებით: სად იყავით იმ დროს?"

„ტყეში", უპასუხა ჰაინრიხმა.

„თქვენთვის ალბათ ნათელია, რომ ბოროტად გამოიყენეთ სამსახურეობრივი მოვალეობა" უთხრა შრიოდერმა და თვალები მოჭუტა. „ეს საქმე ძვირად დაგიჯდებათ, ბატონო ზობეკ!"

„შეგვიძლია თქვენს წინააღმდეგ პროცესი აღვძრათ", განაგრძო ბუსკემ.

ჰაინრიხს ფერი ეცვალა. ხომ არ აჯობებდა, მუხლდაჩოქილს ბოდიში მოეხადა და ეამბა „წმინდა ინკვიზიციის" შესახებ?

უცბად ბუსკემ მზერა ჰაინრიხიდან კარზე გადაიტანა და პირი დააღო. შრიოდერსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ჯალათი მდგარიყოს მის წინაშე. ჰაინრიხი კარისკენ მიტრიალდა.

კარში ჰერმანი იდგა.

## VII.

„დღეს ჩემი ბოლო სამუშაო დღეა", თქვა ჰაინრიხმა.

ჰერმანი ადგა და ყავარჯენს დაეყრდნო. „ჩემიც. დამბლამ გადაიარა. იქნებ სულაც შურისძიება სურდა ჩემს სხეულს იმ წყეული ამბის გამო".

იგი საწოლისკენ გაემართა. „50 წელია, წესიერად არ მიძინია. ის ბიჭი, ვილჰელმს რომ ჰგავდა... დღემდე მდევნის, თითქოს მიჩივის. ის თვალები... ყოველლამე ვხედავდი მათ. პირველადაა, რომ ამ თემას ვიხსენებ."

„ამ გახსენებაზე... რა მოუვიდა ვილჰელმს?" ჰკითხა ჰაინრიხმა.

„ამერიკელებმა ჩვენი ქალაქი დაბომბეს 1943 წლის აგვისტოს ბოლოს", უპასუხა მოხუცმა. „მამაჩემი ეცადა, ვილჰელმი ჩვენი სახლის ცეცხლმოკიდებული ნანგრევებიდან გამოეყვანა. იმ დღეს ორივე დაილუპა."

ჰაინრიხმა ჰერმანს ხელი ჩამოართვა, საავადმყოფოს თეთრი ხალათი გაიხადა, ზურგჩანთა მოიკიდა, ხალათი საწოლზე დადო, ველოსიპედზე დაჯდა და ისე ჩაუქროლა ჭიშკარს, რომ მეტი აღარ გამომშვიდობებია მოხუცს.

ჰერმანი კი ფანჯარასთან იდგა და ხელს უქნევდა.

გერმანულიდან თარგმნა
ირმა ქიმერიძე

## ლენდ-ლიზი

გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ვასილი აქსიონოვმა ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, რომ თავისი მცირე წვლილი შეეტანა გრანდიოზულ „ანტისტალინიანაში" და, როგორც ავანგარდისტული პროზის ოსტატმა, ახალი რაკურსით გააშუქა დიქტატორის პორტრეტი.

აქსიონოვი ხაზგასმით აღნიშნავს „სტალინის უმადურობას და ცილისწამებას ლენდ-ლიზთან დაკავშირებით".

შევახსენებ მკითხველს, რომ „ლენდ-ლიზ" (lend-lease) ამერიკული გამოთქმაა, წარმოადგენს ორი ინგლისური სიტყვისგან შედგენილ კომპოზიტს და ნიშნავს: გასესხებას, იჯარით გაცემას.

როდის დაიბადა ლენდ-ლიზი?

1940 წლის 8 დეკემბერს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა წერილი გაუგზავნა აშშ პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს. იგი ამცნობდა თავისი ქვეყნის გასაჭირს მდიდარ ამერიკას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული მეორე მსოფლიო ომში. ჩერჩილი შეახსენებდა პრეზიდენტს, რომ ნაცისტური ტირანიის დამარცხება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო შეერთებული შტატების ხალხისთვისაც და მისი წერილი უნდა შეფასებულიყო არა როგორც მოწოდება დახმარების თაობაზე, არამედ როგორც უწყება იმ მინიმალურ ზომებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა მიეღოთ ამერიკელებს საერთო მიზნის მისაღწევად.

ერთი კვირის შემდეგ რუზველტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„წარმოიდგინეთ, რომ ჩემი მეზობლის სახლს ცეცხლი მოედო, მე კი მისგან ასიოდე მეტრის დაშორებით მაქვს ბაღის სარწყავი შლანგი. თუკი იგი აიღებს ჩემს შლანგს და მიუერთებს თავის ტუმბოს, ამით შევეწევი, რომ ჩააქროს ხანძარი. როგორ უნდა მოვიქცე? ამ ოპერაციის დაწყებამდე ასე როდი ვეტყვი: „მეზობელო, ეს შლანგი დამიჯდა 15 დოლარი და შენ უნდა გადამიხადო 15 დოლარი". არა! მაშ როგორი გარიგება ხდება? მე არა მჭირდება 15 დოლარი. მე მინდა, რომ მან დამიბრუნოს ჩემი შლანგი, როდესაც ხანძარს ჩააქრობს".

ამ მხატვრული პასაჟის შემდეგ რუზველტმა დასძინა:

„ამერიკელთა დიდ უმრავლესობას წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ წარმატებითი თავდაცვა დიდი ბრიტანეთის წარმოადგენს საუკეთესო თავდაცვას შეერთებული შტატებისათვის და ამიტომაც არა მარტო ჩვენი ისტორიული დაინტერესების გამო დემოკრატიის გადასარჩენად მთელ მსოფლიოში, არამედ ეგოისტური თვალსაზრისით, ამერიკელთა თავდაცვის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ძალგვიძს, რათა დავეხმაროთ ბრიტანეთის იმპერიას, რომ დაიცვას თავი".

სასწრაფოდ მომზადდა და შეტანილ იქნა კონგრესში დასამტკიცებლად კანონპროექტი ლენდ-ლიზის შესახებ. ჩერჩილმა ბრიტანეთის პარლამენტში გამოსვლისას დაახასიათა ეს კანონპროექტი, როგორც „ყველაზე უანგარო აქტი მთელი მსოფლიოს ისტორიაში".

1941 წლის 22 ივნისის შემდეგ ლენდ-ლიზის კანონი, ბუნებრივია, ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირზეც.

აქსიონოვის მტკიცებით (და იგი გამონაკლისი არ გახლავთ), ლენდ-ლიზის გარეშე ომს ვერანაირად ვერ მოვიგებდით.

პრეზიდენტ რუზველტის მრჩეველი და ახლო მეგობარი ჰარი ჰოპკინსი კი ამბობდა: „ჩვენ, ამერიკელები, არასოდეს მივიჩნევდით, რომ ჩვენი დახმარება ლენდ-ლიზის სახით წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გამარჯვების მთავარ ფაქტორს. ეს გამარჯვება მიღწეულ იქნა, უწინარეს ყოვლისა, წითელი არმიის გმირობითა და სისხლით".

ციფრები რაღას მეტყველებენ?

ამერიკელთა გამოანგარიშებით, საბჭოთა კავშირმა ლენდ-ლიზით მიიღო 11 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელი.

შთამბეჭდავია, არა?

მაგრამ არსებობს სხვა, არანაკლებ შთამბეჭდავი ციფრებიც.

საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ისტორიკოსი ალექსანდრ ნეკრიჩი კეთილსინდისიერად აღნუსხავს მთელი ომის განმავლობაში მოკავშირეთა მიერ, ლენდ-ლიზის საფუძველზე, საბჭოთა კავშირისათვის მიწოდებულ შეიარაღებას (ორთქლმავალ-ელმავლების ჩათვლით) და ასკვნის: „ეს მიწოდებანი შეადგენდა საბჭოთა კავშირში წარმოებული შესაბამისი პროდუქციის 12 პროცენტს".

მხოლოდ და მხოლოდ 12 პროცენტი!

რაც შეეხება „უმადურობას", 1945 წლის თებერვალში „დიდი სამეულის" კონფერენციაზე (იალტაში) სტალინმა განაცხადა: „ლენდ-ლიზი იყო ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიღწევა პრეზიდენტისა".

მეტი რაღა უნდა ეთქვა?

ინგლისელი ჟურნალისტი, გაზეთ „სანდი ტაიმსის" და რადიო „ბი-ბი-სის" კორესპონდენტი ომისდროინდელ საბჭოთა კავშირში ალექსანდრ ვერტი წერს, რომ საბჭოეთი, უდავოდ, აფასებდა ყველანაირ დახმარებას დასავლეთიდან, იქნებოდა ეს თვითმფრინავები თუ ავტომანქანები, ხორცის კონსერვები თუ მედიკამენტები, მაგრამ ყოველივე ეს ვერ აქარწყლებდა ფსიქოლოგიურ პრობლემას, რომელიც წარმოიქმნა იმ ფაქტის შედეგად, რომ რუსები მილიონობით ადამიანს კარგავდნენ ომში, ხოლო მოკავშირენი აჭიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას.

როგორც ცნობილია, ამერიკელებმა მეორე მსოფლიო ომში დაკარგეს 295 ათასი კაცი, ე.ი. ოდნავ ნაკლები, ვიდრე საქართველომ.

საიდან ასეთი არალოგიკური შეფარდება?

პრეზიდენტ რუზველტის ვაჟის – ელიოტ რუზველტის მოგონებათა წიგნში ვკითხულობთ, თუ როგორ უხსნის მამა შეერთებული შტატების როლს მეორე მსოფლიო ომში:

„წარმოიდგინე, რომ ეს არის ფეხბურთის მატჩი. ჩვენ კი, ვთქვათ, სათადარიგოთა სკამზე ვსხედვართ. ამ მომენტში ძირითადი მოთამაშენი არიან რუსები, ჩინელები და, შედარებით ნაკლებად, ინგლისელები. ჩვენ წილად გვერგო ხვედრი იმ მოთამაშეთა, რომლებიც უნდა ჩაერთონ თამაშში გადამწყვეტ დროს, მართებულად რომ შევარჩევთ".

აი, ამიტომ აღემატებოდა სამმილიონიანი საქართველოს მსხვერპლი თითქმის ორასმილიონიანი ამერიკის მსხვერპლს.

დიახაც, ჩვენს დიდ მეგობარ ამერიკელებს ყველაფერი შეიძლება დააბრალო – გარდა უჭკუობისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ატირებული სიკვდილის მონოლოგი

ჩვენს ცნობიერებაში ხევსურეთი, უპირველეს ყოვლისა, ვაჟა-ფშაველას სახელს უკავშირდება. „ღალიან-ბარაქიანი ძუძუ" ხევსურეთისა უწოვია ვაჟას პოეზიას. მაგრამ პოეტიც არ დარჩენილა ვალში და, ისევ ქართულ ლექსს თუ დავესესხებით სათქმელს, ხევსურეთის „ძუძუს ნათელი" საქვეყნოდ გამოუბრწყინებია. ვაჟას შემოქმედების სამი მთავარი შედევრის გმირები ხომ სწორედ ხევსურები არიან და სამივე სათითაოდ ანსახიერებს სრულქმნილი ადამიანის დამამშვენებელ ნიშნებს: ალუდა ქეთელაური – თავისუფალ სულს, ზვიადაური – გულადობას და მინდია – სიბრძნეს.

დიდებულმა ქართველმა პოეტმა თვალისმომჭრელი გვირგვინი დაადგა თავზე ჩვენი სამშობლოს, ალბათ, ყველაზე გამორჩეულსა და ლეგენდარულ მხარეს, რომელიც კიდევ არაერთხელ დაუხატავთ ქართულ მწერლობაში. საკმარისია ვახსენოთ მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძისა და გურამ რჩეულიშვილის სახელები.



ბაბუა ალუდაურის ხევსურული ციკლიდან

უცხოელებსაც ანდამატივით იზიდავდა მაღალ მთებში ჩაკარგული რელიქტი გარდასულ ჟამთა, რომელმაც ლამის ნირშეუცვლელად მოაღწია XX საუკუნემდე. ეგზოტიკურ ხევსურეთს განსაკუთრებით ელტვოდნენ გერმანელები: რადე, ზისერმანი, მერცბახერი, კურელა... არც რუსების ყურადღება მოჰკლებია. 1934 წელს მოსკოვში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ბორის პასტერნაკმა, ვიდრე „გველის-მჭამელის" რუსულ თარგმანს წაუკითხავდა, მსმენელს ორიოდე სიტყვით გააცნო ვაჟას გმირების სამკვიდრებელი. ჩვენთვისო, ამბობდა პასტერნაკი, ხევსურთა ცხოვრების სტილი იმდენად გაუგებარია, რომ დაიბადა ლეგენდა, თითქოსდა ხევსურები შთამომავალნი არიან იმ ჯვაროსნებისა, რომლებიც დიდგორის ომში მონაწილეობის შემდეგ საქართველოში დარჩენილან, მთაში დასახლებულან და თავიანთ რაინდულ-რომანტიკულ სამყაროში დაკონსერვებულანო.

ხევსურეთი ჰქვია იმ ქვეყანას, სადაც ვეფხვთან ბრძოლაში დაღუპული მოყმის დედა ნასვლას აპირებს მოკლული ვეფხვის დედასთან სამძიმრის სათქმელად; იმ ურჩსა და გმირულ მხარეს ჰქვია, რომელიც ფეოდალურ საქართველოს მხოლოდ ხმლით ემსახურებოდა, სხვა ბეგარას ვერ ეგუებოდა და უშიშრად აფრთხილებდა ზურაბ არაგვის ერისთავს: „ხევსურეთშია, ზურაბო, ვერ იქამ ერისთობასა".

მაგრამ არც ვედრება ეთაკილებოდათ მოსისხლე მტრად გადაქცეული თვისტომის წინაშე. ხან ემუქრებოდნენ, ხანაც წყევლიდნენ და აგინებდნენ, ხან დასცინოდნენ და ხანაც ეფერებოდნენ ანდა უსაზღვრო ალტაცებას გამოთქვამდნენ მისი საგმირო საქმეთა გამო. ერთი სიტყვით, ხევსურულ ლექსში მომხიბლავად ელვარებს მთელი სპექტრი ხალხის დამოკიდებულებისა სასტიკი და დაუნდობელი მბრძანებლის მიმართ, შენივე მოდგმისა რომ არის, დაწყებული – ბუნებრივი სიძულვილით და დამთავრებული – გაუგებარი, ძნელად ასახსნელი სიყვარულით.

ხევსურეთი ის ქვეყანაა, რომლის მკვიდრთა ზეპირსიტყვიერებაში ლამის პირველობას იჩემებს სიკვდილის თემა. მიუვალ მთებში ცხოვრების მკაცრი პირობები, დაუსრულებელი შუღლი მეზობელ ტომებთან, სისხლის აღების ადათ-წესები, ახალმა ეპოქამაც რომ ვერ აღმოფხვრა – ყოველივე ამის წყალობით ხევსურებმა საუცხოოდ იციან დაუპატიჟებელი სტუმრის ასავალ-დასავალი, მისი ზნე და ხერხები. ამიტომაც მხოლოდ ეპიტაფიებს არ სჯერდებიან და მრავალგზის დაწყევლილ-შეჩვენებულ სიკვდილსაც აძლევენ სიტყვას: „მეც ვიცი, არვის უნდიორ, – ვინ მეგებების გზაზედა? მანამდი სოფელჩი მიოლ, ტირიან ჩემსა თავზედა. დავჯდები, მეც ავტირდები, როგორც რო ქალნი ძმაზედა".

ატირებული სიკვდილის მონოლოგი, ალბათ, მარტოოდენ გველის-მჭამელის საბრძანებელში თუ მოელანდებოდათ!

## ქრონიკა

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მიმდინარე წლის გაზაფხული ზედიზედ ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო-ლიტერატურული ღონისძიება. დაფუძნდა მუდმივმოქმედი ლიტერატურული სემინარი, რომლის სხდომები რეგულარულად, ორ კვირაში ერთხელ იმართება და მასზე მსმენელთა ფართო წრის წინაშე განსასჯელად გამოაქვთ სამეცნიერო განყოფილებებში წაკითხული და განსაკუთრებული აქტუალობით გამორჩეული თემები. სემინარის ფარგლებში რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა უკვე წარმოადგინა მარიამ კარბელაშვილის მოხსენება „ვეფხისტყაოსნის ჟანრის პრობლემისათვის", ფოლკლორის განყოფილებამ კი – ელგუჯა დადუნაშვილის „მეცხრე ოთახში გამომწყვდეული ანტაგონისტის ვინაობისათვის".

7 მაისს ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა წაიკითხა საჯარო ლექცია „ლიტერატურის თეორია. თანამედროვე კვლევები". დაისახა საინტერესო პერსპექტივები, რომელთა განსახორციელებლად ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი მზად არის. აღინიშნა, რომ საჭიროა ინსტიტუტი მთლიანად გადავიდეს ახალი კვლევების რელსებზე და იმ სამუშაომ, რომელიც აქამდე ფრაგმენტულად, მაგრამ ხარისხიანად სრულდებოდა, სისტემატური ხასიათი მიიღოს, ინსტიტუტი ჩაერთოს საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული კვლევების პროცესში. გამოითქვა სურვილი, – აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით მომავალში ჩატარდეს სამეცნიერო სემინარი.

# „მე არ ვყოფილვარ ერთი პიროვნება“

იტალიელებს ლიტერატურის დარგში ექვსი ნობელიანტი ჰყავთ: 1906 წელი – **ჯოზუე კარდუჩი**, 1926 წელი – **გრაცია დელედა**, 1934 წელი – **ლუიჯი პირანდელო**, 1959 წელი – **სალვადორე კვაზიმოდო**, 1975 წელი – **ეუჯენიო მონტალე**, 1997 წელი – **დარიო ფო**... გამომცემლობა **„ინტელექტმა“** ამჯერად ყურადღება შეაჩერა ლუიჯი პირანდელოზე...
1934 წელს პირანდელოს ნობელის პრემია მიანიჭეს. სტოკჰოლმში, ამ საპატიო ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ ეს დიდი ჯილდო პირანდელომ დაიმსახურა უპირატესად, როგორც დრამატული ხელოვნების უბადლო ოსტატმა, თუმცა მისი მთელი შემოქმედება, მისი პროზაული ნაწარმოებები ასევე იმსახურებდა მაღალ შეფასებას. პირანდელომ იტალიურ ლიტერატურას შესძინა ეპოქალური პრობლემებით მდიდარი ნაწარმოებები, როგორიცაა რომანები: **„განსვენებული მატია პასკალი“**, **„მოხუცები და ახალგაზრდები“**, **„ტრიალებს“**, **„ერთი, არც ერთი და ასი ათასი“**, მრავალი ნოველა და პიესა, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის თეატრებში იდგმებოდა.
საქართველოში ლუიჯი პირანდელოს შემოქმედებას ასე თუ ისე იცნობენ... ახლახან გამომცემლობა „ინტელექტმა“ მისი რომანი **„განსვენებული მატია პასკალი“** გამოსცა; იტალიურიდან თარგმნა **მერი ტიტვინიძემ**. პიესა – **„ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“** დაიდგა ქალაქ რუსთავის თეატრში, შემდეგ – მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა და სოხუმის თეატრებში. პიესა **„ჰენრიხ IV“** კი დადგა თავისუფალმა თეატრმა.

ლუიჯი პირანდელოს შემოქმედების შემფასებელთა შორის ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები იკვეთება: ერთნი კამათობენ პირანდელო-ნოვატორ ხელოვანზე, მეორენი მის ფილოსოფიას ანიჭებენ უპირატესობას და **„პირანდელიზმის“** საკითხს კი სვამენ, სხვები მისი შემოქმედების აბსტრაქტულ ხასიათზე მსჯელობენ, არაერთი კრიტიკოსი მას დეკადანსს მიაკუთვნებს: უმეტესწილად მის დრამატურგიას წამოსწევენ და აცხადებენ, რომ სწორედ მან განსაზღვრა XX საუკუნის თეატრის ფორმაცა და იდეური მიმართულებაც, დაამკვიდრა ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური, გროტესკის თეატრი, იგი გახლავთ ავანგარდისტული თეატრის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი.
პირანდელო ყველა დროისა და ეპოქის შემოქმედია. მისი უპირველესი პრობლემაა ადამიანი, კერძო პირი, მისი მიწიერი, ამქვეყნიური არსებობა.

**რიტა ადრიანელი, საქართველოში იტალიის საელჩოს კულტურის ატაშე:** „მნიშვნელოვანია თვითონ პირანდელო, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელიც იტალიური ლიტერატურისა და თეატრისათვის რევოლუცია იყო.
საელჩო დაეხმარება მთარგმნელებს, რომ გავაცნოთ ერთმანეთს ჩვენი კულტურა. იტალიურ ენაზე, სამწუხაროდ, თითქმის არაფერი გვაქვს ნათარგმნი. ჩვენ ვგეგმავთ სამი ქართველი პოეტის: ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუასა და ემზარ კვიტაიშვილის შემოქმედების გატანას ტორინოს წიგნის ფესტივალზე, გვინდა იტალიელებს გავაცნოთ ქართული თანამედროვე ლიტერატურა, რაშიც ვენეციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი გაგა შურღაია გვეხმარება.“




**დალი ფანჯიკიძე, ენათმეცნიერი, მთარგმნელი:** „მერი ტიტვინიძის მოღვაწეობა მხოლოდ მთარგმნელობითი საქმიანობით არ შემოიფარგლება. მას ეკუთვნის ექვსასზე მეტი საენციკლოპედიო სტატია. მთარგმნელის შემოქმედებაში არ არსებობს ენობრივი პრობლემა, ვგულისხმობ, ქართული ენის გამართულობას, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ნებისმიერი თარგმანი. წარმოუდგენელია სტილზე, მაღალ მატერიებზე საუბარი, სადაც ენა არ არის გამართული. იქ, სადაც ენობრივი ფონი მოუწესრიგებელია, ზედმეტია საუბარი ყოველგვარ მხატვრულობაზე. მერი ტიტვინიძე თარგმნის ასევე ესპანური ენიდან... მისი თარგმანების ჩამონათვალი ვრცელია: **დანტე ალიგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა, მიგელ დე სერვანტესი, გარსია ლორკა, შარლ დიკენსი და სხვ. თარგმნის ესეისტიკას: „პოლიტიკა და კულტურა“, „ევროპეიზაციისათვის“, „ხელოვნება და კოსმოპოლიტიზმი“, „დონ კიხოტის საფლავი“, „პირანდელო და მე“**, და აქვს საკუთარი ესეებიც: **„მე მტკივა ესპანეთი“, „მრუდე სარკის ესთეტიკა“, „ხელოვნებაში გრძნობების ადგილი არ არის“, „ორი ივერიის ერთი პრობლემისადმი“** და სხვ.

„განსვენებული მატია პასკალი“ განეკუთვნება იმ ნაწარმოებთა [illegible] რომელშიც ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა დასმული და ყველა დროისა და დონის მკითხველი იპოვის მისთვის საინტერესო მხარეს. მისი შვიდი რომანიდან გამორჩეულია ეს ეპიკური ნიმუში, რომელსაც უავტორო ნაწარმოებსაც უწოდებდნენ, რადგან პირანდელო თხრობას პერსონაჟს ანდობს, მატია პასკალი თვითონ ყვება საკუთარ თავგადასავალს. პირანდელომ ბევრი ზოგადსაკაცობრიო პრობლემა დასვა: თავისუფლების, შიშის, გაუცხოების, კომუნიკაციის შეუძლებლობის, ჩვენი ამქვეყნად მოვლინების მიზეზსა და მიზნებზე.“
მატია პასკალს მიიჩნევენ მწერლის პროტოტიპად, ისევე, როგორც მის სხვა პერსონაჟებს. „მე“-ს ძიება იყო პირანდელოს სასიცოცხლო პრობლემა და ეს ანდრე მორუასთვისაც უთქვამს: „მე არ ვყოფილვარ ერთი პიროვნება, მე ვიყავი პერსონაჟი, რომელიც მიწყივ ეძებდა ერთ პიროვნებას“.

**ნინო ყულოშვილი**

ს118/22

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნატურმორტი ავტოპორტრეტით

ლევან ჭარანაული